

მ. გოცაძე

# სოლომონ დოდაშვილი

(ცხოვრება და მოღვაწეობა)

---

სახელგამი

1955



## წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნი დაწერილია დღემდე უცნობ მრავალ მასალაზე დაყრდნობით.

მართალია, სოლ. დოდაშვილი ახალგაზრდა გარდაიცვალა, მაგრამ მან ბევრი რამ გააკეთა. მისი სახელი მჭიდროდ უკავშირდება XIX საუკუნის საქართველოში ისტორიის განვითარებას, ფილოსოფიურ აზროვნებას, ლიტერატურათმცოდნეობას, ენათმეცნიერებას, პედაგოგიკას, ჟურნალისტიკას და სხვ.

წინამდებარე წიგნში ძირითადად გამოყენებულია ის მასალები, რომელნიც დაცულია მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის და ქ. კიროვის მუზეუმებსა და არქივებში.

ა ა ბ რ ი

1  
19II 55

თბილისი



## შ ე ს ა მ ა ლ ი

სოლომონ დოდაშვილი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XIX საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიის მრავალფეროვან პერიოდში.

მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, ქართველი ხალხის ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო. დადუმდა მტრის იარაღი, აილაგმა დამპყრობთა თარეში, საქართველოს შეექმნა მშვიდობიანი განვითარების პირობები.

მტაცებელი თურქეთი და დამპყრობი ირანი თავისუფლებისმოყვარე და მაღალი კულტურის მქონე ქართველ ხალხზე გამუდმებულ თავდასხმებს აწყობდნენ. თურქი და ირანელი აგრესორები წარსულ საუკუნეებში მძლავრობდნენ, ჩვენს ქვეყანას აობხრებდნენ: სწვავენ ქალაქებსა და სოფლებს, სპობდნენ ქართული კულტურის შესანიშნავ ძეგლებს, ანადგურებდნენ ნათესებს, ტყეებსა და ბალ-ვენახებს. ქართველი ხალხისათვის თურქ და ირანელ დამპყრობლებს უბედურება და გაჩანაგება მოჰქონდა, ქართველ ხალხს მათგან ფიზიკური განადგურება ელოდა.

საქართველოს რუსეთთან შეერთება უდიდესი მნიშვნელობის პროგრესული მოვლენა იყო.

რუსეთი ერთადერთი მოწინავე ძალა იყო, რომელსაც შეეძლო ქართველი ხალხის მიწა-წყლის გაერთიანება, მტრის დამარცხება, მწვეილობიანი შრომისა და ქვეყნის შემოქმედებითი ძლიერებისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა. ხოლო სოლ. დოდაშვილი ერთი იმ პირველთაგანი იყო, რომელმაც საქართველოს რუსეთთან შეერთების დადებითი მნიშვნელობა გაიგო და მას დიდ როლს ანიჭებდა.

დიდი რუსი ხალხი მუდამ ეხმარებოდა ქართველ ხალხს და ამ დახმარების წყალობით ქართველი ხალხი გადაურჩა თურქი და ირანელი მოძალადეებისაგან ფიზიკური მოსპობის საფრთხეს.

დიდი სტალინი რუსი ხალხისთვის შესახებ 1945 წლის 24 მაისს ამბობდა: „მე ვადღეგრძელებ რუს ხალხს არა მარტო იმიტომ, რომ იგი ხელმძღვანელი ხალხია, არამედ იმიტომაც, რომ მას აქვს ნათელი გონება, მტკიცე ხასიათი და მოთმინება“<sup>1</sup>.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ რუსი ხალხის დახმარება საქართველოსადმი უფრო გაძლიერდა. ახლა უკვე ახალ პირობებში, როცა XIX საუკუნის პირველ ნახევარში ხანგრძლივი ომები მიმდინარეობდა თურქეთისა და ირანის წინააღმდეგ, ქართველი და რუსი ხალხების კავშირ-მეგობრობა, უფრო განმტკიცდა და საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში გამოიწროთ.

საქართველოს რუსეთთან შეერთებით ქართველ ხალხს, წინა პერიოდთან შედარებით, ახალი შესაძლებლობა

---

<sup>1</sup> ი. ბ. სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, სახელგამი, 1955 წ., გვ. 184.

მიეცა ჩაბმულიყო მსოფლიოს მოწინავე ხალხთა რიგებში. ამ დროიდან საქართველოში ახალი ძალით იწყება განვითარებას მრეწველობა და სოფლის მეურნეობა; უკეთესდება ქალაქები, მრავლდება სოფლები, იზრდება მოსახლეობის რიცხვი, ისპობა ქართველი ტყვეებით სამარცხვინო ვაჭრობა, ვითარდება გზები, ლიტერატურა, ხელოვნება და სხვ.

ქართველი ხალხისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ერთი მხრივ იმას, რომ საქართველოში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ მოწინავე რუსი ადამიანები, რომელთა მეგობრობა და ახლობლობა ქართველი საზოგადოების წევრებთან უფრო ამკიდროვებდა ამ ორ ხალხს შორის ძმურ ურთიერთობას და, მეორე მხრივ, იმას, რომ რუსეთში ცხოვრობდა და აქტიურ მონაწილეობას იღებდა რუსეთის იმდროინდელი კულტურის განვითარებაში მრავალი ქართველი.

რუსეთის მოწინავე კულტურა დიდ გავლენას ახდენდა ქართველი ხალხის შემდგომ წინსვლასა და განვითარებაზე. რუსულმა ლიტერატურამ, ხელოვნებამ, მუსიკამ, მეცნიერებამ და სხვ. დიდად შეუწყო ხელი საქართველოს შემდგომ განვითარებას. ი. ჭავჭავაძე ამ გავლენის შესახებ სამართლიანად ამბობდა: „რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერ ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავკარგიანობა. არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მომქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბი-

ელზე, რომ თავისუფალი იყოს ხსენებული ლიტერატურის ზეგავლენისაგან. საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ, მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ... თვითეული ჩვენთაგანი რუსულის ლიტერატურით გაზრდილა, თვითეულს ჩვენგანს მის გამონარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩევია“<sup>1</sup>.

საქართველოს რუსეთთან შეერთებით ქართველი და რუსი ხალხები კიდევ უფრო დაკავშირდნენ; მათი მოწინავე წარმომადგენლები ამ კავშირს კიდევ უფრო ამკვიდროვებდნენ. დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი ბელინსკი, ეხებოდა რა რუსეთის საუკეთესო შვილთა კავშირს საქართველოსთან სწორედ იმ პერიოდში, როცა სოლ. დოდაშვილი მოღვაწეობდა, ამბობდა: „უცნაური რამაა! კავკასია თითქოს მოწოდებული იყო გამხდარიყო ჩვენი პოეტური ტალანტების აკვნად, მათი მუზის შთამგონებლად, მათ პოეტურ სამშობლოდ! პუშკინმა კავკასიას მიუძღვნა ერთ-ერთი თავისი პირველი პოემა—„კავკასიის ტყვე“ და კავკასიისადმი არის აგრეთვე მიძღვნილი მისი ერთ-ერთი უკანასკნელი პოემა „გალუბი“ [„თაზიტი“], მისი რამდენიმე შესანიშნავი ლექსიც ასევე კავკასიას მიეკუთვნება. გრიბოდოვმა კავკასიაში შექმნა თავისი „ვაი ჭკუისაგან“... და აი,

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, 1928 წ., ტ. VIII, გვ. 295.



გამოჩნდა ახალი დიდი ტალანტი (ლერმონტოვი)—და კავკასია ხდება მის პოეტურ სამშობლოდ, რომელიც მას მგზნებარედ უყვარს“<sup>1</sup>.

რუსი ხალხის დახმარებამ, მისმა მაღალმა კულტურამ, ქართველი და რუსი ხალხის მოწინავე შეილთა ურთიერთობამ XIX საუკუნის პირველი ოთხი ათეული წლების ყველა ქართველ მოღვაწეზე და, მათ შორის, სოლ. დოდაშვილზეც დიდი გავლენა მოახდინა.

საქართველოს ეკონომიურ-პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებას აფერხებდა ბატონყმობა და ცარიზმი, რომელნიც საქართველოს მშრომელ მოსახლეობას უწყედნენ ექსპლოატაციას. ამასთან, კაპიტალისტურ ელემენტებს ურთიერთობის უფრო რთული და მძიმე პირობები შემოჰქონდათ საქართველოში.

დიდი ლენინი კავკასიისადმი მეფის რუსეთის დამოკიდებულების შესახებ წერდა, რომ კავკასიის „ეკონომიური „დაპყრობა“ გაცილებით უფრო გვიან მოხდა, ვიდრე პოლიტიკური დაპყრობა“<sup>2</sup>.

ცარიზმი როგორც სხვა ხალხების, ისე რუსი და ქართველი ხალხების უბოროტესი მტერი იყო.

ცარიზმი ქართველ მშრომელ მოსახლეობას მძიმე უღლად დააწვა. ქართველი ხალხი ისედაც დიდ ექსპლოატაციას განიცდიდა, მას ჩაგრავედა და სულს უხუთავდა ქართველი თავადაზნაურობა, სამღვდელოება და ჩარჩ-ვაჟრები.

---

<sup>1</sup> რუსი მწერლები საქართველოს შესახებ, ტ. I, 1949 წ., გვ. XI.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., მე-4 გამ., ტ. 3, გვ. 703.

ფეოდალური გადასახადების მრავალი სახე, ხშირი ომიანობით გამოწვეული სიძნელები და ხარჯები, ქურდებისა და მტაცებელთა მთელი ხროვა, საჩივრებისადმი უყურადღებობა, გაუთავებელი სასამართლოები და სხვა, საქართველოს მოსახლეობაში იწვევდა პროტესტს ექსპლოატატორთა წინააღმდეგ, რამაც XIX საუკუნის პირველ ოთხ ათეულ წლებში არა ერთ აჯანყებაში ჰპოვა თავისი გამოხატულება. ქართველი გლეხკაცობა თავის ექსპლოატატორებს ებრძოდა.

— რაც შეეხება ქართველი თავადაზნაურობის მიერ მოწყობილ შეთქმულებებს, მათ შესახებ ი. ბ. სტალინი წერდა: „იყო ჩვენში, მაგალითად, ეგრეთწოდებული, თავადაზნაურობის „ნაციონალური საკითხი“, როცა — „საქართველოს რუსეთთან შეერთების“ შემდეგ — ქართველმა თავადაზნაურობამ იგრძნო, თუ რა საზარალო იყო მისთვის ძველი პრივილეგიებისა და ძლიერების დაკარგვა, რომლებიც მას ქართველი მეფეების დროს ჰქონდა, იუკადრისა „უბრალო ქვეშევრდომობა“ და მოინდომა „საქართველოს განთავისუფლება“. ამით მას უნდოდა „საქართველოს“ სათავეში ქართველი მეფეები და თავადაზნაურობა დაეყენებინა და, ამგვარად, მათთვის გადაეცა ქართველი ხალხის ბედისბალი ეს იყო ფეოდალურ-მონარქიული „ნაციონალიზმი“. ვერც ერთი შესამჩნევი კვალი ვერ დააჩნია ამ „მოძრაობამ“ ქართველების ცხოვრებას, ვერც ერთი ფაქტით ვერ ისახელა მან თავი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართველი თავადაზნაურობის ზოგიერთ შეთქმულებას რუსი მმართველების წინააღმდეგ კავკასიაში“<sup>1</sup>.

ისტორიული გარემო, რომელშიც სოლ. დოდაშვილი მოღვაწეობდა, რთული იყო.

<sup>1</sup> ი. . ს ტ ა ლ ი ნ ი, თხ, ტ. 1, ვვ. 32—33.

ინტერესი სოლ. დოდაშვილის შესწავლისადმი დიდი ხანია არსებობს. ხოლო რაც შეეხება სათანადო საბუთებს, ისინი სხვადასხვა არქივ-საცავეებსა და მუზეუმებშია შენახული.

აღნიშნული საბუთები ერთნაირი ხასიათის არ არის; ისინი შედგენილია სხვადასხვა დროს და მომდინარეობენ სხვადასხვა პირისაგან. მაგრამ მაინც მათი უმრავლესობა თვით სოლ. დოდაშვილის ხელიდან არის გამოსული.

სოლ. დოდაშვილის შესახებ ცნობები თანდათან ქვეყნდებოდა. ი. ქავჭავაძე, რომელიც სოლ. დოდაშვილის პიროვნებითა და მოღვაწეობით დიდად იყო დაინტერესებული, იმთავითვე ფართოდ უწყობდა ხელს ამ საქმეს. ი. ქავჭავაძემ მტკიცედ ჩაუყარა საფუძველი სოლ. დოდაშვილის შესახებ მასალების ბეჭდვას. ის გარემოება, რომ გაზეთ „ივერიაში“ დოდაშვილის შესახებ ცნობები დროდადრო ქვეყნდებოდა, ამწიფებდა აზრს, რომ სოლ. დოდაშვილი ღრმად შესასწავლი პიროვნება იყო.

საარქივო დოკუმენტებიდან კი პირველ რიგში აქ აღსანიშნავია 1881 წელს „აქტებში“ გამოქვეყნებული ცნობები<sup>1</sup>, შემდეგ, 1935 წელს დაბეჭდილი საბუთები<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> „АКТЫ“, 1881 წ., ტ. VIII.

<sup>2</sup> გ. გოხალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, თბ., 1935 წ., ტ. I.

და 1945 წელს დასტამბული თვით სოლ. დოდაშვილის წერილები<sup>1</sup>. მაგრამ მასალების ძირითადი ნაწილი თავ-მოყრილია მოსკოვისა და საქართველოს ცენტრალურ არქივებში. რაც შეეხება სოლ. დოდაშვილის შესახებ მოგონებებს, ისინი სხვადასხვა დროს გამოქვეყნდნენ<sup>2</sup>. მათგან რიგი დღეს მართლდება და რიგი კი არა<sup>3</sup>. ჩანს, ის მოგონებანი, რომლებიც არ მართლდება შემდეგ პირადი სურვილებისა, თუ სხვა რაიმე საფუძველით შეუთხზავთ.

სოლ. დოდაშვილის შესახებ არაერთი ავტორი წერდა; ისინი, სხვადასხვა საკითხების დამუშავებასთან ერთად, ხშირად მნიშვნელოვან უცნობ მასალასაც აქვეყნებდნენ<sup>4</sup>.

---

<sup>1</sup> ს. ზ უ ც ი შ ვ ი ლ ი, სოლ. დოდაშვილის წერილები („მას. საქ. და კავკ. ისტ.“, თბ., 1945 წ. ნაკ. II). აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენც აგრეთვე გამოვაქვეყნეთ ცნობები სოლ. დოდაშვილის 24 უცნობი წერილის შესახებ (გახ. „სტალინელი“, 1955 წ., № 50).

<sup>2</sup> იხ. მაგ. „დროება“, 1875 წ. № 61 და ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, სოლ. დოდაშვილი, თბ., 1893 წ.

<sup>3</sup> მაგალითად, მცდარია ის ცნობა, რომლითაც ცხადდება, რომ სოლ. დოდაშვილი 1832 წელს თითქოს თბილისიდან თიანეთში გადაიყვანეს სამსახურში და იქ ლეკები ერთხელ თავს დაესხნენ რა მას, ხელი მოკვეთეს (ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, სოლ. დოდაშვილი, 1893 წ., გვ. 21 და გახ. „ჩვენი თაობა“, 1937 წ., № 10). მაგრამ სინამდვილეში ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

<sup>4</sup> სოლ. დოდაშვილის შესახებ შემდეგი ლიტერატურა არსებობს: „Знак. в.“. 1846, წ., № 11, „Кавказ“, 1856 წ. № 48, „დროება“, 1875 წ., № 61, „АКТЫ“, ტომი VIII, 1881 წ., „ივე-

წინამდებარე ნაშრომში გამოყენებული დოკუმენტების უმრავლესობა დღემდე გამოცემული არ ყოფილა. მკითხველი თვითონაც ნათლად დაინახავს, თუ სოლ. დოდაშვილის შესახებ რა მდიდარი მასალა არსებულა, და მათ გამოყენებას რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონია სოლ. დოდაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლისათვის.

---

რია—1882 წ. № 227, ზ. კიკინაძე—სოლ. დოდაშვილი, თბ., 1893 წ., მისივე—ფილ. კიკინაძე, თბ., 1916 წ., მისივე—სოლ. დოდაშვილი და ნიკ. ბარათაშვილი, მისივე—ქართული გაზეთის ასი წლის ისტორია, თბ., 1916 წ., გ. გოხალიშვილი: 1832 წლის შეუქმულება, თბ., 1935 წ., ტ. I, ს. ხუნდაძე—დიმ. ყიფიანი თბ., 1936 წ., პ. გუგუშვილი—ქართული ჟურნალისტიკა, თბ., 1941 წ., ტ. I, ს. ხუციშვილი—სოლ. დოდაშვილის წერილები („მას. საქ. და კავკ. ისტ.“, თბ., 1945 წ., ნაკ. II), გ. თავაძე—შვილი—სოლ. დოდაშვილი („სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“, I, თბ., 1953 წ.), მ. ბერძნისვილის შენიშვნები სოლ. დოდაშვილის გამოცემულ წერილებზე („მომომხილველი“, თბ., 1949 წ., ტ. I), ალ. ქუთელია—სოლ. დოდაშვილი, „ლოგიკა“ თბ., 1949 წ., ნ. ს. შ. ტ. 14, 1952 წ., გ. კალანდარიშვილი—„Очерки по истории логики в Грузии“ თბ., 1952 წ., მ. გოცაძე—ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, თბ., 1954 წ., I, და სხვ.



## I. სსოპრკეპის გზა

\* \* \*

სოლ. დოდაშვილის დაბადების თარიღის შესახებ ჩვენში სხვადასხვა ცნობა არსებობს. მაგრამ მათგან სარწმუნოა ის ცნობა, რომლიდანაც ჩანს, რომ სოლ. დოდაშვილი 1805 წელს დაბადებულა.

ერთნი სოლ. დოდაშვილის დაბადების თარიღად 1802 წელს ასახელებენ,<sup>1</sup> მეორენი—1803 წელს,<sup>2</sup> ზოგი—1804 წელს<sup>3</sup> და ზოგი კი—1806 წელს<sup>4</sup>, ხოლო ერთგან იგი 1815 წელს დაბადებულად ცხადდება<sup>5</sup>. მაგრამ ცნობათა ასეთი ერთმანეთზე დაუმთხვევლობა მომდინარეობს რიგ შემთხვევაში ზეპირგადმოცემათა გზით, რიგ შემთხვევაში მიახლოებითი გამოთვლით, ზოგჯერ

---

<sup>1</sup> „საქ. კალ.“, 1892 წ., გვ. 339.

<sup>2</sup> „Кавказ“, 1856 წ., № 48.

<sup>3</sup> ხ. ჭიჭინაძე, სოლ. დოდაშვილი, თბ., 1893 წ., გვ. 8 და „საბჭოთა მასწავლებელი“, 1938 წ., № 3.

<sup>4</sup> А Герцен. „Полное сои. сочиненн“, 1919 წ., ტ. XII, გვ. 390-391.

<sup>5</sup> ე. თაყაიშვილი, „Описание“. . წიგ. 1, გვ. 200.

კი კორექტურული შეცდომის ანდა ერთხელ დაბეჭდრილი მცდარი ცნობის გამეორებით და სხვ.. მაგალითად, იქ, სადაც სოლ. დოდაშვილი 1815 წელს დაბადებულად ცხადდება, რასაკვირველია, კორექტურულ შეცდომას აქვს ადგილი. მაგრამ სხვა თარიღებს ზოგჯერ საარქივო დოკუმენტები უჭერენ მხარს. განსაკუთრებით ამაში გულუხვობას იჩენს თბილისის სემინარიის არქივი. აქ ერთ საბუთში, მაგალითად, აღნიშნულია, რომ სოლ. დოდაშვილი 1821 წელს 17 წლის არისო<sup>1</sup>. მაშასადამე, სოლ. დოდაშვილი 1804 წელს დაბადებული გამოდის. მაგრამ იქვე, მეორე საბუთში, ნათქვამია: სოლ. დოდაშვილი 1822 წელს 19 წლის არისო,<sup>2</sup> ე. ი. ამ ცნობით იგი 1803 წელს დაბადებულად ცხადდება. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს სოლ. დოდაშვილისათვის გაცემულ სემინარიის დამთავრების ატესტატშიც და სხვ.. მაგრამ ყველა ეს ცნობა მცდარია.

სოლ. დოდაშვილის 1805 წელს დაბადება პირველად პრესაში მოხსენებული იყო 1875 წელს. მაშინ წერდნენ: „დოდაევი დაიბადა 1805 წელსო“<sup>3</sup>. ხოლო ერთ ხელნაწერში, რომელიც დოდაშვილების ოჯახში ინახებოდა, სრულიად სანდოდ ნათქვამია: „სოლომონი დაიბადა 1805 (მაისის ანდრონიკეს დღეობას)“<sup>4</sup>. თვით სოლ. დოდა-

<sup>1</sup> ცსა, ფონდი 440, საქ. 5, ფ. 212—213.

<sup>2</sup> იგივე ფონდი, საქ. 8, ფ. 344.

<sup>3</sup> „დროება“, 1875 წ., № 61.

<sup>4</sup> ხელ. S, 22, ყდაზე მინაწერი, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, „Описание“ ..  
წიგ. 1, გვ. 200, ს. ხ უ ტ ი შ ვ ი ლ ი, დას წერ., გვ. 13.



შვილი კი 1833 წლის 7 თებერვალს ამბობდა: შობიდან 28 წლის ვარო<sup>1</sup>. მაშასადამე, იგი 1805 წელს დაბადებულა. რაც შეეხება „ანდრონიკეს დღეობას“, ეს 17 მაისს მოდის<sup>2</sup>. ამრიგად, სოლ. დოდაშვილი ნამდვილად 1805 წლის 17 მაისს დაბადებულა.

სოლ. დოდაშვილი 1836 წლის 20 აგვისტოს გარდაიცვალა<sup>3</sup>.

\* \* \*

დოდაშვილების გვარი საქართველოში ფართოდ ცნობილი გახდა მხოლოდ XIX საუკუნის პირველ ნახევარში. მაგრამ ისტორიულ საბუთებში ეს გვარი გაცილებით ადრე იხსენიება, სახელდობრ, 1684 წელს. ერთ იმდროინდელ საბუთში ვკითხულობთ: „ნასყიდობის წიგნი და ფიცი დაგიწერე და მოგეც მე დოდაშვილმა პაპუნამა... და იწერა წიგნი ესე ქრონიკონსა ტობ“<sup>4</sup>. ცხადია, ეს საბუთი ადასტურებს შორეულ წარსულში დოდაშვილების გვარის არსებობას.

სოლ. დოდაშვილის გვარი ქართველ გლებთა წოდებას ეკუთვნის<sup>5</sup>. ზ. ქიქინაძე წერდა: დოდაშვილის მამა

---

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 1457, რვ. VI, ფ. 1106—1110; „მას. საქ. და კავკ. ისტ.“, 1945 წ., ნაკ. II, გვ. 13 და ცსსა, ფონდი 1457, რვ. XXVII, ფ. 71.

<sup>2</sup> „საბჰოთა მასწავლებელი“, 1945 წ., № 14.

<sup>3</sup> საამისო მრავალი საბუთი არსებობს. იხ., მაგ., ცსსა, ფონდი 1457, რვ. XXIX, ფ. 232.

<sup>4</sup> ცსსა, ფონდი 226, საბუთი 8763.

<sup>5</sup> ერთგან შეცდომით სოლ. დოდაშვილი „ქართველ თავადად“ არის მოხსენებული (იხ. გერციანის დასახ. გამოცემა ტ. III, გვ. 19).

„სასულიერო პირი იყო და გლეხის შთამომავალი“<sup>1</sup>.  
აღ. ვ. ორბელიანი კი ამბობდა: „დოდაევი იყო გლე-  
ხი კაციო“<sup>2</sup>.

ზ. კიკინაძე თავის ცნობას სხვისგან სესხულობდა,  
ზოლო აღ. ვ. ორბელიანი სოლ. დოდაშვილს ახლო  
იცნობდა. მაგრამ ორივე ცნობას ერთი საერთო ნაკლი  
აქვს, კერძოდ ის, რომ ისინი კონკრეტულად არ სა-  
ზღვრავენ იმ წრის ვიწრო სოციალურ არეს, საიდანაც  
სოლ. დოდაშვილი გამოვიდა. ამ ცნობებიდან არ ჩანს  
თუ სოლ. დოდაშვილი გლეხთა რომელ კატეგორიას  
ეკუთვნოდა: იყო იგი საბატონო ყმათაგანი, ან საეკ-  
ლესიო, თუ სხვ.. მაგრამ ირკვევა, რომ იგი სახაზინო  
გლეხთაგანი ყოფილა. 1821 წლის ერთ საბუთში მისი  
სოციალური წარმოშობის შესახებ აღნიშნულია: „Со-  
ломон Додаев, Сигнагского уезда, селения Ма-  
гаро, священника, из казенных крестьян,  
Иоанна сын“<sup>3</sup>.

მაშასადამე, სოლ. დოდაშვილი სახაზინო გლეხთა  
წრიდან გამოსული პირი ყოფილა.

\* \* \*

სოლ. დოდაშვილის ოჯახი მრავალრიცხოვანი იყო.  
ამის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის საქარ-  
თველოს მუზეუმში დაცული N ფონდის ნომერი 22

<sup>1</sup> ზ. კიკინაძე, სოლ. დოდაშვილი, თბ., 1893 წ., გვ. 8.

<sup>2</sup> ცსსა, ფონდი 1457, რე. XXV, ფ. 5050; გ. გოხალიშვილი,  
დას. წიგ., გვ. 28.

<sup>3</sup> ცსსა, ფონდი 440, საქ. 5, ფ. 212. მსგავსი ცნობა მიწერილი  
აქვს სოლ. დოდაშვილის ძმასაც—სტეფანეს.

ხელნაწერი და ყოფილი ვიატკის საგუბერნიო არქივის ერთი საბუთი.

ხელნაწერი ნომერ` 22-ის წინა ყდაზე სოლ. დოდა-შვილის მშობლებისა, და-ძმებისა და. ცოლ-შვილის შესახებ ნათქვამია:

„იოსებ. შვილნი { იოანე, მღვდელი. მეუღლე ბარბარე.  
იოსებ, ერის კაცი. სამი ცოლი ჰყავდა.

იოანეს შვილნი: სოლომონ, სტეფანე (მიხეილ, ნიკოლოზ — გარდაიცვალენ მცირეწლოვანებაში), იასე (...)<sup>1</sup>, ფრიდონ. ქალნი: ალათია, მელანია, ნინო.

სოლომონი დაიბადა 1805 (მაისის ანდრონიკეს დღეობას). ამის შვილნი: იოანე დაიბადა 1829 წლის სექტემბრის 21-ს, (ქალი ნინო 1831 წლის აგვისტოს პირველს), კონსტანტინე 1832 (წლის) დეკემბერს.

ელენე — მეუღლე სოლომონისა“.

ხოლო ვიატკის საგუბერნიო არქივის საბუთში ამავე საკითხზე წერია: სოლ. დოდაშვილს „ჰყავს ცოლი, ორი მცირეწლოვანი ვაჟი და ქალიშვილი, რომელნიც მასთან იმყოფებიან, მამა, დედა, სამი ძმა და სამი და, მყოფნი საქართველოში, სიღნაღის მაზრაში სოფ. მაღაროში და კიდევ ძმა, მმართველ სენატში მოსამსახურე“<sup>2</sup>.

ორივე ცნობა სანდოა. ისინი სრულიად სხვადასხვა პირობებში წარმოიშვნენ და, ემთხვევიან რა ერთმანეთს, ამით ერთმანეთს ამაგრებენ.

<sup>1</sup> დედანში ფრჩხილები ცარიელია.

<sup>2</sup> იხ. გერცენის დას. გამ., ტ. XII, გვ. 390—391.

რასაკვირველია, სოლ. დოდაშვილის ოჯახის შემადგენლობის შესახებ ჩვენ ხელთ სხვა ცნობებიც გვაქვს, მაგრამ ისინი აღნიშნულივით სრული არ არიან და მხოლოდ ამა თუ იმ ცალკეულ პირს ეხებიან. მაგრამ ამ ცნობათა მოშველიება ბევრი რამის დაზუსტებაში მაინც გვეხმარება.

საქართველოს მუზეუმში დაცული S, 22 ხელნაწერი ლექსიკონია. იგი ინახებოდა ჯერ თვით სოლ. დოდაშვილის სახლში <sup>1</sup>, შემდეგ მისი მშობლების ოჯახში და მასზე არსებული მინაწერიც ამ ოჯახის ერთ-ერთი წევრის მიერ არის შესრულებული <sup>2</sup>. მეორე ცნობა კი წარმოიშვა იმასთან დაკავშირებით, რომ სოლ. დოდაშვი-

---

<sup>1</sup> აღნიშნული ლექსიკონი სწორედ ის ლექსიკონია, რომელიც იონა ხელაშვილმა სოლ. დოდაშვილს გამოსაცემად მიანდო. მაგალითად, ეფ. აღლქსიშვილი ამბობდა, რომ ერთხელ, ვიყავი რა სოლ. დოდაშვილის სახლში, ეთხოვე მას ჩემთვის ეჩვენებინა იონა ხელაშვილის ლექსიკონი, მაგრამ მისმა ცოლმა თქვა—„იმას ვერ იპოვის, შორს არისო“ (ცსსა, ფონდი 1457, რე. V, ფ. 773—784; გ. გ. ო. ზ. ა. ლ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., დას. წიგ., გვ. 294).

<sup>2</sup> ამ ხელნაწერს პირველად ექ. თაყაიშვილი შეეხო და მისი აზრით, იგი გჟუთვნოდა სოლ. დოდაშვილს (ე. თაყაიშვილი, „Описание...“ წ. 1, გვ. 198—200). დ. კარიკაშვილსაც იგი ჯერ სოლ. დოდაშვილის ეგონა (იხ. წ. კ. გ. ს. კატალოგი, თბ., 1905 წ., გვ. 301), მაგრამ მან ეს შეცდომა შემდეგ გაასწორა (იხ. „საქ. არქივი“, წ. II, თბ., 1927 წ., გვ. 39). აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ, როცა 1875 წელს გახეთ „დროებაში“ (№ 61) სოლ. დოდაშვილზე გამოქვეყნდა წერილი, მაშინ ამ წერილის ავტორი სოლ. დოდაშვილის ოჯახის შემადგენლობაზე მსჯელობის დროს სწორედ ამ ლექსიკონს ეყრდნობოდა, თუმცა ისიც შეცდომით ამ ლექსიკონს სოლ. დოდაშვილის მიერ შედგენილად სთვლიდა.

ლი ბოლო დროს ვიატკაში იპყოფებოდა და იქ მსახურობდა. ცნობა ამოღებულია სწორედ მისი ნამსახურობის ნუსხიდან.

ყველა ამ საბუთიდან ჩანს ის, რომ სოლ. დოდაშვილის მშობლებს ცხრა შვილი ჰყოლიათ: ექვსი ვაჟი და სამი ქალი. ხოლო თვით სოლ. დოდაშვილს ჰყავდა სამი შვილი—ორი ვაჟი და ერთი ქალი. მშობლების ოჯახში სოლომონი უფროსი ვაჟიშვილი იყო.

დოდაშვილის მამა მღვდელი იყო. მისი სახელი იოანეა. ამ პირის პირადი ბარათებიდან ვგებულობთ, რომ იგი განათლებული კაცი ყოფილა. ამასთან, გადმოცემით ვიცით, რომ მას სწავლა მიუღია დავით გარეჯის მონასტერში და მოუსმენია კათალიკოზ ანტონ I კატეგორია, რიტორიკა და ღვთისმეტყველება<sup>1</sup>.

იოანეს თავისი უფროსი ვაჟი განსაკუთრებით ჰყვარებია, თუმცა ერთი ცნობით, რომელიც ჯერ კიდევ 1856 წელს გამოქვეყნდა, მამა შვილის აღზრდაზე თითქოს ნაკლებ ზრუნავდა და ბავშვს თავისი ყმაწვილობის წლები უქმად გაუტარებია<sup>2</sup>. მაგრამ ეს ცნობა სარწმუნო არ არის. პირიქით, იოანე თავის უფროს ვაჟს ხელს მაშინაც კი უწყობდა, როცა ეს უკანასკნელი პეტერბურგიდან საქართველოში დაბრუნდა და შეუდგა თბილისში სამსახურს. თანამედროვეებს ზ. ჭიჭინაძისათვის უამბნიათ, რომ იოანე „დიდათ მეცადინეობდა შვილის აღზრდაზე და ამან ერთობ აღრე დააწყებინა სოლომონს შინ წიგნის სწავლაო“<sup>3</sup>. ეტყობა, რომ მშო-

<sup>1</sup> ზ. ჭიჭინაძე, სოლ. დოდაშვილი, თბ., 1893 წ., გვ. 8.

<sup>2</sup> „Кавказ“, 1856 წ., № 48.

<sup>3</sup> ზ. ჭიჭინაძე, სოლ. დოდაშვილი, თბ., 1893 წ., გვ. 8.

მისი დიდი იმედიც ჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახისათვის მეტად ძნელი უნდა ყოფილიყო უფროსი ვაჟის მოშორება, მშობლებმა დასძლიეს ყოველგვარი დაბრკოლება და, როგორც ქვევით ვნახავთ, 1824 წელს იგი პეტერბურგში გაგზავნეს სასწავლებლად. მამა ყოველმხრივ ეხმარებოდა შვილს. იმ პირობებში, რომელშიაც წვრილშვილიანი ოჯახი უნდა ყოფილიყო, იოანეს საჭირო ფული მაინც გამოუნახავს და რუსეთისაკენ გამგზავრებაში თავისი ვაჟისათვის ხელი არ შეუშლია. მართლაც, შემდეგში იონა ხელაშვილი პეტერბურგიდან სოლომონის მშობლებს აღტაცებით სწერდა: საქებელი ხართ სოლომონის ყოლისა და გაზრდისთვისო<sup>1</sup>.

მამა თავის უფროს ვაჟს არც მაშინ აკლებდა ყურადღებას, როცა ეს უკანასკნელი ცნობილი კაცი გახდა და დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწეოდა. მამა სოლომონს ნიადაგ ხელს უწყობდა. მაგალითად, ერთგან იგი, სოფელ მალაროდან თბილისში სწერდა: „შვილო სოლომონ... ჩვენც ვნახავთ და პურსაც წამოგიღებთ ურმით“<sup>2</sup>.

როდის გარდაიცვალა იოანე დოდაშვილი? ჩვენ მისი გარდაცვალების თარიღი ზუსტად არ ვიცით, მაგრამ ჩანს, რომ იგი 1833 წელს ისევ ცოცხალია.

სოლ. დოდაშვილის დედას სახელად ბარბარე ერქვა. ბოლო დროს იგი ავადმყოფობდა. მამა ამის შესახებ სოლომონს 1832 წლის 12 სექტემბერს აუწყებდა:

<sup>1</sup> II, 2226, ფ. 123.

<sup>2</sup> ცსსა, განს. მნიშ. ს. ფ., საქ. 171, ფ. 233.

შვილო, „დედა შენი ისევ მღებარე არის, თავის ტკივილი არ დაეხსნა“<sup>1</sup>.

სოლ. დოდაშვილის და-ძმებიდან ყველაზე მეტი ცნობა მომდევნო ძმის—სტეფანეს შესახებ გვაქვს შემორჩენილი. დანარჩენები—მიხეილი და ნიკოლოზი ადრე გარდაიცვალნენ, ხოლო იასე და ფრიდონი კი—გვიან<sup>2</sup>.

სტეფანე დოდაშვილი 1809 წელს დაიბადა<sup>3</sup>. იგი ჯერ სწავლობდა სიღნაღის სასულიერო სკოლაში და შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში, და კარგადაც სწავლობდა<sup>4</sup>. მაგალითად, ერთ წერილში სტეფანე თბილისიდან პეტერბურგში თავის ძმას სწერდა: „მე ვიმყოფები ფილოსოფიის კლასში, გარნა არ დამისრულებია, მხოლოდ ლოგიკის მეტ და მეტაფიზიკის ორი ნაწილისა, ონტოლოგიისა და კოსმოლოგიისა, რაც შენ წახვედი მას აქეთ ჩემი სიცოცხლე და სწავლა შემითანასწორებია“<sup>5</sup>.

1828 წელს სტეფანე თავისი უფროსი ძმის დახმარებით თბილისიდან პეტერბურგში გაემგზავრა. მან იქ საშსახური დაიწყო სენატის მეხუთე დეპარტამენტში, სადაც ჯერ იყო „პოდკანცელარისტად“ და შემდეგ— „კანცელარისტად“<sup>6</sup>. ბოლო დროს იგი საქართველოში მსახურობდა.

<sup>1</sup> ცსსა, განს. მნიშვნ. ს. ფ., საქ. 171, ფ. 234.

<sup>2</sup> ამ ძმების შესახებ იხ. იქვე, ფ. 227—8, 229—30, 246—247 და 9, 22, გვ. 321.

<sup>3</sup> სტ. დოდაშვილი 1833 წელს ამბობდა: შობიდან 24 წლის ვარო (ცსსა, ფონდი 1457, რვ. XX, ფ. 3932—3933).

<sup>4</sup> სტეფანე დოდაშვილის შესახებ მრავალი ცნობაა დაცული საქ. ცენტრ. არქივში.

<sup>5</sup> ცსსა, განს. მნიშვნ. ს. ფ., საქ. 171, ფ. 229—230.

<sup>6</sup> ცსსა, ფონდი 1457, რვ. XX, ფ. 3932—3933.

სოლ. დოდაშვილის ცოლი იყო ელენე, გვარად კობიაშვილი<sup>1</sup>. მის დედას ანნა ერქვა<sup>2</sup>; სოლ. დოდაშვილის უფროსი ვაჟის აღზრდაზე შემდეგში ყველაზე მეტს სწორედ იგი ზრუნავდა. ანნა მუდმივად თბილისში ცხოვრობდა, იგი ჯავახიშვილის ასული იყო<sup>3</sup>.

ანნა კობიაშვილი ადრე დაქვრივდა. ამიტომ ელენე უშიშვლებია თევდორე ბარაშკინს. თვით სოლ. დოდაშვილი წერს: ელენე მცირეწლოვანებიდანვე იზრდებოდა გადამღვარ ინჟინერ-კაპიტან თევდორე ბარაშკინთან და იწოდებოდა მის ქალიშვილად<sup>4</sup>.

ელენე კობიაშვილი 1814 წელს დაიბადა<sup>5</sup>. სოლ. დოდაშვილმა იგი ცოლად შეირთო 1828 წლის 29 ივლისს<sup>6</sup>. 1834 წელს იგი გადასახლებაში გაჰყვა თავის ქმარს. მაგრამ, თუ რა ბედი ეწია მას ამის შემდეგ, ეს აქამდე გაურკვეველი იყო, ახლა კი ჩანს, რომ იგი

---

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 489, საქ. 4420, ფ. 9.

<sup>2</sup> მაგალითად, სოლ. დოდაშვილს ერთგან სწვრდნენ: ზომიკითხვთ „ელენე... და ანნა, დედა მისი“ (ცსსა, განს. მნიშ. ს. ფ., საქ. 171, ფ. 246—247).

<sup>3</sup> H, 2226, ფ. 221; „მას. საქ. და კავკ. ისტ.“, ნაკ. II, გვ. 103.

<sup>4</sup> ცსსა, ფონდი 489, საქ. 4420, ფ. 9. შდრ. „АКТЫ“ ტ. 8, გვ. 392, 419 და ზ. ჭიჭინაძე, სოლ. დოდაშვილი, თბ., 1893 წ., გვ. 16.

<sup>5</sup> სოლ. დოდაშვილი თვით ამბობს, რომ როცა მან ელენე შეირთო, მაშინ ეს ქალი 14 წლის იყო (H, 2226, ფ. 246; „მას. საქ. და კავკ. ისტ.“ ნაკ. II, გვ. 115).

<sup>6</sup> ცსსა, ფონდი 489, საქ. 4420, ფ. 10; „მომომხილველი“ 1949 წ., I, გვ. 433.



ქმრის სიკვდილის შემდეგ თბილისში 1837 წლის დასაწყისში დაბრუნებულა და აქ ხელახლა გათხოვდა, ცოლად გააპოლია ლევის<sup>1</sup>.

ელენე დოდაშვილი 1838 წელს გარდაიცვალა. მისი დედა 1839 წელს წერდა, რომ ჩემი ქალიშვილი ელენე შარშან—1838 წელს მოკვდაო<sup>2</sup>.

რამდენიმე სიტყვა სოლომონის შვილების შესახებ. 1833 წლის 7 თებერვალს სოლ. დოდაშვილი ამბობდა: მე მყავს ორი ვაჟი: ერთი—ივანე, სამი წლისა და მეორე—კონსტანტინე, ორი თვისაო<sup>3</sup>.

უფროსი ვაჟი (ივანე) სოლ. დოდაშვილს შეეძინა 1829 წლის სექტემბერში. სოლომონი წერს: ჩემი უფროსი ვაჟი დაიბადა 1829 წლის სექტემბრის თვეშიო. ხოლო 1829 წლის მეტრიკულ ამონაწერში ამ ბავშვის შესახებ ნათქვამია: თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მასწავლებელს სოლ. დოდაშვილს 1829 წლის

---

<sup>1</sup> ამის შესახებ 1838 წლის ერთ საბუთში წერია: „Соломона Додаева сын Константин... умер... в 1836 году. О чем можно удостовериться от пребывавшей в Тифлисе матери его Елены, по втором муже Львовоѣ“. (ცსსა, ფონდი 489, საქ. 4420. ფ. 31).

<sup>2</sup> იქვე, ფ. 33.

<sup>3</sup> სოლ. დოდაშვილი სიტყვა-სიტყვით შემდეგს წერს: „Имею двух сыновей: 3—х летнего Ивана и 2—х месячного Константина“ (ცსსა, ფონდი 1457, რვ. VI, ფ. 1106—1110; შდრ. „მას. საქ. და კავკ. ისტ.“, თბ., 1945 ნაკ. II, გვ. 12).

29 აგვისტოს შეეძინა ვაჟი, 8 სექტემბერს იგი მონათ-  
ლა მღვდელმა ეფრემ ალექსიშვილმა<sup>1</sup>.

მეორე ვაჟი სოლ. დოდაშვილს შეეძინა 1832 წლის  
დეკემბერში<sup>2</sup>.

ორივე შვილი სოლ. დოდაშვილმა გადასახლებაში  
თან წაიყვანა. სამშობლოში მხოლოდ ივანე დაბრუნდა,  
კონსტანტინე კი ვიატკაში 1836 წელს გარდაიცვალა<sup>3</sup>.

ივანე დოდაშვილს მშობლების სიკვდილის შემდეგ  
ბებია ზრდიდა. ივანემ დაამთავრა თბილისის კლასი-  
კური გიმნაზია, მონაწილეობა მიიღო მწერლობაშიც.  
ბებია პირდაპირ აღნიშნავდა: ივანეს აღმზრდელად მისი  
მშობლების სიკვდილის შემდეგ მხოლოდ მე დავრჩიო<sup>4</sup>.  
ჩანს, ბებიას შვილიშვილზე ბევრი უზრუნვია. ივანემ  
დიდხანს იცოცხლა.

სოლ. დოდაშვილის მესამე შვილი გოგონა იყო. მაგ-  
რამ მის შესახებ ცნობები ერთმანეთს რამდენადმე შორ-  
დება. ჩვენ მიერ ზემოხსენებული N ხელნაწერის თანა-  
ხმად, ეს გოგონა 1831 წელს გარდაცვლილა. ხო-  
ლო ვიატკის საგუბერნიო საბუთში სოლ. დოდაშვი-  
ლის ორ ვაჟთან ერთად ცოცხალ შვილად კიდევ ერთი  
ქალიშვილი იხსენიება. მაშასადამე, გამოდის, რომ სოლ.

---

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 489, საქ. 4420, ფ. 10.

<sup>2</sup> იქვე, ფ. 9.

<sup>3</sup> იქვე, ფ. 31.

<sup>4</sup> იქვე, ფ. 33. ივანე დოდაშვილის შესახებ ცნობები მოიპოვება  
„დროებაშიც“ (1875 წ., № 61), სადაც ნათქვამია: ივანე დოდაშვილს  
ჰყავდა ქალ-ვაჟი და თანამშრომლობდა გაზეთ „კავკასში“-ო. ხ. კი-  
კინაძის ცნობით კი ივ. დოდაშვილს თითქოს დედა და მამინაცვალი  
ზრდიდა. მაგრამ, როგორც ვხედავთ, ეს სწორი არაა, ივ. დოდა-  
შვილზე მთავარ მზრუნველობას ბებია იჩენდა.

დოდაშვილმა თავისი გოგონა თბილისიდან გადასახლებაში ან თან წაიყვანა, ანდა იქ, გადასახლებაში, კიდევ ერთი შვილი—გოგონა შეეძინა. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ არც ერთ ამ შემთხვევას სინამდვილეში ადგილი არ უნდა ჰქონოდა და აქ ვიატკის საგუბერნიო საბუთის შემდგენელის შეცდომასთან გვაქვს საქმე.

სოლ. დოდაშვილს თბილისიდან გადასახლებაში თან ქალიშვილი რომ არ წაუყვანია, ეს ცხადია. მას ამ დროს მესამე შვილი არ ჰყავდა. ჩვენ ზუსტად ვიცით, თუ გადასახლებაში ვინ მიჰყვებოდა სოლ. დოდაშვილს თბილისიდან; ამ სიაში არც ერთი ქალიშვილი არაა მოხსენებული. მას გოგონა არც გადასახლებაში შესძენია. უფრო ისაა საფიქრებელი, რომ ვიატკის საგუბერნიო საბუთში, რომელიც ნამსახურობის ნუსხას წარმოადგენს, სოლ. დოდაშვილის ქალიშვილის შესახებ აღრეული ცნობაა შეტანილი. სხვათა შორის, მსგავსი შეცდომა იმდროინდელ ნამსახურობის ნუსხებში არაერთგან გვხვდება.

სოლ. დოდაშვილს თავისი გოგონა აღრე გარდაეცვალა, 1831 წელს. თუ დაეუკვირდებით S, 22 ხელნაწერს, შევნიშნავთ, რომ მასში მოხსენებულ პირთა დასახელები გარკვეული წესია დაცული. სოლ. დოდაშვილის ძმები, რომელნიც მკვდრები არიან, აქ ფრჩხილებშია მოხსენებული და გოგონაც, ნინო, ხომ სწორედ ფრჩხილებშია მოთავსებული, რაც უდავოდ იმას ნიშნავს, რომ იგი აღრე გარდაცვლილა.

ამრიგად, სოლ. დოდაშვილს სიკვდილის შემდეგ მხოლოდ ორი შვილი დარჩა.

სოლ. დოდაშვილი დაიბადა სოფელ მაღაროში, რომელიც მაშინ თბილისის გუბერნიის სიღნაღის მაზრაში შედიოდა. იგი მაშინაც ლამაზი სოფელი ყოფილა. სოლ. დოდაშვილის ფსევდონიმი—„მაღაროელი“ სწორედ ამ სოფლის სახელწოდებიდან წარმოდგება.

თავისი სოფელი დოდაშვილს ძლიერ უყვარდა. მან მთელი თავისი ბავშვობა აქ გაატარა. ვინ იცის ნიჭიერ ბავშვს აქ რამდენი ზღაპარი და ხალხური ლექსი შეუთვისებია, თავის ტოლებში გლეხობის გაჭირვებაზე რამდენი ნაამბობი მოუსმენია, რა არ გაუგონია საქართველოს წარსულზე ერეკლე II დროინდელი გლეხებისაგან და სხვ.. წარმტაცი ბუნება და გლეხთა სოციალური გარემო შთაბეჭდილებიან ბავშვზე, ცხადია, ღრმად კვალს დასტოვებდა. შემდეგშიაც, როცა სოლომონი წამოიზარდა, დაცოლშვილდა და თბილისში ცხოვრობდა, იგი ზაფხულს ყოველთვის მშობლიურ სოფელში ატარებდა.

საყურადღებოა, რომ უწინდელ დროში მაღაროელებს ქართველ მეფეთა მხარდამხარ არა ერთხელ უბრძოლიათ მტრების წინააღმდეგ და თავი უსახელებიათ.

სოფელ მაღაროს და მის მცხოვრებთ კახეთის 1812 წლის ცნობილ აჯანყებაშიც აქტიური მონაწილეობა მიუღიათ.

სოფელ მაღაროში დოდაშვილების გარდა ცხოვრობდნენ: შინჯიაშვილები, გოდერძიშვილები, ყანდაშვილები, ჯანიკაშვილები, კრელაშვილები და სხვ.

საგულისხმოა, რომ სოლ. დოდაშვილის დროს მაღარო უკვე საკმაოდ მოზრდილი სოფელი ყოფილა და მთელ სიღნაღის მაზრაში ასეთ მრავალრიცხოვან მოსახლეობას სხვა სოფელში ძნელად თუ იპოვიდით. მაგალითად, ერთი იმდროინდელი აღწერით, სადაც შეგამებულა კახეთის ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრებთა რაოდენობა, ჩანს, რომ სოფელ მაღაროში მაშინ ცხოვრობდა 194 კომლი სახელმწიფო გლეხი, 7 კომლი საეკლესიო გლეხი და 7-იც აზნაურ ნაცვლიშვილებისა. დოდაშვილები მაღაროში დღესაც სახლობენ.

\* \* \*

სოლ. დოდაშვილმა დაწყებითი სწავლა-განათლება მიიღო ჯერ სიღნაღის სასულიერო-სამრევლო სკოლაში და შემდეგ — თბილისის სასულიერო სემინარიაში, ხოლო უმაღლესი სასწავლებელი პეტერბურგში დაამთავრა.

ერთი ცნობით, რომელიც ზეპირ გადმოცემაზეა დამყარებული, სოლ. დოდაშვილს თითქოს თავდაპირველად წმინდა ნინოს ბოღბის სამონასტრო სკოლაში უსწავლია<sup>1</sup>. მაგრამ ამ ცნობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტალური საბუთი ჯერ ხელთ არ გვაქვს, თუმცა მტკიცდება, რომ ამ მონასტერთან სკოლა ნამდვილად არსებულა<sup>2</sup>.

ზოგიერთი ავტორის მითითებით, სოლ. დოდაშვილი 1818 წელს სემინარიის მოსამზადებელ კლასში მიუბარებიათ<sup>3</sup> და შემდეგ კი, 1819 წელს, სემინარიაში

<sup>1</sup> „დროება“, 1875 წ., № 61.

<sup>2</sup> ამ სკოლას მდიდარი ბიბლიოთეკაც ჰქონია.

<sup>3</sup> „ჩვენი თაობა“, 1937 წ., № 10.

მიუღიათ<sup>1</sup>. ანდა, თითქოს იგი ერთხანად თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მოწაფეც ყოფილა<sup>2</sup>. მაგრამ არც ერთი ეს ცნობა სწორი არ არის. სოლ. დოდაშვილი თბილისის სემინარიის არც მოსამზადებელ კლასში ყოფილა და იქ არც 1819 წელს მიუღიათ. ასევე, მას კეთილშობილთა სასწავლებელში არასოდეს არ უსწავლია.

თბილისის სემინარიაში სოლ. დოდაშვილი ჩაურიცხავთ მხოლოდ 1820 წლის სექტემბერში. სემინარიის ერთ საბუთში, სადაც სოლ. დოდაშვილის გამოცდის შესახებ არის საუბარი, აღნიშნულია, რომ სოლ. დოდაშვილმა სემინარიაში მეცადინეობა დაიწყო „1820 წლის 15 სექტემბერსო“<sup>3</sup>. მართლაც, როგორც სხვა მრავალი საბუთითაც მტკიცდება, სოლ. დოდაშვილი სიღნაღიდან თბილისის სემინარიაში ჩასარიცხად გამოუგზავნიან მხოლოდ 1820 წლის 4 სექტემბერს<sup>4</sup>. ხოლო სიღნაღის მაზრის სასწავლებელთა ზედამხედველის თანამდებობის აღმასრულებელმა სემინარიაში მისი ჩარიცხვა ითხოვა შემდეგ, სახელდობრ, 1820 წლის 14 სექტემბერს<sup>5</sup>.

1820 წლის 15 სექტემბერს სოლ. დოდაშვილი ჩაირიცხა თბილისის სამაზრო-სასულიერო სასწავლებელში, რომელიც სემინარიასთან არსებობდა. შემდეგ კი სემინარიის სარიტორო კლასში გადავიდა<sup>6</sup>.

<sup>1</sup> იხ., მაგ., „მას. საქ. და კავ. ისტ.“, თბ., 1945 წ., ნაკ. II, გვ. 14.

<sup>2</sup> იხ., მაგ., „საქ. კალენდარი“, 1892 წ., გვ. 339.

<sup>3</sup> ცსსა, ფონდი 440, საქ. 5, ფ. 212—213.

<sup>4</sup> იქვე, საქ. 4, ფ. 267.

<sup>5</sup> იქვე, ფ. 267.

<sup>6</sup> ცსსა, ფონდი 440, საქ. 10, ფ. 286.

თბილისის სემინარიაში ჩარიცხვამდე სოლ. დოდაშვილი სწავლობდა სიღნაღის სასულიერო-სამრევლო სასწავლებელში, სადაც იგი მიუღიათ 1818 წლის 17 იანვარს, სწავლა კი დაუწყია 1818 წლის 18 ნოემბერს<sup>1</sup>.

აღნიშნული სასწავლებელი სოლ. დოდაშვილმა წარჩინებით დაამთავრა; მან აქ თავი განსაკუთრებით გამოიჩინა<sup>2</sup>. სიღნაღის სასწავლებელში სოლ. დოდაშვილი სწავლობდა 1818—1820 წლებში.

თბილისის სემინარიაში სოლ. დოდაშვილი მეცადინეობდა ბრწყინვალედ. იგი მალე იქცევს ყურადღებას. კეთილსინდისიერი, ბეჯითი და დაკვირვებული მოწაფე არაერთხელ იმსახურებს წარჩინებას. მის შესახებ ყველგან აღნიშნულია, რომ იგი არის ფრიადი წარმატების მქონე. ნიკიერი ახალგაზრდა ისე სწრაფად და მტკიცედ იპყრობს სემინარიის დირექტორის ყურადღებას, რომ მას 1822 წელს, როცა ჯერ კიდევ სემინარია არ

---

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 440, საქ. 4, ფ. 225—226.

<sup>2</sup> სიღნაღის მაზრის სასწავლებელთა ხედ:მხედველი 1820 წელს თბილისში იტყობინებოდა:

„Сего сентября 4 дня отправил я в Тифлисское духовное семинарное правление двух учеников.. Соломон Додаева и Антона Кобнева, которые по выдержанию испытаний на положенный курс приходским училищам, оказались способными к дальнейшему наук продолжению, прошу оное правление Тифлисской семинарии по прибытии сих учеников в предзначенное им место освидетельствовав, определить им место в Тифлисском уездном духовном училище“ (იქვე, ფ. 26?).

ჰქონდა დამთავრებული, აგზავნიან მასწავლებლად სიღნაღში.

სოლ. დოდაშვილი როგორც სიღნაღში, ისე თბილისში მშობლების მატერიალური ხელშეწყობით იზრდებოდა. იგი ამ მხრივ მთლიანად მათზე იყო დამოკიდებული.

თბილისის სემინარიაში სოლ. დოდაშვილი გამოცდებზე მუდამ მაღალ შეფასებას იღებდა. იქ, სადაც შეჯამებულია სემინარიის მოწაფეთა წარმატება, სოლ. დოდაშვილის შესახებ ნათქვამია: დოდაშვილი არის წარჩინებული მოსწავლეო<sup>1</sup>. საერთოდ მას უყურებდნენ როგორც ფართო შესაძლებლობისა და მოწადინებულ ადამიანს. მაგალითად, 1821 წელს მისი გამოცდების შედეგები ასეთი იყო: ქართული ენიდან რუსულ ენაზე თარგმნა—„ფრიადი“, არითმეტიკა (1 და 2 ნაწილი)—„ფრიადი“, საღმრთო ისტორია—„ფრიადი“, რუსული გრამატიკა—„ფრიადი“ და ა. შ. ამასთან ნათქვამია: დოდაშვილი არის „ფრიად-კარგი“ სიბეჯითისა და შესაძლებლობის მოწაფეო<sup>2</sup>.

1822 წელს სოლ. დოდაშვილმა თბილისის სემინარია დაამთავრა და მიეცა პირველი ხარისხის ატესტატი; ხოლო, რაკი ეს საბუთიც უცნობია, ამიტომ სჯობს მასაც გავეცნოთ:

---

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 440, საქ. 8, ფ. 225. აქ დოდაშვილზე წერია: „Успехов отличных“.

<sup>2</sup> იქვე, საქ. 5, ფ. 212-213.



## „А Т Т Е С Т А Т

Предъявитель сего бывший учитель Сигнагского Приходского духовного училища Соломон Додаев, священнический сын, обучался в Тифлисской семинарии закону божию, грузинской и российской грамматикам, арифметике, краткой св. истории, географии, наукам историческим и словесным. Марта 15 дня 1822 года определен учителем в помянутое Сигнагское училище; аттестован за прошлый 1822 и текущий 1823 годы: поведения хорошего, в должности исправен и надежен, суду и штрафам не подлежал, от роду 20 годов, холост, июля 26 дня 1823 года вследствие прощения его уволен вовсе от занимаемой им учительской должности и из ведомства духовного по резолюции его в-ва ексарха Грузии архиепископа Ионны. В уверение чего и дан ему Додаеву сей аттестат из правления Тифлисской семинарии с приложением печати онаго. Тифлис, июля двадцать седьмого дня тысяча восемьсот двадцать третьего года.

Подписал: семинарии ректор архимандрит и кавалер—Иринеи, Иоанно-крестителский архимандрит Евгений“<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> ცხსა, ფონდი 440, საქ. 10, ფ. 282. ატესტატის აშიაზე იკითხება: № „55“ და თვით დოდაშვილის ხელმოწერა: „Подлинный аттестат получил уволенный учитель Соломон Додаев“.

ამ ატესტატიდან ჩანს, თუ რა საგნები უსწავლია სოლ. დოდაშვილს თბილისის სემინარიაში. მაგრამ აქ მარტო ამაზე როდია საუბარი. ატესტატი აგრეთვე სამსახურებრივ დახასიათებასაც წარმოადგენს. მასში ხაზგასმულია, რომ სოლ. დოდაშვილი სიღნაღში მუშაობის დროს სამსახურებრივ მოვალეობას პირნათლად ასრულებდა. დოდაშვილის ავტორიტეტი იმთავითვე სწრაფად იზრდებოდა.

როცა სოლ. დოდაშვილმა თბილისის სემინარია დაამთავრა, იგი გაგზავნეს მასწავლებლად სიღნაღში, რადგან იქ ერთი პედაგოგი უვარგისი გამომდგარა და სამსახურიდან გაუთავისუფლებიათ<sup>1</sup>. სემინარიის ხელმძღვანელობას საჭირო 'კანდიდატის გამონახვის დროს არჩევანი სოლ. დოდაშვილზე შეუჩერებია და ეს, უდავოდ, იმიტომ, რომ იგი კარგი მოწაფე იყო რა, ამასთან სიღნაღის სასწავლებლიდან იყო გამოგზავნილი და წარმოშობითაც იქაურ მხარეს ეკუთვნოდა. მას სამსახური ჩაუთვალეს 1822 წლის 15 მარტიდან, ხელფასად წელიწადში დაუნიშნეს 120 მანეთი ვერცხლით; იგი გაიგზავნა მეორე კლასის მასწავლებლად<sup>2</sup>.

სიღნაღში სოლ. დოდაშვილი მსახურობდა 1822—1823 წლებში. მასწავლებლობიდან განთავისუფლდა 1823 წლის 26 ივლისს<sup>3</sup>. თვითონაც ამბობდა: სიღნაღის სასულიერო სასწავლებელში ვმუშაობდი 1822—1823 წლებშიო<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 440, საქ. 8, ფ. 220—227.

<sup>2</sup> იქვე, ფ. 220—227.

<sup>3</sup> ცსსა, ფონდი 1457, რვ. XXVII, ფ. 35—36.

<sup>4</sup> იგივე ფონდი, რვ. VI, ფ. 1106—1110.

სიღნაღში ჩვენი მოღვაწე კარგ პირობებში მოხვდა. ახალგაზრდა მასწავლებელი მთელი მონდომებით ჩაბმულა მისთვის საყვარელ საქმიანობაში, რაც მის იმდროინდელ სამსახურებრივ დახასიათებაში გარკვევით და პირდაპირ არის ჩაწერილი<sup>1</sup>.

სიღნაღში სოლ. დოდაშვილი დამეგობრებია ილარიონ დობრომისლოვს, რომელიც სიღნაღის მაზრის სასწავლებელთა ზედამხედველი იყო და რომელმაც თავის დროზე თვითონ სოლომონი გამოგზავნა თბილისში სწავლის გასაგრძელებლად.

ი. დობრომისლოვი განათლებული ადამიანი იყო. მან ადრევე შენიშნა სოლ. დოდაშვილში ნიჭი და მის წარმატებას ხელი შეუწყო. დობრომისლოვი რიაზანის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული იყო; იცოდა ლათინური, ბერძნული და გერმანული ენები; თან ჰქონდა ჩამოტანილი ფილოსოფიური და პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურა<sup>2</sup>.

ეს ორი ადამიანი ისე დაახლოებულან, რომ შემდეგში ერთი საერთო ბინა დაუქირავებიათ და ერთად ცხოვრობდნენ<sup>3</sup>. მაგრამ ი. დობრომისლოვი ადრე გარდაიცვალა; სოლ. დოდაშვილმა თავისი საუკეთესო მეგობარი მალე დაჰკარგა.

---

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 440, საქ. 10, ფ. 277—278.

<sup>2</sup> ცსსა, ფონდი 440, საქ. 8.

<sup>3</sup> ცსსა, ფონდი 440, საქ. 8; აქ მოიპოვება დობრომისლოვის სიკვდილის შემდეგ დარჩენილი ქონების აღწერა, რომელთა შორის აღნიშნულია სოლ. დოდაშვილისა და დობრომისლოვის საოჯახო საერთო ნივთები, მაგალითად, სასმისი, დანა და სხვა. ისიც აღსანიშნავია, რომ ი. დობრომისლოვს სოლ. დოდაშვილისათვის სახსოვრად საათი უჩუქებია.

1823 წელს სოლ. დოდაშვილი დაქინებით თხოულობს თანამდებობიდან განთავისუფლებას; ჯერ იგი ამ თხოვნას ასაბუთებს იმით, რომ უნდა ახალი ისეთი სამსახური გამოიხსნას, სადაც მისი ცოდნა შეივსება და უფრო გაფართოვდება<sup>1</sup>, ხოლო შემდეგ, მეორე თხოვნაში, იუწყება, რომ ახლა მას სურვილი აქვს სამოქალაქო სამსახურში შევიდეს და თხოულობს გაათავისუფლონ როგორც საერთოდ სასულიერო წოდებიდან, ისე, კერძოდ, მასწავლებლობიდანაც. თხოვნა დაკმაყოფილებული იქნა. იგი გაათავისუფლეს მასწავლებლობიდან და აგრეთვე სასულიერო წოდებიდან.

სოლ. დოდაშვილი ფიქრობდა ჯერ სამოქალაქო სამსახურში მოწყობას, შემდეგ აზრს იცვლის და სამხედრო უწყებას მიმართავს, სადაც საჭირო საბუთები კიდევ ჩააბარა. მაგრამ მიზანს აქაც ვერ მიაღწია; ოჯახურმა პირობებმა მას თავის განზრახვაზე ხელი ააღებინა და იგი ისევ წინანდელ გადაწყვეტილებას უბრუნდება: გულდაგულ ფიქრობს სამხედრო სამსახურში მოწყობაზე. ამის შესახებ 1823 წლის 9 ნოემბრის მის თხოვნაში ვკითხულობთ:

...., Прошение

По прошению моему сего 1823-го года июля 27-го дня благоволило мне правление Тифлиской семинарии выдать аттестат; а как я имел желание поступить в военную службу и аттестат с просьбою представил, а после по встретившимся домашним обстояте-

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 440, საქ. 10, ფ. 284.

ლწვამ ოტკაზალსა ოტ ონოგო ჯელანია, ი დანნიი მნე ატტესტატ უდერჟივალსა ვოენნიმ ნაჩალსტვომ, მეჟდუ თემ კაკა ი ვ ონომ კრაინე ნუჟდაოსი დია ისპროშენია სებე მესტა უ გრაჟდანსკოგო ნაჩალსტვა. ოჩემუ პროსუ ოპორნეისე პრავლენიე ტიფლისსკოი სემინარიი ნე ოსაღვტი მენა ვ სეი კრაინოსტი ი ბლავოღილტი ვუდატი მნე კოპიუ ს ატტესტატა პრეჟდე დანნოგო, ჯა სკრეპიუ კოგო-ღიბო ივ ჟლენოვ ონოგო... ოსოლონ დოდაევ“<sup>1</sup>.

1823 წლის ბოლოს სოლ. დოდაშვილი კრთულ ვითარებაში აღმოჩნდა. ისედაც დიდ ოჯახს ახალი საზრუნავი გაუჩნდა: უფროსი ვაჟის მომავალი მდგომარეობის გარკვევა. ვინ იცის ოჯახის მამას ამ დროს რამდენი ფიქრი აწუხებდა, ვინ მოსთვლის იმ აზრებს, რომლებიც მსგავსი შემთხვევის დროს სამსახურის გარეშე დარჩენილ ადამიანს ებადება.

ჩვენმა მოღვაწემ სცადა სამოქალაქო სამსახურში მოწყობა, მაგრამ ვერ მოახერხა; მიმართა სამხედრო უწყებას, — სურვილი ვერც აქ შეისრულა და აი, სწორედ ამ დროს მას საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა პეტერბურგში სწავლის გასაგრძელებლად წასვლა. ეს იყო ყველაზე ცუდი მდგომარეობიდან ყველაზე კარგი გამოსავალი.

მაგრამ პეტერბურგში გამგზავრება აღვილ საქმეს როდი წარმოადგენდა. ზამთარი ახლოვდებოდა და გზა საშიში იყო. ვინ არ იცოდა კავკასიის მთიანეთში ზამ-

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 440, საქ. 10, ფ. 285.

თრის პირობებში ავი გზების ამბავი. ამიტომ დაყოვნება აუცილებელი იყო. მომავალი სტუდენტი, ექვვარეშეა, ამ დროს, სხვადასხვა საგნებში მზადებას შეუდგებოდა.

1824 წელს სოლ. დოდაშვილი საქართველოდან პეტერბურგისაკენ გაემგზავრა თავისი ხარჯით. ერთგან თვით წერს: მე საქართველოდან რუსეთში გავემგზავრე „საკუთარი ხარჯით“<sup>1</sup>, ხოლო მეორე ადგილას უმატებს: საქართველოდან პეტერბურგში წავედი „18 მანეთი ვერცხლით“<sup>2</sup>. ასეთი მცირე ფულით მგზავრობა, რასაკვირველია, მეტად ძნელი და რთული საქმე იყო, მაგრამ სწავლამოწყურებული ახალგაზრდა არაფერს არ შეშინებია და შორეულ გზას იმედიანი თვალებით შესდგომია. წინ იყო სწავლა, განათლება—და მისთვის გაჭირვების ატანა გამართლებული იყო.

სოლ. დოდაშვილი ჯერ უნივერსიტეტში არ ზიემგზავრებოდა სასწავლებლად, როგორც ამას დღეს ჩვეულებრივ ყველა ავტორი ამბობს. იგი ამაზე ჯერ ვერც იფიქრებდა, ვინაიდან მისი ატესტატი უნივერსიტეტში შესვლის უფლებას არ იძლეოდა; ფორმალურად სემინარია დამთავრებულს უნივერსიტეტში შესვლის უფლება არ ჰქონდა. სოლ. დოდაშვილი პეტერბურგში მიემგზავრებოდა იმ მიზნით, რომ სწავლა განეგრძო მეორე ტიპის სასწავლებელში: რუსეთის ერთ-ერთ სემინარიაში. 1824 წლის 2 აგვისტოს წერილში, რომელიც მოსკოვიდან პეტერბურგში თვით სოლ. დოდაშვილს მიჰქონდა,

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 1457, რე. VI, ფ. 1106—1110.

<sup>2</sup> იგივე ფონდი, რე. XI, ფ. 1938—1939.

პირდაპირ არის ნათქვამი, რომ იგი თბილისიდან გამო-  
უსტუმრებიათ სწავლისათვის „ალექსანდრე ნევესკის  
მონასტრის სემინარიაში“<sup>1</sup>.

სოლ. დოდაშვილი საქართველოდან მიდიოდა უფრო  
მაღალი ტიპის სასწავლებელში, ვინემ მაშინდელი თბი-  
ლისის სემინარია იყო. მაგრამ პეტერბურგში მისვლის  
დროს აღრეული ნაფიქრი არსებითად შეიცვალა და  
ჩვენი მოღვაწე სრულიად ახალ მდგომარეობაში აღმო-  
ჩნდა.

თბილისიდან რუსეთისაკენ მგზავრობა „ლოგიკის“  
მომავალ ავტორს წლის კარგ დროს მოუხდა. იგი აგვი-  
სტოში უკვე მოსკოვში იყო და მალე რუსეთის იმპე-  
რიის ცენტრს ეწვია.

რა თქმა უნდა, ეს მგზავრობა იმ დროის ვითარება-  
ში და განსაკუთრებით ცუდი გზის გამო, მოუფიქრე-  
ბლობის შედეგი არ იყო. ასევე, თუ ამ საქმეში იმთა-  
ვითვე ვინმე გაელენიანი პირი არ ჩაერეოდა, ისე ესე-  
ოდენ კარგი წამოწყება შეიძლება ჩაშლილიყო. პეტერ-  
ბურგში გზის გაკვლევა, და ისიც ღარიბი ადამიანისათ-  
ვის, მეტად ძნელი იყო. ამიტომ საქირო იყო იქ მცხოვ-  
რებ ქართველებთან საერთო ენის გამონახვა. ამ საქ-  
მეში, ერთი ცნობით, მას დაეხმარა იოანე ბოდბელი<sup>2</sup>,  
რომელიც ახლო იდგა სიღნაღის მაზრის სასწავლებლე-  
ბთან და მათზე ზრუნავდა. მას პეტერბურგში მცხოვრებ  
ქართველთა შორისაც ჰყავდა მოკეთებები.

სოლ. დოდაშვილი პეტერბურგში მალე ჩავიდა.

---

<sup>1</sup> S, 1532, გვ. 132: „მას. საქ. და კავკ. ისტ.“, თბ., 1945 წ.,  
ნაქ. II, გვ. 15.

<sup>2</sup> „Кавказ“, 1856 წ., № 48.

რუსეთში ყოფნა სოლ. დოდაშვილის ცხოვრებაში დიდად მნიშვნელოვანი პერიოდი იყო. ამით მისი საქმიანობის მრავალი მხარე იმთავითვე განისაზღვრა. პეტერბურგმა მასზე დიდი გავლენა მოახდინა; აქ იგი გაეცნო რუსეთის მოწინავე იდეებს და ეზიარა მათ.

რუსეთში ყოფნის დროს სოლ. დოდაშვილი გაეცნო მრავალ მოწინავე მოღვაწეს, დაუკავშირდა იქაურ მეცნიერებს, გადაიკითხა და შეისწავლა მდიდარი ლიტერატურა და სხვ.

პეტერბურგში თავმოყრილი იყო მთელი იმდროინდელი მოწინავე ძალები. იქაური უნივერსიტეტი, თეატრი, ეურნალ-გაზეთები და ბიბლიოთეკები განთქმული იყვნენ. ხოლო 1825 წელს მომხდარმა დეკაბრისტთა აჯანყებამ მთელი თაობა გამოაღვიძა და გააძლიერა ინტერესი სოციალურ-პოლიტიკური საკითხებისადმი. პეტერბურგი სოლ. დოდაშვილისათვის საყვარელი ქალაქი გახდა.

რუსეთში ყოფნის პერიოდმა სოლ. დოდაშვილის ცხოვრებასა და საქმიანობაში ითამაშა როლი იმ აკვნისა, რომელშიც მან მიიღო უმაღლესი განათლება და მეცნიერული ძლიერი წრთობა. პეტერბურგმა და მისმა გარემომ სოლ. დოდაშვილის შეხედულებათა ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა.

სოლ. დოდაშვილი პეტერბურგში იმყოფებოდა 1824—1827 წლებში. როგორც ზემოთ ვთქვით, იგი იქ გაემგზავრა 1824 წელს. მაგრამ მას იქ ნაცნობი და მეგობარი არავინ ჰყავდა. შეცდომაა იმის თქმა, რომ იგი



თბილისიდან პეტერბურგში თითქოს ი. ხელაშვილის ხელშეწყობით გაემგზავრა<sup>1</sup>. ირკვევა, რომ დოდაშვილი ი. ხელაშვილს პეტერბურგში ჩასვლამდე არც კი იცნობდა, მათ ერთმანეთი მხოლოდ აქ გაიცნეს პირველად. სოლ. დოდაშვილს პეტერბურგში არც სხვა ვინმე ჰყავდა ნაცნობი. გ. ავალიშვილი 1824 წელს ერთ წერილში პირდაპირ ამბობს: სოლ. დოდაშვილს პეტერბურგში „არავინ ჰყავს... მცნობიო“<sup>2</sup>.

როცა სოლ. დოდაშვილი საქართველოდან მოსკოვში ჩავიდა, იქ იგი მიიღო გ. ავალიშვილმა, რომელმაც მას ურჩია პეტერბურგში ჩასვლისთანავე, პირველ ყოვლისა, დახმარებისათვის მიემართნა ცნობილი მოღვაწე ი. ხელაშვილისათვის. თვით ი. ხელაშვილმა შემდეგში სოლ. დოდაშვილს მოაგონა, რომ გ. ავალიშვილმა „გიხოიშნათ ჩემდამიო“<sup>3</sup>.

გიორგი ავალიშვილი უქართველი მწიგნობარი და მრავალი შრომის ავტორი იყო. იგი მოსკოვში კარგად ცხოვრობდა და საქართველოს ისტორიის შესახებ სხვადასხვა ცნობას აგროვებდა. ხშირად თბილისიდან პეტერბურგში მიმავალნი, ან პირუკუ მოგზაურნი, მასთან ჩერდებოდნენ და საუბარს მართავდნენ ქართულ ლიტერატურაზე, საქართველოს ისტორიაზე და სხვ. ამიტომ სოლ. დოდაშვილის მისვლა მასთან და მისი საშუალებით შემდგომი გზის გაკვლევა, მოულოდნელი არ იყო.

<sup>1</sup> ბ. ბიქიანიძე, სოლ. დოდაშვილი, თბ., 1893 წ., გვ. 10.

<sup>2</sup> S, 1532, გვ. 132; „მას. საქ. დაკავკ. ისტ.“, თბ., 1945 წ., გვ. 15.

<sup>3</sup> H, 2226, ფ. 255—257.

გ. ავალიშვილმა სოლ. დოდაშვილს პეტერბურგში გაა-  
ატანა სარეკომენდაციო ბარათი, რომელშიც იგი ი. ხე-  
ლაშვილს სთხოვდა საქართველოდან ჩამოსული ახალ-  
გაზრდის მოვლა-პატრონობას. მაგრამ მაშინ თავიდა-  
თავი ის გამხდარა, თუ პეტერბურგში ჩამოსული მო-  
მავალი სტუდენტი სად და რა პირობებში უნდა და-  
მდგარიყო. სასტუმრო, ანდა კერძო ბინის დაქირავება,  
ხელმოკლე ადამიანისათვის მიუწვდომელი იყო.

რა თქმა უნდა, ი. ხელაშვილს თავის ბინაზე სოლ.  
დოდაშვილის მიღება შეეძლო, მაგრამ მცირე დროით,  
ვინაიდან იგი თვითონაც ბინად სხვასთან იდგა და ცალკე  
არ ცხოვრობდა. ამიტომ დაიწყეს სათანადო ბინის შოფ-  
ნისათვის ზრუნვა. არჩევანი ბაგრატ ბაგრატიონზე შე-  
ჩერებულა. სოლ. დოდაშვილი მასთან მოეწყო და მთე-  
ლი 1824—1827 წლებში მის სახლში ცხოვრობდა. ბა-  
გრატი იდგა ვასილიევის კუნძულზე, მეთორმეტე ხაზზე,  
სახლი № 261-ში.

ბაგრატ ბაგრატიონი პეტერბურგში 1801 წლიდან  
ცხოვრობდა, ეწეოდა ლიტერატურულ საქმიანობას და  
მმართველ წრეში გავლენიან კაცად ითვლებოდა. იგი  
სენატორი იყო. მან საინტერესო შრომები დატოვა სა-  
ქართველოს ისტორიის შესახებ <sup>1</sup>.

ბაგრატთან სოლომონის დაბინავება ი. ხელაშვილის  
რჩევით მოხდა. თვით დოდაშვილი ხშირად ამბობდა,  
რომ პეტერბურგში მას ბინა იონა ხელაშვილმა შეუწო-

---

<sup>1</sup> იხ. დავით ბატონიშვილი, „ახალი ისტორია“, ბაგ-  
რატ ბატონიშვილი, „ახალი მოთხრობა“, თბ., 1941 წ.,  
მ. დუმბაძე, ისტორიკოსი დიმ. ბაქრაძე, 1950 წ.

ჩია. მაგალითად, იგი ი. ხელაშვილს ერთგან სწერდა: „ვარ დადგენილი თქვენ მიერ... ბაგრატიან“ და სხვ.<sup>1</sup>.

ბაგრატი ბაგრატიონთან დაბინავება გარკვეული პირობებით იყო გამოწვეული. სახლის პატრონიც ამას თავისი მიზნებით დასთანხმდა. ბაგრატს მცირეწლოვანი შვილები ჰყავდა და მათ ქართული ენის მასწავლებელი სჭირდებოდათ. სოლ. დოდაშვილი ამ შემთხვევაში სასურველი კანდიდატი იყო. მით უფრო, რომ ამ უკანასკნელს სათანადო პედაგოგიური გამოცდილება უკვე ჰქონდა. ამიტომაც, ინტერესთა ერთმანეთზე დათხვევის გამო, საქმე კარგად მოგვარდა. სოლ. დოდაშვილი ბაგრატი ბაგრატიონთან დადგა ბინად.

რასაკვირველია, სოლ. დოდაშვილისათვის ბინის მოგვარება საკმარისი არ იყო. იგი ხომ სწავლისათვის ჩავიდა პეტერბურგში. მართალია, უნივერსიტეტში მოწყობა მეტად ძნელი საქმე იყო, მაგრამ შეუდრეკელმა ახალგაზრდამ ესეც მოახერხა. ამაში მას დაეხმარა გავლენიანი ბაგრატი. სოლ. დოდაშვილმა ფეხი შედგამისთვის ყველაზე სანატრელ დაწესებულებაში—უნივერსიტეტში. ოცნება აუხდა, უმაღლესი განათლების კარები გაიღო, დოდაშვილი სტუდენტად ჩაირიცხა.

უნივერსიტეტში სოლომონი ბეჯითად მეცადინეობდა, ცოდნას იფართოებდა. ამასთან, იგი პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა, სხვადასხვა საგანს ასწავლიდა

---

<sup>1</sup> H, 2226, ფ. 106; „მას. საქ. და კავ. ისტ.“, თბ., 1945 წ., ნაკ. II, გვ. 64.

ბაგრატ ბაგრატიონის ბავშვებს და თავს სწორედ ამით ირჩენდა <sup>1</sup>.

ჩვენს ხელთ არის უამრავი მასალა, საიდანაც ჩანს ამ პერიოდში სოლ. დოდაშვილის საქმიანობა, სახელდობრ, თუ რომელ წრეში ტრიალებდა იგი, მის გარშემო მყოფთაგან მას რა ესმოდა, უნივერსიტეტში რა საგნებს სწავლობდა, მის ყურადღებას უფრო რა იპყრობდა, რა ხასიათის ლიტერატურას კითხულობდა, საქართველოს შესახებ რას ფიქრობდა და სხვ.

რუსეთში ყოფნის დროს სოლ. დოდაშვილის ცხოვრებაში მთავარ როლს თამაშობდა პეტერბურგის უნივერსიტეტი, რომლის პირველი ქართველი სტუდენტი თვითონ იგი იყო.

პეტერბურგის უნივერსიტეტი შეიქმნა 1819 წელს. მას 1824 წელს ჰქონდა სამი ფაკულტეტი—ისტორიულ-ფილოლოგიური, ფილოსოფიურ-იურიდიული და ფიზიკა-მათემატიკური <sup>2</sup>. იქ ბევრი იყო მოწინავე და ცნობილი პროფესორი. საგულისხმოა, რომ ძველი თაობის ზოგიერთ პირს ეს უნივერსიტეტი თავისუფლების აზრებით „დააყადებულ“ სასწავლებლად მიაჩნდა. მაგალითად, გრიბოედოვის ცნობილ კომედიასში „ვაი ჰკუი-საგან“ ერთი პერსონაჟი, რომელიც გამოხატავს ძველი თაობის ამ ზოგიერთ წარმომადგენელთა აზრს, უკმა-

---

<sup>1</sup> ამის შესახებ სოლ. დოდაშვილი შემდეგს ამბობდა: „Содержание там получал за свои труды от... Баграта, коего малолетних детей обучал я“ (ცსა, ფონდი 1457, რვ. 6, ფ. 1106—1110; მაქ. ბერძნი შვილი, დას. წერ., გვ. 436).

<sup>2</sup> იხ. В. Григорьев, И. С. П. университета., 1870 წ.

ყოფილად აცხადებს: პეტერბურგის უნივერსიტეტში „ურწმუნო პროფესორებიან“. უნივერსიტეტში სწავლა სამი წელი გრძელდებოდა.

სოლ. დოდაშვილმა შეიყვარა უნივერსიტეტი, ალტაცებული იყო მისი სიდიადით და მეცნიერული ძალებით. იგი პეტერბურგის უნივერსიტეტს „ფრიად მაღალ სასიბრძნო ადგილს“ უწოდებდა<sup>1</sup>.

უნივერსიტეტის რომელ ფაკულტეტზე სწავლობდა სოლ. დოდაშვილი? დღეს ჩვენში არც ამ საკითხზეა ნათელი წარმოდგენა. ერთგან იგი ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტად ცხადდება<sup>2</sup>, მეორე ადგილას — ფილოსოფიურ-იურიდიული ფაკულტეტისა<sup>3</sup> და სხვაგან — ისტორიის ფაკულტეტისა<sup>4</sup>. მაგრამ იგი ნამდვილად ფილოსოფიურ-იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი იყო.

არც ისაა სწორი, რომ სოლ. დოდაშვილი თითქოს მეორე კურსიდან „ნამდვილ სტუდენტად გადარიცხეს“<sup>5</sup>. არა. სოლ. დოდაშვილი უნივერსიტეტის თავისუფალ მსმენელ სტუდენტად ითვლებოდა. მართალია, იგი ერთ თავის პირად ბარათს ხელს აწერს როგორც „დენსტიტელნი სტუდენტი“<sup>6</sup>, მაგრამ ეს შეცდომაა. მრავ-

<sup>1</sup> II, 2226, ფ. 70; „მას. საქ. და კავ. ისტ.“, თბ., 1945 წ., ნაკ. II, გვ. 70.

<sup>2</sup> გ. თავზიშვილი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში, 1801—1871 წწ., გვ. 314.

<sup>3</sup> „მას. საქ. და კავ. ისტ.“, თბ., 1945 წ., ნაკ. II, გვ. 16.

<sup>4</sup> „ჩვენი თაობა“, 1937 წ., № 10.

<sup>5</sup> გ. თავზიშვილი, დას. წიგ., გვ. 315.

<sup>6</sup> ცსსა, განს. მნიშ. საქ. ფ., საქ. 170, ფ. 66—67, „მას. საქ. და კავ. ისტ.“, თბ., 1945 წ., ნაკ. II, გვ. 111.

ვალი საბუთიდან ვიცით, რომ სოლ. დოდაშვილი იყო უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი. მაგალითად, მის ნამსახურობის სიაში ნათქვამია: სოლ. დოდაშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა 1824 წელს, ამოირიცხა 1827 წელს და იყო უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი<sup>1</sup>. ანდა, ი. ხელაშვილი 1827 წელს გვიამბობს, რომ დოდაშვილმა დაამთავრა რა უნივერსიტეტი, ახლა აგზავნიან თბილისში, მაგრამ „არაძღვევენ პრაგონ-საგზაურსა მეტყველი ეგრეთ, სახელმწიფო ბლისტით არ აღზრდილხარო“<sup>2</sup>.

სოლ. დოდაშვილი უნივერსიტეტში მისთვის ჩვეული ენერგიით სწავლობდა. იგი ისევ წარჩინებული და მისაბაძი მსმენელი იყო. პროფესორ-მასწავლებლობა, ახალგაზრდა ნიჭიერი სტუდენტით აღტაცებული და გახარებული, ნიადაგ კმაყოფილებას გამოთქვამდა. მაგალითად, ერთგან ი. ხელაშვილი მოგვითხრობს რა სოლ. დოდაშვილის გამოცდების შედეგებზე, იქვე სიხარულით წერს: სოლ. დოდაშვილმა „გვასახელა ივერიისა მაგისი ერნი, რომელ ყოველს ეგზამენში გამოჩნდა უაღრესად“<sup>3</sup>.

უნივერსიტეტში სწავლა გარკვეულ სიძნელებთან იყო დაკავშირებული. საქმე ისაა, რომ თბილისის მაშინდელი სემინარიის პროგრამები თავისი პროფილით საუნივერსიტეტო პროგრამებს ნაკლებად უდგებოდა.

---

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 1457, რე. XXVII, ფ. 35—36.

<sup>2</sup> H, 2226, ფ. 335.

<sup>3</sup> იქვე, ფ. 341.

მაგრამ ეს სიძნელე ჩვენმა მოღვაწემ დაძლია ენერგიული შრომისა და პირადი ნიჭის წყალობით.

საქართველოში სოლ. დოდაშვილი სასულიერო სასწავლებელში ემზადებოდა და სათანადო ცოდნა კიდევ ჰქონდა მიღებული, მაგრამ უნივერსიტეტში რამდენადმე სხვა შეიარაღება იყო საჭირო. ამიტომ იგი, ლექციების მოსმენასთან ერთად, ცალკე, პროფესორთან, კერძო ხასიათის მზადებასაც შესდგომია. 1825 წელს: თვით წერს: „მაქვს მიცემული სიტყვა პროფესორთან... მე ვიწყებ სწავლა ამ თვის ექვსსა, მაძლევს სამშაბათს და შაბათს, ორ-ორ ეამსა“<sup>1</sup>.

სოლ. დოდაშვილს, ვფიქრობთ, განსაკუთრებული მეცადინეობა უფრო უცხო ენებში უნდა დასჭირებოდა. მას ეს საგნები თბილისში არ უსწავლია. თბილისის სემინარიის დამთავრების ატესტატში, როგორც ჩვენ ზემოთ ვნახეთ, უცხო ენა მოხსენებული არ არის. ამიტომაც სოლ. დოდაშვილი პირველ ყოვლისა ამ მხრივ უნდა შედგომოდა დამატებით მეცადინეობას. მართლაც, 1826 წელს უკვე პირდაპირი მითითება გვაქვს, რომ იგი სწორედ უცხო ენებში ემზადება. თვითონ იგი ამის შესახებ წერს: უნივერსიტეტის „მაღალი ცნობანი“ საჭიროებენ ევროპიული ენების ცოდნასო<sup>2</sup>.

ჩვენ ისიც ვიცით, რომ სოლ. დოდაშვილი 1826 წელს მძიმე ავად გახდა, რომ იგი უნივერსიტეტიდან შორს

<sup>1</sup> S, 1532, გვ. 209; „მას. საქ. და კავკ. ისტ.“, თბ., 1945 წ., გვ. 59.

<sup>2</sup> H, 2226, ფ. 105—106; იქვე, ფ. 66. გაზ. „კავკაზში“ (№ 48, 1855 წ.) სოლ. დოდაშვილის შესახებ წერია, რომ მან, გარდა ლათინური და ბერძნული ენებისა, იცოდა აგრეთვე ფრანგული და გერმანული ენებიო.

ცხოვრობდა და ეს ყველაფერი მის მეცადინეობაზე და-  
მაბრკოლებლად მოქმედებდა; მაგრამ მიუხედავად ყო-  
ველივე ამ გაჭირვებისა, და აგრეთვე სხვათა, მან უნი-  
ვერსიტეტი წარჩინებით დაამთავრა. ამიტომ იყო, რომ  
მის შესახებ ი. ხელაშვილი წერდა: „სიმთელესა შინა  
დიდ ფრიად მხნეო და ქამსა სნეულებისა უფრიადესად  
მომმთმინეო“<sup>1</sup>.

1827 წლის 19 მაისს სოლ. დოდაშვილმა პეტერბურ-  
გის უნივერსიტეტი წარმატებით დაამთავრა<sup>2</sup>.

უნივერსიტეტში სწავლის დროს სოლ. დოდაშვილი  
გულმოდგინედ ეცნობოდა სხვადასხვა მეცნიერთა ნა-  
შრომებს, განსაკუთრებით თვალს აღევნებდა რუს მე-  
ცნიერთ, ბეჯითად სწავლობდა უცხოელ მკვლევარებს;  
ბევრს კითხულობდა და თავგამოდებით მეცადინეობდა.  
მას განსაკუთრებით იზიდავდა დიდი რუსი მეცნიერი  
ლომონოსოვის მეცნიერული აზრები, ღრმა სიყვარუ-  
ლით ეკიდებოდა თანამედროვე ისტორიკოს კარამზინს  
და სხვ.. მაგალითად, ერთგან იგი წერს: „ლომონო-  
სოვი... კარამზინი და სხვანი ჩინებულნი მწერალნი იხ-  
მევიან უკუდავითა სახელითაო“<sup>3</sup>. მას ი. ხელაშვილი  
არიგებდა: „მამული თვისი აღიდა... ლომონოსოვმა,  
რომლის თხზულნი მზედ რუსეთისა ენისა არს“<sup>4</sup>. ანდა,  
შემდეგაც, როცა სოლ. დოდაშვილი თბილისში იყო,

<sup>1</sup> S, 1532, გვ. 219.

<sup>2</sup> ცსსა, ფონდი 1457, რვ. XXVII, ფ. 35—36.

<sup>3</sup> H, 2226, ფ. 106; „მას. საქ. და კავც. ისტ.“, თბ., 1945 წ., ნაკ.  
II, გვ. 64.

<sup>4</sup> S, 1532, გვ. 264—265,



ი. ხელაშვილი მას მიუთითებდა: „იხილე ლომონოსოვის გრამატიკა და აწდაის ეამისაცა“ და მათი იხელმძღვანელო<sup>1</sup>.

პეტერბურგში ყოფნის დროს სოლ. დოდაშვილის ნაცნობ-ახლობელთა წრე თართო იყო. მან აქ გაიცნო და გარკვეული ურთიერთობა დაამყარა, გარდა ი. ხელაშვილისა და ბაგრატი ბაგრატიონისა, აგრეთვე ცნობილ მეცნიერთან—თეიმურაზ ბაგრატიონთან, „კალმასობის“ ავტორთან—იოანე ბაგრატიონთან, სოლ. რაზმაძესთან და სხვ.. მაგრამ ყველაზე უფრო იგი დაახლოვებული იყო იონა ხელაშვილთან, რომელიც მას, გარდა სხვადასხვა რჩევა-დარიგებისა, მატერიალურადაც ეხმარებოდა<sup>2</sup>.

ის პირები, რომლებთანაც სოლ. დოდაშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა, თანამედროვე მეცნიერებით ფრიად დაინტერესებული იყვნენ, მსჯელობდნენ რუსეთისა და საქართველოს კულტურულ ვითარებაზე, აინტერესებდნენ საქართველოს მომავალი ბედი და სხვ.

სოლ. დოდაშვილის პირადი მასალები და მასთან გაგზავნილი წერილები მოწმობენ იმ თემათა მრავალფეროვნებას, რომელთა მიხედვით ჩვენ წინ საყურა-

<sup>1</sup> H, 2226, ფ. 245—246

<sup>2</sup> ამის დამამტკიცებელი მასალა უამრავი არსებობს. თვითონ სოლ. დოდაშვილი ამას ხშირად მადლობით აღნიშნავდა ხოლმე. მაგალითად, იგი ერთგან წერს: „Давил мне пособие... Иона Хелашев“ (ცსსა, ფონდი 1457, რგ. VI, ფ. 1106—1110). ანდა, სოლ. დოდაშვილის მამა ი. ხელაშვილს მაღაროდან პეტერბურგში სწავრდა: „ჩემ მაგიერ თქვენ მზრუნველობთ ჩემს შვილს სოლომონზედა, რასაც სოლომონი მწერს თქვენგან მოწყალებას, მე როგორ შემძილია, რომ გადავიხადოთ“ (S, 1532, გვ. 259).

დღებო სურათი იშლება. სოლ. დოდაშვილთან წერილებში თუ პირად საუბრებში მსჯელობდნენ, მაგალითად, იმაზე, თუ თურქი მოძალადეები საქართველოს წინათ როგორ აოხრებდნენ, ამ საქმეს როგორ შეეწირა საუკეთესო ქართველი მამულიშვილნი, ალა-მაჰმად-ხანმა როგორ ააოხრა თბილისი, მსჯელობდნენ საქართველოს გამორჩენილ მოღვაწეებზე—პეტრიწზე, ჩახრუხაძეზე, ვახტანგ VI-ზე, საბა-სულხან ორბელიანზე, ასევე არისტოტელზე, სოკრატეზე, პლატონზე, ლოკზე და სხვა ფილოსოფოსებზე; ამ წერილებსა და პირად საუბრებში მოცემულია ფილოსოფიის დანიშნულების, მეტაფიზიკის რაობის, ენის წარმოშობის, ლიტერატურის მიზანდასახულობის, რიტორიკის, სწავლა-აღზრდის, საფრანგეთის ენციკლოპედიისტების—ჟან-ჟაკ რუსოს, ვოლტერის,—1789 წლის საფრანგეთის რევოლუციის, ახალი გამოცემული წიგნებისა და მრავალი სხვა საკითხის საინტერესო განხილვა; ხშირად თვითონ სოლ. დოდაშვილი გამოთქვამდა ამა თუ იმ აზრს, არ ეთანხმებოდა სხვებს და სხვ.

რუსეთში ცხოვრება სოლ. დოდაშვილისათვის მეტად შინაარსიანი გამოდგა. მან რუსეთში გამოსცა თავისი „ლოგიკის“ I ნაწილი, რომლის შექმნისათვის დიდი შრომა გასწია, მაგრამ ყოველივე ამაზე დაწვრილებით ქვემოთ.

\* \* \*

თბილისისაკენ სოლ. დოდაშვილი პეტერბურგიდან გამოემგზავრა 1827 წლის 28 მაისს.<sup>1</sup> ხოლო აქ ჩამოვიდა იმავე წლის 24 ივლისს<sup>2</sup>.

<sup>1</sup> II, 2226, გვ. 349—350.

<sup>2</sup> II, 2226, გვ. 304.

სოლ. დოდაშვილი იმთავითვე პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ემზადებოდა და უნივერსიტეტში საამისო მაღალი უფლება კიდევ მიიღო. უნივერსიტეტის დამთავრებამდე გადაწყვიტეს, რომ იგი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში პედაგოგად გამოეგზავნათ. მართლაც, სოლ. დოდაშვილმა დაამთავრა თუ არა გამოცდები, იგი ააჩქარეს და საქართველოსაკენ გამომგზავრება მოუწოდეს. სხვათა შორის, ამ საქმეში მას ხელი ავადმყოფობამაც შეუწყო. ექიმთა რჩევით იგი მალე გამოემგზავრა სამხრეთისაკენ<sup>1</sup>.

როცა ახალგაზრდა მასწავლებელი საქართველოში მოდიოდა, იგი უკვე ცნობილი პიროვნება იყო, „ლოგიკა“ უკვე გამოქვეყნებული იყო და მის შესახებ ყველგან ქება-დიდება ისმოდა.

ი. ხელაშვილმა საქართველოში არაერთ პირს აცნობა, რომ სოლ. დოდაშვილმა უმაღლესი სასწავლებელი დამთავრა, გვასახელა, მის ნიქს და უნარს ყველა აქებს და გთხოვთ მანდ მას შემწეობა მისცეთო.

1827 წლის 28 მაისს, შაბათს, დილის 10 საათზე სოლ. დოდაშვილი პეტერბურგს გამოემშვიდობა<sup>2</sup>. ეტ-

---

<sup>1</sup> ცსა, ფონდი 1457, რვ. VI, ფ. 1106—1110 (თვით სოლ. დოდაშვილი წერს: „По советам докторов больницы от куда отпра-влюсь“).

<sup>2</sup> მოგვეპოვება ამ გამომგზავრების მთლიანი აღწერა. ი. ხელაშვილი ამის შესახებ შემდეგს გვიამბობს: „ჩემო სოლომონ: აჰა ესერა გამომგზავრებისა თქვენისა ისტორიასა წარმოეწერ... რომელი წელსა 1827 მაისის 28 დღესა“... მოხდა... „გალმა ვასილის კალაკით დილის მეათე ეამიდან დატვირთულისა ეტლითა თქვენითა და მეორესა

ლი საქართველოსაკენ დაიძრა. 29 მაისს იგი ნოვგოროდშია,<sup>1</sup> 2 ივნისს უკვე მოსკოვშია,<sup>2</sup> რომელსაც მხოლოდ 1827 წლის 15 ივნისს სტოვებს<sup>3</sup>.

მოსკოვში ყოფნა ჩვენი მოღვაწისათვის მეტად სასარგებლო აღმოჩნდა. ქალაქი მას ძლიერ მოეწონა. თვით ამბობს: „...მოსკოვი... ჩინებული ქალაქიაო“<sup>4</sup>. იგი ათვალეირებს მოსკოვის უნივერსიტეტს, თეატრს, ბიბლიოთეკას და სხვ.. გაიცნო იქ მცხოვრები ზოგიერთი ქართველი, რომელთაც სხვადასხვა საკითხზე ესაუბრა, დაინტერესდა საქურნალო და საგაზეთო სტატიების

---

ეტლითა მეფის ძის ბაგრატიისათა განვლეთ ქალაქი ესე წმინდა დიდისა პეტრესი ვიდრე პირველ ეამამდე და მივიწიენით სახმილამდე საყენსა ზედა, სადა განმზილველთა გარეგან ამის ქალაქისა და შემომავალთა პირთა სქესთა და თანამდებობასა გამოიძიებენ, ვითარცა თქვენცა იუწყეს და თვინიერ დაყოვნებისა შთაწერეს სახელი თქვენი თანამდებობითურთ და ესრეთ განგაცილეთ გარეგან ქალაქისა ამის ვიდრე მარჯუენისა ზეებთა მწკრივამდე“... „მუნ ხესა ქვეშე მოვიღე პური და ღვინო და მარილი და შესატანი სახსნილონი და წარეთქვი საუზმისა ლოცვა“... „გიკურთხეთ მგზავრობა და შევსვით სადღეგრძელონი თქუენი“... „გვიამბორე შუბლსა ზედა“... „და შემდგომ სიყვარულისა გაბეგრეულებისასა ახვედით ეტლსა ზედა, წარიტრეთ ამიერ არითგან ივერიისა ძეულად სასაყრდოსა ქალაქსა შინა ტფილისისა“. (H, 2226, ფ. 349—350).

<sup>1</sup> H, 2226, ფ. 362; „მას. საქ. და კავკ. ისტ.“, თბ., 1945 წ., გვ. 85.

<sup>2</sup> იქვე, ფ. 363; იქვე, ფ. 85.

<sup>3</sup> H, 2226, ფ. 367: „მას. საქ. და კავკ. ისტ.“, გვ. 89; იხ. აგრეთვე ცსსა, ფონდი 1457, რკ. XX, ფ. 3808.

<sup>4</sup> H, 2226, ფ. 366; „მას. საქ. და კავკ. ისტ.“, თბ., 1945 წ., ნაკ. II, გვ. 87.

დაწერით და სხვ.. თვითონ ამის შესახებ ასეთ საყურად-  
ღებო ცნობას გვაწვდის:

„აქამომდე მაქუნდა ჩინებულთა პოეტთა  
და მწერალთა საუბრობა, რომელნიცა იქებოდ-  
ნენ პეტერბურღსა შინა თვისითა საქმეებითა და ყოველსა  
ქვეყანასა ზედა ისმიან პატიოსნებანი მათნი, მათ  
მთხოვეს თბილისი დამწერილისა შეერ-  
თება, ერთი მათგანი მიდის ევროპასა შინა უმეტეს  
განათლებლისათვის, მე ვთხოვე მუნიტგან მოწერა ავთრა-  
თისა და ღირსი ხსოვისა ცნობა, მან აღმითქვა“<sup>1</sup>.

მოსკოვიდან გამოსული სოლ. დოდაშვილი მარტო  
არ მოემგზავრებოდა, მასთან ერთად მოდიოდა ალ.  
ჩოლოყაშვილი<sup>2</sup>. დოდაშვილი ჩერდება ხარკოვში, ინ-  
ტერესდება ამ ქალაქის უნივერსიტეტის ცხოვრებით  
და უნივერსიტეტის რექტორი, რომლის გამგებლობაში  
მაშინ საქართველოს სასწავლებლებიც შედიოდა, მას  
საქართველოში განათლების გაერცელებისათვის და-  
ხმარებას ჰპირდება<sup>3</sup>. მალე ეს ქალაქიც უკან რჩება,  
ახალდანიშნული მასწავლებელი სამშობლოსაკენ მოი-  
სწრაფის, მშობლიური კერა მას მომაჯადოებლად იზი-  
დავს, სურს ნახოს მშობლები და ნათესაები, შეუდგეს  
მუშაობას, საკუთარი ქვეყნისათვის თავი გამოიჩინოს.  
მალე სოლ. დოდაშვილი კვლავ თვალწარმტაც საქარ-  
თველოშია. თბილისში მისი ჩამოსვლის შესახებ სტე-  
ფანე დოდაშვილი ი. ხელაშვილს შემდეგს აცნობებდა:

<sup>1</sup> H, 2226, ფ. 367; „მას. საქ. და კავკ. ისტ.“, თბ., 1945 წ., ნაქ. II  
ფ. 367; გვ. 89.

<sup>2</sup> ცსსა, ფონდი 1457, რვ. XX.

<sup>3</sup> H, 2226, ფ. 366—367; „მას. საქ. და კავკ. ისტ.“, თბ., 1945 წ.,  
ნაქ. II, გვ. 89, იხ. აგრეთვე გვ. 87.

„მაღალ ღირსო მამაო!

...სოლომონ მოვიდა ივლისის კდ-სა დღესა სამშაბათსა მეექვსეს ეამს შუადღიდან ქალაქ თბილისს, ერთი კვირა აქ დაჰყო, შემდეგ ქიზიყს გაიხელით, რომელმან მოვლო კეთილად და მცნებანიცა თქვენი აღასრულა. შემდგომ ქიზიყიდან მობრუნებისა... ავად გახდა, რომელს სწამლობენ ორი დოხტური და ახლა... კარგათ გახლავსთ, გარნა სისუსტისა მიზეზით წიგნი ვერ მოგართვით და ვგონებ მალე მისმა წიგნმა მოასწროს. თქვენმა ძმამ სოლომონმა დაუჯერა და ჩამოვიყვანთ ამ თვეში გრიგოლს და იოანეს ჩვენთან სასწავლებლად და მეცა ჩემს კერძოდ ვიქნები იმათის განსწავლისათვის ფრიად მოწადინე.

სექტემბრის 4-სა.

1827-სა... სტეფანე დოდაევი<sup>1</sup>.

ამ წერილიდან ჩანს, რომ სოლ. დოდაშვილი თბილისში რუსეთიდან მალე ჩამოსულა; შემდეგ, აქ ერთი კვირა დარჩენილა, მერე მოუნახულებია ქიზიყი, სადაც მისი მშობლები და ნათესავეები ცხოვრობდნენ, ბოლოს კი ისევ თბილისში<sup>1</sup> დაბრუნებულა.

დოდაშვილი თბილისში სახლდება; ამიერიდან თბილისი ზდება მისი მოღვაწეობის მუდმივ ადგილ-სამყოფელად.

\* \* \*

იმდროინდელი თბილისი განსხვავდებოდა წინანდელი თბილისისაგან.

---

<sup>1</sup> II, 2226, ფ. 304.

ახლა უკვე ქალაქს აღარ ეშინოდა გარეშე მტრების შემოსევისა, მას მშვიდად და წყნარად შეეძლო ეცხოვრა.

თბილისი მაშინ მთელი ამიერკავკასიის ადმინისტრაციული ცენტრი იყო.

ქალაქს სახე შეეცვლოდა. მისი კეთილმოწყობისათვის გარკვეული ღონისძიებები იყო ჩატარებული, მაგრამ ჯერ კიდევ მას ძველი იერი და ელფერი ბევრ რამეში ეტყობოდა.

სოლ. დოდაშვილი თბილისში 1827—1832 წლებში ცხოვრობდა. თბილისი მას უსაზღვროდ უყვარდა. სწორედ აქ გაშალა მან თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობა, სწორედ აქ გამოზარდა მან თავისი საუკეთესო მოწაფეები.

თბილისში ცხოვრების დროს გაფართოვდა სოლ. დოდაშვილის ცოდნის არე, გამდიდრდა ნაცნობთა და მეგობართა წრე, მის წინაშე წამოიჭრა მრავალი საკირობოროტო საკითხი და სხვ.

თბილისში სოლ. დოდაშვილს თავისი მოღვაწეობის პირველი დღიდანვე წარმატება ხვდა.

1827 წლიდან მისი სახელი უკვე ფართოდ იყო ცნობილი არა მარტო საქართველოში, არამედ მის გარეთაც. 1827 წელს „ლოგიკის“ გამოცემასთან დაკავშირებით, იმ დროს ფართოდ ცნობილი პეტერბურგის გაზეთი „სევერნაია პჩელა“ წერდა, რომ „ლოგიკის“ ახალგაზრდა ავტორი წარმოშობით ქართველია, სწავლობდა აქაურ უნივერსიტეტში და ამას წინათ გაემ-

გზავრა თბილისში მასწავლებლადო<sup>1</sup>. ასევე ცნობილი მეორე პერიოდული ორგანო „მოსკოვსკი ტელეგრაფი“ ამბობდა: დოდაშვილმა პეტერბურგის უნივერსიტეტი დაამთავრა და ახლა თბილისში მასწავლებლობსო<sup>2</sup>. მაშასადამე, რუსეთის უზარმაზარი იმპერიის მკითხველი საზოგადოებისათვის სოლ. დოდაშვილის ვინაობა 1827 წელს უკვე ცნობილი იყო. ცენტრალურმა პრესამ იმთავითვე ხელი შეუწყო ახალგაზრდა მეცნიერისათვის ავტორიტეტის შექმნას, ხოლო თბილისში ეს ავტორიტეტი შემდეგ უფრო გაიზარდა და გაფართოვდა.

ქართული ენის გრამატიკის გამოცემაში, პირველი ქართული ჟურნალის დაარსებამ, ნაყოფიერმა პედაგოგიურმა მოღვაწეობამ და აგრეთვე გაზეთის რედაქციაში ხანგრძლივმა საქმიანობამ დოდაშვილი თანდათან გავლენიან პირად აქცია.

სოლ. დოდაშვილი ეცნობა და გარკვეულ ურთიერთობას ამყარებს ნიკ. ბარათაშვილთან, ალ. ქავჭავაძესთან, ვახ. ორბელიანთან, დიმ. ყიფიანთან, სოლ. რაზმაძესთან, პლ. იოსელიანთან, პ. სანკოვსკისთან და სხვ.. საქართველოში ცხოვრების დროს მისი ნაცნობთა წრე გაფართოვდა. მან აქ ბევრი მეგობარი შეიძინა<sup>3</sup>.

სად ცხოვრობდა სოლ. დოდაშვილი თბილისში? თბილისში სოლ. დოდაშვილი ცხოვრობდა სხვადასხვა ადგილას; მან აქ ბინა რამდენჯერმე გამოიცვალა.

<sup>1</sup> „Сев. Пчела“, 1827 г., № 72.

<sup>2</sup> „Московский телеграф“. 1827 г., № XVIII.

<sup>3</sup> თვითონ დოდაშვილი ამ წრის სიფართოვის შესახებ ერთგან წერს: „Духовенство, дворянство и всякое состояние в Грузии со мною имеют короткое знакомство“ (ცსა, ფონდი 1457, რე. მე-15, ფ. 2759).



სოლ. დოდაშვილი თბილისში ჩამოსვლისთანავე შეუდგა ბინის ძებნას, მაგრამ თბილისში ბინის შოვნა ძნელი საქმე იყო, ვინაიდან სახლები იშვიათად შენდებოდა; მით უფრო, რომ კარგი სახლები გამონაკლისს წარმოადგენდა. ცნობილია, რომ იმ დროს თბილისში სახლები ერთმანეთთან ძალიან ახლო-ახლო იდგა და ქუჩები საოცრად ვიწრო იყო. ზოგიერთ უბანში, თურმე, ადამიანს ქუჩაში გამოუსვლელადაც შეეძლო მთელი უბანი ბანიდან ბანზე გადასვლით მოეწყო<sup>1</sup>.

თავდაპირველად სოლ. დოდაშვილს უნდოდა, რომ ბინა კეთილშობილთა სასწავლებელში ჰქონოდა<sup>2</sup>. მაგრამ მას უარი უთხრეს, რადგან სკოლას მსგავსი მიზნისათვის შენობა არ ჰქონდა. ბოლოს ბინა გამოიძებნა, მაგრამ ეს სახლი სასწავლებელს დაშორებული იყო; ამასთან დოდაშვილი დაცოლშვილიანდა კიდევ. ამიტომ მან ბინა მალე გამოიცვალა. ერთხანად მას საკუთარი სახლის აშენებაც მოუწადინებია. 1830 წლიდან ხელთ გვაქვს უტყუარი ცნობა თბილისში მისი მისამართის შესახებ. ამ დროს იგი მდგარა თბილისის მესამე უბნის პირველ ნაწილში დ. ბებუთოვის სახლში ბერძენთა ეკლესიის გვერდით<sup>3</sup>. 1831 წლის დასაწყისში კი მან ბინა კვლავ გამოიცვალა. ახლა ის გენერალ კომაროვსკის ქვრივის სახლში დგას.

---

<sup>1</sup> „Рус. в.“, 1860 г., № 2—4.

<sup>2</sup> H, 2226, გვ. 302—304; „მას. საქ. და კავკ. ისტ.“, ნაკ. II გვ. 106.

<sup>3</sup> „Т. В.“, 1830 წ., № 80.

1832 წლის გაზაფხულზე სოლ. დოდაშვილი ისევ ახალ ბინაში გადადის, ახვერდოვის სახლში<sup>1</sup>. ხოლო ამის შემდეგ მას ბინა აღარ გამოუცვლია. მაგრამ სად იდგა ეს ახვერდოვის სახლი? იგი ანჩისხატის უბანში ყოფილა, ეფ. ალექსიშვილისა და ან. აფხაზის სახლების ახლოს. ამის შესახებ ეფ. ალექსიშვილი ამბობს: სოლ. დოდაშვილის ბინა „გონებ 30 საცენი ძლიეს იქნება ჩემი სახლიდან“<sup>2</sup>. ანდა: „ანტონ აფხაზთან მიველ...— გვიყვება იგივე პირი,— იგი შინ არ იყო და იქიდან გამობრუნებულმან ამოვიარე და, რადგან იმ გზაზედ არის დოდაევის კვარტირა, ჩემს სახლის ახლო, მაშინ აველო“<sup>3</sup>.

აფხაზის სახლის ადგილმდებარეობის შესახებ კი ნიკ. ბარათაშვილი 1841 წელს წერდა: „ჩვენ ახალ სახლებში გადავედით, ანჩისხატის უბანში, უწინ რომ აბხაზი იდგაო“<sup>4</sup>. სწორედ ამ უბანში იდგა სოლ. დოდაშვილი.

<sup>1</sup> სოლ. დოდაშვილი ერთგან წერს: ესა და ეს ამბავი მოხდა „в прошлом 1832 году весною. В то время я переехал в другую квартиру“ (ცსა, ფონდი 1457, რვ. III, ფ. 508). ი. ანდრონიკაშვილი აღნიშნავს: „ორბელისანი ხშირად დადიოდა ჩემთან ოდეს ვიდრე ახვერდოვის სახლში დოდაევიან“ (ცსა, ფონდი 1457, რვ. XXII, ფ. 4351). ხოლო თუ როდის იყო ეს, ამაზე ისევ სოლ. დოდაშვილი ამბობს: „Андроников квартировал у меня три месяца: март, апрель, май“ (ცსა, ფონდი 1457, რვ. 6, ფ. 1032).

<sup>2</sup> ცსა, ფონდი 1457, რვ. 5, ფ. 779—784; გ. გოზალიშვილი დას. წიგ., გვ. 296.

<sup>3</sup> იქვე, ფ. 779—784; გ. გოზალიშვილი, დას. წიგ. გვ. 292, შდრ. „ლიტ. მატეანე“, 1940 წ. № 1—2, გვ. 438, ზ. კიკინაძე, სოლ. დოდაშვილი, გვ. 26.

<sup>4</sup> ნიკ. ბარათაშვილი, ლექსები, 1939 წ., გვ. 80.

\* \* \*

დღეისათვის შემორჩენილი გვაქვს მასალები სოლ. დოდაშვილის პირადი ხასიათისა და თვისებათა შესახებაც. თანამედროვეები ერთხმად აღნიშნავენ, რომ იგი იყო ფრიად ნიჭიერი, შრომის დიდი მოყვარე, მეცადინი, პატიოსანი და საზოგადოებისათვის სასარგებლო მუშაკი.

ი. ხელაშვილი დოდაშვილს შემდეგნაირად ახასიათებდა:

„სოლომონი სულით არს ტალანტებიან და მდაბალ და მშვიდ და ზნეობითა პატიოსან და ხარაკტირებითა ნიშატიანი, აღთქმათა შინა და სიტყვათა მტკიცე, უტყუეილ ღვთის მსახურებასა შინა, განკრძალულ სწავლათა შინა, მარჯვე განათლებულთა, სამღვდელთა და ერისა მოყვარე, მამულისა სამსახურისა მოსურნე, მყუდრო ცხოვრებასა მოყუარე მზგავსათ შემხოლოეთა, მცირეთა მეტყველ, მრავალთა კეთილთა სიტყუათა მსმენელ, საქმელითა მცირეთა კმაყოფილ, სამთურალო სასმელთა არცაღა მომგონებელ, კინისა ძილის მექონ, წიგნებთა შინა განრთულ, ჟამებისა არ წარწყმედელ, ყოვლადთა სიტყუებთა და საქმეთა მარჯუედ მსჯელ, მყობადთა დროთა და საქმეთა და შეცდომათა კეთილ გულისხმიერ მსჯელ, რომელ მცირეთა დროთა შინა ფილოსოფიისა და ღუთისმეტყუელებისა კლასებთა ზე-

ახდა გასაკვირვად აქაურთაცა, და არს შეყუარებულ სწავლისა მთავრობათა და მასწავლებლებთაგან ესე ვითარი მამულისა შვილი, ქური სიბრძნისა, ვინ მეცნავემან ბრძენმან არ შეიყუაროს, რომელსა გოლი მოსწვეთს ბაგეთაგან და მანანა თითებთაგან“<sup>1</sup>.

თბილისში საჯარო აქტებზე გამოსვლის დროს სოლ. დოდაშვილი ყურადღებას იქცევდა როგორც მკერმე-ტყველი, დინჯი და საქმიანი კაცი.

სამსახურში ის ყველას უყვარდა. თბილისის კეთილ-შობილთა სასწავლებლის დირექტორი ახასიათებდა მას „როგორც ბრწყინვალე და ერთგულ მოხელეს თავის მოვალეობისადმი და სასარგებლოს თავის თანამემამულეთათვის“<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> S, 1532, გვ. 294. შდრ. სოლ. დოდაშვილი, „ლოგია“, თბ., 1949 წ., გვ. XI—XII. იონა ხელაშვილის ეს დახასიათება პირველად გამოქვეყნდა 1949 წელს, მაგრამ ისე, რომ მაშინ აღნიშნული არ იყო, თუ სად ინახებოდა მისი დედანი. ამასთან 1949 წელს გამოქვეყნებულ ტექსტში ზოგიერთი შეცდომა იყო დაშვებული, რაც საბუთის მთლიან შინაარსს რამდენადმე გაუგებარს ხდიდა. მაგალითად, 1949 წლის გამოცემაში ნათქვამია, რომ სოლ. დოდაშვილს „ვალდებულნი მოსწვეთს ბაგეთაგან“. შეცდომაა. ადამიანს არ შეიძლება ბაგეთაგან „ვალდი“ მოსწვეთდეს. დედანში, როგორც ვხედავთ, ამ ადგილას „ვალი“ კი არა „გოლი“ წერია. წინათ ასეთ გამოთქმას — „გოლი მოსწვეთს ბაგეთაგან“ ხშირად ხმარობდნენ. „გოლი“ თავის ნიშნავს და, მაშასადამე, იონა ხელაშვილს ის სურს გვითხრას, რომ სოლ. დოდაშვილი ტკბილად მოსაუბრე ადამიანი ყოფილა. ანდა, 1949 წლის გამოცემაში იკითხება: „სასმენელთა“, სინამდვილეში კი წერია: „სასმელთა“ და სხვ.

<sup>2</sup> ტ. ხუნდაძე. ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1951 წ., გვ. 15.

თვითონაც თავის შესახებ სოლოძობის წერდა: „მე ვარ ერთი ბეჯითი თავდადებული ადამიანი საზოგადო სარგებლობისათვის“<sup>1</sup>.

გარდაცვალების შემდეგ მისი თანამედროვეები ხშირად იგონებდნენ: სოლ. დოდაშვილი იყო „მეტად შრომის მოყვარე“<sup>2</sup>, მორიდებული და მეცნიერებისათვის დაუღალავი მუშაკიო<sup>3</sup>.

\* \* \*

სოლ. დოდაშვილის საბოლოო ხედვრი საქართველოდან შორს—ქ. ვიატკაში გადასახლება იყო.

როგორც ცნობილია, სოლ. დოდაშვილი 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის საქართველოდან გადაასახლეს, მას სამშობლოში დაბრუნება სამუდამოდ აუკრძალეს.

მას შემდეგ, რაც შეთქმულთა გამოძიება 1833 წელს დამთავრდა, საქმე გადაეცა სამხედრო სასამართლოს, რომელმაც დოდაშვილი დამნაშავედ სცნო და საქართველოს მთავარმართებლის წარდგენით სასჯელი ნიკოლოზ I 1834 წლის 20 აპრილს დაამტკიცა.

სასჯელი ასეთი იყო: დოდაშვილს უნდა ჩამორთმეოდა საკლასო წოდება, გადასახლებულიყო ჩრდილოეთის რომელიმე გუბერნიაში, სადაც დამსახურებამდე, მაგრამ არა უადრეს ათი წლისა, კანცელარიის დაბალ მოხელედ უნდა ემუშავნა, საქართველოში დაბრუნების უფლება კი წართმეული ჰქონდა.

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 1457, რგ. I, გვ. 106; გ. გოხალიშვილი, დას. წიგ., გვ. 182.

<sup>2</sup> ზ. კიკინაძე, სოლ. დოდაშვილი, გვ. 9 და 26.

<sup>3</sup> „Кавказ“, 1856 წ., № 48.

თვითმპყრობელობის მოხელენი შეთქმულთაგან ყველაზე მკაცრად სოლ. დოდაშვილს მოეპყრნენ. არცერთი შეთქმული გადასახლებაში არ მომკვდარა, არაფერც ციხეში ისეთ გაჭირვებასა და შევიწროებას არ განიცდიდა, როგორც დოდაშვილი.

თვითმპყრობელმა ნიკოლოზ I და მისმა მოხელეებმა განსაკუთრებული სიმკაცრე სწორედ სოლ. დოდაშვილის მიმართ გამოიჩინეს. რატომ? იმიტომ, რომ სოლ. დოდაშვილი სოციალურად „დაბალი“ წრიდან იყო.

თავდაპირველად გადასახლების ადგილი ზუსტად განსაზღვრული არ ყოფილა. ჩანს, პირველად გადასახლება ქ. უფაში უნდოდათ, ვინაიდან სათანადო საბუთში ჯერ ეს ქალაქი არის ჩაწერილი. მაგრამ შემდეგ იგი გადახაზულია და მის ნაცვლად ქ. ვიატკაა შეტანილი <sup>1</sup>.

სასჯელი მეტისმეტად მძიმე იყო. სოლ. დოდაშვილი და მისი ოჯახი 'აუტანელ მატერიალურ პირობებში ჩავარდა. საკლასო წოდების უფლების აყრა მასსამსახურში მძიმე მდგომარეობას უქმნიდა. ამიტომაც იგი შემდეგში დაჟინებით მოითხოვდა, რომ მისთვის ეს წოდება დაებრუნებიათ.

1832 წელს სოლ. დოდაშვილი დააპატიმრეს, რა, იგი ავლაბრის ყაზარმაში შოათავსეს. სატუხსალოში ყოფნა მისთვის მძიმე და მტანჯველი იყო. თუ შეთქმული თავადები და აზნაურები იმ უფლებით სარგებლობდნენ, რომ ნათესაებებს შეეძლოთ მათი ნახვა, დოდაშვილი ამას მოკლებული იყო. მისი ცოლი, ელენე, 1833 წლის

---

<sup>1</sup> ცსა, განს. მნიშ. საქ. ფ., საქ. 165, ფ. 338.

12 დეკემბერს აღნიშნავდა: დღეიდან ჩემი ქმრის პატი-  
მრობის მეორე წელი დგება და მე მისი ბედის შესა-  
ხებ არაფერი არ ვიციო<sup>1</sup>. არ თავდებოდა აუტანელი  
დღეები: დაკითხვა, პირისპირ წაყენება, უძილო ღამე-  
ები.

როცა სოლ. დოდაშვილი დააპატიმრეს, მისი ოჯახი  
ხელმოკლედ დარჩა. ცოლს თავის თავისა და ბავშვების  
შენახვა ძლიერ უჭირდა. ახლობელთა დახმარებითა და  
იმ ნაჭირნახულევით, რაც მის ქმარს დარჩა, მან თავი  
ერთ წელიწადს ძლივს გაიტანა. ბოლო დროს ოჯახი  
მაინც გაჩანაგდა. გულმოკლული ელენე 1833 წლის 12  
დეკემბერს წერდა: მე ახლა ბავშვების გამოკვებაც მი-  
ჭირსო<sup>2</sup>.

სოლ. დოდაშვილი ციხეში იტანჯებოდა. ის ხედავ-  
და, რომ მას მკაცრად ექცეოდნენ, ემუჭრებოდნენ, მის  
ჩვენებებში კარგად მოჩანს ის სულიერი მღელვარება,  
გულის წუხილი, მომავალზე და ოჯახზე ფიქრი, რასაც  
იგი მაშინ განიცდიდა. ხოლო როცა მას უბრძანეს,  
რომ შორეული მგზავრობისათვის მომზადებულიყო,  
მაშინ მასში იმედმა კიდევ ერთხელ გაიელვა, და მან  
ითხოვა: გადამასახლეთ დერაპტში ან სარატოვში, უფრო  
კი პირველშიო. ამასთან აქვე ისიც აღნიშნა, რომ თან  
ცოლ-შვილი გამატანეთ და ჩემი ქონება გამიყიდეთ,  
ხოლო მარიამ ორბელიანის მიერ ჩემგან სესხად გამო-  
რთმეული 370 მანეთი დამიბრუნეთო<sup>3</sup>.

სოლ. დოდაშვილში არასოდეს არ შენელებულა სი-  
ყვარული მეცნიერებისადმი. მას დერაპტში და სარა-

<sup>1</sup> ცსსა, განს. მნიშ. ს. ფონდი, საქ. 164, ფ. 176—177.

<sup>2</sup> იგივე ფონდი, საქ. 165, ფ. 290.

<sup>3</sup> ცსსა, განს. მნიშ. ს. ფ., საქ. 165, ფ. 290.

ტოვში გადასახლება იმ მოსაზრებით უნდოდა, რომ იქ ბავშვებს კარგად აღზრდიდა. ასე ამბობდა იგი თავის თხოვნაში. მაგრამ ეს, ვფიქრობთ, მხოლოდ მისი გულისნადების ერთი მომენტი იყო. ეს ქალაქები მისთვის სხვა მხრივაც უნდა ყოფილიყო მნიშვნელოვანი. სარატოვი ხომ ის ქალაქი იყო, სადაც განთქმული სემინარია არსებობდა, ხოლო დერპტში კი—უნივერსიტეტი. ცხადია, მათთან კავშირი სოლ. დოდაშვილისათვის საჭირო იყო. მაგრამ სოლ. დოდაშვილს ეს თხოვნა არ შეუსრულეს. რაც შეეხება ზემოაღნიშნულ დანარჩენ მის ორ თხოვნას, ისინი შესრულებულ იქნა.

ბოლოს გადაწყდა გამგზავრების დღე. სოლომონი თავისი ოჯახით თბილისიდან ვიატკისაკენ გაემგზავრა 1834 წლის 24 ივნისს, დილის 9 საათზე<sup>1</sup>. მათთან ერთად მიდიოდა დოდაშვილის მეგობარი რაზმაძე, რომელიც პენზაში უნდა დარჩენილიყო. შემდეგ სოლომონს მშობლიური ცა აღარ უხილავს.

გზა, რომელიც უნდა გაეგლოთ, შორი და ცუდი იყო. შეირჩა გამყოლი ოფიცერი, გამოიანგარიშეს სამგზავრო ხარჯები,<sup>2</sup> შედგა გასაგზავნი საბუთები და გაცემულ იქნა გიმნაზიიდან კუთვნილი ხელფასი<sup>3</sup>.

---

<sup>1</sup> სათანადო საბუთში ერთგან ვკითხულობთ: „Освобожден 23 июня утром, отправлен 24 июня по утра (ცსსა, განს, მნიშ. ს. ფ. საქ. 165, ფ. 77). მეორეგან: „Отправлен 24-го июня по утра, в 9 часов“ (იქვე, გვ. 569).

<sup>2</sup> მ. გოცაძე, სოლ. რაზმაძე, გვ. 146 (იხ. თ. ს. უ. შრომები, ტ. XXV).

<sup>3</sup> ცსსა, განს. მნიშ. ს. ფ., საქ. 165, ფ. 326, 327, 368—370.



გამოყოფილ ოფიცერს ფხიზელი თვალყურის დევნება დაევალა; იგი უნდა მორიდებოდა ქალაქებში შეჩერებას, რასაც მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა დათანხმებულყო, უნდა გამოეჩინა მკაცრი ყურადღება და სოლ. დოდაშვილისათვის „თავდაუქცერელი“ ლაპარაკის საშუალება არ უნდა მიეცა.

თბილისიდან გასულნი 17 ივლისს პენზაში მივიდნენ, საიდანაც გზა 21 ივლისს განაგრძეს, ხოლო ვიატკაში 1834 წლის 31 ივლისს ჩავიდნენ<sup>1</sup>.

ვიატკაში სოლ. დოდაშვილი დაინიშნა გადამწერად გუბერნიის სამმართველოში. ხოლო შემდეგში მიიქცია რა ყურადღება როგორც ბეჯითმა და მუყაითმა მუშაკმა, იგი გადაყვანილ იქნა სამოქალაქო გუბერნატორის კანცელარიაში სათემო გადასახადთა საქმეების მაგიდის უფროსად<sup>2</sup>.

გადასახლებაში მყოფ სოლ. დოდაშვილს მიმოწერილი კავშირი ჰქონდა გაბმული საქართველოსთან. დაწესებულებათაგან კი იგი ურთიერთობაში იყო „საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორასთან“, რომელსაც თავისი ბავშვებისათვის დაბადებათა მოწმობას სთხოვდა და რომელიც საქმეს აშკარად განზრახ აკიანურებდა<sup>3</sup>.

ჩრდილოეთის ჰავამ, ცუდმა პირობებმა და შეუსვენებელმა შრომამ სოლ. დოდაშვილის ჯანმრთელობა საბო-

<sup>1</sup> ცსსა, განს. მნიშ. ს. ფ., საქ. 165 ფ. 495, 541.

<sup>2</sup> 1875 წელს შეცდომით აღინიშნა, რომ სოლ. დოდაშვილი ვიატკაში ვიცეგუბერნატორად იყო („დროება“, № 61).

<sup>3</sup> ცსსა, ფონდი 489, საქ. 4429.

ლოოდ დააძაბუნა. იგი გადასახლებაში კლექით დაავადდა.

1836 წელს მას უკვე თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება აღარ შეეძლო. ჯერ კიდევ 1835 წელს მან ითხოვა, რომ იგი სამხრეთის რომელიმე გუბერნიაში გადაეყვანათ, მაგრამ მაშინ უარი უთხრეს, ნიკოლოზ I თხოვნა არ დააკმაყოფილა. თხოვნა შემდეგაც გამეორდა. ადგილობრივმა ხელისუფლების წარმომადგენლებმა კვლავ აღძრეს საქმე 1836 წლის 19 აგვისტოს და თხოვნას ისიც დაუმატეს, რომ ავადმყოფი პასუხამდე ვერ იცოცხლებსო. უეჭველია, სწორედ ამიტომ ნიკოლოზ I 1836 წლის 16 სექტემბერს გასცა განკარგულება, რომ სოლ. დოდაშვილი ხერსონესის გუბერნიაში გადაეყვანათ; მაგრამ სოლ. დოდაშვილს ეს „წყალობა“ აღარ სჭირდებოდა: იგი უკვე მიწას იყო მიბარებული<sup>1</sup>.

ვიატკაში სოლ. დოდაშვილის ყოფნა იმით არის განსაკუთრებით აღსანიშნავი, რომ მან იქ გაიცნო დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი გერცენი. ეს მეტად მნიშვნელოვანი და სერიოზული ფაქტია სოლ. დოდაშვილის ბიოგრაფიაში.

ცნობილია, რომ გერცენი ვიატკაში იყო გადასახლებული და იქ ჩავიდა 1835 წლის მაისში. გერცენმა ვიატკაში დაჰყო სამი წელი. სწორედ ამ პერიოდში მომხდარა მისი და სოლ. დოდაშვილის ურთიერთ გაცნობა.

---

<sup>1</sup> სოლ. დოდაშვილის ავადმყოფობის შესახებ იხ. ცხსა, ფონდი 1457, რვ. XXIX, აგრეთვე ИЛГНАК, ფონდი 582, აღ. 128, საქ. 259, გ. გოხალიშვილი, დას. წიგ., გვ. 512—517 და სოლ. დოდაშვილი, „ლოგიკა“, თბ., 1949 წ., გვ. XLIX.

დოდაშვილთან ნაცნობობის შესახებ თვით გერცენი  
ლაპარაკობს თავის დღიურში. იგი წერს: დოდაშვილმა  
„ვერ აიტანა სუსხიანი ჰავა და უბოროტესმა კლექმა  
შეიპყრო, მე ვინახულე იგი რამდენიმე დღით აღრე  
სიკვდილამდე, ის ძლიეს-ლა სუნთქავდა; მაგრამ მაინც  
ღრმა რწმენით მითხრა: „ოლონდ გაზაფხულზე არ გავხდე  
უფრო ცუდად, თორემ შეიძლება კლექი შემექნესო“<sup>1</sup>.

სოლ. დოდაშვილი 31 წლის ასაკში გარდაიცვალა<sup>2</sup>.

შეწყდა გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწის  
მაჯისცემა, ნაადრევად გაჩერდა მგზნებარე გული,  
უდროოდ გარდაიცვალა სახელოვანი მეცნიერი.



---

<sup>1</sup> იხ. გერცენის დასახ. შრ. კრებული, ტ. III, გვ. 19 და ტ. XXII,  
გვ. 202; გ. თ ა ვ ზ ი შ ვ ი ლ ი, დას. წიგ., გვ. 15.

<sup>2</sup> დასაფლავებულია ვიატკაში. 1892 წელს შეიდომით იყო აღნი-  
შნული, რომ სოლ. დოდაშვილი თითქოს ირკუტსკში გარდაიცვალაო  
(„საქ. კალენდარი“, 1892 წ., გვ. 339).

## II. სოლ. დოდაშვილს სოციალურ- პოლიტიკური შეხედულებანი

წინამდებარე წიგნის შესავალში ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ იმ საერთო ეკონომიურსა და პოლიტიკურ პირობებზე, რომელთა გარემოში სოლ. დოდაშვილს მოუხდა მოღვაწეობა. ამიტომ მათზე აქ აღარ შეეჩერდებით.

სოლ. დოდაშვილის სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათა ერთ-ერთი განმსაზღვრელი წყარო დეკაბრისტული მოძრაობა იყო.

დიდი ლენინი დეკაბრისტთა შესახებ წერდა: „1825 წელს რუსეთმა პირველად დაინახა ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული რევოლუციური მოძრაობა“<sup>1</sup>.

დეკაბრისტთა გამოსვლა დიდხანს მზადდებოდა. დეკაბრისტებს თავიანთი წევრები ჰყავდათ პეტერბურგში, მოსკოვში, უკრაინაში, პოლონეთში და საქართველოში. ისინი დიდი გავლენით სარგებლობდნენ. მათი მსჯელობანი სოციალურ საკითხებზე, მმართველობის სხვადასხვა პროექტზე და სხვა, მიმართული იყო ამბოხების ძალთა თავმოჭრისა და ქვეყნის შემდგომი მდგომარეო-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., მე-4 გამ., ტ. 23, გვ. 319.

ბის გაუმჯობესებისაკენ. ხოლო 1825 წლის 14 დეკემბერს მომხდარი აჯანყება, ეს იყო იარაღით გამოსვლა არსებული წყობილების დასამხობად. მაგრამ დეკაბრისტთა მოძრაობა დამარცხდა. ბევრი დეკაბრისტი საქართველოშიც გადმოასახლეს. დეკაბრისტულმა მოძრაობამ მთელი თაობა გამოაღვიძა და ბრძოლის გზაზე დააყენა.

დეკაბრისტულ მოძრაობას არ შეიძლება თავის გავლენა არ მოეხდინა სოლ. დოდაშვილზე და ამ მოძრაობის იდეებს მასში რაიმე გამოხატულება არ ეპოვა. მართლაც, მასალები ადასტურებენ, რომ სოლ. დოდაშვილს დეკაბრისტთა გავლენა განუტყდია.

დეკაბრისტთა აჯანყების დროს სოლ. დოდაშვილი პეტერბურგში ცხოვრობდა. იგი მაშინაც იქ იყო, როცა ხუთი დეკაბრისტი 1826 წელს ჩამოახრჩვეს.

დეკაბრისტულმა აჯანყებამ მთელი პეტერბურგი შესძრა და ალაპარაკა, და ეს არ შეიძლება დოდაშვილსაც არ გაეგო. ისიც საგულისხმოა აგრეთვე, რომ ბაგრატი ბაგრატიონი, რომელთანაც სოლ. დოდაშვილი ბინად იდგა, ამ აჯანყების აღწერასაც იძლევა; იგი აღწერს, თუ პეტერბურგში სენატის მოედანზე ჯარები როგორ გამოვიდნენ, მათ როგორ მიემხრო ხალხი და სხვ.. ამიტომაც საფიქრებელია, რომ დეკაბრისტთა აჯანყების შესახებ ბაგრატიონს ოჯახშიც იქნებოდა საუბარი.

ხუთ დეკაბრისტთაგან, რომელნიც პეტერბურგში 1826 წელს ჩამოახრჩვეს, ერთმა, რილეევმა, ჩამოხრჩობის წინ თავის ცოლს წერილი გაუგზავნა, სადაც იგი თავისი ხვედრის შესახებ საუბრობდა. წერილის ასლები

პეტერბურგის მოსახლეობაში სწრაფად გავრცელდა. იგი სოლ. დოდაშვილის ხელშიც მოხვდა. საინტერესოა ის, რომ ამ წერილის ასლი დოდაშვილმა საქართველოში ჩამოიტანა და მას აქ მთელი ექვსი წლის განმავლობაში ინახავდა, რაც იმას მოწმობს, რომ იგი ავტორისადმი, დეკაბრისტ რილეევისადმი, პატივისცემით ყოფილა გამსჭვალული. მაგრამ ამაზე უფრო საინტერესო ისაა, თუ რა გზით მოხვდა წერილის ეს ასლი დოდაშვილის ხელში. თვითონ სოლ. დოდაშვილი ამის შესახებ ამბობდა: აღნიშნული წერილის ასლი მე გადავიწერე სტუდენტ კრუპსკისაგან 1826 წელს პეტერბურგში<sup>1</sup>. მაშასადამე, ცხადია, რომ წერილის ასლები პეტერბურგის უნივერსიტეტშიც გავრცელებულა. დეკაბრისტთა ბედის შესახებ უნივერსიტეტის სტუდენტებიც მსჯელობდნენ და დოდაშვილსაც ამ სტუდენტთა გავლენით, გარდა აღნიშნული წერილის ასლისა, დეკაბრისტების შესახებ სხვა ბევრი რამეც უნდა გაეგო.

სოლ. დოდაშვილის თანამედროვეებმა იცოდნენ, რომ იგი პეტერბურგში ყოფნის დროს იქ სხვადასხვა ცნობებს ჰკრეფდა დეკაბრისტთა შესახებ. ეს გარემოება თანამედროვეებს უამბნიათ ზ. კიკინაძისათვის, რომელიც ამასთან დაკავშირებით შემდეგს გვაუწყებს:

---

<sup>1</sup> ცსა, ფონდი 1457, რე. XI, ფ, 1893; გ. გოხალიშვილი, დას. წიგ., გვ. 62. კორექტურული შეცდომის გამო ამ ცნობაში აღნიშნული 1826 წელი, 1935 წლის გამოცემაში 1828 წლად იყო მოხსენებული, შემდეგში ეს გასწორდა (იხ. „Заря Востока“, 1941 წ., № 137). დოდაშვილი თავის ცნობას სხვაგანაც იმეორებს და სიტყვა-სიტყვით შემდეგს წერს: „Письмо Рылеева я переписал в С. Петербурге у студента Крупского в 1826 году“.

სოლ. დოდაშვილი „პეტროგრადში ხალისით ეწაფება დეკაბრისტთა ცნობას, იგი ზოგს უნივერსიტეტის სტუდენტთა შორის ჰპოვებს მეგობრებს, ზოგი პროფესორთა შორისაც და ზოგიც უნივერსიტეტის გარეშე სხვადასხვა წრეებში. ესეც პირველი მაგალითია ქართველის კაცისაგან დეკაბრისტთა გარშემო“<sup>1</sup>.

როცა სოლ. დოდაშვილი საქართველოში ჩამოვიდა, დეკაბრისტთა გავლენამ მის მოღვაწეობაში უფრო იჩინა თავი. უნდა ითქვას, რომ თბილისში დოდაშვილი, სხვებთან ერთად, აგრეთვე აქ გადმოსახლებულ დეკაბრისტებს უნდა დაახლოებოდა. ყოველ შემთხვევაში ის კი უდავოა, რომ იგი დეკაბრისტ სუხორუკოვს იცნობდა. თბილისში მყოფი დეკაბრისტები თავს იყრიდნენ გაზეთ „ტიფლისკიე ვედომოსტის“ რედაქციაში და თვით გაზეთშიც მონაწილეობდნენ. ხოლო სოლ. დოდაშვილი ამ რედაქციის მუდმივი წევრი იყო და გაზეთის შედგენა-გამართვაში აქტიურად მონაწილეობდა. ამიტომ დეკაბრისტებთან მისი შეხვედრები ექვემოტანელად არის სავარაუდებელი. ხოლო დეკაბრისტი სუხორუკოვი თანამდებობით იყო გაზეთ „ტიფლისკიე ვედომოსტის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე, და, ცხადია, სოლ. დოდაშვილი მას აუცილებლად იცნობდა. ყოვლად შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ გაზეთის რედაქციის წევრი არ იცნობდეს ამავე გაზეთის მთავარი რედაქტორის მოადგილეს.

თბილისში მყოფ დოდაშვილს უნდოდა დეკაბრისტ რილევის ლექსი „ნალივაიკოს აღსარება“ თავის ეურ-

<sup>1</sup> ხ. კიჭინაძე, სოლ. დოდაშვილი და ნიკ. ბარათაშვილი... გვ. 3.

ნალ „სალიტერატურონი ნაწილში“ მოეთავსებინა. ეს მეტად სერიოზული ფაქტია.

ლექსი „ნალივაიკოს აღსარება“ გრ. ორბელიანის მიერ იყო რუსული ენიდან ქართულ ენაზე გადმოკეთებულ-გადმოთარგმნილი. მაგრამ მას ხელს აწერდა არა რილევი და არც გრ. ორბელიანი, არამედ ბესიკი.

ქართული ტექსტი მეტად საინტერესოა. იგი ეხება თავისუფლებისათვის ბრძოლას, ატარებს იმ იდეას, რომ თავისუფლება უმსხვერპლოდ, უსისხლოდ არ მოიპოვება, რომ სამშობლოს კეთილდღეობისათვის ადამიანი არაფერს არ უნდა შეუშინდეს და სხვ.

რილევის ლექსი „ნალივაიკოს აღსარება“ მიძღვნილია უკრაინის ხალხისა და მისი შვილის ს. ნალივაიკოსადმი. ლექსში ავტორი ხოტბას ასხამს უკრაინის ხალხის ბრძოლას მტრის წინააღმდეგ. ნალივაიკო XVI საუკუნის ბოლო წლებში იბრძოდა უკრაინის ხალხის მტრების—თურქ დამპყრობთა და პოლონელი პანების წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში იგი პოლონელმა პანებმა ტყვედ ჩაიგდეს და საშინლად აწამეს. უკრაინის ხალხს უყვარს თავისი გმირი. დეკაბრისტებს და, საერთოდ, მთელ მოწინავე რუსეთის საზოგადოებას რილევის ეს ლექსი მოსწონდა. ხოლო სოლ. დოდაშვილმა იმდენად კარგად იცოდა ამ ლექსის სულისკვეთება და მოწინავე საზოგადოებაზე მისი გავლენა, რომ წერდა: „Перевод „Исповедь Наливайки“ сочинение Рылева известен всякому русскому“<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 1457, რგ. XXVII, ფ. 77.



დასასრულ გვინდა კიდევ აღვნიშნოთ ერთი მომენტი. ცნობილია, რომ დოდაშვილის შესახებ პირველი წერილი დაიბეჭდა 1856 წელს. საკითხავია, რატომ დაიბეჭდა წერილი სწორედ 1856 წელს და არა სხვა დროს? ვფიქრობთ იმიტომ, რომ თანამედროვეებმა, იცოდნენ რა სოლ. დოდაშვილის კავშირი დეკაბრისტებთან, ამ წელს ამ გარემოებას გაუსვეს ხაზი. მით უფრო, რომ ამ დროს დოდაშვილის გარდაცვალებიდან 20 წელი სრულდებოდა. საქმე ისაა, რომ 1856 წელს დეკაბრისტების მიმართ „შეწყალების“ აქტი მზადდებოდა და, ეტყობა, წერილის ავტორი ამ მზადებას იმით გამოეხმაურა, რომ დოდაშვილი როგორც დეკაბრისტების გავლენის ქვეშ მყოფი, თანამედროვეობას თავისი ვრცელი წერილით ისევ მოაგონა.

დეკაბრისტულმა მოძრაობამ სოლ. დოდაშვილზე კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა.

\* \* \*

სოლ. დოდაშვილის მოღვაწეობაში მკაფიოდ აისახა საქართველოში მიმდინარე კლასთა ბრძოლა.

ვისაც სურს თვალი მიადევნოს XIX ს. 20—30-იან წლებში წოდებათა შორის დაპირისპირებულებას საქართველოში, მან პირველ ყოვლისა აგრეთვე ყურადღება უნდა მიაქციოს სოლ. დოდაშვილს, ვინაიდან სწორედ მის ნაწერებში ყველაზე ვრცლად და მწვავედ ჰპოვა გამოხატულება მაშინდელმა სოციალურმა უკულმართობამ.

საქართველოში კლასთა ბრძოლა XIX საუკუნის 20—30-იან წლებში უფრო მწვავე ხდება, მაგრამ ამაზე მეტად იგი თვით რუსეთში იყო გამწვავებული.

ქართველი თავადაზნაურობა გაბატონებულ წოდებას წარმოადგენდა და ბატონყმობის თავგამოდებული დამცველი იყო. ქართველი გლეხობა აუტანელ ექსპლოატაციას განიცდიდა: საბატონო ბეგარა და ღალა, მებატონისაგან დამატებით მოთხოვნილი გადასახადები, ხშირი ომიანობის შედეგად გამოწვეული ხარჯები და „ჩინოვნიკთა“ თავაშეებული, დამამცირებელი მოქმედება, გლეხობას სულს უხუთავდა. ამიტომ გლეხობა იბრძოდა მიწისათვის, ბატონყმობის მოსპობისათვის. საქართველოში ადგილი ჰქონდა გლეხთა ხშირ აჯანყებებს.

არაკჩეივები და ბენკენდორფები ყოველ საშუალებას ხმარობდნენ, რათა გლეხთა მოძრაობა ჩაეხშოთ. თვითმპყრობელობის მოხელეები ქართველ გლეხებს უმასპინძლდებოდნენ გადასახლებით, ტყვიითა და ჩამოხრჩობით. გლეხობა გმინავდა და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ მკაცრ პროტესტს აცხადებდა. ბატონყმობა საქართველოში წარმოადგენდა იმ უკუღმართობას, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში ქართველი გლეხი დაბეჩავებულ და უმწეო მდგომარეობაში ჩააყენა.

სოლ. დოდაშვილმა, ცხადია, იცოდა გლეხობის მძიმე და დაბეჩავებული მდგომარეობა. ირკვევა, რომ იგი სოციალური დანაწილების ნიადაგზე ადამიანთა შორის აღმოცენებულ პრივილეგიურ განსხვავებას მწვავედ გრძნობდა და ამის წინააღმდეგ, თურმე, მკაცრადაც იბრძოდა. ეს მის მოღვაწეობაში ხაზგასასმელია.

ის გარემოება, რომ სოლ. დოდაშვილი სოციალური წარმოშობით გლეხთა წრიდან იყო, მას და მის მოღვაწეობას თავის დაღს ასვამდა. საბუთები გვიხატავენ იმ მძიმე სურათს, საიდანაც ჩანს, თუ სოლ. დოდაშვილს თავისი სოციალური წარმოშობის გამო თავადაზნაურობა როგორ უყურებდა.

ქართველი თავადაზნაურობა და მისი ყველაზე უფრო ქედმაღალი ფენა, ქართველი ბატონიშვილები, სოლ. დოდაშვილს ზემოდან დაჰყურებდა. გლეხური წარმოშობის გამო მას ზოგჯერ კიდევ დასციინოდნენ.

სოლ. დოდაშვილის სოციალური წარმოშობა თანამედროვეებში ხშირ შითქმა-მოთქმას იწვევდა. ეს ზოგიერთისათვის იმის საფუძველი იყო, რომ მისთვის უნდობლობა გამოეცხადებინათ. მაგალითად, ოქროპირ ბატონიშვილი ამბობდა: სოლ. დოდაშვილს საზოგადოებაში არავითარი წონა არა აქვს, ვინაიდან იგი არ არის მდიდარი, არა აქვს „ჩინი“ და წოდება, ამიტომ არ შეიძლება მას ვნდობოდი, „тем более, что Додаев происходит из самого низшего состояния“<sup>1</sup>. როგორც არ უნდა აეხსნათ ოქროპირ ბატონიშვილის აღნიშნული განცხადება, მაინც ცხადია, რომ იგი გაბატონებული წოდების თვალთახედვას გამოხატავს დაბალ წოდებაზე. და ეს ერთი შემთხვევა არ არის, როცა სოლ. დოდაშვილის გლეხურ წარმოშობას თანამედროვენი ხაზს უსვამენ. მაგალითად, საქართველოს დიდ მემამულეს თავად გიორგი იესეს-ძე ერისთავს, როცა

---

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 1457, რვ. XX, ფ. 3977. იხ. აგრეთვე იქვე, ფ. 3838.

გაუგია, რომ სოლ. დოდაშვილი 1832 წლის შეთქმულები-  
ბის მონაწილე იყო, თავადაზნაურების მისამართით  
უთქვამს: მიკვირს როგორ ენდევით „ლოდაევს... უგვარ-  
კოდოსაო“<sup>1</sup>.

მაგრამ განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ის, რომ  
სოლ. დოდაშვილს ამას პირშიაც ეუბნებოდნენ. მას  
მოურიდებლად ეუბნებოდნენ, რომ, როგორც დაბალი  
წრიდან გამოსულს, არ შეუძლია საზოგადოებაში მოწი-  
ნავე და გავლენიანი ადგილი დაიჭიროს. სოლ. დოდა-  
შვილი ერთგან ხაზგასმით წერს: პეტერბურგში ყოფნის  
დროს ბაგრატი ბატონიშვილი მეუბნებოდა: ღმერთმა  
ქნას, რომ საქართველო როდესმე ჩემ შვილებს ერგოს,  
მაშინ შენ იქნებოდი ბედნიერი ადამიანი, მიიღებდი  
მამულს და თავადურ წოდებასაო<sup>2</sup>. ხოლო სხვა ადგი-  
ლას ისევ სოლომონი გვიამბობს: თბილისში ოქროპირ  
ბატონიშვილი მეუბნებოდა: თუ შენ ჩვენ დაგვივიწყებ,  
მაშინ ვერ გახდები თავადიო<sup>3</sup>.

ცნობილია, რომ XIX საუკუნის 20—30-იანი წლების  
საქართველოში არაერთი პირი იყო ისეთი, რომელიც  
თავადობისა თუ აზნაურობის წოდებას თავგამოდებით  
ეძიებდა. ისინი სპეციალურად უკავშირდებოდნენ სა-  
ქართველოს უკანასკნელი მეფეების ერეკლე II და  
გიორგი XII მემკვიდრეებს და მათგან ითხოვდნენ,  
ზოგჯერ კიდევ შოულობდნენ იმ ცნობებს, მოწმობებს,  
საბუთებს, რომლითაც უნდოდათ თავი პრივილეგიურ-

---

<sup>1</sup> ციტირებულია ს. ხუციშვილის წიგნიდან, გვ. 24 („მას. საქ. და  
კავკ. ისტ.“, ნაკ. II, თბ., 1945 წ.).

<sup>2</sup> ცსსა, ფონდი 1457, რგ. XI, ფ. 1938.

<sup>3</sup> იქვე, ფ. 1938—1941.

ბული წოდებისათვის მიეკუთვნებინათ. სოლ. დოდა-  
შვილი, რასაკვირველია, ასეთი რიგის პირებს არ  
ეკუთვნოდა. მაგრამ ყოველივე ეს იმ ეპოქისათვის  
საძრახისი არ იყო. ამიტომ გაბატონებული წოდების  
წარმომადგენელთა ქედმაღლური საუბარი დოდაშვილ-  
თან გასაგები და მისახვედრია. ცხადია, სოციალურად  
დაბალი წარმოშობა იყო ის საფუძველი, რის გამოც  
სოლ. დოდაშვილთან ზემოაღნიშნულის მსგავსი საუბ-  
რები მიმდინარეობდა.

სოლ. დოდაშვილი ხედავდა, თუ რა დიდი განსხვა-  
ვება იყო თავადსა და გლეხს შორის, რომ მემამულე-  
ები აუწერელ სიხარბეს და თვითნებობას იჩენდნენ.  
ყმების ცემა, გაყიდვა და გაჩუქება იმ დროს საქვეყნოდ  
ცნობილი ფაქტი იყო. მემამულე გლეხს დაუნდობლად  
ყვლევდა. მაგალითად, ერთი პირი სოლ. დოდაშვილთან  
გაგზავნილ პირად ბარათში გლეხის უმწეო მდგომარეო-  
ბისა და მემამულის თავაშეებული თვითნებობის შესა-  
ხებ ამბობდა: „დიდ სქესნი“ თავიანთ შვილებს ასწავ-  
ლიან, „გლეხმა კაცმა მქადიც რომ იშოვნოს, იგიც  
ბევრია მისთვის“, გლეხს მთელი სარჩო-საბადებელი  
უნდა წაართვა, იმსახურო და იცოდე „გლეხისთვის  
წელიწადსა შინა ერთ გზის მოვალს მოსავალი, ხოლო  
დიდთათვის ათორმეტგზის და ყოველ შვიდეულსა  
შინაო“<sup>1</sup>.

სოლ. დოდაშვილმა ისიც იცის, რომ თვითმპყრობე-  
ლობის მოხელეები განსაკუთრებით ცუდად ლარბებს  
ექცევიან, მათ არავითარ ყურადღებას არ აქცივენ და

<sup>1</sup> H, 2226, გვ. 112.

გლებთა საჩივრებს მთელი ათეული წლობით აქიანურებენ. იგი არა ერთგან ეხება გლებთა ცუდ მდგომარეობას, აკრიტიკებს სასამართლოს მოქმედებას და მეფის „ჩინოვნიკების“ დამოკიდებულებას გლებობისადმი. იგი ერთგან პირდაპირ ამბობს: ხალხი თავის კანონიერ უფლებათა დაცვას სილარიზის გამო ვერ ახერხებს<sup>1</sup>.

საყურადღებოა, რომ სოფ. მალაროს გლებობა სოლ. დოდაშვილს ხშირად მიმართავდა დახმარებისათვის. ეტყობა გლებობა ხედავდა, რომ მათი ინტერესების დამცველი ყველაზე უფრო თვით მათი წრიდან გამოსული პირი იყო.

იბრძვის თუ არა სოლ. დოდაშვილი თავადაზნაურული წოდების პრივილეგირებული მდგომარეობის წინააღმდეგ? ირკვევა, რომ იბრძვის. იგი ამ პრივილეგირებული მდგომარეობის წინააღმდეგ ლაპარაკობს ამხანაგებში და გაზეთის ფურცლებზე.

სოლ. დოდაშვილს ერთგან, სადაც იგი 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებით ჩვენებას იძლევა, შემდეგ აზრს გამოთქვამს. მე ვეუბნებოდი, —წერს იგი, — დიმ. ყიფიანსა და ზ. ავთანდილაშვილს, — რომ თავადებს ნუ დაუჯერებთ, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ საქართველოში მეფობა აღდგება, მაშინ „князья скажут: я—Мристов, я—Орбелиани; а вы кто такие?“<sup>2</sup>.

1832 წელს, გაზეთ „ტფილისის უწყებანის“ აპრილის ნომერში, რომლის რედაქტორი და ყველაზე აქტიური

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 1457, რე. V, ფ. 809—810.

<sup>2</sup> ცსსა, ფონდი 1457, რე. II, ფ. 158—161,

თანამშრომელი თვით სოლ. დოდაშვილი იყო, თავადაზნაურული პრივილეგიების წინააღმდეგ გალაშქრების მიზნით შემდეგია დაბეჭდილი:

ერთმან დაბალი წოდებისაგან გამოსულმა მიაღწია ლენერლის ჩინამდე. იგი შებაასდა ერთის ისპანიის ღრანდისთანა. ამპარტავანმან ესპანელმან უთხრა მას: „როგორ ბედავ ბაასსა ესრეთის კაცთათანა, ვითარცა მე, მოიგონე ვითარი განსხვავება არის ჩვენს შორის, და ნუ დაივიწყებ, რომელ თქვენ იყავით მეურმე“. მიუგო ლენერალმა: „მართალია, ჩვენ შორის არის დიდი განსხვავება: მე მეურმეობიდან შევიქენ ლენერალი, ხოლო თქვენ თუ ჰყოფილიყავით მეურმედ, ყოველთვის დაშთებოდით წოდებასა ამას შინა“.

ცხადია, დაბალი წრიდან გამოსული პირი, მეურმე, აკრიტიკებს ესპანელ „ღრანდის“ ანუ დიდებულს და მას უუნარობას უკიეინებს. მაგრამ ასეთივე ქედმაღლური დამოკიდებულების მაგალითები განა საქართველოში ცოტა იყო? რამდენი ცგნებაეთ. თვით სოლ. დოდაშვილის მოლვაწეობაც ხომ ხაზს უსვამს იმას, რომ ქართველი დიდებულები „დაბალ“ წრიდან გამოსულ პირებს ქედმაღლურად უცქეროდნენ და სხვ.

რასაკვირველია, ქართული გაზეთის საშუალებით სოციალურ უთანასწორობაზე საქვეყნოდ ლაპარაკი უკვე ბევრი რამის მომასწავებელი იყო. ამასთან, ჩვენ ისიც ვიცით, რომ სოლ. დოდაშვილი შემდეგსაც ამბობდა: სწავლაში, მეცნიერების დაუფლებაში, ყველა წოდების ადამიანი თანასწორიაო. იგი ჯერ კიდევ ადრე, 1826 წელს, ამის შესახებ წერდა: „სწავლასა შინა დი-

დი კაცის (შვილი) და მცირისა ერთნი და იგივე არიანო<sup>1</sup>.

ეს იყო ის პროგრესული აზრი, რომელიც საქართველოს სინამდვილეში, წინააღმდეგ ქართველ თავადაზნაურთა კლასობრივი შეზღუდულობისა, ქართველ გლეხკაცობას ფართოდ უღებდა კარებს ცხოვრების ასპარეზზე.

ამგვარად, მაშინდელ წოდებათა ბრძოლა სოლ. დოდა-შვილმა მწვავედ განიცადა. მან ერთმა პირველთაგანმა აიმაღლა ხმა თავადაზნაურული პრივილეგიების წინააღმდეგ.

\* \* \*

საქართველოს რუსეთთან შეერთებას სოლ. დოდა-შვილი დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენად მიიჩნევდა. მასში იგი საქართველოს წინსვლას ხედავდა.

რასაკვირველია, იყო პერიოდი, როცა სოლ. დოდა-შვილი საქართველოში ძველი მეფობის აღდგენის მომხრე იყო, მაგრამ საკითხის უფრო ღრმა შესწავლით, მოვლენებში უკეთ ჩაკვირებით, რომანტიკულ წარმოდგენათაგან განთავისუფლებით და ზოგიერთ იმდროინდელ შეძლებულ პირთა გავლენისაგან თავის დაღწევის შემდეგ იგი საბოლოოდ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს ხსნა მხოლოდ რუსეთთან მჭიდრო კავშირს შეეძლო. ამიტომაც იგი ამბობდა: „საქართველოს რუსეთის მფარველობის გარეშე არსებობა არ შეუძლიაო“.<sup>2</sup>

<sup>1</sup> H, 2226, ფ. 330; „მას. საქ. და კავკ. ისტ.“. თბ., 1945 წ., ნაკ. 11, გვ. 80.

<sup>2</sup> ცსსა, ფონდი 1457, რე. XXIV, ფ. 4824—4826.



სოლ. დოდაშვილი ღრმა მოაზროვნეა; მან კარგად იცის საქართველოს მდგომარეობა. იგი ერთგან სრული რწმენით წერს: საქართველოს რუსეთი იცავს, ხალხს სიმშვიდე სწორედ ამ მდგომარეობამ მისცა, თუ არა რუსეთი, ისე საქართველო ერთ წუთს შეიძლება განადგურდეს მტაცებელი თურქეთის, ირანისა და მთიელთა მიერო<sup>1</sup>.

ვისთვის იყო ყველაზე ხელსაყრელი, დოდაშვილის აზრით, რუსეთთან საქართველოს შეერთება? ხალხისათვის, გლეხობისათვის. „გლეხები ახლანდელ დროს ლოცავენ“<sup>2</sup>, — წერდა დოდაშვილი.

მართლაც, ვის შეეძლო ყველაზე კარგად, თუ არა გლეხობას, დაენახა, რომ საქართველომ რუსეთთან შეერთების შემდეგ მოისვენა, აღიკვეთა უცხოელთა თარეშები, ლეკთა გაუთავებელი თავდასხმები, ქვეყანა დაწყნარდა თურქ და ირანელთა შემოსევებისაგან. თურმე დოდაშვილი გლეხებს კიდევ ეუბნებოდა: განა თქვენ დაგავიწყდათ წინანდელი დრო, როცა სახლიდან გარეთ გამოსვლას ვერ ბედავდით, ხოლო თუ გამოდიოდით, ლეკებს ხელში ტყვეთ უვარდებოდით, ახლა კი სადაც გნებავთ იქ შეგიძლიათ წახვიდეთო<sup>3</sup>.

სოლ. დოდაშვილს უყვარდა რუსეთი. მას უყვარდა ლომონოსოვის, პუშკინისა და დეკაბრისტების რუსეთი.

---

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 1457, რე. XXVII, ფ. 71—78. ჯერ კიდევ 1828 წელს სოლ. დოდაშვილი ამბობდა: „სპარსნი, თათარნი, ოსმალნი და მთიურნი მარადის... იყუნეს საქართველოსათვის ვითარცა ღოთფნი და გუნნი ევროპისათვის, ე. ი. წყვილიდათ განათლებისა გინა სწავლულებისა“ (S, 388, ფ. 20—21; „ივერია“, 1887 წ., № 227).

<sup>2</sup> ცსსა, ფონდი 1457, რე. XXVII, ფ. 71—78.

<sup>3</sup> ცსსა, ფონდი 1457, რე. III, ფ. 389. —

მაგრამ არსებობდა ცარიზმი. იგი სოლ. დოდაშვილს სძულდა.

სოლ. დოდაშვილი შეძრწუნებით ხედავდა, რომ ნიკოლოზ I, ბენკენდორფების და არაკჩეევების მომხრეები საქართველოში თავაშეებულად იქცეოდნენ. მას მათი მოქმედება არ მოსწონდა.

სოლ. დოდაშვილი ხშირად ეხებოდა თვითმპყრობელობის მოხელეთა საქმიანობას საქართველოში და წერდა, რომ მე ბევრი შევიწროება მინახავს და ბევრის შესახებაც მსმენია; ავიწროებენ ქართულ ენას, ანგარიშს არ უწევენ ხალხის ზნე-ჩვეულებებს, განსაკუთრებით ცუდად ექცევიან ლარიბებსო და სხვ.. მაგრამ სჯობს ამ მხრივ მის ერთ ვრცელ საბუთს მოვუსმინოთ. 1833 წლის 23 იანვარს, როცა იგი შეთქმულებაში მონაწილეობისათვის იყო დაპატიმრებული, ჩვენების სახით შემდეგს წერდა:

„მაქვს პატივი მოგახსენოთ შემდეგი იმ ჩავგრა-შევიწროებათა შესახებ, რომელნიც მე ქართველთაგან მომისმენია:

1. სახელმწიფო დაწესებულებებში საქმეები ძალიან ნელა კეთდება და არ ეფარდება არც ხალხის ხასიათს, არც ზნე-ჩვეულებებს; კანონს უკულმართი აზრით ხსნიან და საქმეები ფრიად არასწორად მთავრდება.

2. საქმეები ასეთ ადგილებში მხოლოდ ქალაქებში მთავრდება და მათ გადაწყვეტილად სთვლიან, თუმცა იშვიათია, რომ ვინმეს დამაკმაყოფილებელი პასუხი მიეღოს.

3. წუთიერ და მცირემნიშვნელოვან რამეზეც კი ნაბრძანებია თხოვნა ღერბიან ქალაქებში იქნეს შეტანილი.

4. საქმე, რომელიც შეიძლება სიტყვიერად და ძალიან სწრაფად გადაწყდეს, ნაბრძანებია შეტანილი იქნეს სასამართლოში, სადაც ძალიან დიდხანს გრძელდება.

5. მომჩივანთაგან, როგორც მართალი, ისე მტყუანი მხარე, უფრო მეტს ხარჯავს, ვიდრე თვითონ საქმე ღირს, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე არ იქნება მოსმენილი და არც არასოდეს დამთავრდება.

6. ყველაზე პატიოსან და ყველას მიერ პატივცემულ ადამიანს სჯიან ხოლმე, თუკი მან ოდესმე რაიმე ისეთი დანაშაული ჩაიდინა, რაც ძალიან ხშირად ხდება გულწრფელობით, კანონის უცოდინარობით და ქართველის მხიარული ხასიათის გამო თავისუფალი ლაპარაკით, რითაც შესაძლებელია არც არაერთარ ზიანს არ აყენებს არავის, მაგრამ კანონით დანაშაულად ითვლება, ან აკრძალულია და ისჯება. თუნდაც რომ მას პატიება ჰქონდეს მიღებული, ნაბრძანებია, არ შეიძლება იგი საზოგადოების მიერ არჩეულ იქნეს. აი მათი საჩივარი. ხანდახან უდანაშაულოდაც სჯიან ხოლმე. მაგალითად, ერთი ღარიბი მოხუცი დედაკაცი, რომელიც მამაჩემის მეზობლად ცხოვრობდა სოფლად, 1813 წლიდან ცდილობს დაიბრუნოს თავისი ძროხები, რომლებიც იქაურ მცხოვრებს გაურეკნია იმიტომ, რომ მისი 4 თუ 5 მანეთი ემართა ერთ კაცს, რომლის ჯოგშიაც ამ ქალის ძროხებიც იყო, რიცხვით 25-მდე; როგორც მან გვიამბო, დღემდე ვერ შესძლო მან პასუხი მიეღო ოლქის უფროსებისაგან.

ერთმა გლეხმა, ვილაც ავალიშვილმა, 1817 წელს აღმასრულებელ ექსპედიციას მისცა თხოვნა 180 მანეთის შესახებ და მას შემდეგ ეს კაცი სიარულით დაი-

ღალა და პასუხი რომ ვერ მიიღო, გასულ წელს მე მომმართა; პოლკოვნიკ თავად ანდრონიკაშვილის თხოვნით მე მივიღე რწმუნებულება და თხოვნა შევიტანე იმ ექსპედიციაში, რომელმაც დაასკენა, რომ ამა და ამ დროს სასამართლოს წერილობით ბრძანება მიეცა და ამიტომ მთხოვნელს იქ შეუძლია მიმართოსო; მეც მივმართე მას, მაგრამ მუდამ მეუბნებოდნენ: ახლა არა გეცალბა, ხვალ მოდიო; როცა კი მივედი, ყოველთვის „ხვალ, ხვალს“ იმეორებდნენ; მე შემდეგ გავიგე, რომ ეს არასოდეს ნიშნავდა. მე ისევ ექსპედიციაში წავედი და ვთხოვე აღმასრულებელ ექსპედიციას, როგორც უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებას, შეუძლია და უნდა გასცეს წერილობით ბრძანება, თუ რატომ აქამდე არ დამთავრდა ეს საქმე. მას მგონია, მიუწერია ბრძანება, მაგრამ ღმერთმა უწყის როლის გათავლება საქმე.

ამგვარი საქმეები უამრავია, ეს ძალიან ამძიმებს მცხოვრებლებს და ისინი ხშირადაც ჩივიან, სხვები სიღარიბის ან ენისა თუ კანონების უცოდინარობისა გამო სრულიად ხელს იღებენ თავიანთ უფლებებზე.

რასაკვირველია, მთავარ უფროსობას არ შეუძლია იცოდეს ყველაფერი, თუ რა კეთდება მაზრებში და აქვს თუ არა ადგილი ჩაგვრა-შევიწროებას, ვინაიდან ისინი ვერ ბედავენ მთავარი უფროსობის შეწუხებას, ერთი სიტყვით, ქართველთა მთელი საჩივარი სახელმწიფო დაწესებულებათაგან ჩაგვრა-შევიწროებაზე არის დამყარებული. მათ შესამსუბუქებლად,—და მე ვფიქრობ, ეს აქვს მხედველობაში მთავარ უფროსობასაც, ხოლო ეს შესაძლებელია თუ არა, მე არ ვიცი,—შემდეგი საშუალება არსებობს.

მართვისათვის საჭიროა შერჩეული იქნეს ადამიანები სავსებით მცოდნე ხალხისა და რაც შეიძლება მეტად არჩევდნენ საქმეს სიტყვიერად, რასაკვირველია, შერჩეული უნდა იქნეს მიუკერძოებელი და კეთილი ადამიანები.

გლებებს ის უხარიათ, რომ მოუსმინონ და სასამართლოს გარეშე მოარიგონ, ანდა დამნაშავე, თუკი აუცილებელია დაისაჯოს, მაგრამ სასამართლოში ნუ მისცემენ. სასამართლო, — მგრძნობიარე, შეიძლება ითქვას, კეთილი და გულწრფელი ხალხისათვის, — საშინელი ტვირთია<sup>1</sup>.

ეს საბუთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია. მისი არსებობა პირველად პროფ. ს. ხუნდაძემ აღნიშნა<sup>2</sup>. საბუთი მეტად სერიოზულ საკითხებს ეხება. სოლ. დოდაშვილი ამხელს ცარიზმის მოხელეთა ცუდ მოქმედებას, აკრიტიკებს მათ, და აგრეთვე ხაზს უსვამს იმას, რომ თვითმპყრობელობის „ჩინოვნიკური“ აპარატი მოუქნელი, უკულმართი და ბოროტია, რომ ეს აპარატი ხალხს არ ემსახურება.

სოლ. დოდაშვილი მართალი იყო. მეფის ბიუროკრატიული რეჟიმის ხასიათი და თვითმპყრობელურ მოხელეთა თავაშეებულება დიდ უკმაყოფილებას იწვევ-

---

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 1457, რგ. V, ფ. 809—810; დედანი დაწერილია რუსულ ენაზე. ვსარგებლობთ 1949 წლის თარგმანით (იხ. სოლ. დოდაშვილი. „ლოგია“, თბ., 1949 წ., გვ. XXXV—XXXVIII).

<sup>2</sup> ს. ხუნდაძე, დიმ. ყიფიანი, 1936 წ., გვ. 71. იხ. აგრეთვე მაქ. ბერძნიშვილი, დას. წერ., გვ. 429 და აღ. ქუთელიას წინასიტყვიანობა, სოლ. დოდაშვილი, „ლოგია“, თბ., 1949 წ., გვ. XXXVIII—XXXIX.

და შშრომელ მოსახლეობაში. მაგრამ დოდაშვილი, როგორც ვხედავთ, განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას თვითმპყრობელობის სასამართლოზე საქართველოში. რატომ? იმიტომ რომ, ხალხი, პირველ ყოვლისა, თავის დამცველს და მოსარჩლეს სწორედ სასამართლოში ხედავდა, მაგრამ სინამდვილეში ეს სასამართლოები უსამართლოების განსახიერებანი იყვნენ. იმდენად მძიმე მდგომარეობა იყო ამ მხრივ საქართველოში, რომ მეფის გენერლებიც კი იძულებული იყვნენ ამისათვის ხაზი გაესვათ. ასე მაგალითად, გენერალი პასკევიჩი, 1827 წელს თბილისიდან პეტერბურგში, სწერდა: სამაზრო სასამართლოებში, განსაკუთრებით კი თელავისა და სიღნაღის მაზრებში, ცუდი მდგომარეობაა. აქ არის 1811, 1814, 1815 წლებში დაწყებული საქმეები, რომელნიც ჯერაც არ დამთავრებულანო<sup>1</sup>. ანდა, 1829 წელს ისევ ეს გენერალი ამბობდა: მომჩივანნი წვალობდნენ და დრტვინვით ხედავდნენ, რომ სასამართლოებში დამცველთ ვერ ნახულობდნენ, ხოლო ხელმძღვანელობაში მფარველსო<sup>2</sup>. სასამართლოთა უწესობანი საქართველოში შემდეგაც დიდხანს გრძელდებოდა. სოლ. დოდაშვილის ახლობელი გ. დ. ერისთავი თავის ცნობილ კომედიასი „დავაში“ ერთ მოხელეს, რომელიც ქრთანებით არის გატაცებული, სასამართლოში არსებულ საქმეთა გაქიანურებით და სიმრავლით გახარებულს, შემდეგს ათქმევიანებს: „У нас в суде дел гражданских 1500, уголовных 150, вот вам и

<sup>1</sup> „Акты“, ტ. VII, გვ. 4.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 19.

капиталец, а другие наши братья кричат— „уезд неуражайный“. Что-же делать? Не веаде Нуха, Карабах и Ганджа. Там, батюшка, Калифорния!“<sup>1</sup>

სოლ. დოდაშვილი ამათრახებდა ცარიზმს და მის მოხელეებს.

\* \* \*

სოლ. დოდაშვილი რესპუბლიკელი იყო. მისი სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათა ერთი ძაფი სწორედ ამ საკითხთან არის მჭიდროდ დაკავშირებული. დოდაშვილის პოლიტიკური რადიკალიზმი ამაში საყურადღებო დასაყრდენს და გამომხატულებას პოულობს.

საქართველოში რესპუბლიკური იდეების გავრცელებას თავისი ისტორია აქვს. მაგრამ რესპუბლიკის შესახებ მსჯელობას განსაკუთრებით XIX საუკუნის 20—30-ან წლებში ვხვდებით. ჩანს, სოლ. დოდაშვილის დროს იგი შედარებით უფრო ფართო მსჯელობის საგანი იყო.

თვითმპყრობელობა ებრძოდა მოწინავე იდეების გავრცელებას საქართველოში. ამ ბრძოლამ მთავარმმართველ ბარონ როზენის დროს უფრო მკაცრი ხასიათი მიიღო. მაგრამ თავდაპირველად როზენი დარწმუნებული იყო, რომ საქართველოში არავითარ რესპუბლიკურ, და აგრეთვე სხვა პროგრესული აზრების შესახებ საუბარი არ მიმდინარეობდა. ამიტომ იგი 1832 წლის

---

<sup>1</sup> გ. ერისთავი, თხზულებანი, თბ., 1936 წ., გვ. 159.

იანვარში თბილისიდან პეტერბურგს დარწმუნებით სწერდა: ამიერკავკასიაში ჯერ კიდევ თავისუფლების ისეთი გაგება, როგორც ეს XVIII საუკუნის ფილოსოფოსებს ესმოდათ, არ არის. უფრო მეტი: ამაოდ დაშვრებოდა ის, ვინც შეეცდებოდა ადგილობრივ მცხოვრებლებში მსგავსი იდეები გაეცრცელებინა. პირიქით, მეფის ხელისუფლების მუდმივობის შესახებ აზრი აქაურ მცხოვრებთ ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარიო. მთავარ-მმართველი ნიკოლოზ I არწმუნებდა: ნუ გეშინიათ, ამიერკავკასიაში სრული სიმშვიდეაო; მაგრამ საქართველოში რესპუბლიკური იდეების შესახებ მსჯელობას არამცთუ როზენის დროს, არამედ ადრეც ჰქონდა ადგილი.

მაგალითად, ჯერ კიდევ 1802 წელს, კახეთის თავადაზნაურობა ალექსანდრე I საქართველოდან სწერდა: „უმოწყალესო ხელმწიფევ! როდესაც ერთგულებასა ზედა თქვენისა... დაგვაფიცეს, მყის გამოგვეცხადა მანიფესტი, რომ ვითომც ჩვენ მოგვეხსენებინოს კარსა წინაშე... თქვენისა, მეფე აღარ გვინდა და უმეტოდ შემოვსულვართ მფარველობასა ქვეშე. ეს ფრანციულთ მზგავსი რესპუბლიკაობა იქნებოდა ჩვენგან“<sup>1</sup>.

ფრიად მნიშვნელოვანია აგრეთვე ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ დეკაბრისტებს შორის ყოფილა საუბარი საქართველოში რესპუბლიკის დამყარების შესახებ. დეკაბრისტი ბესტიუჟევი-როიუმინი გვაუწყებს: დეკაბრისტთა ერთ ჯგუფში მსჯელობა იყო იმაზე, რომ საქართვე-

<sup>1</sup> „Акты“, ტ. I, გვ. 387.



ლო გამოცხადებიან და მოუქიდებლად და იქ რესპუბლიკური მმართველობა დამყარებულიყო<sup>1</sup>.

გრ. ორბელიანი კი თავის დღიურში 1831 წელს წერდა: „ფიქრმან ნოვგოროდისათვის არ დამაძინა დიდ ხანს. გონებაში წარმომიდგა რესპუბლიკური უწინდელი ამათი მმართველობა, სიმდიდრე, ვაჭრობა და მხნეობა ამის მოქალაქეთა, ვეჩეს ზარი (ანუ ბუკი), რომლითაც შეიკრიბებოდა ხალხი მძიმის საქმის გადასაწყვეტად... ვიდრე იყო რესპუბლიკა, ნოვგოროდი ყვავილოვნობდა ვაჭრობითა, მხნეობითა, სიმდიდრითა“<sup>2</sup>.

სხვა მასალებიდანაც ჩანს, რომ საქართველოში მსჯელობდნენ, მაგალითად, შვეიცარიის რესპუბლიკაზე და სხვ.. ეტყობა, რომ რესპუბლიკური მმართველობის შესახებ აგრეთვე ხშირი საუბარი უნდა ყოფილიყო თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მოწინავე მასწავლებელთა და მოწაფეთა შორის. ყოველ შემთხვევაში ის კი ცხადია, რომ 1830 წელს თბილისის გიმნაზიის გახსნის დღეს, ამავე სასწავლებლის დირექტორს საჭიროდ დაუნახავს თავის სიტყვაში ერთიმეორისადმი დაეპირისპირებინა თვითმპყრობელური და რესპუბლიკური მმართველობა. დირექტორი თვითმპყრობელურ მმართველობას აქებდა და იცავდა, მაგრამ ეს საქმის ერთი მხარეა. თავისთავად უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ სკოლის დირექტორს საჭიროდ დაუნახავს თავის სიტყვაში რესპუბლიკის შესახებ საჯაროდ ესაუბრნა. ჩანს, იგი „ვილაციებს“ ებრძვის, იმ „ვილაციებს“, რო-

<sup>1</sup> „Вос. Декабристов“, материалы, т. IX, 1950 წ., გვ. 62.

<sup>2</sup> ნ. ბ. ბარათაშვილი, ლექსები, პოემა, 1945 წ., გვ. XXV.

მელთაც რესპუბლიკური მმართველობა მოსწონდათ, ანდა აფრთხილებს მოწაფეებსა და მასწავლებლებს: რესპუბლიკის შესახებ აზრები არ გაიზიაროთ, მათ არ მიემხროთო; იგი ამ სიტყვაში თვითმპყრობელურ მმართველობას აქებდა.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ თბილისში ოფიციალურად გამოქვეყნდა 1830 წელს პარიზში შატობრიანის მიერ თქმული სიტყვა, რომელშიც ორატორი რესპუბლიკური მმართველობის წინააღმდეგ ილაშქრებდა. მეფის ხელისუფლებას ძალიან აშინებდა რესპუბლიკური იდეების გავრცელება საქართველოში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში რესპუბლიკურ მმართველობაზე მსჯელობის შესახებ ჩვენ სხვადასხვა ხასიათის მასალა გვაქვს, ისინი მაინც, იმ მასალებთან შედარებით, რომელნიც სოლ. დოდაშვილს უკავშირდებიან, ღარიბი და მცირეა. სოლ. დოდაშვილი მასალას გვაძლევს არა მარტო იმ საკითხზე, თუ საქართველოში რესპუბლიკური მმართველობის შესახებ რა საუბარი მიმდინარეობდა, არამედ აგრეთვე იმაზე, — და სწორედ ეს არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, — რომ საქართველოში აღდგლი ჰქონდა ბრძოლას რესპუბლიკის დამყარებისათვის.

ერთგან ვახ. ორბელიანი სოლ. დოდაშვილის რესპუბლიკელობასთან დაკავშირებით წერს: „В 1832 году я слышал от Додаева сии слова: когда я провожал Окропира царевича из Тифлиса, то он мне сказал: „Да, господа грузинцы, постарайтесь об освобождении Грузии. Впрочем, я желаю свободу Грузии не для того, чтобы кто-нибудь из рода Багра-

тионных воцарился в оной, но чтобы из Грузии  
сделался род республики<sup>1</sup>. ხოლო ამ ცნობასთან  
დაკავშირებით თვითონ სოლ. დოდაშვილი ამბობს:  
„От царевича Окропира я сие не слышал и Вах-  
тангу Орбелианову не говорил. Советнику Орбе-  
лианову говорил, может быть, слышал и Вахтанг.  
следующее: „Царствовать в Грузии, хотя-бы и  
самое русское правительство захотело, ни один  
из царевичей не может, и Грузия без покрови-  
тельства России существовать не может... Если  
князья желаете и м е т ь облегчения от притеснения;  
и хотите иметь царевича, то можете представить  
жалобу к государю императору и просить одного

---

<sup>1</sup> ცხსა, ფონდი 1457, რე. IX, ფ. 1567; გ. გოხალიშვილი,  
დას. წიგ., გვ. 92. დღემდე ყველა ავტორი მხოლოდ ამ ერთ ცნობას  
ემყარება, როცა სოლ. დოდაშვილის რესპუბლიკელობის შესახებ  
მსჯელობს. ამიტომ ისინი აქამდე ამ საბუთის გაგებაში ვერ შეთან-  
ხმებულან. ერთნი იმ აზრს იცავენ, რომ ვახ. ორბელიანის ციტატში  
სიტყვები, რომელნიც საქართველოში რესპუბლიკური მმართველობის  
დამყარების სურვილს ეხება, ეკუთვნიან თვით სოლ. დოდაშვილს  
(იხ., მაგ., „ლიტ. და ხელ.“, 1949 წ., 25 სექტემბერი), მეორენი კი  
ამას არ ეთანხმებიან (იხ., მაგ., სოლ. დოდაშვილი „ლოგია“,  
თბ., 1949 წ., გვ. XXXIII). მაგრამ ასეთი შეუთანხმებლობა მომდინა-  
რეობს სხვა მასალათა გამოყენებლობის გამო. უნდა ითქვას, რომ  
ვახ. ორბელიანის ცნობა განსაკუთრებულ პირობებში წარმოიშვა,  
იგი დაიწერა მაშინ, როცა ავტორი 1832 წლის შეთქმულების მონა-  
წილეობის გამო იყო დაპატიმრებული და ასევე დაპატიმრებულნი  
იყვნენ სოლ. დოდაშვილი და ოქროპირ ბატონიშვილი. ამიტომაც  
ვახ. ორბელიანის ცნობასთან დაკავშირებით სხვა საბუთებიც გაჩნ-  
დნენ, და მათი გათვალისწინება აუცილებელია ვახ. ორბელიანის  
ცნობის სწორად გაგებისათვის.

იპ ცარევიჩეი, ნე ცარსთვოვათ, ა პრისუტსთვოვათ  
ი ვხოდით ვ დელა გრუზიი პო გრადანსკოი ჩასთი.  
ჩაჟეტსა, ვ ზაკლუჩენიი ი სკაზალ: „Тогда бы  
вышло род республиканского правле-  
ния“<sup>1</sup>.

სოლ. დოდაშვილის ეს ცნობა განსაკუთრებით საინ-  
ტერესოა; პირველ ყოვლისა, ის იმას ადასტურებს,  
რომ ავტორი თვითონ აღიარებს თავის რესპუბლი-  
კელობას, რაც დღემდე უცნობი იყო და, მეორე, იგი  
იმ მხრივ არის საინტერესო, რომ ვახ. ორბელიანის  
ცნობის შემოწმების საშუალებას იძლევა.

სოლ. დოდაშვილი აღნიშნავს, რომ მე რესპუბლიკის  
შესახებ ოქროპირ ბატონიშვილთან საუბარი არ მქონია  
და ამის შესახებ არც ვახ. ორბელიანისათვის მითქვამს  
რაიმე. რესპუბლიკელობაზე ვახ. ორბელიანს ჩემი  
საუბარი მაშინ უნდა გაეგონა, როცა მე მსგავს საკითხ-  
ზე ალ. ვ. ორბელიანს ველაპარაკებოდიო. დასტურ-  
დება, რომ სოლ. დოდაშვილის ცნობა მართალია. მით  
უფრო, რომ ავტორი თავის რესპუბლიკურ შეხედულე-  
ბას თვით არ უარყოფს.

სოლ. დოდაშვილის ზემოდამოწმებულ ცნობას დიდი  
მნიშვნელობა აქვს, საერთოდ, დოდაშვილის საზოგა-  
დოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებათა გარკვევისა და,  
კერძოდ, მისი რესპუბლიკური შეხედულების გაგები-  
სათვის.

ამგვარად, მტკიცდება, რომ სოლ. დოდაშვილი რეს-  
პუბლიკის შესახებ ნამდვილად მსჯელობდა.

---

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 1457, რვ. XXIV, ფ. 4824—4825.

მაგრამ აქ წერტილის დასმა არ იქნება საკმარისი. ძირითადი მაინც ის არის, რომ ვიცოდეთ, თუ როგორი წარმოდგენა აქვს სოლ. დოდაშვილს რესპუბლიკური მმართველობაზე და როგორ ესმის მას ამ მმართველობის შინაარსი. განა ყველა რესპუბლიკური მმართველობა ერთნაირია? რასაკვირველია, არა. ისტორიულად რესპუბლიკური მმართველობის სხვადასხვა სახეს ვიცნობთ. სოლ. დოდაშვილს რომელი მათგანი სურს? ეგებ მას, მაგალითად, ისეთი რესპუბლიკა უნდა, როგორსაც საფრანგეთის ისტორიიდან ვიცნობთ, თუ არადა რუსეთის წარსულიდან—ნოვგოროდის რესპუბლიკის სახით. ანდა, შეიძლება მას რესპუბლიკური მმართველობის სახით სრულიად სხვა რამ წარმოუდგენია, ვინემ ჩვენ დღეს ჩვეულებრივ ამ მმართველობის მიმართ იმ დროისათვის ვეარაუდობთ.

მტკიცდება, რომ სოლ. დოდაშვილს საქართველოში რესპუბლიკის დამყარების შესახებ თავისი საკუთარი შეხედულება აქვს შემუშავებული და ეს რესპუბლიკა განსხვავდება იმ დროს არსებულ ჩვეულებრივ რესპუბლიკათა მმართველობისაგან. მისი წარმოდგენა საქართველოში რესპუბლიკური მმართველობის დამყარების შესახებ მომდინარეობს საქართველოს რუსეთთან შეერთების ფაქტის აღიარებიდან და ამ ორი ხალხის განუყრელობას ეფუძნება.

სოლ. დოდაშვილის აზრით, ქართველმა თავადაზნაურობამ უნდა სთხოვოს რუსეთის იმპერატორს ერთ-ერთი ქართველი ბატონიშვილის მმართველად დანიშვნა და იგი საქართველოში მეფედ კი არ უნდა დაჯდეს, არამედ მხოლოდ სამოქალაქო საქმეებს უნდა განაგებდეს.

მაგრამ ასეთი მმართველობის მქონე საქართველო რუსეთის იმპერიის ფარგლებიდან არ უნდა გამოვიდეს. სოლ. დოდაშვილი აკი ხაზგასმით ამბობს: საქართველოს რუსეთის მფარველობის გარეშე არსებობა არ შეუძლიაო.

სოლ. დოდაშვილის წარმოდგენით შეიძლება რუსეთის იმპერიაში საერთოდ მონარქიული წყობილება არსებობდეს, ხოლო კერძოდ საქართველოში კი მმართველობის წესი შეიცვალოს და რესპუბლიკა დამყარდეს, ე. ი. ერთმანეთის გვერდით ერთი და იმავე სახელმწიფოს ტერიტორიის საზღვრებში არსებობდეს რესპუბლიკა და მონარქია.

სოლ. დოდაშვილის აზრი ერთი სახელმწიფოს საზღვრებში მონარქიისა და რესპუბლიკის ერთად არსებობის შესაძლებლობის დაშვების შესახებ ისტორიაში ახალი არ იყო. სოლ. დოდაშვილს თავისი მსჯელობის დროს, უდავოდ, რესპუბლიკური მმართველობის თავისებური სახე ჰქონდა მხედველობაში. ცნობილია, რომ ზოგიერთ მონარქიულ ქვეყანაში ესა თუ ის ქალაქი რესპუბლიკური მმართველობის მქონე იყო; თვით რუსეთის იმპერიის ფარგლებში კი დოდაშვილის დროს პოლონეთის სამეფო შედიოდა და მას კონსტიტუციური მმართველობა ჰქონდა, ხოლო მის მეფედ რუსეთის იმპერატორი ითვლებოდა.

რაკი სოლ. დოდაშვილი ფიქრობს, რომ მომავალ საქართველოში შინაგანი მმართველობა დამოუკიდებელი უნდა იყოს, თავისი მსჯელობის დასასრულს უკვე დასკვნის სახით აღნიშნავს: მაშინ საქართველოში რესპუბლიკური მმართველობის სახე დამყარდებაო.

ის გარემოება, რომ, სოლ. დოდაშვილის თქმით, საქართველოს შინაგან მმართველობაში დამოუკიდებლობა უნდა ჰქონდეს, ნიშნავს შემდეგს: საქართველო აღარ იქნება გუბერნია, არ იქნება საგუბერნიო მმართველობა, არ ეყოლება მეფე და მისი მმართველობა მონარქიული აღარ იქნება. მაშასადამე, ბუნებრივად დაასკვნოდა სოლ. დოდაშვილი,—ასეთი სახელმწიფო რესპუბლიკურიყო.

სოლ. დოდაშვილმა, ეტყობა, იცის თუ რას წარმოადგენს საერთოდ რესპუბლიკური მმართველობა, მაგრამ, სწამს რა მტკიცედ რუსეთის იმპერიის ფარგლებში საქართველოს ყოფნის აუცილებლობა, ამიტომ აყენებს თავისებურ წინადადებას: საქართველოში დამყარდეს რესპუბლიკა და ასეთი საქართველო რუსეთის იმპერიის ფარგლებში იყოსო.

ცხადია, დოდაშვილის შეხედულება რესპუბლიკაზე ახალი შეხედულება იყო.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის, რომ სოლ. დოდაშვილი მუდამ რესპუბლიკელი არ იყო. იყო დრო, როცა იგი საქართველოში მეფობის დამყარებას ემხრობოდა. სოლ. დოდაშვილმა საქართველოს მმართველობის შესახებ თავის შეხედულებაში ევოლუცია განიცადა და იგი მხოლოდ შემდეგ მივიდა რესპუბლიკის უკეთესობის აღიარებამდე. მაგრამ ამის დაფიქსება იწვევს იმ უამრავი ცნობის უგულებელყოფას, რომლებიც ესოდენ მრავლად შემოგვრჩენია სოლ. დოდაშვილის ადრეულ პოლიტიკურ შეხედულებათა შესახებ.

სოლ. დოდაშვილი წინათ საქართველოში მეფობის აღდგენის მომხრე იყო. იგი, მაგალითად, 1827 წელს ბაგრატ ბატონიშვილის შვილისადმი წერდა: მე მთხოვ-

ნელი ვარ, რათა „ძველად მომდინარე მეფობა თქვენი განახლდესო“. ხოლო ამის შემდეგ მას მოსკოვში და თბილისში მსგავსს საკითხებზე ხშირად ესაუბრებოდა. არ ჩანს, რომ სოლ. დოდაშვილი მაშინ ვინმეს ამ საკითხზე ეკამათებოდეს. მაგრამ ეს მაშინ იყო, როცა მისი პოლიტიკური შეხედულებები ჯერ კიდევ საბოლოოდ არ იყო ჩამოყალიბებული. ხოლო შემდეგ კი იგი საბოლოოდ ჩამოყალიბდა, დოდაშვილი ბოლოს და ბოლოს დარწმუნდა, რომ თვითმპყრობელურ მმართველობას რესპუბლიკური მმართველობა სჯობია:

ასეთია სოლ. დოდაშვილის რესპუბლიკური შეხედულება. იგი იმთავითვე რესპუბლიკელი არაა — ჯერ მეფობის მომხრეა, შემდეგ კი რესპუბლიკის უპირატესობას აღიარებს. სოლ. დოდაშვილი თვითმპყრობელობასთან შედარებით უპირატესობას რესპუბლიკურ მმართველობას ანიჭებს, იგი რესპუბლიკელია.

\* \* \*

დასასრულ, შევხვით სოლ. დოდაშვილის დამოკიდებულებას 1832 წლის შეთქმულებასთან.

როგორც ცნობილია, 1832 წელს თბილისში აღმოჩენილ იქნა შეთქმულება, რომლის მონაწილე სოლ. დოდაშვილიც იყო. ამ გარემოების გამო 1832 წლის 10—11 დეკემბერს იგი დააპატიმრეს და პასუხისგებაში მისცეს.

სოლ. დოდაშვილი დაპატიმრებულ იქნა იასე ფალანდიშვილის დასმენით. ხოლო საქართველოში მთავარმმართველად მაშინ ბარონ როზენი იყო.

დასმენაში განსაკუთრებული ყურადღება თავდაპირველად იმასაც მიუქცევია, რომ ი. ფალანდიშვილი წერდა: მიმდინარე წლის აგვისტოში მე დაპატიმრე-



ბული ვიყავი მასწავლებელ სოლ. დოდაშვილთან, სადაც მისმა ამხანაგმა ანტონ აფხაზმა წვეულება გამართა და აჯანყების შესახებ იყო საუბარიო<sup>1</sup>. როზენს ა. აფხაზი მაშინვე დაუბარებია და აღნიშნულის სისწორეში დარწმუნებულა. შემდეგ შეთქმულთა დაპატიმრება დაუწყია. დაუპატიმრებიათ ჯერ ა. აფხაზი, თვით ი. ფალავანდიშვილიც (ეს მისი თხოვნით მომხდარა, რაც მიზნად ისახავდა მისი გამცემლობის დაფარვას), შემდეგ სოლ. დოდაშვილი და სხვები. დოდაშვილს ჩვენება იმ დღესვე ჩამოერთვა. ასე დაიწყო 1832 წლის შეთქმულებაში სოლ. დოდაშვილის მონაწილეობის გამოძიება.

დაპატიმრების დროს სოლ. დოდაშვილს მრავალი საბუთი და ხელნაწერი ჩამოართვეს, ისინი შეისწავლეს, ზოგი მათგანი საგამომძიებლო საქმეს დაურთეს. ზოგი ცალკე აკინძეს (განსაკუთრებით შეინახეს) და ნაწილიც ოჯახს უკან დაუბრუნეს. სხვათა შორის, სოლ. დოდაშვილის ბინიდან მაშინ ორი ზანდუკი ხელნაწერი წაწოულიათ, რომელთაგან უამრავი რამ სამუდამოდ დაიკარგა. ასევე დაიკარგა, მაგალითად, ალ. ქავჭავაძის დაპატიმრების დროს წამოღებული მეტად საინტერესო შრომაც „ისტორიული წერილები აფხაზეთის შესახებ“ და სხვ.

სოლ. დოდაშვილს საგამომძიებლო კომისია ბევრს ეკითხებოდა. თითქმის არაა საკითხი, რომლის გარშემო განმარტება არ მოეთხოვოთ მისგან. ეს იმიტომ, რომ იგი თავისი საქმიანობით სხვებისაგან განსხვავდებოდა, უფრო ლიტერატურული ხასიათის მუშაობას ეწეოდა.

<sup>1</sup> ესაა, ფონდი 1457, რვ. I, ფ. 3—12; გ. გოხალიშვილი, დას. წიგ., გვ. 130—138.

სოლ. დოდაშვილის მონაწილეობა შეთქმულებაში მალე დადასტურდა. ამიტომ მას ციხეში მძიმე დღეები ელოდა, იქ მის მთავარ მოკავშირედ სიფრთხილე და მოთმინება რჩებოდა.

გამოძიება მძიმე პირობებში მიმდინარეობდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შეთქმულების საქმის გამოსარკვევად პეტერბურგიდან თბილისში გენერალი ჩევეკინი გამოგზავნეს. ამის შესახებ, მაგალითად, დიმ. ყიფიანი წერს: ჩევეკინის „თავმჯდომარეობით კომისიაში დამყარდა ახალი წესი... ხან ერთს გაიყვანდნენ კამერიდან, ხან მეორეს და ცალკე დაგვამწყვევდნენ, ცარიელ ხმელ პურზე, ერთი დღით... კი არა, მთელი კვირისაობით და თვეობითაც“<sup>1</sup>. ხოლო მეორე დაპატიმრებული ამბობდა: მე ისე ცუდად მეპყრობიან, რომ ესპანეთის ინკვიზიცია მომაგონდაო. ყველაზე ცუდად მაინც სოლ. დოდაშვილს ექცეოდნენ, მისი ნახვის საშუალებას ნათესავებიდან არავის არ აძლევდნენ.

შეთქმულებაში სოლ. დოდაშვილის მონაწილეობის პირველ მამხილებელ საბუთად მიჩნეულია ის დოკუმენტი, რომელიც მან წერილის სახით 1826 წლის 20 დეკემბერს პეტერბურგიდან ნიენი-ნოვგოროდში ფილ. კიკნაძეს გაუგზავნა. მაგრამ ახლა მტკიცდება, რომ ეს წერილი 1832 წლის შეთქმულების საქმეს არ ეხება.

ამ წერილთან დაკავშირებით პროფ. გ. გოზალიშვილი ამბობდა: მოხსენებული წერილიდან ჩანს, რომ 1826 წელს

---

<sup>1</sup> დიმ. ყიფიანი, მემუარები, 1930 წ., გვ. 132.

„პეტერბურგში ზყოფ ქართველთა შორის შეთქმუ-  
ლების უჯრედი უკვე ჩასახულა და, რაც უფრო  
საინტერესოა, საქართველოში ამგვარი ამბის მოლოდინ-  
ში ყოფილანო“<sup>1</sup>.

ამის შემდეგ ყველა ამ აზრს იმეორებს. მაგრამ ასეთი  
დასკვნა წარმომდგარია წერილის მცდარად წაკითხვის  
ნიადაგზე.

აღნიშნული წერილი პირველად იპოვნეს 1833 წელს  
ფილ. კიკნაძის დაპატიმრებასთან დაკავშირებით. იგი,  
როგორც ჩანს, თავის დროზე ფილ. კიკნაძეს ნიენი-  
ნოვგოროდში მიუღია და შემდეგ საქართველოში თან  
წამოუღია. წერილი საგამომძიებლო კომისიამაც შეის-  
წავლა, მაგრამ შიგ საშეთქმულებო ვერაფერი იპოვა  
და, ისე, ცალკე შეინახა.

პროფ. გ. გოხალიშვილი აღნიშნულ წერილს შემდეგნა-  
ირად კითხულობს: „მამაო ფილადელფოს...—სწერს  
დოდაშვილი პეტერბურგიდან,—მე მსურდა შეერთება  
აზმნობისა ჩემისა უმეტეს თქვენდამი... ტფილისში მალა-  
ლი საკეთილშობილო სასწავლებელი გაიხსნება 1827  
(წელს), უნივერსიტეტის მზრუნველმა წარმადგინა  
მინისტრთან განათლებისა უფროს მასწავლებლად ფილო-  
სოფიისა და რიტორებისა რუსულს ენაზედ, უკეთუ  
ღმერთი ინებებს, იქნებ მინისტრმა წარმგზავნოს ტფი-  
ლისად, მე კი ჯერეთ არა მსურს წასვლა; ჩემ კერძო  
არა სასიამოვნო არს თქვენი აქ დაახლოება, მე ვაზ-  
მნობდი სხვასა რაისამე, და ოდეს მთავრობასთან  
სრულეჰყოფ, მაშინ ძალმიძს ცნობად თქვენდა, რ ო მე-

<sup>1</sup> გ. გოხალიშვილი, დას. წიგ., გვ. 18.

ლი აწცა გაქვს იგივე (ხაზი ჩვენია.—მ. გ.) და მსურდა თქვენი მყოფობა ამის მიზეზისათვის საქართველოსა შინა, არა შესახებლად მისსა, სადაცა მე მაწესებენ, არამედ სხვაი აზმნობა არს სარგებლად მამულისა<sup>1</sup>.

ამ წერილში უურადლება მახვილდება სიტყვებზე— „სხვაი აზმნობა არს სარგებლად მამულისა“, და ეს მიაჩნიათ იმის უტყუარ საფუძვლად, რომ სოლ. დოდაშვილი შეთქმულების წევრად 1826 წლიდან გამოცხადდეს.

წერილის სწორად გაგებისათვის ჯერ უნდა შევჩერდეთ ჩვენს მიერ ხაზგასმულ სიტყვებზე— „რომელი აწცა გაქვს იგივე“-ზე.

მართალია, პროფ. გ. გოზალიშვილი არ მიუთითებს, თუ წერილის რა ადგილზე დაყრდნობით უნდა დავასკვნათ, როგორც ის ამბობს—1826 წელს შეთქმულების მოლოდინი საქართველოშიც ჰქონიათო,—მაგრამ, ცხადია, ავტორი სწორედ ამ ადგილს ემყარება, ვინაიდან აქ იგულისხმება, რომ ფილ. კიკნაძე საქართველოდან იყო ნიქნი-ნოვგოროდში ჩასული. მართლაც, ჩვენ ვიცით, რომ ფილ. კიკნაძე ნიქნი-ნოვგოროდში სწორედ საქართველოდან ჩავიდა. მაგრამ თვით წერილის დედანში ჩვენს მიერ ხაზგასმული სიტყვები სხვაგვარად იკითხება, იქ სხვა რამ წერია; იქ „რომელი აწცა გაქვს იგივე“ არ წერია, იქ იკითხება: „რომელი აწცა მაქვს იგივე<sup>2</sup>“. მაშასადამე, სოლ. დოდაშვილი აქ საქართვე-

<sup>1</sup> გ. გოზალიშვილი, დას. წიგ., გვ. 18.

<sup>2</sup> ცხსა, განს. მნიშ. ს. ფ., საქ. 170, გვ. 66—67.

ლოდან ჩამოსულ ფილ. კიკნაძეს კი არ გულისხმობს, არამედ მხოლოდ თავის საკუთარ თავზე ლაპარაკობს. ამიტომაც, რაკი ბარათი იმთავითვე სწორად არ იყო ამოკითხული, იგი ადამიანზე მეტად ბუნდოვან და გაუგებარ შთაბეჭდილებას ტოვებდა. მკითხველი ვერ არკვევდა, თუ რას გულისხმობდა სოლ. დოდაშვილი, როცა ამბობდა, ფილ. კიკნაძის ყოფნა ჩემთვის საქართველოში უფროა საჭირო, ვინემ ნიჟინი-ნოვგოროდშიო, წერილის სწორად ამოკითხვა და ამასთანავე იმის გათვალისწინება, თუ სოლ. დოდაშვილი პეტერბურგში 1826 წელს რა საქმიანობას ეწეოდა, გვაძლევს სწორ და ნათელ წარმოდგენას ამ ბარათის შინაარსზე.

ბარათი, რასაკვირველია, ვერ გაიგება, თუ ჩვენ არ ვიცით 1826 წლის დეკემბერს პეტერბურგში სოლ. დოდაშვილი რას „აზმნობდა“, რას საქმიანობდა, რაც, მისი აზრით, სასარგებლო იყო მამულისათვის. ბარათი უნებლიეთ ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს იგი შეთქმულებას უნდა ეხებოდეს. მაგრამ გულდასმითი დაკვირვების შედეგად სულ სხვა რამ ხდება ცხადი. ცხადი ხდება ის, რომ ბარათის ავტორი თავის „აზმნობას“ მთავრობის თანხმობას უკავშირებს. იგი ხომ სრულიად გარკვევით სწერს ფილ. კიკნაძეს: „მე ვაზმნობდი სხვა რაისამე და ოდეს მთავრობასთან სრულ ვყოფ“, მაშინ გაცნობებო. ხოლო მთავრობასთან საშეთქმულებო საქმის შეთანხმება, რა თქმა უნდა, უაზრობა იყო. ამიტომ ამ ბარათში „ბოროტ-განზრახულებაზე“ არ უნდა ყოფილიყო ლაპარაკი.

წერილში მოხსენებული „აზმნობა“, რომელიც სასარგებლოა მამულისათვის, გულისხმობს პეტერბურგში

სოლ. დოდაშვილის საქმიანობას მის მიერ დაწერილი „ლოგიკის“ გამოსაცემად. ამიტომაც არის, რომ იგი თავის „აზმნობას“ მთავრობასთან ათანხმებს. მართლაც, ჩვენ ვიცით, რომ სოლ. დოდაშვილი 1826 წელს ამთავრებს „ლოგიკის“ წერას და იწყებს მისი დაბეჭდვისათვის ზრუნვას. ხოლო ერთ დოკუმენტში, რომელსაც ახლა გავეცნობით, აშკარად დავინახავთ, თუ რას ფიქრობდა სოლ. დოდაშვილი 1826 წლის დეკემბერში თავისი „ლოგიკის“ გამო პეტერბურგში. მას, როგორც ახლა დასტურდება, მაშინ პეტერბურგში მიუმართავს მთავარ საცენზურო კომიტეტისათვის და უთხოვია „ლოგიკის“ გამოცემის ნებართვა. აი, თავის თხოვნაში იგი მაშინ რას წერდა: წარმოგიდგენთ რა ჩემ მიერ დაწერილ „ლოგიკას“, ნაწ. I, გთხოვთ ნება დამართოთ, რომ იგი 1200 ეგზემპლარად დავბეჭდოო<sup>1</sup>. თხოვნა დაწერილი იყო 1826 წლის 18 დეკემბერს.

მაშასადამე, ეს თხოვნა გვამცნობს პეტერბურგში საცენზურო კომიტეტში დოდაშვილის მიერ „ლოგიკის“ წარდგენას. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის განსაკუთრებულ ყურადღებას თხოვნის დაწერის თარიღი იქცევა. თხოვნა დაწერილია 1826 წლის 18 დეკემბერს, ე. ი. სწორედ ორი დღით ადრე, სანამ სოლ. დოდაშვილი თავისი წერილით ფილ. კიკნაძეს აუწყებდა: თბილისში მალე სასწავლებელი გაიხსნება, მე იქ მასწავლებლად წარმადგინეს, მაგრამ ჯერ წასვლა არ მსურს, ვინაიდან „ვაზმნობდი სხვაი რაიმესაო“, ე. ი. ესაქმობ, ვზრუნავ „ლოგიკის“ გამოცემაზე და „ოდეს

<sup>1</sup> ЦГИАЛ, ფონდი 777, აღ. 1, საქ. 502.

მთავრობასთან სრულ ვყოფ“ ანუ საცენზურო კომიტეტისაგან დაბეჭდვის ნებართვას მივიღებ, აი მაშინ ამას გაცნობებ; მაგრამ საქართველოში თქვენი ყოფნა მინდოდა, — განაგრძობს ავტორი, — არა სასწავლებელში ჩემი საქმიანობისათვის, არამედ „სხვაი აზმნობა არს სარგებლად მამულისა“, ე. ი. მამულისათვის მასწავლებლობაზე უფრო სასარგებლოა წიგნების წერა, გავრცელება და ამ საქმეში თქვენი დახმარება მინდოდაო.

ამგვარად, სოლ. დოდაშვილის 1826 წლის 20 დეკემბრის წერილი შეთქმულების საქმეს არ ეხება. იგი ვერ გამოდგება შეთქმულებაში სოლ. დოდაშვილის ადრეული კვალის დადგენისათვის. დოდაშვილი შეთქმულების წევრი 1826 წლიდან არ იყო.

სოლ. დოდაშვილს შეთქმულების წევრებისაგან საშეთქმულებო საუბარი პირველად 1827 წლიდან ესმის. მოსკოვში თამარ ბატონიშვილი სოლომონს აძლევს მითითებას, რომ მან თავის მოწაფეებს სამშობლოს სიყვარული ჩაუნერგოს, ეცადოს არ დაივიწყონ ქართველი ბატონიშვილები და საქართველოს ისტორია იკითხონ, შეიძლება საქართველოში ბატონიშვილები ძველი უფლებებით დაბრუნდნენ<sup>1</sup>; ხოლო თბილისში ამავე წელს, როცა მასთან ბინად აღ. ჩოლოყაშვილი იდგა, მან შეიტყო, რომ პეტერბურგში დიმ. ბატონიშვილი, სოლ. რაზმაძე და აღ. ჩოლოყაშვილი ხშირად ხვდებიან ერთმანეთს და ოცნებობენ „о волюности“<sup>2</sup>. მაგრამ,

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 1457, რვ. III, ფ. 388.

<sup>2</sup> იგივე ფონდი, რვ. XI, ფ. 1938.

როგორც ჩანს, სოლ. დოდაშვილმა ჯერ კიდევ არ იცის, რომ შეთქმულება არსებობს.

1830 წლიდან კი სოლ. დოდაშვილი აშკარად შეთქმულების ორგანიზაციის წევრია.

საშეთქმულებო მოძრაობაში ბევრი პირი იყო ჩაბმული.

შეთქმულების წევრები ერთმანეთთან იკრიბებოდნენ და სხვადასხვა საკითხზე მსჯელობდნენ. ისინი ეძიებდნენ გზებსა და საშუალებებს თავიანთი აზრების გავრცელებისათვის და რაზმადნენ ძალებს აჯანყების გეგმის სისრულეში მოსაყვანად. შეთქმულნი მსჯელობდნენ საქართველოს შინაგანი და უცხოური ძალების დარაზმვის, აჯანყებაში გლეხთა მონაწილეობის, საქართველოში ნიკოლოზ I დაბანაკებული ჯარის მოსყიდვამობირების, თბილისის მოსახლეობის ამბოხების, მოდასეთა მომრავლების, ფულადი სახსრების შოვნის, განათლების საშუალებით შეთქმულთა იდეების გავრცელების, აჯანყების დროს საქართველოს გეოგრაფიული ხელსაყრელობის გამოყენების, დეკაბრისტთა და პოლონელთა აჯანყების გამოცდილების გათვალისწინების, საქართველოს მომავალი მმართველობის ხასიათისა და სხვათა შესახებ. შეთქმულების მომწყობნი და ხელმძღვანელები იყვნენ ქართველი ბატონიშვილები, მაგალითად, ფარნაოზი, ოქროპირი, დიმიტრი და ქართველი თავადაზნაურობის წარმომადგენლები: ალ. ორბელიანი, ელ. ერისთავი, ზ. ჩოლოყაშვილი, დიმ. ერისთავი, ი. ფალავეანიშვილი და სხვ. შეთქმულთ რამდენჯერმე დააპირეს აჯანყების მოწყობა.



შეთქმულებმა 1832 წელს საბოლოოდ შეიმუშავეს აჯანყების გეგმა, რომელსაც უწოდეს „აჯანყების პირველი ღამის განკარგულება“, ასევე შეიმუშავეს ახალი მმართველობის პროექტიც.

„აჯანყების პირველი ღამის განკარგულებით“, ამბობენ უნდა დაწყებულიყო თბილისში, აჯანყებულთ უნდა დაეკავებიათ არსენალი, ციხე, ხაზინა, ყაზარმები და სხვ.. საამისოდ გამოყოფილი იყო სათანადო რაზმები, რომელთაც ხელმძღვანელებად შეთქმულნი ჰყავდათ; დანარჩენები უნდა შეკრებილიყვნენ „თათრის მოედანზე“ და საჭიროებისამებრ რაზმებს უნდა დახმარებოდნენ; აჯანყებისათვის მხარი უნდა დაეჭირა თბილისის მოსახლეობას, სამღვდლოება აქტიურად უნდა ამოქმედებულიყო; აჯანყება უნდა დაეწყოთ ღამით, ხოლო ამ დროს ცალკე წვეულებაზე დაპატიჟებული იქნებოდნენ საქართველოს მთავარმმართველი და გენერლები. ღამის პირველ საათზე ნიშნის მიღების შემდეგ უნდა დაეწყოთ წვეულებაზე მყოფი გენერლებისა და სხვა „ჩინოვნიკთა“ ხოცვა. ასე უნდა დაწყებულიყო აჯანყება, რომლის სხვადასხვა მომენტი გათვალისწინებულია „აჯანყების პირველი ღამის განკარგულებაში“.

რაც შეეხება საქართველოს მმართველობის პროექტს, იგი ვარაუდობდა მეფეს (ალ. ბატონიშვილი), სამხედრო მინისტრს (ალ. ჭავჭავაძე), იუსტიციის მინისტრს (მუხრან-ბატონი), ფინანსთა მინისტრს (ნიკ. ფალავანდიშვილი), შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრს (ი. კილაშვილი) და საგარეო საქმეთა მინისტრს (ვ. ბებუთაშვილი). ასევე ივარაუდებოდა მმართველობის პალატა დეპუტატებისაგან.

აჯანყების ვადად პირველად დანიშნული იყო 1832 წლის 20 ნოემბერი. 20 ნოემბერი იმიტომ, რომ ამ დღეს თბილისში უნდა შემდგარიყო თავადაზნაურობის მორიგი ყრილობა, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ იმართებოდა. ყრილობის მოწვევა გადაიდო 6 დეკემბრისათვის, ამიტომ აჯანყების ვადაც ამ დღისათვის გადაიწია; მაგრამ ყრილობა ახლაც გადაიდო, იგი გადაიდო 20 დეკემბრისათვის. ამის გამო შეთქმულებმა აჯანყების დღეც გადასწიეს, აჯანყების დღედ დანიშნეს 20 დეკემბერი.

მაგრამ როგორც უკვე ვთქვით, 9 დეკემბერს შეთქმულება ი. ფალავანდიშვილმა გასცა. შეთქმულნი დააპატიმრეს.

სოლ. დოდაშვილის მონაწილეობა შეთქმულებაში იმით გამოიხატა, რომ იგი ესწრებოდა მოდასეთა კრებებს, შეთქმულთა მითითებით დასწერა ლექსი „მანისი“ და პროკლამაცია, ავრცელებდა საშეთქმულებო აზრებს მოწაფეთა შორის და ეურნალში. ასევე იგი იცნობდა „აქტი გონიურს“, რომლის შესახებ, მაგალითად, გ. დ. ერისთავი ამბობდა: „შარშან აქ გარდაიცვალა ბიძაჩემი კაპიტანი ჩოლოყაყევი, მაშინ მე გავაცილე მისი გვამი კახეთში, სადაც დავერჩი მამიდაჩემთან. ექვსი დღის შემდეგ მიცვალებულის წირვა იყო, სადაც მოწვეულნი იყვნენ ყველა თავადაზნაურნი კახეთისა და აგრეთვე სამღვდლოება. შუა მთის ბერებს შორის იყო ერთი ფილადელფოს კიკნაძე, რომელსაც აქებდნენ როგორც ქართული ენის კარგად მცოდნეს. მე ძალიან ვცდილობდი გამეცნო იგი; მით უმეტეს რომ ბავშვობიდანვე სურვილი მქონდა კარგად შემესწავლა ქართუ-

ლი. ხსენებული ბერი იქ სამ დღეს დარჩა და ჩემთან ერთად იყო ერთ ოთახში და სხვადასხვა რამეებზე მელაპარაკებოდა. მე მალე შეენიშნე, რომ მან მართლაც კარგად იცოდა ქართული ენა და ვცდილობდი, დავახლოებოდი მას. მესამე დღეს ის წავიდა. ორი კვირის შემდეგ დანიშნული იყო კვლავ მიცვალებულის წირვა და მოწვეული იყვნენ თავად-აზნაურნი და სამღვდლოება, სადაც ისიც მოვიდა და ხუთი თუ ექვსი დღე დარჩა. ვილაპარაკეთ სხვადასხვა რამეებზე და, სხვათა შორის, აღმითქვა, რომ, თუ როგორმე ტფილისში გამოუშვებდნენ, იქ ჩემთან დარჩებოდა და მეტაფიზიკას შემასწავლიდა და ასე გაგრძელდა ჩვენი ბაასი.

ის ჩიოდა, რომ ჩვენში განათლებას არ ეტანებიანო, მე მივუგე, ჩვენს შორის იმდენი შუღლია, რომ განათლებისათვის ვერ ვიცლით-მეთქი. მაშინ მან მიპასუხა, ნუთუ არ შეიძლება ისეთი საშუალებების გამოძებნა. რომ ეს უაზრო შუღლი მოვსპოთო. მე ვუთხარი, ვიდრე მთელი ახალგაზრდობა განათლებას არ მიიღებს და არ დამყარდება მათ შორის სიყვარული, იქამდე არავითარი საშუალებებით არ შეიძლება ამის მოსპობა-მეთქი. მაშინ მან ამოიოხრა და თქვა, მე რომ გიმნაზიაში ვიყო მასწავლებლად, მრავალ სიკეთეს ჩაუფნერგავდი ახალგაზრდა მოსწავლეებს... ნეტავი, თუ შეიძლება ვიშოვო ეს ადგილიო... დავიწყეთ ისევე ბაასი. მან მითხრა ბევრი თხზულებები მაქვსო და, სხვათა შორის, თქვა, რომ ერთნაირი ანბანი შევადგინე, რომლის წერაც ძალიან ადვილია და ჩვენს ხუცურს მიაგავსო, რომელიც მან მე დამიწერა, ეხლა ყველა ასოები კარგად აღარ მახსოვს... ამის შემდეგ მითხრა, რომ ერთი

საშუალება მოვიგონეო; მე შევთხზავ ერთ რამეს, რომლის საშუალებითაც თქვენ შეგიძლიანთ მოიძიოთ მეგობრები და მოიპოვოთ მეგობრული სიყვარულიო. შემდეგ ის წავიდა. ორმოცი დღის შემდეგ ისეთივე წირვა და წესი იყო, ისიც კვლავ მოვიდა და თქვა, რომ მან ის უკვე შეთხზა და, როდესაც მე ტფილისში გავემგზავრები, თუ შევივლი მასთან, გადმომცემს მოხსენებულ თხზულებას. მე კახეთში დავრჩი გაზაფხულამდის და მერე გავემგზავრე ტფილისს ახელ ჩოლოყაევთან ერთად შევიარეთ მონასტერში... მე კიკნაძესთან შევედი, ჩოლოყაევი კი თავის ძმასთან. მაშინ კიკნაძემ წამიკითხა ხსენებული თხზულება, რომელიც მე ძლიერ მომეწონა, თუმცა იგი საწინააღმდეგოს არაფერს შეიცავდა, მაგრამ მოქმედება კი საიდუმლოებით იყო მოცული... ეხლა თქვენ გეჩქარებათ, ნულარ დაიგვიანებთ, თქვენთან ბევრი ლაპარაკი არ შეიძლებაო, მხოლოდ ეს წაუკითხეთ თქვენს მეგობრებს და ვისაც წაუკითხოთ, მე მომწერეთ და ისიც შემატყობინეთ, ისინი რას იტყვიანო. მერე შევედით ჩოლოყაევ ბერთან, ვისაუზმეთ და მე და ახელ ჩოლოყაევი ისევ გზას გავუდექით. აქ რომ ჩამოვედით, პირველად წავუკითხე ყიფიანოვს და ავთანდილოვს, შერდეგ კი ყველა ჩემს ამხანაგებს. დოდაევი მა მთხოვა ის და მას გადაეცეცი<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 1457, რვ. III. ფ. 380—332; გ. გოხალისვილი, დას. წიგ., გვ. 247—248.

1832 წლის შეთქმულების მონაწილენი იყო, მრავალ-  
თა შორის, აგრეთვე იმდროინდელი ყველა საუკეთესო  
ქართველი მოღვაწე: ცნობილი მწერალი ალ. ქავჭავაძე,  
სახელმოხვეჭილი პოეტი გრ. ორბელიანი, ქართული  
თეატრის ფუძემდებელი გ. დ. ერისთავი, საზოგადო  
მოღვაწე დიმ. ყიფიანი, პოეტი ვახ. ორბელიანი, პოეტი  
სოლ. რაზმაძე და სხვ. ამიტომ მათ შორის სოლ. დოდა-  
შვილის ყოფნა გაუგებარი არ არის.

სოლ. დოდაშვილი შეთქმულების წევრი გახადეს  
ოქროპირ ბატონიშვილმა და ელ. ერისთავმა. ამის  
შემდეგ იგი თანდათანობით სხვა შეთქმულთაც გაეცნო.

1832 წლის შეთქმულებაში სოლ. დოდაშვილის მონა-  
წილეობა არ არის ერთფეროვანი, არამედ იგი მიიმარ-  
თება იმ ხაზით, რომ დოდაშვილი მოდასეებთან იდეური  
ბრძოლისა და შინაგანი კიდილის შედეგად შეთქმულე-  
ბას ბოლოს და ბოლოს თავს ორჯერ ანებებს. საბო-  
ლოოდ დოდაშვილი შეთქმულებას კიდევ ჩამოშორდა.

სოლ. დოდაშვილს შეთქმულების წევრებთან აკაე-  
შირებდა, ჯერ ერთი ის, რომ იგი ერთხანად განიცდი-  
და ბატონიშვილთა გავლენას; მეორე—ამხანაგებთან  
ღრმა სიყვარულით იყო დაკავშირებული, ხოლო ზოგ-  
ჯერ შეთქმულთ თავი დააშინებინა; მესამე—ბრძოლა,  
ქართული ენის განვითარებისათვის, ქართული პრესის  
შექმნისათვის, საქართველოში განათლების გავრცე-  
ლებისათვის, თვითმპყრობელობის მოხელეთა ცუდი  
მოქმედება და სხვ.

სამაგიეროდ, სოლ. დოდაშვილს შეთქმულებისაგან  
სთიშავდა აზრთა უთანხმოება პოლიტიკური მართვის  
ფორმისა და სოციალურ საკითხებზე.

შინაგანი ბრძოლა, რომელიც სოლ. დოდაშვილში მიმდინარეობდა, რთული და მწვავე იყო. დოდაშვილმა შეთქმულებას თავი დაანება როგორც რესპუბლიკელმა.

1832 წლის შეთქმულება დიდხანს მზადდებოდა. მისმა ტალღებმა ჩაითრია იმდროინდელი ქართველი საზოგადოების სხვადასხვა ნაწილი, მასში ერთფეროვნება არ იყო.

შეთქმულებაში ვხვდებით სხვადასხვა დასს. აქ არ არის ერთიანობა სოციალური საკითხის თაობაზე, ერთიანობა ბრძოლის ხერხებზე, ერთიანობა მომავალი საქართველოს ბედზე და სხვ.. მაგრამ შეთქმულთა აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოში ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენის მომხრე იყო.

საქართველოში ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენა ფუქ ოცნებას წარმოადგენდა; მას მომავალი არ ჰქონდა; იგი ხალხის ნება-სურვილს ეწინააღმდეგებოდა.

შეთქმულება მოაწყვეს ქართველმა ბატონიშვილებმა და თავადაზნაურობამ. თავადაზნაურული კლასი მისტიროდა იმ უფლებათა და პრივილეგიათა დაკარგვას, რაც მათ ქართველი მეფეების დროს ჰქონდათ. მათ უნდოდათ თავიანთ უფლებათა აღდგენა. მაგრამ ეს სოლ. დოდაშვილისათვის მიუღებელი იყო. სოლ. დოდაშვილი არაერთხელ აღნიშნავდა, რომ მას თავადებისაგან სშირად სმენია უკმაყოფილება დაკარგულ პრივილეგიათა გამო. მაგალითად, ერისთავებისაგან მას სმენია დიდი უკმაყოფილება ოსეთის ჩამორთმევის გამო და სხვ.. სოლ. დოდაშვილი არაერთგან ამბობს,

რომ შეთქმულება ქართველმა ბატონიშვილებმა და თავადებმა მოაწყვესო.

ბატონიშვილები და მათი აგენტები ავრცელებდნენ ხმებს, რომ საქართველო შეიძლება თვით ნიკოლოზ I დაუბრუნოს მათ, ანდა, შესაძლებელია საერთაშორისო ვითარების გართულების შედეგად საქართველო ისევ მათ ერგოთ და სხვ.. ბატონიშვილები მსგავსი ილუზიებითა და სხვადასხვა ხერხებით კვებავდნენ თავიანთი დასის წევრებს.

არსებობს თუ არა რაიმე საბუთი იმის შესახებ, რომ სოლ. დოდაშვილსა და სხვა შეთქმულთა შორის წინააღმდეგობა იყო? რასაკვირველია, არსებობს. მაგალითად, ერთგან თვითონ სოლ. დოდაშვილი წერს: „В 1831 году пришли ко мне князь Александр Орбелианов и Елизабар Эрстов и просили писать побудительные речи... на мой ответ,—нельзя шутить с таким делом,—князь Елизабар Эрстов отвечал,—когда с книжалом придем к тебе и тогда откажешься? твое дело писать“<sup>1</sup>. სხვა ადგილას დოდაშვილი ამბობს: ერთი შეკრების დროს „взял я Мамацова наедине, сказал: скажите, пожалуйста, что нам с ними делать, не с ума ли сошли они, что они хотят? Он отвечал, весьма глупо судят, их урезонить нельзя. Не давали нам говорить против их“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ცხსა, ფონდი 1457, რვ. XI, ფ. 1894.

<sup>2</sup> ცხსა, ფონდი 1457, რვ. III, ფ. 389.

უნდა ითქვას, რომ თვითონ შეთქმულებმაც იცოდნენ, რომ სოლ. დოდაშვილი მათ ბევრ საკითხში არ ეთანხმებოდა. მაგალითად, როცა შედგენილ იქნა საქართველოს მმართველობის პროექტი შეთქმულებმა სოლ. დოდაშვილს ამის შესახებ არაფერი არ გაანდევს, და მის გარეშე იქნა შედგენილი ეს უაღრესად საპასუხისმგებლო დოკუმენტი. ცხადია, არ გააგებინეს იმიტომ, რომ სოლ. დოდაშვილის აზრი საქართველოს მართვის შესახებ მათ აზრს მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა.

როდის და რა მიზეზით ანებებს თავს სოლ. დოდაშვილი შეთქმულებას? იგი შეთქმულებას თავს ორჯერ ანებებს: პირველად — 1831 წლის სექტემბერში, მეორედ — 1832 წლის ნოემბერში.

1831 წელს შეთქმულთათვის სერიოზული ამბავი მოხდა. სახელდობრ ის, რომ 1831 წლის 7 სექტემბერს პოლონეთის 1830/31 წლების აჯანყება დამარცხდა, ხოლო შეთქმულნი ამ აჯანყებაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ.

როგორც ცნობილია, 1830 წელს პოლონეთში აჯანყება დაიწყო. შეთქმულებმა ეს თავიანთ სასარგებლოდ ჩათვალეს და საერთაშორისო მდგომარეობის კიდევ უფრო გართულებას ელოდნენ. მიმდინარეობდა აჯანყებისათვის სამზადისი. მაგრამ 1831 წლის 7 სექტემბერს ნიკოლოზ I ჯარებმა ვარშავა დაიკავეს და აჯანყებულ პოლონელებს გაუსწორდნენ. ყველაფერი ეს თბილისში მალე გახდა ცნობილი; ყოველაფე ამაზე თბილისში მოსულ ცენტრალურ გაზეთებშიც ბევრი ეწერა. ამიტომ, როცა თბილისში გაიგეს, რომ პოლონეთის აჯანყება



დამარცხდა, მაშინ შეთქმულებას თავი დაანება სოლ. დოდაშვილმა.

სოლ. დოდაშვილი არაერთგან უჩვენებს, რომ მან შეთქმულებას თავი დაანება 1831 წელს და სხვებსაც ენერგიულად ურჩევდა ამას<sup>1</sup>. მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ ამ ფაქტს ადასტურებენ ალ. ორბელიანი<sup>2</sup> და დიმ. ყიფიანი<sup>3</sup>.

რასაკვირველია, 1831 წელს შეთქმულებისათვის თავის დანებების მხოლოდ საბაბი იყო პოლონელების დამარცხება. ამ ფაქტმა, ცხადია, დააჩქარა ის ბრძოლა, რომელიც თვით დოდაშვილში და აგრეთვე მასსა და სხვა შეთქმულთა ურთიერთშორის მიმდინარეობდა, ვთქვათ, სოციალურსა, თუ სხვა რაიმე საკითხზე.

1832 წელს კი შეთქმულებისათვის თავის დანებების მიზეზად უკვე განსაკუთრებული სიცხადით ჩანს შეთქმულებთან სოლ. დოდაშვილის უთანხმოება სოციალურ საკითხებზე, კერძოდ, მწვავე უთანხმოება აჯანყებაში გლეხთა მონაწილეობის შესახებ.

1832 წელს შეთქმულებისათვის თავის დანებების მიზეზის შესახებ სოლ. დოდაშვილი ერთგან წერს: „Евсей Палавандов при советнике Орбеллианове и Елизбаре Эрнстове в октябре месяце (1832 წლისა.—მ. გ.)... поручил мне Кахетию, он же настаивал, чтобы я поехал туда возмутить, коему я решительно отказался

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 1457, რგ. VI, ფ. 983—985 და რგ. XIII, ფ. 2413.

<sup>2</sup> ცსსა, ფონდი 1457, რგ. XXV, ფ. 5061.

<sup>3</sup> იგივე ფონდი, რგ. XV, ფ. 2880.

и просил перестать<sup>1</sup>; სხვა ადგილას ამბობს: „До открытия заговора слишком целый месяц прошел, как я решительно отказался от одного, сие всем известно, ибо просил их оставить, уничтожить и после ужина у советника Орбелианова в первых числах ноября нигде не бывал“<sup>2</sup>.

სოლ. დოდაშვილი აღნიშნულს მრავალგან იმეორებს და ეს ცნობები სხვა მასალებთან შეთანასწორებელი სრული სიცხადით გვიჩვენებს, რომ მას შეთქმულებისათვის თავი, სახელდობრ, 1832 წლის ნოემბერში დაუნებებია. ხოლო უთანხმოების მიზეზად მაშინ სააშკარაოზე წამოქრილა საკითხი აჯანყებაში გლეხთა მონაწილეობის შესახებ.

საერთოდ მოსალოდნელ აჯანყებაში გლეხთა მონაწილეობის საკითხი შეთქმულთათვის მეტად რთული საკითხი იყო. შეთქმულნი ამაზეც მსჯელობდნენ. შეთქმულებმა იცოდნენ, რომ აჯანყების დროს შეიარაღებულ გლეხებს უნდა ემოქმედათ. მაგრამ თავდაზნაურობის კლასობრივ გაგებას აჯანყებაში გლეხთა გამოყვანის ამოსავალ წყაროდ მიაჩნდა ბატონსა და ყმას შორის არსებული ბატონყმური ურთიერთობა. თავადები ფიქრობდნენ: ბატონმა ბრძანა და ყმამ უნდა შეასრულოსო.

მართლაც, როცა შეთქმულნი ერთმანეთს ავალებდნენ, თუ ვის რამდენი გლეხი გამოეყვანა აჯანყების დროს,

<sup>1</sup> ცსა, ფონდი 1457, რვ. XIV, ფ. 4480.

<sup>2</sup> იგივე ფონდი; რვ. XXVII, ფ. 75.

ისინი იმ მოდასეს უფრო მეტი გლეხების გამოყვანას სთხოვდნენ, ვისაც მეტი ყმა ჰყავდა. მაგალითად, ამის შესახებ თავადი ორბელიანი ამბობდა: როცა ამხანაგებს შორის ჩამოვარდა საუბარი აჯანყებაში გლეხთა გამოყვანაზე, მე ვთქვი: „რა ვქნა ძმებო-მეთქი, მე დიახ, ცოტა ყმა მყავს - მეთქი და კომლზე თითო კაცს დავიბარებ-მეთქი“<sup>1</sup>.

სხვათა შორის, ერთი მხრივ, სწორედ ეს გვიხსნის იმას, თუ შეთქმულებს თავიანთ წევრად მაინცდამაინც რატომ თავადები სურთ გახადონ: ისინი ამ თავადების მეშვეობით ფიქრობენ გლეხების შოვნა-მიმხრობას<sup>2</sup>.

რასაკვირველია, შეთქმული თავადები გლეხთა აჯანყების სხვა საშუალებებსაც ეძებდნენ, მაგალითად, ისეთს, 1829 წელს გლეხთა აჯანყებას რამ შეუწყობელი და სხვა, მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ დამხმარე საშუალებებს წარმოადგენდა. მათი მსჯელობის შინაარსის საფუძველი ძირითადად ისევ და ისევ ბატონყმური ურთიერთობა იყო.

სოლ. დოდაშვილმა იცოდა, რომ გლეხობა შეთქმულებას მხარს არ დაუჭერდა, ხალხი მათ არ გაჰყვებოდა. იგი, მაგალითად, ერთგან სრული სიცხადით წერდა: დღევანდელი პირობები ყველამ იცის; საკმარისია საქართველო მარტო დარჩეს და იგი განადგურებული იქნება თურქ-ირანელ და მთიელთა მიერ; ყველა გრძნობს იმ სიწყნარესა და სიმშვიდეს, რომელიც ხალხს

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 1457, რვ. II, ფ. 303; გ. გოხალიშვილი, დას. წიგ., გვ. 236.

<sup>2</sup> მაგალითად, ერთი შეთქმული პირდაპირ წერს: მე ვფიქრობდი, რომ საკიროა პირველად თავადების მიმხრობა, რათა ხალხი იყოს მომზადებული (ცსსა, ფონდი 1457, რვ. XIX, ფ. 3691-3692).

არასოდეს არ ღირსებია; თვითონ თავადებს არაფერი არ შეუძლიათ, გლეხები კი ახლანდელ დროს აღმერთებენ, ამიტომ ისინი თავადებს არასოდეს არ გაჰყვებიან<sup>1</sup>.

და აი, როცა მისთვის გლეხთა ასაჯანყებლად კახეთს წასვლა დაუვალეზიათ, მას უარი განუცხადებია და შეთქმულებისათვის თავი მიუნებებია. წინააღმდეგობამ, რომელიც მასსა და შეთქმულებს შორის იყო, სწორედ ამ მომენტში განსაკუთრებით იჩინა თავი.

საბოლოოდ სოლ. დოდაშვილმა შეთქმულებას თავი დაანება.



---

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 1475, რე. XXVII, ფ. 71—78.

### III. სოლ. დოდაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა<sup>1</sup>

„აწინდელსა დროსა მამულისა ჩუენისათვის დიდ ფრიად საჭირო არს სწავლა“.

(სოლ. დოდაშვილი)

სოლ. დოდაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა მრავალმხრივი იყო. მან აქაც ვრცელი და რთული გზა განვლო. იგი ტრიალებდა მრავალრიცხოვან პედაგოგთა შორის, თვითონ სხვადასხვა ქალაქში მასწავლებლობდა და მრავალ საგანს ასწავლიდა.

როგორც ვიცი, სოლ. დოდაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა ადრე დაიწყო, სახელდობრ, 1822 წელს, როდესაც იგი პირველად ქ. სიღნაღში გაიგზავნა. ამის შემდეგ იგი მუდამ მასწავლებლობდა, მას მასწავლებლობა ძლიერ უყვარდა. იგი თვითონ ამბობდა, ბაგრატი ბაგრატიონის ბავშვებს რომ ვასწავლი, ეს ჩემთვის ძალიან კარგია, ვინაიდან, მასწავლებლობა „ჩემთვის სასიყვეურო და სახალისო არს, რომლითაც ვრაცხ თავსა ჩემსა ბედნიერადო“.

სიღნაღში სოლ. დოდაშვილი სამაზრო სკოლის მასწავლებლად იყო დანიშნული. იგი იქ ასწავლიდა მეორე კლასის მოწაფეებს.

<sup>1</sup> იხ. გ. თაყაიშვილი, —სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში, II, თბ., 1949 წ., გვ. 314—339, მისივე—სოლ. დოდაშვილი („სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“, კრებული I, თბ., 1953 წ.).

სიღნაღის სამაზრო სასწავლებელი იმ დროს მხოლოდ ორკლასიანი სასწავლებელი იყო. დოდაშვილი ასწავლიდა ყველა იმ საგანს, რომელიც მეორე კლასისათვის იყო განკუთვნილი, მაგალითად, ქართულ ენას, რუსულ ენას და სხვ. სოლ. დოდაშვილის დანიშვნის რეზოლუციის პირდაპირ ეწერა, რომ იგი მასწავლებლად იგზავნება სიღნაღში და ამ კლასისათვის განკუთვნილ ყველა საგანს უნდა გაუძღვესო.

სიღნაღში სოლ. დოდაშვილმა მრავალი მოწაფე გაზოზარდა, მათ შორის გ. ტალიაშვილი და სტ. დოდაშვილი, რომლებმაც შემდეგ საქართველოს ცხოვრების სხვადასხვა სფეროში აქტიური მონაწილეობა მიიღეს.

პეტერბურგში ყოფნის დროს სოლ. დოდაშვილი ისევ მასწავლებლობდა. იგი აქ რომელიმე სკოლაში არ მუშაობდა, მაგრამ სამაგიეროდ ბაგრატ ბატონიშვილის ბავშვებს ზრდიდა, მათზე ზრუნავდა და მათ მრავალ საგანს ასწავლიდა. იგი მათ ასწავლიდა ქართულ და რუსულ ენებს, გრამატიკას, არითმეტიკას, საღვთო სჯულს, საღვთო ისტორიას, მსოფლიო ისტორიასა და გეოგრაფიას.

ბაგრატ ბაგრატიონის ბავშვების აღზრდა რთული საქმე იყო, ვინაიდან ეს ბავშვები ქირვეულობდნენ, მასწავლებლის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე თავის არიდებას ცდილობდნენ და ერთ-ერთმა, დავითმა, ქართული ენა სრულიად არ იცოდა. დოდაშვილმა ამ ბავშვებს დიდი ამაგი დასდო, ასწავლიდა მონღოლებით და გულისხმობდა. ერთხელ, თურმე, ბავშვებმა მამასთანაც კი უჩივეს: ძალიან ბევრს გვამაცადინებსო. ხოლო ამპარტავანმა ბატონიშვილმა სოლომონს ამის გამო განუცხადა: ბავშვებს ნუ მიხოცავო.

პეტერბურგში ყოფნის დროს სოლ. დოდაშვილს მასწავლებლობისათვის თავი არ დაუწებებია. მაგალითად, 1825 წელს სოლ. დოდაშვილის მასწავლებლობის შესახებ პეტერბურგიდან მოსკოვში ი. ხელაშვილი სწერდა: „სოლომონ დოდაევი თვისსა მამულის ენასა ასწავლებს... ბაგრატიის შვილებსა, ქართულ ღრამატიკასა და ეგრეთვე კნინლა და სხვათა ენებსა და რუსულსა. უმეტესსო“<sup>1</sup>. სოლ. დოდაშვილი თავისი შრომის შედეგების შესახებ 1827 წლის მარტში გვაუწყებს: „უფროსსა შვილსა მათსა ვასწავლე რუსული ღრამატიკა, ქართული (ღრამატიკა), არითმეტიკა, ქსჯული ღვთისა ანუ კატეხიზმო, საღმთო ისტორია და აგრეთვე რაოდენიმე მსოფლიო ისტორია და ღეოგრაფია, საშუალოსა და უნცროსსა საეკლესიო და სამოქალაქო კითხვა რუსული და ქართული, ეგრეთვე ასოების დასხმა“<sup>2</sup>.

1827—1832 წლებში სოლ. დოდაშვილი მასწავლებლობდა თბილისში. ეს პერიოდი უკვე განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მის პედაგოგიურ მოღვაწეობაში.

1827 წელს თბილისში არსებობდა მხოლოდ ერთი საერო სასწავლებელი, — თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი, რომელიც 1830 წელს გიმნაზიად გადაკეთდა. სოლ. დოდაშვილი ყველაზე ხანგრძლივად სწორედ აქ მასწავლებლობდა.

თბილისის გიმნაზიას საგულისხმო ისტორია აქვს. ამ სასწავლებელში გამოიზარდა საქართველოს იმდროინ-

<sup>1</sup> S, 1532, გვ. 12—13.

<sup>2</sup> H, 222<sup>r</sup>, ფ. 330; „მას. საქ. და კავ. ისტ.“, თბ., 1945 წ., ნაკვ. II, გვ. 80—81.

დელი მრავალი გამოჩენილი მოღვაწე, აქ მუშაობდნენ მოწინავე მასწავლებლები, ითარგმნებოდა და იწერებოდა სახელმძღვანელოები. მაშინ საქართველოში ამაზე უკეთესი სკოლა არსად არ იყო; ყველაზე საუკეთესო ძალები სწორედ აქ მასწავლებლობდნენ და აქვე იყვნენ საუკეთესო მოწაფეებიც.

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი 1802 წელს დაარსდა, მაგრამ 1829 წელს დამტკიცებული დებულებით იგი გიმნაზიად გადაკეთდა, რომელიც 1830 წელს კიდევ გაიხსნა. სოლ. დოდაშვილის დროს აქ ღირეჟიტორობდნენ: ჯერ შიპულინი, შემდეგ გრუბერი. მასწავლებლებად კი იყვნენ: ეფ. ალექსიშვილი, დიმ. ყიფიანი, ზ. ავთანდილაშვილი, მანასეინი, დემენტევი, იაროსლავსკი, არლუთინსკი და სხვ.. გიმნაზიაში ასწავლიდნენ მრავალ საგანს, მაგალითად: ქართულ ენასა და სიტყვიერებას, რუსულ ენასა და სიტყვიერებას, ისტორიას, გეოგრაფიას, არითმეტიკას, ალგებრას, გეომეტრიას, გეოდეზიას, საღვთო სჯულს, ცეკვას, ხატვას და სხვ.. ჯგუფიდან ჯგუფში გადაყვანის დროს ეწყობოდა საჯარო აქტები, რომლის დროსაც სკოლის მასწავლებელთა და მმართველობის დაწესებულებების წევრთა გარდა, ესწრებოდნენ გარეშენიც. წარჩინებულ მოწაფეებს ამ დროს აჯილდოებდნენ და ხშირად გაზეთშიც აცხადებდნენ. გიმნაზიას ჰქონდა პანსიონი, რომელიც ხელმოკლე მოწაფეთათვის იყო განკუთვნილი. გიმნაზიას აგრეთვე ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა. სხვათა შორის, ჯერ კიდევ ადრე, იმაზეც იყო მსჯელობა, რომ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელთან სტამბაც გახსნილიყო.



სოლ. დოდაშვილი თბილისში მასწავლებლობას შეუდგა 1827 წლის 26 ივლისიდან<sup>1</sup>. ამ თანამდებობაზე იგი 1832 წლის 10 დეკემბრამდე მუშაობდა.

მართალია, სოლ. დოდაშვილი მასწავლებლობას შეუდგა 1827 წლის 26 ივლისიდან, მაგრამ იგი მასწავლებლად ირიცხებოდა 1827 წლის 28 მაისიდან. ამიტომაც იყო, რომ იგი ერთგან თავისი პედაგოგიური სტაჟის შესახებ ამბობდა: „Был учителем с 1827 года мая 28“<sup>2</sup>. საქმე ისაა, რომ სოლ. დოდაშვილი, სანამ თბილისში ჩამოვიდოდა, მანამდე იქნა დანიშნული მასწავლებლად. თბილისში მასწავლებლად იგი დანიშნა ხარკოვის უნივერსიტეტის კომიტეტმა, რომლის სასწავლო ოლქში მაშინ საქართველოს სასწავლებლებიც შედიოდა. ამის შესახებ ერთ საბუთში ვკითხულობთ: სოლ. დოდაშვილი 1827 წლის „мая 28... УЧИЛИЩНЫМ КОМИТЕ-

---

<sup>1</sup> სხვათა შორის უნდა ითქვას, რომ, როცა სოლ. დოდაშვილმა თბილისში მასწავლებლობა დაიწყო, მას ჩამოართვეს ხელწერილი იმის შესახებ, რომ იგი არ ეკუთვნოდა არც მასონურ ლოკებს და არც სხვა რაიმე საიდუმლო ორგანიზაციას (ცსსა, განს. მნიშ. ს. ფ., საქ. 171, გვ. 250; გ. გ. ზ. ლ. ი. შ. ე. ლ. ი., დას. წიგ., გვ. 110). მაგრამ ეს სოლომონის „ფარულ“ საქმიანობაზე ეკვის აღების გამო არ მომხდარა, არამედ რუსეთის იმპერიაში არსებულ სათანადო კანონს შეესაბამებოდა. 1822 წელს გამოიცა კანონი, რომელიც კრძალავდა მასონურ და სხვა საიდუმლო ორგანიზაციებს. ამასთან დაწესდა, რომ მოხელეებს ხელწერილი ჩამოართმეოდათ, სადაც აღინიშნებოდა მოხსენებული საზოგადოებისადმი მათი წარსული დამოკიდებულება და მომავალში მათში მონაწილეობის მიუღებლობა. დოდაშვილიც ამ საერთო წესს ვერ ასცდებოდა და ეს ასეც მოხდა.

<sup>2</sup> ცსსა, ფონდი 1457, რე. XXVII, ფ. 71.

том... Харьковского университета определен в Тифлисское благородное училище<sup>1</sup>.

დოდაშვილი თანამდებობით იყო უფროსი მასწავლებელი, მაგრამ „ჩინი“ ჰქონდა მხოლოდ უმცროსისა. იგი ხელფასს სწორედ ამ „ჩინის“ მიხედვით იღებდა. როგორც ჩანს, მის სოციალურ წარმოშობას მის პედაგოგიურ მოღვაწეობაშიც უჩენია თავი. უმცროსი მასწავლებლის „ჩინის“ გამო დოდაშვილს ხელფასი მცირე ჰქონდა.

თანახმად იმ დროს არსებული წესებისა, გიმნაზიის მასწავლებლები ორ კატეგორიად იყოფოდნენ: უფროს და უმცროს მასწავლებლებად. უმცროსს ენიჭებოდა X კლასის „ჩინი“ და წელიწადში ხელფასად ენიშნებოდა 1600 მანეთი ასიგნაცია, უფროს მასწავლებელს კი ეძლეოდა XI კლასის „ჩინი“ და ხელფასი ჰქონდა წელიწადში 2500 მანეთი ასიგნაციით<sup>2</sup>. მაგრამ XI კლასის „ჩინის“ მიღება უაზნოსთვის ძალიან ძნელი საქმე იყო.

სოლ. დოდაშვილი ერთგან წერს, რომ მას აქვს X კლასის „ჩინი“ და წელიწადში მხოლოდ 1600 მანეთს იღებს ასიგნაციით<sup>3</sup>. მაშასადამე, თუ მხოლოდ ამ მონაცემით ვიმსჯელებთ, იგი თბილისის გიმნაზიაში უმცროს მასწავლებლად უნდა ყოფილიყო. მაგრამ ნამდვილად იგი გიმნაზიაში უფროსი მასწავლებელი იყო. მისი ცოლი, ელენე, ამას ერთგან ხაზს უსვამდა და

<sup>1</sup> ცსა, ფონდი 1457, რვ. XXVII, ფ. 35—36.

<sup>2</sup> ПСЭРП, ტ. III, 1828 წ., გვ. 1418 და 1829 წ., ტ. 4. გვ. 571.

<sup>3</sup> ცსა, ფონდი 1457, რვ. VI, ფ. 1106—1110.

შემდეგს წერდა: „Я обращалась с просьбою к бывшему господину директору Закавказских училищ о производстве мне половинного жалования по должности старшего учителя Гимназии, в которой состоял муж мой“<sup>1</sup>.

სოლ. დოდაშვილი თავიდანვე ცდილობდა, რომ მისთვის XI კლასის წოდება მიეცათ, მაგრამ ჩანს, რომ ამას არ დათანხმდნენ. იგი ჯერ კიდევ 1826 წელს აღნიშნავდა: უფროს მასწავლებლად ვარ წარდგენილიო<sup>2</sup>; ხოლო, ი. ხელაშვილი ბოლო დროს გულნატკენად ამბობდა: სოლომონს მარტო „მეათე კლასის ღირსება მიეცაო“<sup>3</sup>.

დოდაშვილი თბილისში ასწავლიდა სამ საგანს: ქართულ ენას, ქართულ სიტყვიერებასა და გეოგრაფიას.

მაგრამ თავდაპირველად სხვა რამ იყო ნავარაუდები. 1826 წელს ამის შესახებ თვითონ წერს. მაშინ, თურმე, იგი წარდგენილი იყო „ფილოსოფიისა და რიტორიკის“ მასწავლებლად<sup>4</sup>, ხოლო ი. ხელაშვილი 1827 წელს ამბობს: „დოდაშვილი... წარმოგზავნეს ტფილისის აზნაურთა მასწავლებლად ლოლიკისა, მათემატიკისა და რიტორიკისა რუსულსა და ქართულსა“<sup>5</sup>.

თბილისში ჩამოსვლის დროს ცვლილებები მოხდა. 1827 წლის 28 მაისს ის დაინიშნა მხოლოდ ქართული

<sup>1</sup> ცსსა, განს. მნიშ. ს. ფ., საქ. 164, ფ. 176—177.

<sup>2</sup> ცსსა, განს. მნიშ. ს. ფ., საქ. 170, ფ. 66—67.

<sup>3</sup> II, 2226, ფ. 374.

<sup>4</sup> ცსსა, განს. მნიშ. ს. ფ., საქ. 170, ფ. 67.

<sup>5</sup> II, 2226, ფ. 352.

ენისა და გეოგრაფიის მასწავლებლად. მაგრამ შემდეგ მუშაობას შეუდგა მხოლოდ როგორც ქართული სიტყვიერებისა და გეოგრაფიის მასწავლებელი. 1827 წლის ორ დოკუმენტს (30 ივლისი, 28 აგვისტო) იგი ხელს სწორედ ამ საგნების მასწავლებლად აწერს. მერე ცვლილება ისევ მოხდა. ახლა იგი ქართულ ენასაც ასწავლიდა. ასე რომ, სოლ. დოდაშვილი 1827 წლიდან თბილისში სამ საგანს ასწავლიდა: ქართულ ენას, ქართულ სიტყვიერებასა და გეოგრაფიას. მაგრამ 1830 წელს ცვლილება კვლავ მოხდა. 1830 წლის 12 მარტს იგი დაამტკიცეს ქართული სიტყვიერების მასწავლებლად. შემდეგში ცვლილებები აღარ მომხდარა; მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სოლ. დოდაშვილი ამის შემდეგ მხოლოდ ქართულ სიტყვიერებას ასწავლიდა. არა. ეს იმას ნიშნავს, რომ სოლ. დოდაშვილმა თბილისის გიმნაზიაში დაიკავა მხოლოდ ქართული სიტყვიერების მასწავლებლის საშტატო ერთეული. დოდაშვილი ახლა, 1830 წლიდან ძირითადად ასწავლიდა მხოლოდ ქართულ სიტყვიერებას, მაგრამ მასთან ერთად ასწავლიდა ქართულ ენას.

თბილისის გიმნაზიის მასწავლებელთა წრე თავისებური იყო. აქ მოწინავე მასწავლებლებთან ერთად გასაოცრად ჩამორჩენილი და ზნეობრივად მიუღებელი პედაგოგებიც იყვნენ. თბილისში სოლ. დოდაშვილის ჩამოსვლის დროს ეს გარემოება უფრო მკვეთრად იგრძნობოდა.

ცნობილია, რომ მაშინ კარგი მასწავლებლები იშვიათობას წარმოადგენდა და მათი უმრავლესობა მოწო-

დების სიმაღლეზე არ იდგა. ისინი არ ფიქრობდნენ საკუთარი მოქმედებით მოწაფეებში კარგი ყოფაქცევა, სინდისიერება, მუყაითობა და გულისხმიერება გამოემუშავებიათ. გიმნაზიაში საგნების უმრავლესობა ცუდად ისწავლებოდა; იშვიათად შეხვდებოდით ისეთ მასწავლებელს, რომელსაც სახელმძღვანელოს შედგენაზე ფიქრა, ანდა საამისო გამოცდილება ჰქონოდა; საერთოდ, კეთილშობილთა სასწავლებლის პედაგოგთა უმრავლესობა ამ მაღალი მოწოდებისადმი წაყენებულ ზნეობრივი მოვალეობის გრძნობასა და საგნის ღრმად და შინაარსიანად გადაცემის უნარს მოკლებული იყო<sup>1</sup>. თბილისის სამხედრო გუბერნატორიც კი აღშფოთებული იყო ამ მასწავლებლებით და 1828 წელს პეტერბურგს აცნობებდა, რომ აქ წესიერი მასწავლებლები არ არიანო<sup>2</sup>. ცემა, ყურების აწევა და სხვა, ჩვეულებრივი მოვლენა იყო სკოლაში. აი, მაგალითად, იმდროინდელი გეოგრაფიის მასწავლებლის „ხელოვნების“ შესახებ რას მოგვითხრობს თავის მოგონებაში ამავე სასწავლებლის ყოფილი მოწაფე დიმ. ყიფიანი: „გამოცდებს თავთავიანთ საგნებში თვით მასწავლებელნი ხელმძღვანელობდნენ, მაგრამ გარდა მანასეინისა, დემენტევისა და არლუთინსკი-დოლოგორუკისა, სხვა დანარჩენ მასწავლებლებთან მოწაფენი შეგნებით მხოლოდ სიცრუეს სწავლობდნენ. გეოგრაფიის მასწავლე-

<sup>1</sup> გ. თავზიშვილი, დას. წიგ., II, გვ. 182—186.

<sup>2</sup> „Акты,“ ტ. VII, გვ. 62.

ბელი, მაგალითად, გამოცდის ორი კვირის წინ გაკვეთილს აძლევს მოსამზადებლად: ერთს—შვეციაზე;— „არა, სჯობს მე პორტუგალიაზე მომცეთ!“—კარგი, პორტუგალია იყოს;“—მეორეს—ისპანიაზე—ჰა? რაო? შვეციაზე გინდა? შვეციაზე იყოს! მესამეს ინგლისზე და სხვ. და ამნაირად იქცეოდნენ დანარჩენი მასწავლებლებიც. რასაკვირველია, გამოცდები კარგად ჩაივლიდა<sup>1</sup>.

რა თქმა უნდა, სასწავლებელში იყვნენ წესიერი მასწავლებლებიც, რომელნიც მთელს სწავლების პროცესს კარგად ხელმძღვანელობდნენ. ასეთებად უნდა დავასახელოთ თვით სოლ. დოდაშვილი, მანასეინი, დემენტევი და სხვ. მაგალითად, ე. მანასეინს, რომელიც ერთხანად თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელის დირექტორი იყო, იგივე დიშ. ყიფიანი ასე ახასიათებს: „ყურების ან თმების მოწვევა, სახაზავით ცემა, დაჩოქება, ან სხეულის სხვაგვარი სასჯელი მანასეინის ყოფნის დროს გულში გასავლებლადაც შეუძლებელი იყო. სამაგიეროდ, ბავშვებიც არასოდეს არ ყოფილა ისეთი კეთილშობილნი და არასოდეს ისე კარგან არ შეუგნიათ გადმონაცემი, როგორც მის დროს“<sup>2</sup>.

სოლ. დოდაშვილი იმდროინდელი თბილისის გიმნაზიის პედაგოგთაგან გამოირჩევა; იგი ჩინებული მასწავლებელი იყო, ჰქონდა მეტყველების კარგი კულტურა, იცოდა დინჯი, მშვიდი და ნათელი საუბარი. რაც შეეხება მის მიერ გადაცემული მასალის სიღრმეს, ეს

<sup>1</sup> დიშ. ყიფიანი, მემუარები, თბ., 1930 წ., გვ. 8.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 8.

ხომ თავისთავად იგულისხმება, ვინაიდან მან კარგად იცოდა ქართული სიტყვიერება და მისი ისტორია. უფრო მეტი, იგი ხომ ამ საგნის მეცნიერულ დამუშავებაზედაც ზრუნავდა.

პედაგოგთა კოლექტივში, ამხანაგთა წრეში და მოწაფეთა შორის თავისი პედაგოგიური მოღვაწეობით დოდაშვილს პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული. მაგალითად, სიღნაღის მაზრის სასწავლებელთა მზრუნველი სოლ. დოდაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ 1823 წელს ამბობდა: სოლ. დოდაშვილი არის კარგი ყოფაქცევის, სამსახურში თავისი მოვალეობის შესრულების დროს წესიერი და საიმედოო<sup>1</sup>. ხოლო თბილისის გიმნაზიის დირექტორი 1833 წელს აცხადებდა: დოდაშვილი ითვლებოდა უნარიან და ღირსეულ მასწავლებლადო<sup>2</sup>.

თვითონ სოლომონი თავისი მასწავლებლობის შესახებ წერდა: „განთიადიდგან ვიდრე მიმწუხრამდე თანამდებობასა შინა გახლავარ“<sup>3</sup>.

სოლ. დოდაშვილს კარგი ურთიერთობა ჰქონდა თავის მოწაფეებთან. მას დიდად უყვარდა მოწაფეები და თავისი სკოლა; იგი მუდამ მათზე ზრუნავდა.

ზ. კიკინაძე წერს:... „სოლ. დოდაშვილმა... ბევრ ყმაწვილს ჩაუნერგა გულში ქართველობის სიყვარული, ვინც კი 1835 წელს გამოვიდნენ ამ სასწავლებლიდან და თავი ისახელეს, ყველა ესენი ამ პირის გაწვრთნი-

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 440, საქ. 10, ფ. 277—278.

<sup>2</sup> ცსსა, ფონდი 1457, რვ. XXVII, ფ. 35—36.

<sup>3</sup> H, 2226,—ფ. 302—304; „მას. საქ. და კავკ. ისტ.“, თბ., 1945 წ., ნაქ. II, გვ. 106.

ლები იყვნენ და აღზრდილნი არიან, ნამეტურ დიმ. ყიფიანი, ნ. ბარათაშვილი, ვახ. ორბელიანი და სხვანი<sup>1</sup>.

ზ. ჭიჭინაძეს ყველაფერი ეს თანამედროვეებისაგან გაუგონია. ჩანს, საზოგადოებაში დოდაშვილის შესახებ ნათელი მოგონება ტრადიციით დიდბანს ცოცხლობდა და მას, როგორც ახალი თაობის კარგ აღმზრდელს, დიდ პატივს ხცემდნენ.

სოლომონი ნიადაგ სკოლაში და მოწაფეებს შორის ტრიალებდა. ეს თანამედროვეებმა მალე შენიშნეს. მაგალითად, ტარასი ალექსიშვილი წერდა: „დოდაფევი... მსურდა... მეხილვა სადმე და ვერლა ვიხელე და ანუ თუ სად ვიხილავ, მე მონასტრიდამ არ გავდივარ და იგი შკოლიდამ“<sup>2</sup>.

თბილისის გიმნაზიაში მაშინ მოწაფეთა შემადგენლობა, კლასებს შორის მათი რიცხობრივი განაწილება და სხვა, მეტად სპეციფიური იყო. ასე რომ, მასწავლებელს სკოლაში დიდი მუშაობა უხდებოდა. მასალები იმდროინდელ მოწაფეთა შესახებ საოცარ სურათს იძლევა. მაგალითად, 1828 წელს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში სულ იყო 248 მოწაფე, ამათგან 1-ელ კლასში 61, მე-2-ში 70, მე-3-ში 49, მე-4-ში 31, მე-5-ში 17 და მე-6-ში 20<sup>3</sup>. 1830 წელს სულ იყო 311 მოწაფე, ამათგან 1-ლ კლასში 141, მე-2-ში 77, მე-3-ში 48, მე-4-ში 30, მე-5-ში 8, მე-6-ში 7. ხშირად ერთ და იმავე

<sup>1</sup> ზ. ჭიჭინაძე, ვახ. ორბელიანი, გვ. 14.

<sup>2</sup> S, 398, გვ. 15.

<sup>3</sup> ტ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1951 წ., გვ. 13.



კლასში იხსდნენ ასაკით ერთმანეთთან სრულიად შეუფერებელი ბავშვები. მაგალითად, ერთ-ერთ ჯგუფში მაშინ ერთად იხსდნენ 7-ისა და 13 წლის ბავშვები<sup>1</sup> და სხვ.. სკოლაში სწავლობდნენ ლარიბი მოწაფეებიც.

მოწაფეებს შორის ხშირი იყო ჩხუბი და შეუფერებელი საქციელი. გუბერნატორი 1828 წელს ამბობდა: „თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დათვალერებისას მე მასში მრავალი უწესრიგობა ვნახე. მოწაფეთა მერხები დამტვრეულია, დაქრილია დანით, დაჩხაპნილია, მინები დამსხვრეულია, ზოგან ქალაღია ჩაკრული, გასვრილია ტალახით, მტვრიანია, აკლია თვალყური“<sup>2</sup>.

ცხადია, ასეთ პირობებში სოლ. დოდაშვილს მოწაფეებთან მუშაობის ჩატარება სერიოზულად გაუძნელდებოდა. მართლაც, დასტურდება, თუ როგორ უქვირდება იგი მოწაფეებს და როგორ ზრუნავს მათზე.

1827 წელს სოლ. დოდაშვილი წერს: „მოწაფეთა ჩემთა არა აქვთ სული აღძრული და განღვიძებული მიწვდნენ ქეშმარიტსა კეთილსა და საამრ აღმკობილებასა, არა აქვთ მიდრეკილება განათლებისადმი ზრახვისა, ცნობისადმი (სურვილისა) ნებისა და განვითარებისადმი გრძნობისა (გულისა)“<sup>3</sup>.

ეს არის ის მძიმე ვითარება, რომელიც ახალგაზრდა მასწავლებელს თბილისში ჩამოსვლის დროს მოწაფეებს

<sup>1</sup> შ. ჩხეტიია, ნიკ. ბარათაშვილი, თბ., 1945 წ., გვ. 156.

<sup>2</sup> ტ. ხუნდაძე, დას. წიგ., გვ. 11.

<sup>3</sup> H, 2226 ფ. 294—295; „მას. საქ. და კავკ. ისტ.“, თბ., 1945 წ., ნაკ. II, გვ. 110.

შორის შეუმჩნევია და შეშფოთებულა. დოდაშვილი თავის ცნობაში მართალი იყო. ჩვენ უკვე ზემოთ ვილაპარაკეთ, თუ იმ დროისათვის მოწაფეთა შორის თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში რა მდგომარეობა იყო. მხოლოდ ახლა ის უნდა დავეუმატოთ, რომ 1827 წელს ომი იყო ირანთან და ესეც ხელს უშლიდა თბილისის სასწავლებლის მუშაობას. მოწაფეთა მშობლები, დაშინებულნი საომარი მოქმედების ხაზის სიახლოვით, ხელს არ უწყობდნენ თავიანთ ბავშვებს. იყო სკოლაში უწყესობის სხვა მიზეზებიც.

შემდეგში მდგომარეობა რამდენადმე გამოსწორდა. ამალდა მასწავლებელთა ცოდნის დონე, გაიზარდა მოწაფეთა სიბეჯითე. რუსეთმა ომი ირანთან და თურქეთთანაც მოიგო; მეტი ყურადღება მიექცა სასწავლებლების მუშაობას, გაუმჯობესდა მოწაფეებზე ზრუნვა და სხვ.. ახლა უკვე დოდაშვილი წერდა: „გარდა ამისა, რომელ ტფილისს შინა არს ღიმნაზია და სემინარია, ყოველთა სხუათა ამიერკავკასიის მხარეს ქალაქთა შინა დაწესებულ არიან საერონი და სასულიერონიცა სასწავლებელნი. მოწაფენი, რომელნიც აწ იზრდებიან ხსენებულთა სასწავლებელთა შინა, აღვითქმენ ფრიად მრავალსა სარგებლობისათვის მამულისა“<sup>1</sup>.

მოწაფეებზე სოლ. დოდაშვილის ზრუნვის შესახებ ჩვენ მრავალი საბუთი მოგვეპოვება. იგი ზრუნავდა ღარიბი მოწაფეებისათვის ფულადი დახმარების აღმოჩენაზე, უნივერსიტეტში ნიჭიერ მოწაფეთა გაგზავნისა და მათთვის სტიპენდიების დანიშვნაზე. თავის ამბა-

<sup>1</sup> „სალ. ნაწ.“, 1832 წ., № 2, გვ. 45.

ნაგებს უკითხავდა მოწათე დაე. მაჩაბლის თხზულებებს, ბექდავდა ამავე ყმაწვილის ლექსებს და სხვ.. მაგალითად, ერთგან დოდაშვილი თავის ამხანაგთან საუბრისა და ლარიბ მოწათეებისათვის დახმარების გაწვევაზე წერს: „მე შევიტანე წინადადება შეგვეგროვე-ბია შემოწირულება და ამ შეკრებილი ფულით გვეყიდნა ბიბლიოთეკა, სტამბა და დაეხმარებოდით გიმნაზიის ლარიბ მოსწავლეებს, წავიკითხე ქართულად დაწერილი ლექსები და თხზულებები მოწათე მაჩაბლისა და ვთხოვე იმ თავადებს, ეგების როგორმე იმდენი მოგვეგროვებია, რომ უნივერსიტეტში გაგვეგზავნა“<sup>1</sup>. კიდევ: „ვამბობდით აგრეთვე, ნიჭიერი მოწათეები გაგვეგზავნა უნივერსიტეტში და გვენიშნა სტიპენდია“<sup>2</sup>.

თბილისში ამხანაგთა შორის დოდაშვილი ხშირად ლაპარაკობდა ნიჭიერ მოწათეთათვის განსაკუთრებული ხელისშეწყობისა და დახმარების საჭიროებაზე. საყურადღებოა, რომ იგი თავისი ეურნალით ქართველ ნიჭიერ მოწათეთა პოპულარიზაციასაც ეწეოდა.

მოწათეებზე დოდაშვილის გავლენა ჩანს იმაშიაც, რომ იგი ხშირად გამოდიოდა საჯარო აქტებზე საყურადღებო სიტყვებით და მოწათეებს ბეჯითი სწავლისა

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 1457, რვ. I, ფ. 18; გ. გოხალიშვილი, დას. წიგ., გვ. 140.

<sup>2</sup> იქვე, ფ. 101; იქვე, გვ. 177.

და მეცადინეობისაკენ, ცოდნის დაუღალავი დაუფლები-  
საკენ მოუწოდებდა<sup>1</sup>.

აქვე შევჩერდეთ სოლ. დოდაშვილსა და ნიკ. ბარათა-  
შვილის ურთიერთობაზე. აღნიშნული საკითხი, რასა-  
კვირველია, სპეციალურ ლიტერატურაში უცნობი საკი-  
თხი არაა, იგი აქ ხშირი მსჯელობის საგანია. ახლა კი  
ამას შეიძლება რამდენიმე ახალი მომენტი დავუმატოთ<sup>2</sup>.

სოლ. დოდაშვილი, დღემდე გავრცელებული აზრით,  
ნიკ. ბარათაშვილის მასწავლებლად ხუთი წლის (1827—  
1832) განმავლობაში იყო. ზოგიერთი ამბობს, რომ  
იგი ნიკ. ბარათაშვილს ხუთ წელიწადს მხოლოდ ქართულ  
სიტყვიერებას ასწავლიდა, ზოგიერთი კი—ქართულ  
ენასო. მაგრამ ახლა ამ საკითხების დაზუსტებაც არის  
შესაძლებელი.

დოდაშვილი რომ 1827 წლიდან 1832 წლამდე იქ  
მასწავლებლობდა, სადაც ნიკ. ბარათაშვილი სწავლობ-

---

<sup>1</sup> საჯარო აქტებზე სოლ. დოდაშვილის გამოსვლის შესახებ მხო-  
ლოდ ზოგიერთი ცნობა არის შემონახული. აქედან ჩანს, რომ იგი სა-  
ჯარო აქტზე გამოსულა 1828 წელს, 1831 წელს და 1832 წელს. 1828  
წლის სიტყვა მთლიანად არის დაკული. იგი ჯერ კიდევ 1887 წელს  
გახეთ „ივერიამ“ გამოაქვეყნა (№ 227). 1831 წელს წარმოთქმული  
სიტყვის შესახებ კი თვითონ დოდაშვილი შემდეგს უჩვენებს:  
„Орбелянову в 1831 году я... прочел... речь, говоренную на  
торжественном акте в гимназии“. რაც შეეხება 1832 წელს წარ-  
მოთქმულ სიტყვას, ამაზე ლაპარაკობენ დიმ. ყიფიანი და სხვები.

<sup>2</sup> ეს საკითხი პირველად მოხსენდა 1945 წლის 14 ნოემბერს  
გორის სახელ. პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო სესიას,  
როცა წავიკითხეთ მოხსენება თემაზე—„ნიკ. ბარათაშვილის ბიოგ-  
რაფიისათვის“.

და, ეს, რა თქმა უნდა, უდავოა. მეტიც: ჩვენ უკვე, გავარკვეით, თუ რას ასწავლიდა იგი აქ. მაგრამ ყველა ამ საბუთთა გვერდით ერთი ასეთი მნიშვნელოვანი საბუთიც გაგვაჩნია. ეფრემ ალექსიშვილი ამბობს: „მისახურნიეს ტფილისის საკეთილშობილოს სასწავლებელში 1816 წლიდან 1830 წლამდის. მოძღვრად ქართულისა ენისა და სჯულისა ღვთისა“<sup>1</sup>.

მაშასადამე, 1816 წლიდან 1830 წლამდის ეს პირი კეთილშობილთა სასწავლებელში, სადაც სოლ. დოდაშვილი პედაგოგობდა და ნიკ. ბარათაშვილი იყო მოწაფედ, ქართული ენის მასწავლებელი ყოფილა, რადგანაც ციტირებულ ცნობაში სიტყვა „მოძღვარი“ სწორედ მასწავლებლის მნიშვნელობით არის ნახმარი<sup>2</sup>. ამიტომ იბადება კითხვა: რომელი მათგანი—სოლ. დოდაშვილი თუ ეფ. ალექსიშვილი ასწავლის ქართულ ენას თავდაპირველად ნიკ. ბარათაშვილს? რასაკვირველია, არა სოლ. დოდაშვილი. ამას ზემომოხსენებულ ცნობის გარდა, სხვაც ადასტურებს. საქმე ისაა, რომ, როგორც ამჟამად ირკვევა, კეთილშობილთა სასწავლებლის დაწყებით კლასებს (მხედველობაში გვაქვს ნიკ. ბარათაშვილის ჯგუფი) სოლ. დოდაშვილი მასწავლებლად არ ჰყოლია. სოლ. დოდაშვილი ამ დროს უფროსი კლასების მასწავლებელი ყოფილა.

<sup>1</sup> ცსსა, რვ. VI, ფ. 1125; გ. გოზალიშვილი, დას. წიგ., გვ. 340.

<sup>2</sup> იმდროინდელ თარგმანში წერია: „Служил я в Тифлисском благородном училище с 1816-го по 1830 год учителем грузинского языка и закона божия“ (იქვე, ფ. 1127).

თვით სოლ. დოდაშვილი 1828 წლის 21 სექტემბერს თბილისიდან პეტერბურგში იონა ხელაშვილს კეთილშობილთა სასწავლებლის კლასებში თავისი გაკვეთილების განაწილების შესახებ შემდეგს სწერდა:

„აწინდელი შრომა ჩემი მდგომარეობს შემდგომთა მუხლთა შინა: საკეთილშობილო სასწავლებელს შინა: ორშაბათს განთიად ორს ეამს მეხუთეს კლასში გარდაცემ რიტორიკასა ქართულსა და რუსულსა ენებზედა, მეოთხეში ორს ეამს ქართულს ღრამატიკას, ლექსთხულებასა და მართლწერასა... სამშაბათს დილით ორი ეამი მაქვს მესამეში და ოთხი მეხუთეში ღეოდრაფიისა და რიტორიკისათვის, ოთხშაბათს მესამეში დილით ორი ეამი დანიშნულ საგნისათვის და ორი ეამი მეხუთეში სლამოზე რიტორიკისათვის; ხუთშაბათს ორ-ორი ეამი 3, 4, 5 და 6 კლასებში ღეოდრაფიისათვის; პარასკევს ეგრეთვე ორ-ორი ეამი 3, 4, 5 და მეექვსეში რიტორიკისა და ლოლიკისათვის“<sup>1</sup>.

ამ წერილიდან ცხადი და უდავო ხდება, რომ სოლ. დოდაშვილი, საერთოდ, უფროს კლასებში ასწავლიდა სწორედ იმ წელს, როცა ნიკ. ბარათაშვილი სასწავლებელში ახლად შესული იყო.

მართალია, სოლ. დოდაშვილი აქ, ამ ზემოდაბეჭდილ ცნობაში, III კლასშიც მოჩანს, მაგრამ ეს ჩვეულებრივი ამბავი არ იყო. ეს გამოჩანკლისია. 1828 წელს სასწავლო პროგრამაში ჰქონდა აღვილი ასეთ დარღვევებს. თბილი-

<sup>1</sup> H. 2226, ფ. 277; „მას. საქ. და კავკ. ისტ.“, თბ., 1945, გვ. 120.

სის სამხედრო გუბერნატორი 1828 წელს თბილისიდან განათლების მინისტრს შიშკოვს აცნობებს, რომ კეთილშობილთა სასწავლებელში საგანთა წესიერი განაწილება არ არისო<sup>1</sup>. 1829 წელს კი აღნიშნული დარღვევა უკვე აღმოფხვრილია და ახლა, I, II, III კლასებში (ესენია დაწყებითი კლასები) ისწავლება საღვთო სჯული, საღვთო ისტორია, რუსული, ქართული და თათრული ენების დაწყებითი წესები<sup>2</sup>.

ამგვარად, ვიმეორებთ, სოლ. დოდაშვილი უფროსი კლასების მასწავლებელი იყო. მხედველობიდან არც ის უნდა გამოგვრჩეს, რომ, როცა 1828 წელს მას მესამე კლასში ვხედავთ, ამ დროს ნიკ. ბარათაშვილი მხოლოდ პირველი კლასის მოწაფე იყო.

რაკი ირკვევა, რომ სოლ. დოდაშვილი ნიკ. ბარათაშვილის ჯგუფს დაწყებით კლასებში ქართულ ენას არ ასწავლის, ექვგარეშეა, ამ ადგილზე სხვა ვინმე უნდა წარმოვიდგინოთ და ეს სხვა, უცილობლად, ეფრემ ალექსიშვილია — ამ სასწავლებელში ქართული ენის მეორე მასწავლებელი.

ჩვენ სხვა საბუთიც გვაქვს ამის დამადასტურებელი. იონა მეუნარგიას თავისი უბის წიგნაკში შემდეგი შეუტანია: „ნიკო ბარათოვი და მე,—ამბობს ლუკა სტეფანეს-ძე ისარლიშვილი,—ერთად ვსწავლობდით... ჩვენი ქართულის ოსტატები იყვნენ სოლ. დოდაევი და ეფრემ ალექსიევი—მესხიევიო“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> „Акты“, ტ. VII, გვ. 62.

<sup>2</sup> „Т. В.“, 1829 წ., № 24.

<sup>3</sup> „ლიტერატურული მატეანე“, თბ., 1940 წ., № 1—2, გვ. 387.

უნდა გაესვას ხაზი იმასაც, რომ ამ მნიშვნელოვანი ცნობის აღმნუსხველი იყო იგივე იონა მეუნარგია, რომელიც თანამედროვეთაგან კრეფდა ცნობებს და რომელმაც ნიკ. ბარათაშვილის ბიოგრაფიაც დაგვიტოვა. მაგრამ ამ ბიოგრაფიაში მან ეფრემ ალექსიშვილი ნიკ. ბარათაშვილის ქართული ენის მასწავლებლად არ მოიხსენია და იგი მხოლოდ „ქართული კატეხიზმოს“ მასწავლებლად დაასახელა<sup>1</sup>. რატომ მოუვიდა განსვენებულ მკვლევარს აღნიშნული გაურკვეველობა, ძნელი სათქმელია.

ამგვარად, ნიკ. ბარათაშვილს დაბალ კლასებში ქართულ ენას ეფრ. ალექსიშვილი ასწავლიდა და სოლ. დოდაშვილი მისი მასწავლებელი მთელი ხუთი წლის განმავლობაში არ ყოფილა.

აქედან ჩანს, თუ რაოდენი არასიზუსტეა სოლ. დოდაშვილის, როგორც ნიკ. ბარათაშვილის მასწავლებლის საკითხში.

მაგრამ ზემოთქმულიდან ისიც ჩანს, თუ რომელი წლიდან უნდა ვივარაუდოთ სოლ. დოდაშვილი ნიკ. ბარათაშვილის მასწავლებლად. იგი მის მასწავლებლად უნდა ვივარაუდოთ 1830 წლიდან. 1830 წლიდან იმიტომ, რომ ნიკ. ბარათაშვილი სწორედ ამ დროს ხდება უფროსი კლასის მოწაფე, დოდაშვილი კი უფროსი კლასების მასწავლებელი იყო.

ნიკ. ბარათაშვილისა და სოლ. დოდაშვილის ურთიერთობის შესახებ შემონახული გვაქვს ერთი მეტად

---

<sup>1</sup> ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, თბ., 1941 წ., გვ. 173.



საინტერესო ცნობა; როცა სოლ. დოდაშვილს თავისი „ქართული გრამატიკა“ დაუბეჭდია, მოწაფეებისათვის, თურმე, მისი შეძენა დაუვალეზია; მოწაფეებსაც, გარდა ნიკ. ბარათაშვილისა, მითითება შეუსრულებიათ და გაკვეთილზე სოლ. დოდაშვილსა და ნიკ. ბარათაშვილს შორის ამის გამო შემდეგი დიალოგი გამართულა:

„—ბარათაშვილო!

—ბატონო!

—მამა შენი რა არის, ლოტრანგია თუ ქართველი?

—ქართველი გახლავთ, შენი ქირიმე.

—მამ რატომ წიგნი არ უყიდნია? წადი და მოახსენე: თუ დღესვე წიგნი არ გქონია, კლასში არ შემოგიშვებ“<sup>1</sup>. მტკიცდება, რომ ნიკ. ბარათაშვილს სოლ. დოდაშვილი ქართულ ენასა და ქართულ სიტყვიერებას 1830 წლიდან ასწავლიდა.

ასეთია სოლ. დოდაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობის გზა.

\* \* \*

სოლ. დოდაშვილის საგამანათლებლო იდეები და პედაგოგიური ხასიათის თეორიული შენიშვნები ემყარება მრავალ წყაროს. ამ იდეებისა და შენიშვნების გამოთქმის დროს დოდაშვილი იყენებდა მეცნიერების გამოცდილებას, იმპროვიზებულ სასწავლო წესდებებს, პირად პედაგოგიურ დაკვირვებას და ნაცნობ თანამედროვეთა მიერ გამოთქმულ აზრებს.

სოლ. დოდაშვილი ზოგიერთ მეცნიერთა პედაგოგიურ ნააზრევს იცნობდა. ეს მრავალ რამეში ჩანს, მაგალითად, როცა იგი მსჯელობს მასწავლებლის მიერ საგნის გადაცემის მეთოდის შესახებ და სხვ.. იგი ერთგან

<sup>1</sup> ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, თბ., 1940 წ., გვ. 172.

გულახდილად წერს: სოლ. ხელაშვილმა თავისი ბავშვი კახეთიდან თბილისის გიმნაზიაში არ ჩამოიყვანა, ვინაიდან თქვა—ბავშვი ახლა მცირეწლოვანია და დედას ვერ მოშორდებაო, როცა მერვე წელიწადში გადადგება მაშინ მივაბარებ სასწავლებელშიო,—მე,—განაგრძობს დოდაშვილი,—თანხმა მისი შევიქენ,—და შემდეგ დაასკვნის — „მართალიც არის, ვითარცა ამტკიცებენ... ყოველივე სწავლულნიო“<sup>1</sup>. მაშასადამე, აქ როგორც ვხედავთ, თავისი პედაგოგიური მოსაზრების სისწორის დასამოწმებლად სოლ. დოდაშვილს „სწავლულნი“ მოუშველებია.

განათლების იმდროინდელ სისტემაში არსებულ სასწავლო წესდებებსაც კარგად იცნობდა სოლ. დოდაშვილი. ამის შესახებ იგი თვითონ წერდა: „По долгу службы исполнял свою обязанность по всей строгой справедливости и по правилам, предписанным уставом“<sup>2</sup>. სწორედ ამ წესდებებში იყო განსაზღვრული მასწავლებლის მოვალეობა, დანიშნულება, ყოფაქცევა, მოწაფისადმი მასწავლებლის დამოკიდებულება და სხვ.

საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკა აგრეთვე მას ბევრ მასალას აძლევდა სხვადასხვა პედაგოგიური შენიშვნის გამოთქმისათვის.

ნაცნობთა წრეშიც ბევრი რამ ესმოდა განათლებისა და პედაგოგიური აზრების შესახებ. მაგალითად, მას

---

<sup>1</sup> S, 388, ფ. 62—64; „მას. საქ. და კავ. ისტ.“, თბ., 1945 წ., ნაკ. II, გვ. 144.

<sup>2</sup> ცსსა, ფონდი 1457, რგ. XXVII, ფ. 72.

ი. ხელაშვილი სწერდა: „აზნაურთა სკოლის ნაკლი და უსრულობა... გვაუწყე წიგნითა თქვენითა მწკერივად, რათა ძალვიდვით საგნებისა თქვენისა წარმატება“<sup>1</sup>. თვითონ სოლომონი კი თბილისიდან ი. ხელაშვილს აცნობებდა: „მე მარადის ვიპყრობ მოძღვრებათა თქვენთა ჰსწავლისა გარდაცემათა შინა“<sup>2</sup>. ამასთან დოდაშვილი სკოლის, აღზრდის და სხვათა შესახებ ესაუბრებოდა თბილისში მყოფ ამხანაგებს, ადგილობრივ მმართველობას და სხვ... ერთგან იგი ამის შესახებ მოგვითხრობს: „მხედართმთავარმან მმართველმან სამოქალაქოისა... მიმითანხმა თვისთან და... შეაერთა აზრი თვისნი განათლებისათვის შემამულეთა“<sup>3</sup>.

აი, ის წყაროები, საიდანაც ჩანს, თუ რით საზრდობდა სოლ. დოდაშვილის საგანმანათლებლო აზრები და პედაგოგიური ხასიათის იდეები და სად უნდა ვეძებოთ მათი სათავეები.

სოლ. დოდაშვილს აღამიანსა და სამყაროზეც აქვს თავისი საკუთარი შეხედულება. იგი არა ერთგან მსჯელობს იმაზე, თუ რა არის აღამიანი, რა არის სამყარო და რა წარმოადგენს აღამიანის მიზანს.

---

<sup>1</sup> ი, 2226, ფ. 240. ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ ი. ხელაშვილი თავისი წერილებით სოლომონს ხშირად უთითებდა თუ, მაგალითად, როგორი უნდა იყოს მასწავლებელი, როგორ უნდა გაღრმავდეს მოწაფეთა ცოდნა, რა მნიშვნელობა აქვს ასაკს მოსწავლისათვის და სხვ.

<sup>2</sup> იქვე, ფ. 195—196; „მას. საქ. და კავკ. ისტ.“, 1945 წ., ნაფ. II, გვ. 96.

<sup>3</sup> იქვე, ფ. 195—196; იქვე, გვ. 94.

ადამიანი, მისი აზრით, სამყაროს მუდმივ კანონს ექვემდებარება. „სამყარო ურთიერთობათა სისტემაა, რომელშიც ყველაფერი გაზომილია, აწონილია, აღრიცხულია; ყველაფერი გადაბმულია მიზეზთა და შედეგთა, საშუალებათა და მიზანთა განუყრელი კავშირით; ყველაფერი ექვემდებარება უცვლელ წესებს, მარადიულ კანონებს“<sup>1</sup>.

სამყარო მოძრავია, მრავალფეროვანი, ცვალებადია, მაგრამ სამყაროში ერთიანობა და ჰარმონიაა, იგი არსებობს და სახიერდება ცოცხალსა და არაცოცხალ ბუნებაში. დოდაშვილმა იცის აგრეთვე, რომ სამყარო ჯერ მთლიანად შეცნობილი არაა, რომ არსებობს ისეთი მოვლენები და კანონები, რომლებიც ჯერ უცნობია, თუმცა „სამყაროს კანონების უცოდინარობა ჯერ კიდევ არ იძლევა უფლებას უარეყოთ მათი არსებობა“<sup>2</sup>. სამყარო ნაცნობ და ჯერ გამოუცნობ მოვლენებისა და კანონების, ერთიანობას, მთლიანობას წარმოადგენს.

ადამიანი მისთვის დამახასიათებელ თვისებათა ერთობლიობაა. იგი შეიცნობს თავის თავს და სამყაროს. ადამიანი აღზრდისა და გარემოს პროდუქტია, მაგრამ მათგან იგი ყოველთვის არ შეიცვლება. ადამიანს ახასიათებს გაგებისა და გრძნობის უნარი. „ვინც ადამიანს დაჰკვირვებია, მან იცის, რომ უბრალოების სიყვარული, ერთიანობის სიყვარული ყოველ მის მოქმედებაში მჟღავნდება“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ს.ო.ლ. დოდაშვილი, ლოგიკა, 1949 წ., გვ. 13—14.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 14.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 13.

ადამიანს ახასიათებს სწრაფვა-ჰარმონიისაკენ. იგი მას ეძებს საკუთარ თავში და გარეგან ბუნებაში. ეს სწრაფვა მის პროგრესს, განვითარებას განაპირობებს; მოვლენაში ჰარმონიის დანახვის გარეშე, „ერთიანობის სიყვარულის“ გარეშე, ახალ საფეხურზე ასვლა შეუძლებელი იქნებოდა.

ადამიანს აქვს ისეთი შინაგანი ძალა, რომელიც სხვა არსებებს აკლია. მას ახასიათებს თანაგრძნობა, წუხილი. იგი მოვლენის მხოლოდ ახსნას არ აწარმოებს. იგი ბოროტების მტერია; ცხოვრება ერთ ადგილზე არაა გაყინული და ადამიანისათვის დამახასიათებელია მოქმედება.

ადამიანი ყურადღებას აპყრობს თავის თავს, იგი უნდა ჩაწვდეს თავის თავს და ამ გზით დაადგინოს სამყარო მასში და მასთან. საჭიროა ჩვენი თავი წარვმართოთ შინაგანისაკენ, „გულდასმით ვიფიქროთ შინაგან მოვლენებზე“, „სწორედ ვიმსჯელოთ მთელ ჩვენ ქმედით ძალაზე“, უნდა ვიცოდეთ „ჩვენი ბუნების მოქმედების კანონები, საზღვრები და მიზანი“. ჩვენში და ჩვენთან სამყაროს დადგენა შეიძლება, როცა „ვაყალიბებთ ჩვენში ჰარმონიულ მოქმედებას, წარვმართავთ რა მას ჩვენი დანიშნულებისაკენ“<sup>1</sup>.

ადამიანი მიისწრაფვის ქეშმარიტებისაკენ, იგი მისთვის იბრძვის და სძლევს წინააღმდეგობას. ადამიანი საშობლოს კეთილდღეობისათვის, „მამულის სიყვა-

---

<sup>1</sup> სოლ. დოდაშვილი, ლოგია, გვ. 11—13.

რულისთვის“ იბრძვის. „მამულის სიყვარული“ კი ნაწილია ზოგად საკაცობრიო მისწრაფების: ადამიანი იყოს ბედნიერი.

ქეშმარიტება ერთია, და ჩვენი მოღვაწე მის ნიშნებზეც ლაპარაკობს. ადამიანი ქეშმარიტებას თანდათან აღწევს: ეს პროცესი დროში იშლება. ავტორი მხარს უჭერს იმ შეხედულებას, რომ დღეს უცნობი, ხვალ შეიძლება ნაცნობი გახდეს.

სოლ. დოდაშვილმა იცის, რომ ადამიანის შინაგანი სამყაროს ახსნა გარეშე ბუნებაში უნდა ვეძებოთ. მეორე პირველის ამხსნელია, გასაღებია. მისი თქმით, არაფერია გრძნობაში ისეთი, რაც ნივთიერ ბუნებაში არ იყოს. სოლ. დოდაშვილის სწორი შეხედულება აქ კიდევ ერთხელ დასტურდება. ადამიანს და ბუნებას ერთიანი საფუძველი აქვს.

ასეთია მოკლედ დოდაშვილის შეხედულება ადამიანსა და სამყაროზე.

სოლ. დოდაშვილს განათლების შესახებ ფართო გაგება აქვს. მას ღრმად სწამს, რომ საქართველოში წინათ განათლება მაღალ დონეზე იდგა, რომ იგი მომავალში კიდევ უფრო უნდა ამაღლდეს.

მეფის თვითმპყრობელობის მოხელეებს საქართველოში განათლების გავრცელებაზე ცუდი წარმოდგენა ჰქონდათ. ისინი ქართველებს გაუნათლებელ ხალხად სთვლიდნენ, თითქოს ქართველებს არ ჰქონდათ კულტურა, არ ჰყავდათ მაღალი განათლების მქონე პირები

და სხვ.. ცარიზმის მომხრეები საქართველოში განათლების გავრცელებას ხელს უშლიდნენ.

სოლ. დოდაშვილი ამხედრდა ცარიზმის რეაქციული აზრის წინააღმდეგ. იგი იცავდა საქართველოს კულტურასა და განათლებას, ავითარებდა მათ. სოლ. დოდაშვილი განათლების დანიშნულებისა და როლის შესახებ წერდა: „ყოველმან მემამულემ ჩუვენმან სცნა, რომელ განათლება არს უუმტკიცესი და უუსაიმედოესი საფუძველი კეთილმდგომარეობისა, ყოველმან უწყის, საზოგადოება შემდგარი კეთილზრდილთა წევრთაგან, შეიქმნების განწმენდილს წყაროთ საეროთა კეთილმოქმედებათა, დიდებისა და შემძლებლობისა, მას შინა სცნობს წმინდა ეკლესია — ქეშმარიტთა ძეთა, მოქალაქეობა — მამულის მოყვარელთა, ხოლო მშობელნი — თავისსა ნუგეშსა... ზედმიწევნით ჰსცნეს მემამულეთა ჩუვენთა, რომელ უკეთუ განათლებულ იყვნენ, მიაღწევენ უმაღლეს ხარისხამდე ბედნიერებისასა“<sup>1</sup>.

სოლ. დოდაშვილი განათლებისაკენ ქართველთა მისწრაფების სხვადასხვა პერიოდებსაც ეხება. იგი მსჯელობს იმის შესახებ, თუ როდის და რატომ იყო საქართველოში განათლება მაღალი, რა ცვლილებები მოხდა ჩვენს ისტორიაში შემდეგ, რამ შეუშალა ხელი ქართული კულტურის განვითარებას და სხვ.

<sup>1</sup> „სალ. ნაწ.“, 1832 წ., № 2

ქართველებს,—ამბობს იგი,—აქვთ მდიდარი ლიტერატურა და უძველესი დროიდან ახასიათებთ განათლებისაკენ სწრაფვა. „მეთორმეტე საუკუნესა შინა ქართველნი იდგნენ უმაღლესსა ხარისხსა ზედა... განათლებისასა“, მაგრამ იყო რა „ბარბაროსთა“ ხშირი თავდასხმანი, ჩვენში განათლების საქმე შეფერხდა. სოლ. დოდაშვილი წარსულ დროთა მაღალი განათლების მქონე პირებსაც ასახელებს, შემდეგ კი წერს: „ეპოხამან აღდგენისა ანუ საფუძვლიანისა დამყარებისამან სწავლათა მამულსა შინა ჩუვენსა იწყო ათრუამეტსა საუკუნესა შინა“. დოდაშვილის აზრით, „ბარბაროსთა“ მოქმედება საქართველოს განათლების წარმატებაში დამაბრკოლებელი რამ იყო. ისინი აოხრებდნენ საქართველოს და ყოველგვარი შემოქმედების აღმოფხვრას ცდილობდნენ მასში. „ბარბაროსებმა“ ქართველთა განათლების საქმეს ხელი შეუშალესო<sup>1</sup>.

განათლების აღდგენის პერიოდად იგი ერეკლე II მეფობის დროს თვლიდა.

საყურადღებოა, რომ სოლ. დოდაშვილს განათლების მდგომარეობა საქართველოში არც 1827 წელს მოსწონს. როცა იგი საქართველოში ჩამოვიდა, თბილისიდან 1827 წელს წერდა: აქ არ „ეძიებენ სწავლას“, არ აინტერესებთ წიგნი, ურთიერთ შორის მეშურნეობენ და მხოლოდ დღიურ გამოზრდას ცდილობენ<sup>2</sup>. მაგრამ დოდაშვილი აქ მხოლოდ ნაწილობრივ იყო მართალი. საქმე

<sup>1</sup> იხ. „სალ. ნაწ.“, 1832 წ., № 1,2.

<sup>2</sup> H, 2226, ფ. 205—206; „მას. საქ. და კავ. ისტ.“, თბ., 1945 წ., ნაქ. II, გვ. 101.



ისაა, რომ აღნიშნული დასკვნა გამოტანილია თბილისში მისი მეტად ხანმოკლე ცხოვრების პერიოდში. ამიტომაც ასეთი დროის მონაკვეთი, მსგავსი დასკვნისათვის ფრიად მცირეა და „ვანაჩენიც“ ნაჩქარევი. ამასთან, სოლ. დოდაშვილი ჯერხნობით ქართველთა მეტად ვიწრო წრეს იცნობდა. იგი ჯერ არ იცნობდა, მაგალითად, ალ. ქავჭავაძეს, გრ. ორბელიანს და მრავალ სხვას. მისი ცოდნის არე ქართველი საზოგადოების შინაგანი ძალებისა და მისი შემადგენლობის შესახებ ჯერ კიდევ ვიწრო იყო. ჩანს, სოლ. დოდაშვილი ამ დროს თანამემამულეთა ერთი ნაწილის მხოლოდ გარეგან მხარეს დაჰკვირვებია.

1828 წელს სოლ. დოდაშვილი ისევ წერს: „მე გახლავარ ესე ვითარსა სიმრგულესა შინა საზოგადოებისა, სადაცა ვერა რაისა ღირსებასა ვერ ვიხილავ, არა არს მათსა სულსა შინა ქეშმარიტება, არამედ დანერგილ არს ყოველი ვნება, არ არს მიდრეკა მათ შორის სიბრძნისადმი, არ არს მეცადინეობა, არ არს სიყვარული სწავლისა და სწავლულთა“<sup>1</sup>.

მაგრამ მდგომარეობა მალე იცვლება. მეგობართა და ნაცნობთა წრე ფართოვდება; მთავრდება რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომებიც; დოდაშვილი ეცნობა ალ. ქავჭავაძეს, გრ. ორბელიანს, გ. დ. ერისთავს, ალ. ვ. ორბელიანს და სხვებს. წამოიზარდნენ მისივე მოწაფეები. ამიტომ ახლა იგი უკვე გახარებულია<sup>2</sup>.

<sup>1</sup> H, 2226, ფ. 302—304; „მას. საქ. და კავკ. ისტ.“, გვ. 105.

<sup>2</sup> „სალ. ნაწ.“, 1832 წ., № 2.

სოლ. დოდაშვილი განათლებას ხალხის სამსახურში აყენებს. ხოლო ის გარემოება, რომ ქართულ თეატრს ჩანასახშივე ჰკლავდნენ, ქართულ ეურნალსა და გაზეთს მძიმე ვითარებაში უხდებოდა არსებობა, რომ ქართული კულტურის ახალი წამოწყებათათვის არ მოიძებნებოდა ფულადი სახსარი, რომ საქართველოში უმაღლესი განათლების პირები ცოტა იყვნენ და არსებულ სასწავლებლებს კარგი მოწყობილობა არ ჰქონდათ — იწვევდა მასში პროტესტს; დოდაშვილი ებრძოდა ხელშემშლელ გარემოებებს.

სოლ. დოდაშვილი განათლების გავრცელებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მისი აზრით, საქართველო კულტურის მხრივ ზოგ სხვა ქვეყანას ჩამორჩა, რასაც ხელი შეუწყო ცარიზმის ბატონობამ და ხშირმა ომიანობამ. პატრიოტიზმი თანდათან სუსტდება და გაუნათლებლობის გამო ქართული ყოფის მრავალი ნაკლი შეუმჩნეველი რჩება. მისი თქმით, უმეცრება „არის სარწმუნო თანამოგზაური მონებისა“<sup>1</sup>.

მაშინ ქართველთა შორის, წინა პერიოდთან შედარებით, განათლების გავრცელების შესახებ საყურადღებო მსჯელობას ჰქონდა ადგილი; განათლების გავრცელებით ეწადათ ცუდი მდგომარეობის გამოსწორება. ფიქრობდნენ, რომ, თუ ქვეყანაში განათლება ნაკლებია, ხალხის შემდგომი ეკონომიური წინსვლა მეტად ძნელი იქნება.

---

<sup>1</sup> S, 388, გვ. 21; „ივერია“, 1887 წ., № 227.

ფრიად მნიშვნელოვანია ისიც, რომ მსგავსი იდეები დეკაბრისტებს შორისაც იყო გავრცელებული. როგორც დეკაბრისტები, ისე სოლ. დოდაშვილიც ცარიზმის წინააღმდეგ საზოგადოების დარაზმების ერთ-ერთ საშუალებად განათლებას თვლიდა. მაგალითად, დეკაბრისტი ალ. მურავიოვი ამბობდა: ჩვენი მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საშუალება „განათლების გავრცელება“ იყოო<sup>1</sup>.

რა თქმა უნდა, პროგრესისაკენ სწრაფვა განათლებითათვის მხარის დაქერასა და მის განვითარებას მოითხოვდა. XVIII საუკუნის ფრანგ განმანათლებელთა მსგავს იდეებს მაშინ მრავალი მომხრე ჰყავდა. ხოლო სოლ. დოდაშვილი, რომელიც იცნობდა ვოლტერს, ჟან-ჟაკ რუსოს<sup>2</sup>, სოლ. დოდაშვილი, რომლის თვალწინ ჩაიარა დეკაბრისტთა აჯანყებამ და ევროპაში არაერთი სოციალურ-პოლიტიკური ძვრა მოხდა, განათლებისათვის ასეთი როლის მიკუთვნებას არ ემიჯნება.

ზემოთქმულის გარდა, იმ გაგებაში, რომელიც დოდაშვილს ჰქონდა განათლების შესახებ, იგულისხმება მეცნიერების განვითარება. მას განათლების განვითარების პირობად სხვადასხვა მეცნიერებათა სრულყოფა მიაჩნია. ამიტომაც არის, რომ იგი უნივერსიტეტს დიდ პატივს სცემდა. იგი მეცნიერების ზოგად განსაზღვრასაც იძლევა: „Разум наш стремится все приобретенныя разнообразныя познания привести в систему (науку, единство).“

---

<sup>1</sup> „Вос. декабристов“, материалы, 1927 წ., ტ. III, გვ. 6.

<sup>2</sup> მაგალითად, სოლ. დოდაშვილს ერთგან სწერდნენ: „Руссо и ти исключение“ (ცსა, განს. მნიშ. ს. ფ., საქ. 171, გვ. 256).

Что же такое система или наука?

Наука в обширном смысле есть систематическое изложение правил,—систематическое познание<sup>1</sup>.

დოდაშვილის აზრით, საქართველოში განათლების გავრცელებით მრავალი საკითხის გადაჭრა შეიძლებოდა. შეიძლებოდა, მაგალითად, იმ საშინელი სენის მოსპობა, რომელიც ქართველ თავადურ გვარებს შორის გაუთავებელ დავასა და ქიშპობაში იხატებოდა. მართალია, ამის აღკვეთა სხვა მხრივაც შეიძლებოდა, მაგრამ განათლება უფრო მასობრივი და მეტად ანგარიშგასაწევი, ძლიერი მორალური საშუალება იყო. ქართველ თავადურ გვარებს ერთმანეთს შორის გაუთავებელი დავა ჰქონდათ მიწების, ყმების, ქონების, სხვადასხვა წამოწყებათა მიმართ დამოკიდებულებისა და სხვათა შესახებ. ეს დავა და ქიშპობა ყველაზე უფრო მძიმედ ქართველ გლეხკაცობას აწვა კისერზე, იგი ხელს უშლიდა ქვეყნის განვითარებას. ამ დავის შესახებ სოლ. დოდაშვილს მრავალი რამ სმენია და თვითონაც არაერთგან ამბობს: საქართველოში მემამულეებს შორის დიდი დავა და ქიშპობაა<sup>2</sup>.

სოლ. დოდაშვილი იბრძოდა იმისათვის, რომ საქართველო განათლების მხრივ მოწინავე ქვეყნად გადაქცეულიყო. იგი განათლების გავრცელებით აპირებდა საქართველოს სიყვარულის კიდევ უფრო განმტკიცებას. მისთვის ცნობილი იყო, თუ განათლებული ადამიანი თავისი სამშობლოსათვის როგორი შეუპოვრობით იბრძვის.

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 1457, რე. X, ფ. 1839.

<sup>2</sup> ცსსა, ფონდი 1457, რე. XXVII, ფ. 78.

ამასთან, იგი ფიქრობდა, რომ მომავალში საქართველოს ახალი განათლებული კადრები დასჯირდებოდა. რუსეთში მოწინავე განათლებასა და პროგრესულ აზრებს ზიარებულ „ლოგიკის“ ავტორისათვის ძნელი არ იყო დაენახა, რომ ძველი მამა-პაპური წესით არსებობა მომავალი საქართველოსათვის შეუძლებელი იყო. იგი კიდევ წერდა: განათლება „შეიქმნების გაწმენდილს წყაროდ საერთოთა კეთილმოქმედებათაო“.

დოდაშვილს განათლების გავრცელების სხვადასხვა საშუალებად მიაჩნია სკოლა, ჟურნალი, გაზეთი და სხვ. მას თითოეულ ამ საქმეში გარკვეული მუშაობა ჰქონდა ჩატარებული.

მართალია, საქართველო უნდა განათლდეს, მაგრამ ვის უნდა მიბაძოს მან ამ საქმეში, ვინ უნდა ჰყავდეს სანიმუშოდ? სოლ. დოდაშვილს ამ საკითხზეც ნათელი წარმოდგენა აქვს.

ფიქრობენ, რომ სოლ. დოდაშვილი „მედასავლეთე“ („ზაპადნიკი“) იყო<sup>1</sup>. ამას ფიქრობენ იმ ზოგიერთ ცნობაზე დაყრდნობით, სადაც დოდაშვილი, მაგალითად, ლაპარაკობს: „საჯარო აღზრდა“ საქართველოს აიყვანს „ევროპულ განათლებულობის საფეხურზე“<sup>2</sup> და სხვ. მაგრამ სოლ. დოდაშვილი „მედასავლეთე“ არ ყოფილა.

„მედასავლეთობა“ რუსეთში წარმოიშვა და რთული ხასიათის მოძრაობა იყო; მასში არაერთ მიმდინარეობას ჰქონდა ადგილი. ეს მიმართულება ფართო ფენებში გავრცელდა. მაგრამ ისტორიულად ვიციტ, რომ

<sup>1</sup> გ. თავზიშვილი, დას. წიგ., გვ. 323.

<sup>2</sup> სოლ. დოდაშვილი, „ლოგიკა“, გვ. 7.

„მედასავლეთედ“ ყველა, ვინც დასავლეთ-ევროპის მიღწევებს აღიარებს, არ იწოდება. ამიტომ დასავლეთ-ევროპის მოღვაწეთა ზოგიერთ იდეასთან სოლ. დოდაშვილის კავშირი არ უნდა ვცნოთ შისი მთელი საქმიანობის ძირითად საფუძვლად და განმსაზღვრელად. თუ ასეთ გზას დავადგებით, მაშინ აუხსნელი დარჩება უამრავი საბუთი, რომელნიც დოდაშვილის „მედასავლეთობის“ წინააღმდეგ მეტყველებენ; ასეთი გზა იქნებოდა „მედასავლეთობის“ წარმოშობისა და შინაარსის უგულებელყოფა.

დოდაშვილმა, რასაკვირველია, იცოდა, რომ ევროპა ზოგ რამეში მოწინავე იყო. მაგრამ მისი აზრით, საქართველოში განათლების განვითარების ძირითად პირობას ადგილობრივი და წარსულის მდიდარი ტრადიციები წარმოადგენდა. და თუ მას, როგორც ამას ზოგიერთი ავტორი ამტკიცებს, საქართველოში მხოლოდ დასავლეთ-ევროპული განათლება და წესები სურდა დაენერგა, მაშინ რაღა საჭირო იყო ის თავგამოდებული ბრძოლა, რომელსაც იგი ქართული კულტურის განვითარებისა და წინსვლისათვის ეწეოდა. დოდაშვილი „მედასავლეთე“ არ იყო.

სოლ. დოდაშვილს დიდი სურვილი ჰქონდა, რომ ქართული კულტურა და განათლება დასავლეთ ევროპისათვის გაეცნო. მაგალითად, ამის შესახებ ერთგან იგი წერს: „ქართულსა ენასა ზედა არიან მრავალნი მშვენიერნი თხზულებანი და თარგმნილიცა წიგნი სხუა და სხუა და ძველსა და უახლოესთა ენათაგან“... და... „მოყუარენი საზოგადოობის განვითარებისა იხილავენ ძველსა ადგილსა შინა კავკასიის ამიერმცხოვრებთასა მდიდარსა

ნივთიერება სასალიტერატუროისასა, რომელიცა აქამომდე წყვილიადასა შინა სიბნელისასა დაფარულ იყო მხედველობათაგან განათლებულისა ევროპიისათვის<sup>1</sup>.

აღნიშნულის მტკიცება დოდაშვილს იმისთვის სჭირდება, რომ გაფანტოს თვითმპყრობელობის მმართველ წრეში გაბატონებული აზრი--საქართველო გაუნათლებელი ქვეყანა არისო.

სოლ. დოდაშვილი უფრო მეტ ყურადღებას რუსი ხალხის განათლებას აქცევდა. როგორც უკვე ვამბობდით, იგი რუსი გამოჩენილი მოღვაწეებით ლომონოსოვით კარამზინით და სხვ. აღფრთოვანებული იყო. ამასთან იგი აღიარებდა, რომ რუსეთში მიღებული ცოდნითა და სწავლით „მამული ჩვენი მოელის ბედნიერებასო“.

ამგვარად, სოლ. დოდაშვილს განათლების მნიშვნელობა ფართოდ ესმის. მისი თქმით, განათლება არის „უმტკიცესი და უსაიმედოესი საფუძველი კეთილმდგომარეობისა ყოვლის საზოგადოების“, იგი ადამიანს აკეთილშობილებს, გაწმენდს და „მამულის მოყვარეთა“ მოქალაქეობას აამაღლებს. საქართველოს განათლების დარგში კარგი წარსული აქვს და ცარიზმი მის გავრცელებას აბრკოლებს, საქართველოში განათლება უპირატესად რუსეთის მოწინავე განათლებასთან კავშირში უნდა განვითარდესო.

როგორ როლს აკუთვნებს სოლ. დოდაშვილი აღზრდას? სოლ. დოდაშვილის აზრით, ახალი თაობა კარგად

---

<sup>1</sup> „სალ. ნაწ.“, 1832 წ., № 1.

უნდა იყოს აღზრდილი. მშობლები მაშინ იქნებიან დამშვიდებულნი და ბედნიერნი, როდესაც ახალგაზრდობის მომავალი კარგი და სასიხარულო იქნება. ახალი თაობა—მომავლის განმსაზღვრელი—აწმყოში უნდა იქნას აღზრდილი და მან სამშობლოს ტვირთის ზიდვა უნდა შეძლოს. თუ ახალგაზრდობა თავიდანვე არ იქნა კეთილ-გონიერად აღზრდილი, თუ მასში ადამიანობა, სიყვარული არ ჩაინერგა, თუ მას ახლავე სამშობლოსათვის თავდადება არ გამოუყვამუშავდა, მაშინ ერის წინსვლა შეფერხდება. პროგრესის ერთი პირობა ახალი თაობის კარგი აღზრდაა.

დოდაშვილის დროს აღზრდას სხვადასხვაგვარად უყურებდნენ. ერთნი ფიქრობდნენ, რომ აღზრდა ყოვლისშემძლეა, მით შეიძლება ადამიანმა სრულიად გამოიცივლოს ზნე, ხასიათი, მიდრეკილება და სხვ.. მეორენი კი ასაბუთებდნენ: აღზრდას ადამიანი შეუძლია მხოლოდ ნაწილობრივ შეცვალოსო. დოდაშვილიც სწორედ ამათ შორის იყო. მისი აზრით, აღზრდას ადამიანი შეუძლია შეცვალოს ხშირად და არა ყოველთვის<sup>1</sup>.

დოდაშვილის პედაგოგიური პრაქტიკიდან ჩანს, რომ იგი გულმოდგინედ უყვირებოდა მოწაფეებს. თბილისიდან პეტერბურგში მიწერილ წერილებში ამაზეა საუბარი. იგი უყვირებდა თავის მოწაფეთა ხასიათს, ზნეს, ჩვევას და ნიჭიერებას; მსჯელობს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მოწაფეთა მიდრეკილებასა და სხვა მსგავს საკითხებზე. იგი აღზრდის სხვადასხვა ხასიათსაც ეხება. მაგრამ განსაკუთრებით ყურადღებას აქ-

---

<sup>1</sup> გ. თავზიშვილი, დას. წიგ., გვ. 338—339.



ცევს ისეთ აღზრდას, რომელიც შზრუნველობით წარის აღსავსე და ყურადღება ექცევა ბავშვის გონებრივ და ზნეობრივ აღზრდას. მაგრამ დოდაშვილი უპირატეს ყურადღებას გონებრივ აღზრდას აქცევდა. იგი ამასთან დაკავშირებით წერდა: „არა გვართ იქების კაცი, არამედ გონებითად მოქმედებითა ხელოვნად“<sup>1</sup>.

აღნიშნულის მტკიცება დოდაშვილს იმათ წინააღმდეგ სჭირდებოდა, ვინც თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში „მაღალი“ წრიდან იყომისული და დროს უქმად ატარებდა, მაგრამ მაინც ამაყობდა, — ამაყობდა მხოლოდ გვარიშვილობით. დოდაშვილი ამით აღშფოთებული იყო. იგი წერდა: „აქაურის შკოლის თავადთა და აზნაურთა“ არა აქვთ ინტერესი მომავლის გაგებისა, არ იცნობენ თავიანთ თავს და არც საზოგადოებასა და ბუნებასაო<sup>2</sup>.

დოდაშვილი თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის დროს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მოწაფეებში პატრიოტიზმის ჩანერგვას („მამულის სიყვარულს“) და ქართული ენისა და ქართული სიტყვიერების სწავლას.

ქართული ენა და ქართული სიტყვიერება — უშრეტი განძია, ფიქრობდა იგი. მის წარმატებაზე დიდად არის დამოკიდებული საქართველოს წინსვლა. დოდაშვილი იბრძოდა რა ქართული ენისა და სიტყვიერების დაცვა-განვითარებისათვის, ერთგან იგი პირდაპირ წერდა: „წარმატებანი ენისა და სიტყვიერებისანი მოწმობენ აღმატე-

<sup>1</sup> H, 2226, ფ. 261; „მას. საქ. და კავ. ისტ.“, გვ. 112.

<sup>2</sup> იქვე, ფ. 261; იქვე, გვ. 112.

ბისა ერისასა“<sup>1</sup>. და რაოდენ ძლიერად ეღერს ეს იმ დროს, როცა ქართული ენა შევიწროებას განიცდიდა, როცა იგი მეფის ოფიციალური წრის მიერ აბუჩად აგდებისა და დაცინვის საგანი იყო. ამასთან დოდაშვილი შემდეგსაც ამბობდა: „მეტყველება და აზროვნება შეერთებულია განუყრელი კავშირითაო“<sup>2</sup>.

რაც შეეხება მოწაფეებისადმი „მამულის სიყვარულის“ ჩანერგვას, ეს მაშინ ისაზღვრებოდა საქართველოს კონკრეტული ისტორიული პირობებით.

მნიშვნელოვანია აგრეთვე დოდაშვილის შეხედულება გადაცემის, სწავლების მეთოდების შესახებ. იგი ამ საკითხზე მსჯელობს ჩვენს მიერ 1943 წელს აღმოჩენილ „ლოგიკის“ ფურცლებზე. აქ ეჭვთან ვკითხულობთ:

„Методически мы мыслим тогда, когда мы мысли наши соединяем по правилам. Сему мышлению противупологается не методически.

Кто мыслит методически, тот может преподавать свои мысли систематически, т. е. по правилам и такое преподавание наз (ывается) Систематическим.

Если же он преподает только отдельные части какой-нибудь науки, то сие преподавание, изложение мыслей, наз (ывается) отрывочным.

Ежели части сии в уме расположены в порядке (систематически), то сие преподавание наз (ывается) афористическим“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> Н, 2226, ფ. 105; იქვე, გვ. 63.

<sup>2</sup> სოლ. დოდაშვილი, „ლოგიკა“, გვ. 15.

<sup>3</sup> ცხსა, ფონდი 1457, რვ. X, ფ. 1837—1854.

ამასთან დოდაშვილი მსჯელობს ანალიტიკურ, სინ-  
თეტიკურ, სქოლასტიკურ, „простонародной“, დოგმა-  
ტიკურ და სკეპტიკურ მეთოდებზე, არკვევს, თუ რა  
არის კრიტიკა და რას ეწოდება ისტორიული მეთოდი.  
ბოლოს დასძენს: „Методы разд (еляют) на Акро-  
матическую и Еротиматическую. В-пер-  
вой учитель только предлагает правила, а вто-  
рая бывает двоякая, Диалогическая или  
Катехизическая“.

როგორია აღმზრდელობითი სწავლების იდეა სოლ.  
დოდაშვილის პედაგოგიურ შენიშვნებში?

დოდაშვილმა იცის, რომ ადამიანში ადამიანური  
ღირსება აღზრდის შედეგია, რომ ადამიანში მოქალაქ-  
ის აღზრდა პირველია, რომ „მამულის სიყვარული“  
ადამიანობის განსაკუთრებული ნიშანია. ამათ შესახებ  
იგი ბევრგან საუბრობს. სამშობლოზე ფიქრი, მისთვის  
ზრუნვა, მისი სიყვარული მას მუდამ თან სდევს. იგი  
წერს: „ვიკრებ სიბრძნესა მამულისათვის“; ანდა—„ყო-  
ველსა ცხოველსა ძალუძს ცხოვრება სოფელსა შინა...  
გარნა სიყვარულმა მამულისამ განმალვიძა“. დოდა-  
შვილს სამშობლოს სიყვარული ყველაზე ძლიერ და  
უქცნობ გრძნობად მიაჩნია.

სოლ. დოდაშვილის აზრით, სწავლა-განათლება, აღ-  
ზრდა, ძირითადად სკოლას ეკისრება. იგი ამ პოზიცი-  
ებიდან შლის ბრძოლას საქართველოში სასწავლებელთა  
მუშაობის გაუმჯობესებისა და ახალ სასწავლებელთა  
დაფუძნებისათვის. მის მსჯელობაში ამ საკითხზე ორი  
პერიოდი განირჩევა. მან იცის, თუ სწავლა-განათლე-  
ბის წარმატებისათვის რა პირობებია საჭირო. მარტო

სურვილი და მოწაფეთა სიმრავლე საქმარისი არაა. მისი აზრით, საქართველოში სკოლის ქსელსა და სწავლების ხარისხს თავისი უხეში დაალი დაასვა რუსეთ-ირანის ომმა. ფრონტი ახლო იყო და ადგილობრივი ხელისუფლება სასწავლებლებს ყურადღებას არ აქცევდა. როცა ომი მთავრდებოდა, დოდაშვილი იმედს მიეცა, ეგონა — ახლა სწავლის საქმე საქართველოში შეიცვლებაო. იგი აღნიშნავდა: „ამის შემდგომ ვგონებ იმეცადინოს მთავრობამ განვრცელებისათვის სწავლათა, ვინაიდან ინება ღმერთმან მშვიდობის მონიჭებაო“<sup>1</sup>.

ეს დაიწერა 1827 წლის ოქტომბერში. მაშასადამე, იგი გულისხმობდა რუსეთ-ირანის ომის დამთავრებას<sup>2</sup>. მაგრამ მისი იმედი არ მართლდება, ვარაუდი იმსხვრევა და მალე ახალი ომი იწყება: 1828 წლის აპრილში იწყება რუსეთ-თურქეთის ომი. მდგომარეობა ძველებურია. დოდაშვილი კვლავ სწუხს. ვითარებას რუსეთის სამხედრო ოპერაციათა წარმატება ცვლის. უკვე 1828 წლის ნოემბერში იგი წერს: „დღეს ნოემბრის 20-სა გახლდი მთავარმართებელს ღრაფ-ერევანსკისთან, რომელმანცა მიბრძანა რომელ თბილისის საკეთილშობილო სასწავლებელსა შინა დააწყობს სხვასა კანონსა, მრავალ ცვლილებას ჰყოფს და აგრეთვე უეზდებში გახსნის სასწავლებლებს და მისცემს თვისსა წესსა და

---

<sup>1</sup> H, 2226, ფ. 205—206; „მას. საქ. და კავკ. ისტ.“, თბ., 1945 წ., ნაკ. II, გვ. 101.

<sup>2</sup> რუსეთ-ირანის ომი ამ დროს არსებითად დამთავრებული იყო. რუსეთის ჯარი მტრის ტერიტორიაზე ღრმად იყო შეჭრილი და ლაპარაკობდნენ ხაზზე, რაც დაიდო 1828 წლის 10 თებერვალს.

მდგომარეობას, მე შოვახსენე ესრეთ: „დიდ ფრიად საჭიროდ არს ესრეთ საფუძველი სიბრძნისა მხარესა ამას შინა“<sup>1</sup>.

თურქეთთან ომი 1829 წელს რუსეთის ბრწყინვალე გამარჯვებით მთავრდება. დოდაშვილი ისევ სკოლის საქმის გაუმჯობესებას ელის, ვინაიდან ხელახლა მშვიდობა მყარდება. 1832 წელს იგი ბექდავს ერთ წერილს და ამ ომის დამთავრებასაც ეხება: „შემდგომ დიდის მისა მშვიდობის დამტკიცებისა საგრძნობლად ჩანს განცისკროვნება სხივთა ქეჰმარიტის განათლები-სათა მამულსა შინა ჩვენსაო“<sup>2</sup>.

სოლ. დოდაშვილი 1826—1829 წლებს საქართველო-სათვის თვლის ისეთ პერიოდად, როცა აქ არ იყო „მშვიდობა“ და სასწავლებლებისათვის მმართველობას ჯეროვნად არ ეცალა. „მშვიდობის“ მოპოვების შემდეგ კი ვითარება იცვლება.

რასაკვირველია, იგი ამ საკითხში ერთმხრივ—და მხოლოდ ერთმხრივ—იყო მართალი.

თუ 1832 წლის პერიოდის სასწავლებელთა მდგომარეობას აღარებს 1826—1829 წლების პერიოდს, იგი ხედავს გარკვეულ წინსვლას, თუ არადა სხვა სურათი იშლება. მაგრამ მან საერთოდ იცის, რომ ნიკოლოზ I არ შეეძლო დაეკმაყოფილებია ხალხის მისწრაფება სწავლისაკენ.

დოდაშვილის აზრით, სკოლას არა მარტო მოწაფეებისათვის ჰქონდა მნიშვნელობა, არამედ მოსახლეო-

<sup>1</sup> II, 2226, ფ. 306—307; „მას. საქ. და კავ. ისტ.“, 1945 წ., ნაქ. II, გვ. 129.

<sup>2</sup> „სალ. ნაწ.“, 1832 წ., № 2.

ბისთვისაც. სასწავლებელთა ტერიტორიალური განლაგების ფაქტორი მის მიერ დაეფიქსებული არ არის. ი. ხელაშვილი მას კიდევ ეუბნებოდა: „ყოველ ქალაქსა შინა საკირონი არიან სწავლანი“... და... „უფროისლა სიღნაღსა შინა“, ვინაიდან იქ ლეკნი ახლოს არიანო<sup>1</sup>. თვითონ სოლომონი კი მონაწილეობდა იმ პროექტის შემუშავებაში, თუ საქართველოში სად რომელი სკოლა უნდა გახსნილიყო.

ღოდაშვილი სწავლაში ასაკის მნიშვნელობასაც ეხება. იგი მომხრეა, რომ სკოლაში ბავშვი პირველად მერვე წელში გადამდგარი მიაბარონ<sup>2</sup>. ერთგან იგი იმაზეც კი მსჯელობს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ასაკს ცოდნის შეძენაში. ამის შესახებ იგი წერს: „მზრუნველობა თქვენი ძმისწულთა თქვენთა იოანესი და გრიგოლისაჟვის ფუქი და უსარგებლო იქნება, ვინაიდგან იგინი არიან: პირველ მქისენი, ესე იგი, რაიცა გამოუხატავთ ძალნი შინა სულთასათა, ზათ მიუღიათ ძირი ესე ვითარი, რომელ ძნელად აღმოიფხვრებიან მათგან, ვინაიდგან გარდასრულნი არიან იმ წლოვანებისაგან, რომელსაცა შინაცა უნდა მიიღოს ჰსწავლანი გულისხმერმან არსებამან. მეორედ, წარმოდგენილ აქვთ თხოვნა მეუღლისა, რომელთაცა წვერი და უღვაში პირსა ზედა მათსა იპყოფებიან... ხოლო მე, ვითარცა აღმითქვამს აღვზრდი შეწევნითა ღეთისათა სოლომონის შვილს მიხეილს, რომელიცა არს ექვსის

<sup>1</sup> H, 2226, ფ. 312.

<sup>2</sup> S, 388, ფ. 62—64; „მას. საქ. და კავ. ისტ.“, თბ., 1945 წ., ნაკვ. II, გვ. 144.

წლისა, ვინაიდგან მცირე წლიდგან. მი-  
იღებს ყოველსა სიბრძნესა საფუძვლიანად  
და შეურყეველად<sup>1</sup>.

რაც შეეხება საქართველოში სკოლის ქსელს, დოდა-  
შვილს იგი მიაჩნდა მცირედ.

მაშინ თბილისში ხშირი მსჯელობის საგანი იყო სა-  
ქართველოში სასწავლებელთა ქსელის სიმცირე. იდგა  
აგრეთვე საკითხი ქართული უნივერსიტეტის დაარსე-  
ბის შესახებ. სოლ. დოდაშვილი ყოველივე ამის გულ-  
მხურვალე მონაწილე იყო. მაგალითად, ერთი საუბრის  
შესახებ, რომლის მონაწილე დოდაშვილიც იყო, მას-  
წავლებელი ზ. ავთანდილაშვილი შემდეგს მოგვითხრ-  
ობს: „ელიზბარ ერისთავმა დამპატიჟა სადილად, სა-  
დაც იყვნენ... ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები,  
გიორგი ერისთავი... მასწავლებლები: დოდაშვილი  
და ყიფიანი, სოლომონ-რაზმაძე და... დიმიტრი ერის-  
თავი, რომელნიც იქ გამაცნო ელიზბარმა. მე უკან მო-  
მყვა... იოსებ მამაცაშვილი. გაშალეს სადილი, რომლის  
დროს, გარეშე საგნების გარდა, ილაპარაკეს სასწავ-  
ლებლების სიმცირის შესახებ საქართველოში და რომ  
ქართველი ახალგაზრდობის წარმატებით და სწრაფად  
განათლებისათვის მთავრობამ თბილისში უნდა დაარსოს  
უნივერსიტეტი, სამხედრო კორპუსები და სხვა სასწავ-  
ლებლები“<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> S, 388, ფ. 60—61; „მას. საქ. და კავ. ისტ.“, თბ., 1945 წ., ნაკ. II, გვ. 136—137.

<sup>2</sup> ცხსა, ფონდი 1457, რე. I, ფ. 44; გ. გოხალიშვილი, დას. წიგ., გვ. 153.

დოდაშვილი აფასებდა კარგ მასწავლებლებს, სახელმძღვანელოებს და ამასთან თიქრობდა, რომ შეეკრიბა ფული, რათა ამ თანხით სამაზრო სკოლისათვის შენობა აეგო.

ცნობილია, რომ მაშინ კარგი სახელმძღვანელოებიც იშვიათი იყო. უმეტეს საგნებში სახელმძღვანელოები სრულიად არ იყო. დოდაშვილი უთქვამდა ამ გარემოებას და თბილისიდან პეტერბურგში სწერს ნ. გრეჩის რუსული გრამატიკა გამოგზავნონ, იგი აქ „დიდად საჭირო გახლავთ“<sup>1</sup>. ამასთან, ზრუნავს, რომ ნიქიერი მასწავლებელი ფილ. კიკნაძე რომელიმე სკოლაში მოაწყოს<sup>2</sup> და სხვ.

დოდაშვილი სკოლის წოდებრივ დანიშნულებაზეც ჩერდება. ერთგან იგი წერს: „აწინდელსა განსვენებითსა მდგომარეობასა შინა მამულისა ჩვენისა ყოველმან კაცმან შიამკია ყურადღება განათლებასა ზედა, მაშასადამე, ყოველი წოდება, ყოველი მდგომარეობა უნდა მოელოდეს რომელ მათ ეყოლებათ კაცთ მოყვარენი, სარწმუნონი და ერთგული თანამეშრომენი“<sup>3</sup>.

აქ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს დოდაშვილს სჯერა, რომ ნიკოლოზ I ეპოქაში „ყოველ“ წოდებას ექნება განათლების მიღების შესაძლებლობა. მაგრამ დამოწმებული ციტატის ასე გაგება არ იქნება სწორი. დოდაშვილმა აღნიშნული 1832 წელს დაბეჭდა. ამ დროს კი ამიერკავკასიის სკოლების შესახებ საერთო დე-

<sup>1</sup> H, 2226, ფ, 295—296; „მას. საქ. და კავკ. ისტ.“, თბ., 1945 წ., ნაკ. II, გვ. 108.

<sup>2</sup> ცსსა, ფონდი 1457.

<sup>3</sup> „საღ. ნაწ.“, 1832 წ., № 2. გვ. 46.



ბულება უკვე დამტკიცებული იყო, ხოლო ამ დებულებაში იყო საუბარი სხვადასხვა წოდებათა შესახებ დაწყებითი სწავლის მიღებაზე. ამიტომ დოდაშვილი მხოლოდ ამ აზრს იმეორებდა, თორემ მან კარგად იცოდა, რომ ყმებს არ შეეძლოთ, მაგალითად, გიმნაზიაში სწავლა, რომ სასწავლებლის კარები ხალხის ფართო მასებისათვის დაკეტილი იყო.

\* \* \*

სოლ. დოდაშვილის პედაგოგიური იდეები, მართალია, მრავალმხრივია, მაგრამ ზოგიერთ საკითხს როგორც პედაგოგიკის თეორიის, ისე პედაგოგიკის ისტორიიდან, ისინი ივიწყებენ. მაგალითად, დოდაშვილი არსად არ მსჯელობს ქალთა განათლების საკითხზე და სზე.

სოლ. დოდაშვილის პედაგოგიურ მოღვაწეობას მის ცხოვრებაში ფართო ადგილი ექირა.

---

## IV სოლ. დოდაშვილი და „ტფილისის უწყებანი“<sup>1</sup>

გაზეთ „ტფილისის უწყებანისადმი“ სოლ. დოდაშვილის დამოკიდებულებას, ისევე როგორც თვით ამ გაზეთს, თავისი ისტორია აქვს. აქ საკმაოდ კარგად ჩანს სოლ. დოდაშვილის ჟურნალისტური მოღვაწეობა.

„ტფილისის უწყებანი“ 1828 წელს გამოვიდა. ხოლო დოდაშვილმა ამ გაზეთის ცხოვრებაში მეტად აქტიური მონაწილეობა მიიღო.

თუმცა ქართული გაზეთი 1828 წლის ივლისში გამოიცა, მაგრამ ეს არ მომხდარა ნაუცხადევად, არამედ იგი წინასწარი ხანგრძლივი მუშაობის შედეგი იყო.

ქართულ ჟურნალისტიკას 1828 წლისათვის თავისი ისტორია ჰქონდა გავლილი; პირველი ქართული გაზეთი 1819 წელს გამოვიდა, მაგრამ 1821 წლის შემდეგ ამ გაზეთის გამოცემა შეწყდა. ქართულ საზოგადოებას კი საკუთარი პერიოდული ორგანო ესაქიროებოდა.

1828 წელს ქართულ ენაზე გაზეთის გამოცემას მრავალმხრივი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული საზოგადო-

---

<sup>1</sup> ეს საკითხი ვრცლად იხილეთ ჩემს წიგნში „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“, თბ., 1954 წ., I. გვ. 78—170. იხ. აგრეთვე პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, თბ., 1941 წ., ა. აბრამიშვილი. „ტფილისკიე ვედომოსტები“ („ბიბლიოგრაფიის მოამბე“, 1948 წ., № 4—5).

ებისათვის. ახლა შედარებით ბევრს ესმოდა გაზეთის როლი და მნიშვნელობა. ამასთან, 1828 წლისთვის რუსეთში მრავალი ჟურნალ-გაზეთი გამოდიოდა; საქართველოს შესახებ ცნობები რუსულ პრესაში ახლა უფრო ფართოდ იბეჭდებოდა, რუსულ პერიოდულ ორგანოებში ქართველები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ; შეიქმნა ქართველ კორესპონდენტთა გარკვეული ქსელი; პირველმა ქართულმა გაზეთმა 1819 — 1821 წლებში მრავალი საჭირობოროტო საკითხი გამოამჟღავნა საქართველოს ბედ-იღბალით დაინტერესებულთათვის; ახალ პირობებში, ე. ი. 1828 წლისთვის, ქართული საზოგადოებრივი აზრი განვითარების ახალ ეტაპს აღწევს, — ყოველივე ეს, ცხადია, უფრო მკვეთრად ამზადებდა ნიადაგს მშობლიურ ენაზე ახალი საკუთარი ორგანოს შექმნისათვის.

მაშინდელ მმართველობას ქართული გაზეთის დაარსების საკითხი სხვაგვარად ესმოდა. თუ იგი 1828 წელს ქართული პერიოდული ორგანოს შექმნას თანხმდებოდა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას ქართული გაზეთის საშუალებით თავისი მიზნების განხორციელება სურდა. 1828 წლის ერთ-ერთ დოკუმენტში ქართული გაზეთის დაარსების შესახებ ვკითხულობთ, რომ თავდაპირველად „ტფილისის უწყებანის“ გამოცემა უნდა დაწყებულიყო მხოლოდ რუსულ ენაზე, ქართული გაზეთი კი შემდეგ დაემატებოდა, თუკი ეს აუცილებელი იქნებოდა; ამაზე ნიკოლოზ I თანხმობაც იყო მიღებული, მაგრამ თბილისის სამხედრო გუბერნატორმა, გარჩია რა საკითხი დაწვრილებით, დარწმუნდა, რომ, თუ ორივე გაზეთი ერთად არ გამოვიდა, ისე „нельзя надеяться ожидать пользы“.

ჩანს, 1828 წელს თავდაპირველად ქართული გაზეთის დაარსება არ უნდოდათ. მაგრამ, დაწვრილებით განუხილავთ რა თბილისში პერიოდული ორგანოს შექმნის საკითხი, მისულან იმ უდავო დასკვნამდე, რომ, თუ თბილისში მხოლოდ რუსულ გაზეთს გამოსცემდნენ, ხოლო ქართულ გაზეთს კი არა, მაშინ „НЕЛЬЗЯ НАДЕЯТЬСЯ ОЖИДАЕМОИ ПОЛЪЗЫ“. „ПОЛЪЗЫ“, რომლის შესახებაც ზემოდამოწმებულ საბუთში არის საუბარი, გულისხმობს იმ სარგებლობას, რომელსაც მეფის ხელისუფლება „ტიფლისკიე ვედომოსტისა“ და „ტიფლისის უწყებანის“ გამოცემით ელოდა. მეფის ხელისუფლება, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, თბილისში პერიოდული ორგანოს დაარსებით მოელოდა მთავრობისათვის სასარგებლო პოლიტიკის გატარებას, კარგი ფულადი შემოსავლის მიღებას და სხვ.

ბრძოლი ქართული გაზეთის შექმნისათვის დიდხანს მიმდინარეობდა; ეს ბრძოლა 1828 წლისთვის უკვე გაღრმავებული იყო. ამასთან, სრულიად ნათლად ჩანს ისიც, რომ საქართველოში ქართული ქურნალ-გაზეთის დაარსებით მაშინ ისე არავე არ ყოფილა დაინტერესებული და ამ საქმისთვის იმდენი სასარგებლო რამ არავეს გაუკეთებია, რამდენიც სოლ. დოდაშვილს.

იმ საკითხზე, თუ ახალი ქართული გაზეთის დაარსების შესახებ პირველად საუბარი სად და რომელ წრეში უნდა ყოფილიყო, ზ. კიკინაძე საყურადღებო ამბებს მოგვითხრობს. იგი ახალი გაზეთის აღმოცენებას მოსკოვსა და პეტერბურგში მყოფ ქართველთა წრეს უკავშირებს, ახალი ქართული გაზეთის გამოცემაზე საუბარი პირველად სწორედ იქ, და არა სხვაგან, იყო,

ზ. ჭიჭინაძე ამბობს: 1827 წელს პეტერბურგიდან სამშობლოში გამოემგზავრა სოლ. დოდაშვილი; მას თბილისში ჩამოსვლა იმიტომ უხაროდა, რომ აქ ქართული ჟურნალისა და გაზეთის გამოცემა უნდოდა; იგი პეტერბურგში ამ საკითხზე ესაუბრა ქართველ ბატონიშვილებს, რომლებმაც ეს განზრახვა მოიწონეს და დათანხმდნენ, რომ თბილისში სტამბის გასახსნელად ფულით სოლ. დოდაშვილს ბატონიშვილები და იონა ბერი (ხელაშვილი) უზრუნველყოფდნენ. ამის შემდეგ სოლ. დოდაშვილმა თავისი განზრახვა მოსკოვში მყოფ ქართველებსაც გააცნო და ისინი თავის მხრივ მას ხელშეწყობას შეპირდნენო<sup>1</sup>.

აღსანიშნავია შემდეგიც: ზ. ჭიჭინაძე, ვიდრე ამ თავის ზემონათქვამს გამოაქვეყნებდა, მანამდე „საქართველოს კალენდარში“ წერდა: იონა ხელაშვილმა სოლ. დოდაშვილს პეტერბურგიდან საქართველოში გამოემგზავრების დროს გამოატანა „3.000 მანეთი სტამბის დასაარსებლად და გაზეთის გამოსაცემადო“<sup>2</sup>.

ზ. ჭიჭინაძის ზემოხსენებული ცნობები ბევრ რამეში არ არის მართალი. ჯერ ერთი, არ არის მართალი ის, რომ ზ. ჭიჭინაძე ახალი გაზეთის დაარსების შესახებ ცნობებს საქართველოს გარეთ ეძებს. ნამდვილად კმასეთი ცნობები, პირველყოვლისა, თვით საქართველოში უნდა ვეძიოთ, ვინაიდან საუბარი გაზეთის დაარ-

<sup>1</sup> ზ. ჭიჭინაძე, სოლ. დოდაშვილი, 1892 წ., გვ. 15—16.

<sup>2</sup> „საქ. კალენდარი“, 1892 წ., გვ. 341. შემდეგში ამ ცნობას ზ. ჭიჭინაძე სხვადასხვანაირად იმეორებდა. იგი ამბობდა, რომ სოლ. დოდაშვილმა ამ ფულით „ტფილისის უწყებანის“ გამოცემა 1829 წელს დაიწყო (ზ. ჭიჭინაძე, ისტორია ქართული გაზეთების და ჟურნალებისა, თბილისი, 1902 წ., გვ. 21; შდრ. მისივე, სოლ. დოდაშვილი, 1892 წ., გვ. 16 და სხვ.).

სების შესახებ ჯერ სწორედ აქ მიმდინარეობდა; „ტფილისის უწყებანზე“ მსჯელობა პირველად სწორედ აქ იყო. 1827 წლის 31 ივლისს საქართველოს მთავარმართებელი თბილისიდან პეტერბურგში სწერდა: „Я полагаю-бы полезным, на предбудущее время, учредить в Тифлисе периодическое издание... Газета сия могла бы издаваться на российском языке... Со временем можно приобресть к оному и грузинский перевод“<sup>1</sup>.

შემდეგ, ზ. ჭიჭინაძის არც ის ცნობაა სწორი, რომ სოლ. დოდაშვილს პეტერბურგიდან თბილისისაკენ გამომგზავრებისას თითქოს 1827 წელს ხელაშვილისაგან სამი ათასი მანეთი მიეღოს სტამბისა და ქართული გაზეთის დასაარსებლად. ჩვენს ხელთ არის ხელაშვილისა და დოდაშვილის უამრავი საბუთი, მაგრამ არსად არ არის ნათქვამი, რომ ხელაშვილს დოდაშვილისათვის ქართული გაზეთის დასაარსებლად პეტერბურგიდან ფული გამოეტანებოდა. თუ დაკვირვებით გავეცნობით როგორც იონა ხელაშვილის, ისე სოლ. დოდაშვილის მიწერ-მოწერას, მაშინ ცხადი გახდება, რომ ქართული გაზეთის დასაარსებლად აღნიშნული თანხა სოლ. დოდაშვილს არ მიუღია იონა ხელაშვილისაგან. მაგალითად, 1827 წელს, როცა ს. დოდაშვილი პეტერბურგიდან თბილისისაკენ მოდიოდა, იგი გზიდან შემდეგს სწერდა იონა ხელაშვილს თავისი ხელმოკლეობისა და ფულადი სახსრების უქონლობის შესახებ: „მგზავრობასა შინა წარსაგებელი არა კმარ იყო, რომლისათვისაც

<sup>1</sup> Цгил, ფონდი 777, აღ. 1, საქ. 721, ფ. 2—3; ს. ჯანაშიას სახ. სახელ. მუზეუმი, ხელ. განყ., ვეიდენბაუმის ფონდი, ხელ. 367, ფ. 1.

მოვივასხე გზასა ზედა ორასი რუბლი“<sup>1</sup>. ესე იგი, პეტერბურგიდან თბილისისაკენ მგზავრობის დროს სოლ. დოდაშვილს არ ეყო ის ფული, რომელიც მას პეტერბურგიდან სამგზავროდ წამოუღია და სხვისთვის 200 მანეთი გამოურთმევეია სესხად. მაგრამ, თუ სოლ. დოდაშვილს, თანახმად ზ. კიკინაძის მიერ გამოქვეყნებული ცნობისა, სამი ათასი მანეთი თან მოჰქონდა, რად უნდა დასჭირებოდა მას სხვისაგან ფულის სესხება და ისიც ასე მცირე თანხის?

ამასთან, ჩვენ ისიც ვიცით, რომ, როცა სოლ. დოდაშვილი პეტერბურგიდან საქართველოსკენ უნდა გამომგზავრებულიყო, საჭირო სამგზავრო ფული იქ, პეტერბურგში, ვაი-ვაგლახით იშოვნა. მაშასადამე, სოლ. დოდაშვილს პეტერბურგიდან თბილისში გამომგზავრებისას ხელაშვილისაგან არავითარი ფული არ მიუღია ქართული გაზეთის დასაარსებლად.

რაც შეეხება ზ. კიკინაძის მესამე ცნობას, რომ პეტერბურგში ქართველთა შორის ქართული გაზეთის დაარსების შესახებ საერთოდ საუბარი უნდა ყოფილიყო, ეს, ვფიქრობთ, სწორია. სოლ. დოდაშვილი პეტერბურგში მცხოვრებ ქართველებთან დაახლოებული პირი იყო და მათს წრეში ტრიალებდა. ხოლო ამ წრემ ეურნალ-გაზეთების მნიშვნელობა კარგად იცოდა. პეტერბურგში მყოფი ქართველები ბევრს ცდილობდნენ ქართველთა შორის წერა-კითხვის, სწავლა-განათლების, წიგნების ბეჭდვისა და სხვა მისთანათა გავრცელებას. პეტერბურგში ცხოვრობდნენ ქართული წიგნების ავტორები, ქართული სტამბის დახელოვებული მუშაკები;

<sup>1</sup> H, 2226, ფ. 221—222; „მას. საქ. და კავკ. ისტ.“, 1945 წ., ნაკ. II, გვ. 104.

იქ ნახავდით იმ ქართველებსაც, რომელნიც რუსულ პერიოდში მონაწილეობდნენ. ამიტომ, გასაგებია, რომ მათ შორის ქართული გაზეთის დაარსების საკითხზეც უნდა ყოფილიყო მსჯელობა.

რით ასაბუთებდა ხელისუფლება „ტფილისის უწყებანის“ დაარსებას?

გენერალი პასკევიჩი, რომელიც იმ ხანებში საქართველოს მთავარმართებელი იყო და რომლის თანხმობის გარეშე თბილისში ვერც ერთი გაზეთი ვერ გამოიციემოდა, 1828 წელს პერიოდული ორგანოს გამოცემის საჭიროებას თავისებურად ასაბუთებდა. მისი აზრით, გაზეთის დაარსების აუცილებლობა რუსეთ-ირანის 1826—1828 წლების ომმა მოამზადა. მართალია, მთავარმართებელი თავის ერთ საბუთში გაზეთის დაარსების სხვა პირობებზეც მსჯელობს, მაგრამ ვიმეორებთ, ახალი გაზეთის დაარსების საქმეში იგი გადამწყვეტ პირობად რუსეთ-ირანის ომს ასახელებდა.

პასკევიჩს, რომელმაც საქართველოში გენერალი ერმოლოვი შეცვალა, ნიკოლოზ I განსაკუთრებული დავალება ჰქონდა მიღებული. მეფე მას ენდობოდა და ეგონა, რომ იგი გამოჩენილი სარდალი იყო. პასკევიჩი თვითონაც დიდი წარმოდგენისა იყო თავის თავზე. მას კავკასიის სამხრეთი მიმართულებით 1827 წლიდან წინ ედო ხანგრძლივი ომიანობის პერსპექტივა. ამიტომაც გენერალი ოცნებობდა, რომ საომარი მოქმედების უკეთ წარმართვისათვის კავკასიის მთელი ძალები დაერაზმდა, სხვა ძალთა შორის, ამ საქმეში გაზეთის როლიც გამოეყენებია. პასკევიჩისათვის, პირველყოვლისა, გაზეთის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მას საზოგადოებრივი



აზრი საომარი მოქმედების სასარგებლოდ აემოქმედებია.

სათანადო მომზადების შემდეგ, 1828 წელს, ქალაქ თბილისში გამოვიდა ქართული გაზეთი, რომელიც რუსული გაზეთის „ტიფლისკიე ვედომოსტი“-ს ორეული იყო<sup>1</sup>. მაგრამ ეს ეხება ძირითადად გაზეთის პირველ ნომრებს. 1829 წლიდან რუსულ და ქართულ გაზეთებს შორის სხვაობა სოლ. დოდაშვილის წყალობით თანდათანობით უფრო შესამჩნევი და მნიშვნელოვანი გახდა.

„ტიფლისის უწყებანი“ გამოდიოდა 1828—1830 წლებში. 1831 წელს იგი არ გამოსულა. ამის შესახებ დოდაშვილი ამბობდა: მე 1831 წელს გაზეთს არ ვბეჭდავდიო<sup>2</sup>. 1832 წელს კვლავ განახლდა ქართული გაზეთის გამოცემა. მაგრამ სექტემბერში მისი ბეჭდვა ისევ შეწყდა. თბილისიდან პეტერბურგში 1832 წლის 2 სექტემბერს დოდაშვილი სწერდა: ხელისმომწერთა სიმციროს გამო ქართული გაზეთის გამოცემა შეჩერდაო<sup>3</sup>. შემდეგში სოლომონს ქართული გაზეთის გამოცემა ისევ უნდოდა, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. „ტიფლისის უწყებანს“ თან ერთვოდა აგრეთვე „დამატებები“, რომლებშიც სხვადასხვა საინტერესო ცნობები ქვეყნდებოდა.

1828—1832 წლებში ქართული გაზეთის არსებობით დაინტერესებული იყვნენ სოლ. დოდაშვილი, ალ. ქავ-ქავაძე, ალ. ორბელიანი, სოლ. რაზმაძე, გ. დ. ერისთავი და სხვები. თუ გაზეთმა, მიუხედავად მრავალი

<sup>1</sup> პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, თბილისი, 1941, ტ. I, გვ. 71.

<sup>2</sup> ტსსა, ფონდი 1457, რვ. VI, ფ. 978.

<sup>3</sup> ЦГВИА, ფონდი I, აღ. I, ტ. 4, საქ. 8504, ნაქ. 894, ნაწ. 7, გვ. 339.

დაბრკოლებისა, ასე ხანგრძლივად მაინც შეძლო არსებობა, ეს მხოლოდ ამ პირთა წყალობით. სოლ. დოდაშვილი, ალ. ჭავჭავაძე და სხვ. „ტფილისის უწყებანის“ სასარგებლოდ ბევრს იღვწოდნენ. გაზეთის ყოველი უწყვეტის შემდეგ მის განახლებაზე ისევ და ისევ ესენი ზრუნავდნენ.

თუ ოფიციალურ დოკუმენტებს დავეყრდნობით, მაშინ ისე გამოდის, თითქოს „ტფილისის უწყებანის“ გამოცემის განახლებაზე მსჯელობას ადგილი ჰქონდა მხოლოდ თვითმპყრობელობის წარმომადგენელთა წრეში. ეს შეცდომაა. სათანადო საბუთები საწინააღმდეგოს გვაუწყებენ. ისინი ადასტურებენ, რომ „ტფილისის უწყებანის“ განახლებაზე, პირველ ყოვლისა, ქართველი მოღვაწეები მსჯელობდნენ. იმდროინდელი ოფიციალური დოკუმენტების ერთ-ერთ ნიმუშად შეიძლება განვიხილოთ საქართველოს მთავარმართებლის ბარონ როზენის 1831 წლის 2 დეკემბრის ცნობა. ბარონ როზენი 1831 წლის 2 დეკემბერს თბილისიდან პეტერბურგს გზავნის სპეციალურ ცნობას და მასში ქართული გაზეთის შესახებაც მსჯელობს. როზენი ამბობს, რომ თბილისში ჩემი ჩამოსვლისთანავე მე ყურადღება მივაქციე „ტიფლისკიე ვედომოსტის“, რომლის მიზანია, ერთი მხრივ, ამიერკავკასიის შესახებ რუსეთს მიაწოდოს ცნობები და, მეორე მხრივ, ადგილობრივ მცხოვრებთ გააცნოს რუსეთისა და ევროპის განათლება. ამის შემდეგ სიამაყით დასძენს: ვბრძანე „განახლონ ტფილისის უწყებანის გამოცემა ქართულ ენაზეო“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> „Акты“, ტ. VIII, ვგ. 14.

მაშასადამე, ამ ცნობის თანახმად, ქართულ გაზეთს, რომელიც 1832 წელს გამოვიდა, თითქოს უურადღება მხოლოდ როზენმა მიაქცია და, ვიდრე იგი მთავარ-მართებლად ჩამოვიდოდა საქართველოში, „ტფილისის უწყებანის“ განახლების საკითხი მივიწყებული იყო. მაგრამ სინამდვილეში 1832 წელს „ტფილისის უწყებანის“ განახლების ინიციატივა ქართველ მოღვაწეებს ეკუთვნის. აი რას ამბობს სოლ. დოდაშვილი „ტფილისის უწყებანის“ განახლებაზე:

„В конце 1830 года, или в начале прошлого 1831 года, князь Александр Орбелианов и Елизабар Эрстов первый раз пришли ко мне вечером. „Мы желаем,—сказали они,—пмечь с тобою дружбу“. Весьма рад,—отвечал я, хотя и прежде я был с ними по-шапочному знаком. Спрашивали: „Чем Вы занимаетесь, читаете ли газеты?“ Я отвечал:—Занимаюсь переводом законов, кои будут весьма полезны для нашего отечества... „Что в газетах пишут?“—спрашивали они.—Вот, читайте,—я сказал. „Что же Вы не издаете на грузинском языке?“—они говорили. Для кого издавать.—отвечал я.—„Грузины не будут читать“. „Как не будут читать, мы вам найдем подписчиков“,—они говорят. Кн. Елизабар Эрстов обещал: „Я один из Гори сто человек найду“, а кн. Александр Орбелианов сказал: „Я здесь найду пятнадцать, постараюсь и больше“.—Я тогда стану издавать—отвечал им... Это было в доме генеральши Камаровской. Другой раз также при-

ხდილია კო მნე ი სკაზალი: „ჲოდემ პროგულივალთ-სა“. ჲა სოგლასილსა... ჲოთომ გოვორილი ი რაზნის პოლიტიკის დელაჲ—ჲოთი ვ გაზელაჲ ჲილალი. ნაკონეც სპრაშნივალნი: „სოგლასენ გაზელაჲ ივდავალთ“? ჲა ილველალ:—კოგდა პოდნისჲიკოვ ნაილდე, თოგდა ჲა ნაჲნუ ივდავალთ. „ივოლთე, სოკოლკო უგოდნი, პოდნისჲიკნი ბუდუთ“<sup>1</sup>.

სოლ. დოდაშვილი სხვაგანაც იმეორებს ამ ცნობას და ჩანს, რომ ქართული გაზეთის გამოცემის განახლებაზე საუბარი სწორედ 1830 წლის დეკემბერში ყოფილა სოლ. დოდაშვილსა, აღ. ორბელიანსა და ელ. ერისთავს შორის. მაგრამ გაზეთის განახლებაზე მსჯელობა მართო ამ დროს კი არ იყო, არამედ მთელი 1830—1831 წლების განმავლობაშიც. თუ შევადარებთ ყველა ამ დოკუმენტს როზენის მიერ 1831 წლის 2 დეკემბრის საბუთში მოხსენებულ ცნობას „ტფილისის უწყებანის“ განახლების შესახებ, უნდა დავასკვნათ, რომ როზენი ქართული გაზეთის განახლების ინიციატორთა შესახებ სიმართლეს არ ამბობდა. მართლაც, როზენი მთავარმართებლად მხოლოდ 1831 წლის 13 სექტემბერს დაინიშნა<sup>2</sup>; თბილისში ჩამოვიდა იმავე წლის 8 ოქტომბერს<sup>3</sup> და, მაშასადამე, ქართული გაზეთისათვის „ყურადღების“ მიქცევა მას მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლო. ხოლო, როგორც უკვე ზემოთ დავინახეთ, ქართველთა შორის ქართული გაზეთის განახლებაზე მსჯელობა უკვე 1830 წლის დეკემბრიდან სწარმოებდა.

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 1457, რვ, II, ფ. 158.

<sup>2</sup> „Акты“, ტ. VIII, გვ. 1.

<sup>3</sup> ცსსა, ფონდი 548, აღ. 3, საქ. 75, გვ. 4.

ვინ იყო „ტფილისის უწყებანის“ რედაქტორი? ზოგერთის აზრით, „ტფილისის უწყებანის“ რედაქტორი იყო სოლ. დოდაშვილი, ზოგი კი ამას არ ეთანხმება. მაგრამ ამჟამად მტკიცდება, რომ „ტფილისის უწყებანის“ რედაქტორი ნამდვილად სოლ. დოდაშვილი იყო.

თავდაპირველად „ტფილისის უწყებანის“ რედაქტორის თანამდებობა არ არსებობდა, იგი დაწესდა მხოლოდ 1829 წლის 20 თებერვლიდან. ამიტომ, 1828 წლის 4 ივლისიდან 1829 წლის 20 თებერვლამდე ქართული გაზეთის რედაქტორად სოლ. დოდაშვილს ვერ მივიჩნევთ. ამ პერიოდში „ტფილისის უწყებანი“ პ. სანკოვსკის საერთო რედაქციით გამოდიოდა. 1829 წლის 20 თებერვლიდან მდგომარეობა შეიცვალა, ქართული გაზეთისათვის რედაქტორის თანამდებობა დაწესდა. ამის შესახებ სათანადო საბუთში გვითხულობთ, რომ უცვლელ რედაქტორს აქვს უფლება თავის შეხედულებებისამებრ აირჩიოს ფარსულ და ქართულ „ტფილისის უწყებანის“ რედაქტორებიო<sup>1</sup>.

შემდეგში იტყობინებოდნენ, რომ თბილისურ გაზეთებს რედაქტორები ჰყავსო. მართლაც, ქართული გაზეთის რედაქტორი სოლ. დოდაშვილი ყოფილა, რის შესახებაც თანამედროვეთა შორის მოგონება დიდხანს იყო დარჩენილი და ამ მოგონებაზე დაყრდნობით ს. მესხი წერდა: „ჩვენ ვიცით, რომ იმის („ტფილისის უწყებანის“ — მ. გ.) რედაქტორი ყოფილა... უფალი დოდაევი“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ს. ჯანაშიას სახ. თბილისის სახელ. მუზეუმი, ფონდი გ. თჯანიშვილისა, ხელნაწერი 246—ა, ფ. 1.

<sup>2</sup> „დროება“, 1875 წ., № 50.

სოლ. დოდაშვილი „ტფილისის უწყებანის“ რედაქტორად 1829—1832 წლებში იყო.

რაც შეეხება „ტფილისის უწყებანის“ გამომცემლის ვინაობას, ამ საკითხზეც არაა დღეს ნათელი და ზუსტი წარმოდგენა. გაზეთი „ივერია“ წერდა: „ტფილისის უწყებანის“ „რედაქტორ-გამომცემელი არ ჩანს, რადგან არა სწერია ზედა. მაგრამ ჩვენ ვიციით, რომ ამ დროს გაზეთს ჰბეჭდავდა განსვენებული ს. დოდაევი“<sup>1</sup>.

პროფ. ს. ხუნდაძე და სხვები პირდაპირ ამბობდნენ, რომ „ტფილისის უწყებანი“ 1828 წელს სოლ. დოდაშვილმა დააარსა და მისი გამომცემელიც ის იყო<sup>2</sup>.

1945 წელს ისევ ამტკიცებდნენ, რომ „ტფილისის უწყებანის“ გამომცემელი სწორედ სოლ. დოდაშვილი იყო. ამ დროს წერდნენ: თბილისის სამხედრო გუბერნატორმა 1828 წელს „სოლომონს მიანდო წარმოება გაზეთის გამოცემისა“<sup>3</sup>. ამის დასადასტურებლად იმოწმებდნენ თვით სოლ. დოდაშვილის იმ წერილს, სადაც 1828 წლის 4 აგვისტოს იგი თავისთავზე ამბობდა: „სამხედრო გუბერნატორმან... მარწმუნა საკუთრად მე... გაზეთებისა გამოცემა“.

<sup>1</sup> „ივერია“, 1887 წ., № 97.

<sup>2</sup> ს. ხუნდაძე, ნარკვევები, თბილისი, 1941 წ., გვ. 63; იხ. მისივე, ქართული ინტელიგენციის პროფილი მე-19 საუკ., 1927 წ., გვ. 36. სხვათა შორის, ჯერ კიდევ ადრე შეცდომით აღინიშნა, რომ 1826 წელს თბილისში სოლ. დოდაშვილმა დაიწყო ფრანგული ჟურნალის „Journal Asiatique“-ს გამოცემა („საქ კალენდარი“, 1893 წ., გვ. 398).

<sup>3</sup> „მას. საქ. და კავკ. ისტ.“, 1945 წ., ნაკ. II, გვ. 24.

მაგრამ ჯერ კიდევ ადრე აღნიშნავდნენ, რომ სოლ. დოდაშვილი „ტფილისის უწყებანის“ გამომცემელი არ ყოფილა<sup>1</sup>.

სოლ. დოდაშვილის ზემოაღნიშნულ წერილზე დაყრდნობით იმის მტკიცება, რომ იგი 1828 წელს ქართული გაზეთის გამომცემელი იყო, არ არის სწორი. როცა სოლ. დოდაშვილი 1828 წელს ქართული გაზეთის გამომცემის რწმუნების მიღებაზე ლაპარაკობს, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მას უფლება მიენიჭა ებეჭდა „ტფილისის უწყებანი“ ახალი პროგრამით და მისთვის ახალი მიმართულება მიეცა, ანდა კერძო ხასიათის სტამბის შექმნის უფლება მიეცათ და საკუთარი ხარჯით კერძო გაზეთის გამომცემა დაეწყო, როგორც ეს ჩვეულებრივ, გამომცემელთა უფლება-მოვალეობის შემთხვევისათვის უნდა გვევარაუდებია. არა, ეს შეცდომა იქნებოდა. მაშ, რას ნიშნავს სოლ. დოდაშვილის 1828 წლის 4 აგვისტოს წერილში საუბარი ქართული გაზეთის გამომცემის რწმუნების მიღებაზე? მხოლოდ იმას, რომ სოლ. დოდაშვილს, როგორც საგამომცემლო კომიტეტის (ამ კომიტეტის შესახებ იხ. ქვემოთ) ერთ-წევრს, ქართული გაზეთის გამოშვების ხელმძღვანელობა მიენდო. მართლაც, საგამომცემლო კომიტეტის წევრებს შორის ფუნქციები ხომ განაწილებული უნდა ყოფილიყო? ყველას ხომ ერთი და იგივე საქმე არ უნდა ეკეთებია?

სოლ. დოდაშვილი 1828 წელს ქართული გაზეთის გამომცემელი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ყო-

<sup>1</sup> პ. გუგუშვილი, ქართული ეურნალისტიკა, თბილისი, 1941 წ., ტ. I, გვ. 77.

ფილიყო. მაგრამ სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს 1829, 1830 და 1832 წლებისათვის.

როცა 1828 წელს თბილისში გაზეთი დაარსდა, მაშინ ისიც განისაზღვრა, რომ გაზეთი და მისი გამომცემლობაც ადგილობრივ ხელისუფლებას ეკუთვნოდა. ამიტომ, 1828 წელს გამოსული „ტფილისკიე ვედომოსტი“ და „ტფილისის უწყებანი“ მთავრობის გამოცემები იყო. 1829 წელს კი გაზეთის გამოცემის უფლების შესახებ მდგომარეობა შეიცვალა. ამ წლის თებერვლიდან ხუთი წლის ვადით, ე. ი. 1834 წლამდე, შეიცვალა გაზეთის გამოცემის წესი; იგი კერძო გამოცემა გახდა<sup>1</sup>. 1829 წლიდან გაზეთის გამოცემის უფლების შეცვლასთან დაკავშირებით უკვე გასაგები ხდება, თუ სოლ. დოდაშვილი რომელი წლიდან შეიძლება გამხდარიყო „ტფილისის უწყებანის“ გამომცემელი. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს ხელთ არსებულ საბუთებში იგი გაზეთის გამომცემლად უკვე 1830 წლიდან არის მოხსენებული. ერთ საბუთში, როგორც ზემოთ ვნახეთ, აღ. ორბელიანი და ელ. ერისთავი 1830 წლის დეკემბერში გაზეთის შესახებ ეკითხებიან სოლ. დოდაშვილს: „Что же Вы не знаете на грузинском языке?“.

მაშასადამე, სოლ. დოდაშვილი წინათ ქართული გაზეთის გამომცემელი ყოფილა. 1832 წელს კი ქართული გაზეთის გამომცემლად სოლ. დოდაშვილი ბევრგან არის დასახელებული.

---

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 2, აღ. 1, საქ. 2998, ფ. 37—38; ამის შესახებ აგრეთვე იხილეთ ს. ჯანაშიას სახ. თბილისის სახელ. მუზეუმი, ხელ. გან., ფონდი გ. თუმანიშვილისა, ხელ. 246—ა.



გაზეთის გამომცემლად სოლ. დოდაშვილის დასახელება არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში იმდროინდელი ჩვეულებრივი გამომცემელი გვეყავდეს მხედველობაში. არა, სოლ. დოდაშვილი ასეთი გამომცემელი არ იყო. იგი იყო ისეთი გამომცემელი, რომელსაც არ ჰქონდა საკუთარი სტამბა და ფულადო სახსრები, მაგრამ გაზეთის გამოცემის საქმეს ხელმძღვანელობდა: თარგმნიდა გაზეთის მასალებს რუსული ენიდან, ამუშავებდა კორექსონდენციებს და გამუდმებით ზრუნავდა გაზეთის ხელისმომწერთა მომრავლებაზე.

1828 წელს თბილისში გაზეთის გამოცემასთან დაკავშირებით შეიქმნა სპეციალური კომიტეტი, რომელსაც „ტიფლისკიე ვედომოსტის საგამომცემლო კომიტეტი“ ეწოდა.

საგამომცემლო კომიტეტს დაევალა ხელმძღვანელობა გაეწია თბილისში გამოსულ „ტიფლისკიე ვედომოსტისა“ და „ტფილისის უწყებანისათვის“, ხოლო იმდენად, რამდენადაც შემდეგში ფარსული და თათრული „ტფილისის უწყებანიც“ გამოდიოდა, კომიტეტი მათი გამოცემის საქმესაც ხელმძღვანელობდა. იგივე ითქმის 1832 წელს თბილისში გამოსულ რუსულ და ქართულ „სალიტერატურო ნაწილნთა“ შესახებაც.

ამ კომიტეტის შესახებ სოლ. დოდაშვილი 1828 წლის 10 მარტს წერდა: „სიპიალინმან გახსნა კომიტეტიო“<sup>1</sup>.

თავდაპირველად კომიტეტში სოლ. დოდაშვილი არ იყო შეყვანილი. მასში თავდაპირველად შეიყვანეს ნიკ.

<sup>1</sup> H, 2226, გვ. 296; „მას. საქ. და კავ. ისტ.“, ნაკ. II, თბილისი, 1945 წ., გვ. 109.

ფლავიანდიშვილი, პ. სანკოესკი, მთარგმნელი თავადი ბებუთოვი, შტაბს-კაპიტანი სუმბათაშვილი და პორუჩიკი ქილაშვილი<sup>1</sup>. დოდაშვილი მხოლოდ შემდეგ იქნა შეყვანილი კომიტეტში. ამის შესახებ იგი 1828 წლის ივლისს ამბობდა: „სიღნაღს მობრძანდნენ ლუბერნატორნი: მხედართი და ქალაქთი... მე მიბრძანა (იგულისხმება სიპიაგინმა.—მ. გ.) მსწრაფლ ქალაქად ტფილისად ჩამოსვლა, მხოლოდ დაყუავ მუნ ორი კვირა: დაეტოვე ძმანი ჩემნი და ძმისწულნი თქვენი სახლსა შინა, ჩვენსა, ვიდრე კანიკულის შესრულებამდე თხოვისამებრ მშობელთა მათთა. დროსა მოსვლისა ჩემისა ტფილისსა ლუბერნატორმან დამნიშნა კომიტეტსა შინა გამოსაცემად ვედრომოსტებისა ანუ გაზეთებისა, სადაც იქმნებიან სხუა და სხუა გვარნი თხზულებათა წარმოებათანი, რომელნიც შემთხვეულან ანუ შემთხვეულ იქნებიან. ჩუვენ ვიწყეთ გამოცემა ამ ივლისის თვეში ომარხანის ომიდგან, გარნა რომელნიმე ძველნი თავნი იმყოფებიან კომიტეტსა შინა და ვერა რაი შემისმენია ქართულისა ფრაზისათვის“<sup>2</sup>.

საგამომცემლო კომიტეტში სოლ. დოდაშვილი წევრად დაუნიშნავს თბილისის სამხედრო გუბერნატორს. მაგრამ როდის? სიღნაღიდან თბილისში რომ ჩამოვე-

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 16, საქ. 3823, ფ. 2.

<sup>2</sup> H, 2226, ფ. 262; „მას. საქ. და კავკ. ისტ.“, 1945 წ., ნაკ. II, გვ. 113—114.

დიო, — ასე ამბობს დოდაშვილი. ხოლო ეს მოხდა 1828 წლის 2 ივლისს<sup>1</sup>. ამის შემდეგ სოლ. დოდაშვილი საგამომცემლო კომიტეტის მუდმივი წევრი იყო.

საგამომცემლო კომიტეტში სოლ. დოდაშვილის დანიშვნა გამოწვეული იყო გარკვეული მოსაზრებით. ზემოდამოწმებულ 1828 წლის 6 ივლისის წერილში სოლ. დოდაშვილი ზოგადად გვაცნობს „ტიფლისის უწყებანის“ პროგრამასა და ამ გაზეთის პირველ ნომერში მოთავსებულ მასალას, მაგრამ არაფერს ამბობს იმაზე, თუ რატომ დანიშნეს იგი წევრად საგამომცემლო კომიტეტში და რა ევალეობდა მას კომიტეტში მუშაობის დროს. საგამომცემლო კომიტეტში სოლ. დოდაშვილის შეყვანა გამოწვეული იყო იმით, რომ მან კარგად იცოდა ქართული ენა და ამავე დროს დიდად განათლებული იყო. დასტურდება, რომ სოლ. დოდაშვილს თავდაპირველად რუსული გაზეთის „ტიფლისკიე ვედომოსტის“ ქართულად თარგმნა ევალეობდა. თუ დაუუკვირდებით თვით სოლ. დოდაშვილის ზემოდამოწმებულ 1828 წლის 6 ივლისის წერილს, შევამჩნევთ, რომ სოლ. დოდაშვილს საგამომცემლო კომიტეტის წევრებთან მუშაობის დაწყებისთანავე დაეა გაუმართავს და ეს გამოწვეული ყოფილა არა სხვა რაიმე მიზეზით, არამედ სწორედ „ქართული ფრაზისათვის“: ჩვენ ვიცით, რომ საგამომცემლო კომიტეტში შეყვანილი იყვნენ სხვა მთარგმნელებიც, კერძოდ, მთარგმნელი ბებუთოვი. ის გარემოება, რომ დაეა სოლ. დოდაშვილისა და კომიტეტის

<sup>1</sup> H, 2226 ფ. 261—263; „მას. საქ. და კავ. ისტ.“, ნაკ. II, 1945 წ., გვ. 112.

სხვა წევრებს შორის მაინცდამაინც „ქართული ფრაზი-სათვის“ და არა სხვა რაიმესათვის ატეხილა, ნიშან-დობლივად მიუთითებს იმაზე, თუ რატომ იყო შეყვან-ნილი სოლ. დოდაშვილი საგამომცემლო კომიტეტში. ცხადია, სოლ. დოდაშვილს, როგორც მთარგმნელს, სხვებთან დავა, პირველყოვლისა, სწორედ ქართული სიტყვებისა და ფრაზისათვის მოუხდებოდა. მაგრამ არ ვიქნებით მართალი, თუ საგამომცემლო კომიტეტში სოლ. დოდაშვილის მუშაობას მხოლოდ მთარგმნელის როლით შემოვფარგლავთ. სოლ. დოდაშვილი აქ სხვა, უფრო მნიშვნელოვან საქმიანობას ეწეოდა.

საერთოდ, საგამომცემლო კომიტეტს და მის წევრებს, თანახმად 1828 წელს დამტკიცებული წესისა, შემდეგი ხასიათის მუშაობა ევალებოდათ:

პირველი. საგამომცემლო კომიტეტს დროულად უნ-და მიეღო ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენ-ლებისაგან გაზეთისათვის საჭირო ცნობები და !განცხა-დებანი. კომიტეტის წევრები მიღებულ ცნობებს გადა-არჩევდნენ და გაზეთში შესაფერისად გამოაქვეყნებდნენ.

მეორე. კომიტეტის წევრებს ევალებოდათ გულმოდ-გინე ზრუნვა მასალების მრავალფეროვნებისა და სასარ-გებლო ხასიათის შესახებ. მათ მასალები კრიტიკულად უნდა გაერჩიათ, ამოეკრიბათ ყველაზე უფრო საყურა-დლებო ცნობები და ბეჯითად დაემუშავებიათ ისინი. კომიტეტს უნდა შემოეკრიბა მუდმივი, საიმედო და ღირსეული კორესპონდენტები. კომიტეტს თავისთვის უნდა გამოეწერა საჭირო რუსული ეურნალ-გაზეთები.

მესამე. კომიტეტი კვირაში ორჯერ უნდა შეკრებილ-იყო. პირველ დღეს საერთო სხდომაზე უნდა წაეკითხათ

წევრების მიერ წარმოდგენილი ყველა მასალა. ამ მასალებიდან ამოირჩეოდა ზოგიერთი და გაიცემოდა განკარგულება რუსული სტატიების თარგმნის შესახებ ქართულ ენაზე. მეორე შეკრებაზე კი უკვე იკითხებოდა გამზადებული მასალა. კომიტეტის წევრები, თუ საჭიროება მოითხოვდა, გამოდიოდნენ თავიანთი შენიშვნებით გამოსაქვეყნებელ მასალებში დაშვებული ორაზროვნების, არასიზუსტის, ცუდი სტილის ან ქართული თარგმნის შეცდომების შესახებ.

დასასრულ, კომიტეტის მოვალეობაში შედიოდა, რომ დასაბეჭდად გამზადებული გაზეთის ნომერი კომიტეტის ერთ-ერთ წევრს წაეღო გუბერნატორთან განსახილველად. გუბერნატორისაგან ნებართვის მიღების შემდეგ, გაზეთი დასაბეჭდად გადაეცემოდა <sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, საგამომცემლო კომიტეტს საკმაოდ დიდი სამუშაო ჰქონდა. აღსანიშნავია ისიც, რომ საგამომცემლო კომიტეტზე ზრუნვა და მეთვალყურეობა უშუალოდ თბილისის სამხედრო გუბერნატორს ევალებოდა.

საგამომცემლო კომიტეტის ყველა წევრი „ტიფლისის უწყებანის“ გამოცემის საქმეში ერთნაირ როლს არ ასრულებდნენ. საგამომცემლო კომიტეტში წამყვანი როლი ეკუთვნოდა ორ პირს: პ. სანკოვსკისა და სოლ. დოდაშვილს.

პ. სანკოვსკი თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით საგამომცემლო კომიტეტში პირველი კაცი იყო. იგი საბუთებში ზოგან მოიხსენიება „ტიფლისკიე ვედო-

---

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 16, საქ. 3823, ფ. 2—8.

მოსტის“ რედაქტორად, ზოგან მთავარ რედაქტორად, და ზოგანაც უცვლელ რედაქტორად.

პ. სანკოვსკი (1801—1832) თავისი დროის განთქმული რუსი ჟურნალისტი იყო. მას ახლო იცნობდნენ და მასთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ პუშკინსა და გრიბოედოვს. სანკოვსკი დაახლოებული იყო თბილისში გადმოსახლებულ დეკაბრისტებთან, რომელთა ნაწარმოებს იგი აქვეყნებდა თავის გაზეთში.

საყურადღებოა პუშკინის აზრი სანკოვსკის შესახებ. პუშკინი, აღწერდა რა თავის ყოფნას თბილისში 1829 წელს, სანკოვსკიზე ამბობდა: „სანკოვსკის უყვარს საქართველო და ფიქრობს, რომ მას ბრწყინვალე მომავალი აქვს“<sup>1</sup>.

სანკოვსკის ახლო ურთიერთობა ჰქონდა აგრეთვე სოლ. დოდაშვილთან. ისინი დიდი ხნის მანძილზე, სახელდობრ, 1828 წლიდან, საგამომცემლო კომიტეტში ერთად მუშაობდნენ. აღსანიშნავია ის ცნობაც, სადაც სოლ. დოდაშვილი ამბობდა: 1832 წელს ვიყავი აგრეთვე „заяят переводами истории Грузии для г. Сапковского“<sup>2</sup>.

როგორც ვთქვით, საგამომცემლო კომიტეტში სოლ. დოდაშვილი 1828 წლის 2 ივლისს მიიწვიეს. ხოლო ამის შემდეგ აქ, ამ კომიტეტში, მისი როლი და მნიშვნელობა თანდათან გაიზარდა, რადგან, ჯერ ერთი, სოლ. დოდაშვილივით ნიჭიერი, განათლებული და მუყაითი ადამიანი კომიტეტში სხვა არავინ იყო; მეორე,

<sup>1</sup> იხ. რუსი მწერლები საქართველოს შესახებ, 1949 წ., გვ. 156.

<sup>2</sup> ცსსა, ფონდი 1457, რგ. XXIII, ფ. 4524.

ქართული გაზეთის ბედით ყველაზე უფრო სოლ. დოდაშვილი იყო დაინტერესებული; მესამე, საგამომცემლო კომიტეტის წევრები: ფალავნდოვები, ბებუთოვები და სხვა მისთანანი „ჩინოვნიკური“ კარიერით იყვნენ გატაცებული და უმეტეს დროს მთავარმართებელისა და გუბერნატორის ბრძანებათა შესრულებას ანდომებდნენ. სოლ. დოდაშვილი საგამომცემლო კომიტეტში ქართული გაზეთის სული და გული გახდა. ირკვევა, რომ „ტფილისის უწყებანის“ გამოცემა მთლიანად მას მიენდო.

სოლ. დოდაშვილი, აღნიშნავდა რა „ტფილისის უწყებანის“ გამოცემაზე თავის დაულალავ შრომას, 1828 წლის 4 აგვისტოს წერდა: „არა მაქვს არც ერთი წამი თავისუფლებითი, არც ღამე და არც დღე მოსვენება“<sup>1</sup>. ანდა, იმავე წლის 21 სექტემბერს ამბობდა: მრავალი სამუშაო მაქვს და „ოთხშაბათს და შაბათს კომიტეტში ვსაქმობ“<sup>2</sup>. საგამომცემლო კომიტეტის მუშაობაში სოლ. დოდაშვილის მნიშვნელოვან როლს უფრო მკაფიოდ 1828 წლის 10 აგვისტოს წერილი გამოხატავს, სადაც სოლ. დოდაშვილი წერდა: „ორი მთელი კვირა... გახლდი ფრიად ავად... და ტფილისის უწყებანიცა დარჩნენ ორ კვირას გამოუცემლად“<sup>3</sup>.

სოლ. დოდაშვილი ავად გამხდარა და ქართული გაზეთის გამოცემაც შეფერხებულა. ეს, ცხადია, იმაზე

---

<sup>1</sup> H, 7226; ფ. 264; „მს. საქ. და კავ. ისტ.“, ნაკ. II, 1945 წ., გვ. 116.

<sup>2</sup> იქვე, ფ. 277—279; იქვე, გვ. 120.

<sup>3</sup> იქვე, ფ. 279—280; იქვე, გვ. 118.

მიუთითებს, თუ „ტფილისის უწყებანის“ გამოსვლა რა-  
ოდენ დიდად ყოფილა სოლ. დოდაშვილზე დამოკიდე-  
ბული.

მთელი 1830, 1831 და 1832 წლების მანძილზე სოლ.  
დოდაშვილს უხდება დიდი ენერგიის ხარჯვა და დაუ-  
ლაღავად ზრუნვა გაზეთის არსებობის შესანარჩუნებლად.  
გაზეთზე მისი ზრუნვა თანამედროვეებში გაოცებასა და  
აღტაცებას იწვევდა.

„ტფილისის უწყებანს“ იმ მძიმე საცენზურო პირო-  
ბებში უხდებოდა არსებობა, რომელთა გადალახვა სოლ.  
დოდაშვილისათვის ფრიად ძნელი იყო. ცნობილია, რომ  
თვითმპყრობელობის თავაშვებული ცენზორები მეტად  
მკაცრად მოქმედებდნენ. „ტფილისის უწყებანის“ ცენზუ-  
რა თბილისის გუბერნატორებს ემორჩილებოდა. გაზეთს  
იწერდნენ თბილისში, გორში, თელავში და საქართვე-  
ლოს სხვა ადგილებში, მას კითხულობდნენ აგრეთვე  
რუსეთში. ხელისმომწერთ სოლ. დოდაშვილი დიდი  
წვალებით აგროვებდა. მას ამ საკითხზე მიმოწერა ჰქონ-  
და საქართველოსა და რუსეთში მცხოვრებ რამდენიმე  
პირთან. მაგალითად, 1831 წლის 24 ივლისს იგი თბი-  
ლისიდან პეტერბურგში თავის ძმას სწერდა: მომავალ  
წლიდან გაზეთი გამოვა და ეცადე შენის მხრით მანდ  
მყოფ ქართველთ მის მიღებაზე ხელი მოაწერინოვო<sup>1</sup>.

„ტფილისის უწყებანს“ 1828 წელს ბევრი ხელისმომ-  
წერნი ჰყავდა, მაგრამ 1829 წელს ეს რიცხვი მკვეთ-  
რად შემცირდა. ამ წელს გაზეთი გამოწერილი ჰქონდა

---

<sup>1</sup> ЦГВИА, ფონდი 1, აღ. 1, ტ. 4, საქ. 8504, ნაკ. 894, ნაწ.  
7, ფ. 337.



სულ 40 კაცს<sup>1</sup>. 1830 წლისათვის ზუსტი ცნობები არა გვაქვს. ხოლო 1831 წელს, როცა გაზეთზე ხელისმომწერა გროვდებოდა, 20-მდე ხელისმომწერნიც ვერ უშოვნიათ. სოლ. დოდაშვილი ამბობდა: „В том 1831 году они не нашли даже до 20 подписчиков“<sup>2</sup>. 1832 წლის ხელისმომწერთა რიცხვის შესახებ ჯერჯერობით სრული ცნობები არა გვაქვს.

საერთოდ ჩანს, რომ ხელისმომწერის ჩატარება მრავალ სიძნელესთან ყოფილა დაკავშირებული, რაც ნივთიერი ხელმოკლეობის გამო მნიშვნელოვნად აფერხებდა ქართული გაზეთის გამოცემის საქმეს.

საერთოდ „ტფილისის უწყებანს“ ხელისმომწერი მცირე რაოდენობით ჰყავდა. ქართველთა შორის მუდამ იმაზე იყო სჯა და ბაასი, რომ გაზეთს ცოტა ხელისმომწერნი ჰყავს და რაც შეიძლება ეს რიცხვი უნდა გავამრავლოთ.

ქართულ გაზეთს იმდროისათვის ხელისმომწერნი რომ მცირე რაოდენობით ჰყავდა, ეს მეფის თვითმპყრობელობის ბრალი იყო.

\* \* \*

გაზეთი „ტფილისის უწყებანის“ მიზანი მრავალმხრივი იყო. ქართული გაზეთი აღმოცენდა თავისებურ ისტო-

<sup>1</sup> ЦГВИА, ფონდი 36, აღ.  $\frac{7}{850}$ , ნაკ. 53, საქ. 117, გვ. 12;

ცსსა, ფონდი 2, აღ. 3, საქ. 191, ფურ. 12—15; ზ. ჭიჭინაძე მცდარად აღნიშნავდა, რომ „ტფილისის უწყებანს“ 1829 წელს 500-ზე მეტი ხელისმომწერი ჰყავდაო (ზ. ჭიჭინაძე, სოლ. დოდაშვილი, გვ. 19).

<sup>2</sup> ცსსა, ფონდი 1457, რგ. VI, ფ. 978.

რიულ პირობებში; მას პასუხი უნდა გაეცა ეპოქის მო-  
თხოვნებისათვის. გაზეთი, რასაკვირველია, თავისი  
ეპოქის მოთხოვნილებებს გვერდს ვერ აუვლიდა.

1828—1832 წლებში გამოსული ქართული გაზე-  
თის მიზნების შესახებ თანამედროვეთა მიერ გამო-  
თქმული შეხედულებანი შეიძლება დავეყოთ ორ ჯგუფად:  
პირველი—ეს იყო ოფიციალური წრე, მთავარმართე-  
ბლები და სხვა მსხვილი „ჩინოვნიკები“; მეორე—ქარ-  
თველი ინტელიგენცია, რომელსაც სათავეში სოლ. ლო-  
დაშვილი ედგა.

პასკევიჩის გაზეთის მიზნები თავისებურად ესმოდა.  
იგი გაზეთს მხოლოდ ნიკოლოზ I სამსახურისათვის იყე-  
ნებდა. 1828 წელს თბილისიდან პეტერბურგში გაგზავ-  
ნილ თავის მიმართვაში ახალი გაზეთის მიზნებს პას-  
კევიჩი შემდეგნაირად განსაზღვრავდა: გაზეთი „განთა-  
ვისუფლებული იქნება ყოველგვარი პოლიტიკური მიზ-  
ნებისაგან“, ის დაბეჭდავს მხოლოდ ოფიციალურ ცნო-  
ბებს, რომლებიც ამ მხარისათვის იქნება საინტერესო,  
და საერთოდ მთავრობის შეხედულებასთან შეთანხმე-  
ბულ ცნობებს. ამასთან,—ამბობდა მთავარმართებე-  
ლი,—გაზეთი, ერთი მხრივ, ხელისუფლებას მისცემს  
კარგ საშუალებას, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა შო-  
რის „შეუმჩნეველად“ გაავრცელოს ისეთი აზრები, რომ-  
ლებიც შეშენის განათლებული ხალხის შეგნებას, ხო-  
ლო, მეორე მხრივ, „გააქარწყლოს ის ცრუ და არა-  
კეთილსასურველი ცნობები, რაც ხშირად აქ ხალხში  
ვრცელდება და იწვევს საზიანო გავლენას“; გაზეთი,—  
დასძენდა პასკევიჩი,—შემოსავალს მოგვეცემს და აუცი-

ლებელი ხარჯების დაფარვის შემდეგ დარჩენილი თანხა კეთილსასურველ დაწესებულებებს მოხმარდება<sup>1</sup>.

მთავარმართებელი, როგორც ვხედავთ, გაზეთს გარკვეულ მიზანს უსახავდა. პასკევიჩი ნიკოლოზ I ერთგული გენერალი იყო და არასოდეს არ იფიწყებდა თავის მოვალეობას მეფის წინაშე. საოცარია, რომ პასკევიჩი, თუმცა გაზეთს ბევრ რამეს ავალებდა, მაგრამ მაინც ამბობდა: გაზეთი „განთავისუფლებული იქნება ყოველგვარი პოლიტიკური მიზნებისაგან“. განა პასკევიჩს ისეთი რამ უნდა წამოეწყო, რომელიც პოლიტიკური მიზნებისაგან იქნებოდა თავისუფალი? განა პასკევიჩი ნიკოლოზ I მიერ საქართველოში იმიტომ იყო გამოგზავნილი, რომ მას ცარიზმის პოლიტიკური მიზნები დაეფიწყებოდა? ცხადია, რომ არა. ამ შემთხვევაში პასკევიჩი გაზეთის მიზნების განსაზღვრაში ცრუობდა: მთავრობის სასარგებლო შეხედულებათა გავრცელება გაზეთის საშუალებით სწორედ ხელისუფლების პოლიტიკა იყო. ის გარემოება, რომ მთავარმართებელი აცხადებდა: გაზეთში დაიბეჭდება ისეთი ცნობები, რომლებიც მთავრობის აზრებს ეთანხმებაო, მიუთითებს ოფიციალური წრის მიერ გაზეთის პოლიტიკური ფიზიონომიის განსაზღვრაზე.

პასკევიჩი ამავე დროს აღნიშნავდა, რომ გაზეთი ხალხში გაავრცელებს განათლებას, მაგრამ „შეუმჩნევლადო“. გამოდიოდა, თითქოს ადგილობრივი მოსახლეობა განათლებას გაუბრუნებდა. ცხადია, ეს იყო ყოვლად ბოროტი და ცილისმწამებლური შეხედულება. პასკევიჩის ამ რეაქციულ შეხედულებას მაშინ გასავალი ჰქონდა.

<sup>1</sup> „Акты,“ ტ. VII, გვ. 9.

მთავარმართებელი თავის მიმართებაში იმასაც აღნიშნავდა, რომ გაზეთის გამოცემა გააქარწყლებდა იმ ცრუ და არაკეთილ ხმებს, რომლებიც ადგილობრივ ხალხში ვრცელდებო. რა ჰქონდა აქ მხედველობაში პასკევიჩის? მას მხედველობაში ჰქონდა შემდეგი: როცა რუსეთ-ირანის ომი მიმდინარეობდა 1826—1828 წლებში, მაშინ საქართველოსა და სხვა მხარეებში ყალბი ცნობები გავრცელდა, ვითომ რუსეთის ჯარი მარცხდებო. ამასთან, როდესაც პასკევიჩის აღნიშნული მიმართვა იწერებოდა, უკვე მზად იყო ნიადაგი თურქეთთან ომისათვის და მოსალოდნელი იყო ახლაც მსგავსი ხმები გავრცელდებოდა. ამიტომ ასეთი ხმების გაქარწყლებაში გაზეთს დიდი დახმარების გაწევა შეეძლო.

დასასრულ, ისიც აღსანიშნავია, რომ პასკევიჩი ფიქრობდა გაზეთისაგან შემოსული თანხა მოხმარებოდა „კეთილსასურველ დაწესებულებებს“, ე. ი. სკოლას, ბიბლიოთეკასა და სხვ. მაგრამ ესეც მთავარმართებლის მხოლოდ სიტყვიერი განცხადება იყო. პასკევიჩი ამ შემთხვევაში თავს იწონებდა, ვინაიდან იგი თავის მიმართვას რუსეთის განათლების მინისტრს უგზავნიდა და, ცხადია, მასში განათლების მინისტრისათვის საამებელი მცირედი რამ მაინც უნდა ჩაეწერა.

პასკევიჩის მთელი შეხედულება გაზეთის მიზნების შესახებ ეყრდნობოდა იმ დოკუმენტს, რომელიც ნიკოლოზ I ჯერ კიდევ 1828 წლის 2 მარტს დაამტკიცა<sup>1</sup>.

„ტფილისის უწყებანს“ იმდროინდელი ხელისუფლებისაგან გარკვეული დაკვეთა ჰქონდა მიცემული.

---

ცსა, ფონდი 16, საქ. 3823, ფ. 2.

ქართული მოწინავე საზოგადოებრივი აზრი გაზეთს სხვა მიზნებს უსახავდა. ქართულ გაზეთს უნდა აესახა ქართველი ხალხის ღრმა და ჯანსაღი პატრიოტიზმი, ქართველი ხალხის წარსული და აწმყო, ქართველი ხალხის ბრძოლა თურქი და ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ, ქართული და რუსული კულტურის კავშირის შემდგომი განმტკიცება, ქართული ლიტერატურის განვითარება და ა. შ.

თუ ჩვენ თვალს გადავაგლებთ 1828—1832 წლების მთელ საგაზეთო მასალასა და ქართველ მოღვაწეთა შორის წარმოებულ საუბრებს, დავინახავთ, რომ ყოველივე ზემოთქმული მასში დასტურდება.

მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ქართულ გაზეთს, გარდა ზემოხსენებულისა, ზოგიერთი სხვა მიზნებსაც უსახავდნენ. ვგულისხმობთ 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ზემოთ უკვე ერთგან დავიმოწმეთ ის ცნობა, რომ 1830 წლის დეკემბერში სოლ. დოდაშვილთან მივიდნენ ალ. ორბელიანი და ელ. ერისთავი და ქართული გაზეთის გამოცემის საკითხებზე ესაუბრებოდნენ. აი, სწორედ მაშინ იყო პირველად საუბარი შეთქმულთა აზრების გატარების შესახებ ქართულ გაზეთში. მაგრამ „ტფილისის უწყებანის“ გამოყენება შეთქმულთა სასარგებლოდ არ მომხდარა.

რაც შეეხება „ტფილისის უწყებანის“ პროგრამას, მაშინ, 1828—1832 წლებში, გაზეთმა გარკვეული ტრადიცია შეიმუშავა, სახელდობრ: ყოველი ახალი წლის წინ გაზეთი მომავალი წლიდან გამოსაცემი გაზეთის

პროგრამას, ანუ „განცხადებას“ აქვეყნებდა. სადაც საუბარი იყო გამოსაქვეყნებელი მასალების ხასიათის შესახებ.

თუ მთელ საგაზეთო მასალას შევაჯამებთ, დავინახავთ, რომ „ტფილისის უწყებანი“ ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა: ერთი ეხებოდა ქვეყნის შინაგან ამბებს, მეორე—ქვეყნის საგარეო ამბებს.

ქართულ გაზეთში მოთავსებულ მასალებს თავისი წყაროები ჰქონდა, გაზეთი სხვადასხვა წყაროთი სარგებლობდა.

ის გარემოება, რომ გაზეთში მოთავსებული მასალები თავისი შედგენილობით მრავალმხრივი იყო, სრულიად არ ნიშნავდა იმას, რომ გაზეთი ყველა წყაროს ერთნაირად ენდობოდა. „ტფილისის უწყებანში“ აშკარად ქარბობდა ის მასალა, რომელიც ამოკრებილი იყო რუსეთის ეურნალ-გაზეთებიდან და ადგილობრივი დაწესებულებების ცნობებიდან; მაგრამ, რომელ რუსულ ეურნალ-გაზეთებს ეყრდნობოდა ქართული გაზეთი? იმ ნუსხაში, რომელიც ჩვენ ხელში გვაქვს, ჩანს, რომ საგამომცემლო კომიტეტისაგან რუსეთიდან შემდეგი ეურნალ-გაზეთი ყოფილა გამოტყობილი: „ინვალისი“, „სენატსკიე ვედომოსტი“, „სეკურნაია პრედა“ და სხვ. ხოლო ადგილობრივი, ხასიათის მასალათა წყარო იყო მთავარმართებელი, გუბერნატორი, „აღმასრულებელი ექსპედიცია“ და სხვ.

რაც შეეხება სხვა ხასიათის მასალებს, ამ მხრივ გამოყენებული იყო ქართული წყაროები და ლიტერატურული ხასიათის ძეგლები.

გაზეთში მოთავსებული მასალის შერჩევაში მხოლოდ საგამომცემლო კომიტეტი როდი იღებდა მონაწილეობას; ამ საქმეში ერეოდა გუბერნატორი და საქართველოს მთავარმართებელი.

განსაკუთრებით საინტერესოა გაზეთში მოთავსებულ მასალათა ავტორების ვინაობა. გაზეთში მონაწილეობა მიუღიათ სოლ. დოდაშვილს, ალ. ჭავჭავაძეს, პ. სანკოვსკის და სხვ.

უნდა ითქვას ისიც, რომ სოლ. დოდაშვილი ქართული გაზეთისათვის კორესპონდენტებს სპეციალურად ეძებდა და არჩევდა.

\* \* \*

„ტფილისის უწყებანი“ თავისი შინაარსით მრავალმხრივი იყო, იგი თავის ფურცლებზე მრავალ საკითხს აშუქებდა. გაზეთში გაფანტული ცნობები ეხებოდნენ ცარიზმის პოლიტიკას, საქართველოს ეკონომიკას, კლასთა ბრძოლას, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას, რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომებს, ქართულ კულტურასა და განათლებას. მწერლობას, ზნე-ჩვეულებასა და სხვა საკითხებს. „ტფილისის უწყებანი“ ანალოგიური უფლებებით აღიჭურვილ სხვა იმდროინდელ გაზეთებს არ ჩამორჩებოდა. მაგრამ ათად, გაზეთი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ, თუ მრევველობას უფრო ყურადღებას მიაქცევენ, ეს კარგი საქმე იქნებაო. „ტფილისის უწყებანი“ რჩევას იძლეოდა, რომ საქართველოში ხელი მოეკიდათ აბრეშუმის წარმოებისათვის,

ვინაიდან ამას დიდი შემოსავალი მოჰყვება, რომ საქი-  
როა განვითარდეს სოფლის მეურნეობა, რის გამოც  
ხელისუფლების მიერ წამოყენებულია წინადადება, რო-  
ადგილობრივი მოსახლეობიდან თორმეტი ახალგაზრდა  
გაიგზავნოს მოსკოვში სასოფლო-სამეურნეო საქმის უკეთ  
შესასწავლადო და სხვ.

გაზეთი მიუთითებდა, რომ საქართველო და, საერ-  
თოდ, ამიერკავკასია უმდიდრესი ქვეყანაა, რომ „ბუ-  
ნება უხვად განთესს“ მათ წინ მრავალ საუნჯეს, მაგ-  
რამ აქ არ იცნობენ იმ ახალს, რაც სოფლის მეურნეობა-  
შია მიღწეული და სხვ.

„ტფილისის უწყებანში“ მკითხველი შეხვდება მსჯე-  
ლობას ამერიკის, საფრანგეთის, ინგლისის, თურქეთის,  
ირანის, საბერძნეთისა და სხვა სახელმწიფოთა შესახებ.

ქართული გაზეთი შეეხო რუსეთ-თურქეთის 1828—29  
წლების საომარ მოქმედებას სამივე ხაზზე: ბალკანეთზე,  
შავ ზღვასა და კავკასიაში. მაგრამ განსაკუთრებული  
ადგილი დაუთმო კავკასიის ფრონტს. ეს გასაგებიცაა,  
ვინაიდან ომი აქვე მიმდინარეობდა და მასში ადგი-  
ლობრივი მოსახლეობა მონაწილეობდა.

„ტფილისის უწყებანს“ კარგად ესმოდა, რომ რუსე-  
თის ძალა უძლეველია, რომ იგი დიდი ქვეყანაა და მისი  
ძალები განუზომელია. გაზეთი სამართლიანად წერდა:  
„საშუალებანი რუსეთისანი განუღვევლნი არიანო“<sup>1</sup>.

„ტფილისის უწყებანი“ აქებს რუსსა და ქართველ-  
მეომრებს, აღიღებს მათ გამარჯვებას.

---

<sup>1</sup> „ტფილისის უწყებანი“, 1829 წ., № 10.



თურქეთის ბატონობისაგან ფოთის განთავისუფლების შესახებ ქართულ გაზეთში წერია, რომ ეს ქალაქი 1828 წლის 15 ივლისს თურქეთის ულლისაგან განთავისუფლდაო. ფოთის განთავისუფლებაში ქართველთა მონაწილეობისა და ფოთის მნიშვნელობის შესახებ გაზეთში ვკითხულობთ: „ღროსა ფოთის დამორჩილებისასა ფრიად მრავალი მოქმედება ჰყვეს მეგრელიის მთავარმა ლენერალ-ლეიტენანტმა თავადმა დადიანმა და ლენერალ-მაიორმან თავადმა ნიკოლოზ დადიანმან, რომელნიცა თვით იმყოფებოდნენ ჯარითა თვისითა ღროსა ციხის დაპყრობისა და უჩვენეს მხედართა თვისთა მაგალითი უშიშროებისა და სამხედროისა დისციპლინისა... მოპოვება ფოთის ციხისა ჰმსახურებს საკუთარსა ყურადღებასა მით, რომელთა ფლობა რიონის პირისა წარმოადგენს უდიდესსა სარგებლობასა შინაგანისა და გარეგანისა შეერთებისათვის კერძოისა ამის“<sup>1</sup>.

ქართული გაზეთი ბევრს წერდა ბაიაზეთის საფაშოს შესახებ, რომ ამ მხარეში სამხედრო ოპერაციები მიმდინარეობდა ალ. გ. ქავკაჟაძის ხელმძღვანელობით. ამასთან, მკითხველი იმასაც გებულობდა, თუ ანაპა როგორ იქნა განთავისუფლებული და სხვ.

„ტფილისის უწყებანი“ დიდ ყურადღებას აქცევდა საბერძნეთის ცხოვრების საკითხებს. 1828 წლის მარტში გაზეთი წერდა: „რვა წელიწადია საბერძნეთი ცურვირებულ არს სისხლითა შეილთა თვისთათა და ამპარ-

<sup>1</sup> „ტფილისის უწყებანი“, 1828 წ., № დ.

ტავანთა ოტომანთა (ოსმალთა) არა ჰნებავს სმენა მათთან შერიგებისათვის და გარდაწყვეტისათვის სისხლის ღვრისა“.<sup>1</sup> გაზეთი ეხებოდა ზოგიერთი უცხო ქვეყნის შინაგან ვითარებასაც.

ქართველი საზოგადოებრიობა უცხო ქვეყნების ამბებით დიდად იყო დაინტერესებული და, ცხადია, საერთაშორისო ამბებზე გაზეთში მოთავსებულ მასალებს ყურადღებას აქცევდა. ჩანს, რომ ქართველი საზოგადოება გაზეთის კითხვით დიდად იყო დაინტერესებული და განსაკუთრებით საზღვარგარეთული ამბები აღელვებდა. მაგალითად, დიშ. ყიფიანი ამ საკითხის გამო აღნიშნავდა: „როცა მივდიოდი ორბელიანებისას (ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანებთან.—მ. გ.), თითქმის ყოველთვის მომმართავდა ალექსანდრე კითხვით: ა, დიმიტრი ჰვანესძევე! თქვენ ჯერ არ წავიკითხავთ უკანასკნელი გაზეთები? მე ხან ვეტყვოდი რომ წავიკითხე, ხან კი არა-თქო. „უჰ, ეს... ფრანგები, — მითხრა მან ერთხელ,—ან ისევ პოლანდიელები“, და იმავე დროს გადმომცა „სევერნაი პრელას“ ფურცლები, რომელშიაც მირჩევდა წამეკითხა განსაკუთრებით თანამედროვე პოლიტიკა“<sup>2</sup>.

„ტფილისის უწყებანი“ ფეხდაფეხ ვერ მიჰყვებოდა საერთაშორისო ამბებს. იგი ამ ამბებს ფეხდაფეხ ვერ

<sup>1</sup> „ტფილისის უწყებანი“, 1829., № 9.

<sup>2</sup> ცსსა, ფონდი 1454, რე. I, ფ. 60; დიშ. ყიფიანი, მემუარები, თბილისი, 1930 წ., გვ. 138.

მიჰყვებოდა იმ გარემოებათა გამო, რომ, ჯერ ერთი, თვითონ არ გამოდიოდა სისტემატურად, მეორე—საცენზურო პირობები ზღუდავდა და მესამე—ყველაფერში ჩახედული არ იყო სამართლიანი და მკოდნე თვალით.

საერთაშორისო ამბებიდან ქართველი საზოგადოება ყველაზე უფრო დაინტერესებული იყო ევროპაში მომხდარი რევოლუციებითა და აჯანყებებით. ჩანს, რომ იგი დადებითად ეკიდებოდა საფრანგეთის 1830 წლის რევოლუციას, პოლონეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, პოლონეთის 1830—1831 წლების აჯანყებას, აჯანყებას იტალიასა და საბერძნეთში.

„ტფილისის უწყებანის“ ფურცლებზე მკითხველი ხვდება აგრეთვე მსჯელობას განათლების მდგომარეობის შესახებ საქართველოში.

„ტფილისის უწყებანი“ ბეჭდავდა საყურადღებო მასალებს ქართული და რუსული ლიტერატურის ისტორიიდანაც. იგი ხელს უწყობდა ამ ორი ხალხის კულტურული ძალების თანამშრომლობასა და დაახლოებას.

ქართული გაზეთის 1829 წლის მესამე ნომერში დაიბეჭდა საინტერესო წერილი შოთა რუსთაველის შესახებ. ავტორი აქებს შ. რუსთაველს და აღიღებს „ვეფხისტყაოსანს“, როგორც თვალშეუდგამ ძეგლს; იგი აღტაცებულია რუსთაველის გენიით, მისი აზრის სიციხადით, „ვეფხისტყაოსნის“ ფილოსოფიური სიდიადით, ნაწარმოების მუსიკალობით, სურათების მაღალი მხატვრულობით. რუსთაველს ავტორი მსოფლიო პოეტად თვლის. გაზეთი აქვე მსჯელობს ლომონოსოვის დიდ როლსა და მნიშვნელობაზე.

„ტფილისის უწყებანი“ ეწეოდა აგრეთვე პუშკინის შემოქმედების პოპულარიზაციას. ჯერ კიდევ 1828 წლის მეთერთმეტე ნომერში გაზეთი, ლაპარაკობდა რა ქართველი ქალების სილამაზეზე, დასძენდა, რომ ამ ქალების სილამაზეს მე ვერ აღვწერ და ვისაც ნამდვილად სურს ამ სილამაზის ძალა გაიგოს, მან უნდა წაიკითხოს „ბალჩისარაის შადრევანი“ და „ქავკასიის ტყვეო“. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული პერიოდიკის მთელი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე პუშკინის ნაწარმოებთა სახელი პირველად სწორედ „ტფილისის უწყებანში“ 1828 წლის 12 სექტემბერს გამოჩნდა. ამის შემდეგ კი ეს საამაყო სახელი ქართული ჟურნალ-გაზეთების დამამშვენებელი სამკაული გახდა.

1830 წელს ქართულმა გაზეთმა დაბეჭდა თარგმანი „ლექსად თქმული პუშკინის ძილი და უბედურება უბედურებაზედ, ანუ შემთხვეულობა მორცხვისა კაცისა, თვით მისგან თქმული“. ლექსი „ძილი“ ალ. ქავკავაძეს უთარგმნია.

თუმცა „ტფილისის უწყებანი“ ბეჭდავდა მასალებს ლიტერატურის საკითხებზე და ზოგიერთ ნიმუშს სიტყვა-კაზმული მწერლობიდან, მაგრამ, საერთოდ, ქართული გაზეთი აღნიშნულ საკითხებს მცირე ადგილს უთმობდა.

გარდა იმ მრავალი საკითხისა, რომელზეც ჩვენ უკვე ზემოთ ვილაპარაკეთ, „ტფილისის უწყებანი“ დაინტერესებული იყო სხვა საკითხებითაც. აქ შეხვდებით მსჯელობას ქართულ ზნე-ჩვეულებებზე, თბილისში ჩატარებულ სხვადასხვა დღეობებზე, დღესასწაულებზე, რუსეთის მეფისა და დედოფლის შესახებ, მიწისძვრაზე, ქარიშხალზე, მეტეოროლოგიასა და სხვათა შესახებ.

ამგვარად, გაზეთ „ტფილისის უწყებანს“ თავისი დებდებითი და ნაკლოვანი მხარეები ჰქონდა. მაგალითად, გაზეთის ნაკლი იყო მისი ენა; ასევე, არაჯეროვანი ყურადღების მიქცევა საქართველოს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვა საკითხებზე. მაგრამ გაზეთს მაინც თავისი მნიშვნელობა ჰქონდა. ზოლო სოლ. დოდაშვილის როლი ამ გაზეთში იმით განისაზღვრებოდა, რომ იგი იყო მისი სულისჩამდგმელი, რედაქტორი და გამომცემელი.

---

## V. სოლ. ღოლაშვილი და პირველი ქართული ჟურნალი<sup>1</sup>

პირველი ქართული ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ მის თანამედროვე ცხოვრების ბევრ საჭირობო საკითხს შეეხო. მან თავის გარშემო თავი მოუყარა ბევრ იმდროინდელ ქართველ მოღვაწეს. ამიტომაც იგი მეტად მნიშვნელოვანი პერიოდული ორგანო გახდა.

\* \* \*

პირველი ქართული ჟურნალი აღმოცენდა მაშინ, როცა თბილისში ხშირად ისმოდა საუბარი ქართული ლექსიკონის შედგენის, ქართული თეატრის დაფუძნებისა და სხვა მისთანათა შესახებ. გვაქვს იმის უტყუარი ნიშნებიც, რომ მაშინ „თერგდალეულობაზეც“ იყო საუბარი.

ჟურნალი აღმოცენდა 1832 წელს, მაგრამ ამ თარიღის შესახებ ჩვენში ერთხანად აზრთა ერთიანობა არ იყო. მაგალითად, 1887 წელს აღნიშნავენ, რომ

---

<sup>1</sup> 1954 წლის გამოცემასთან შედარებით იბეჭდება სათანადო ცვლილებებით (იხ. მიხ. გოცაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, თბ., 1954 წ., I, გვ. 171—211). იხ. აგრეთვე პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, ტ. I.

პირველი ქართული ჟურნალი 1830 წელს გამოვიდა<sup>1</sup>, თუმცა ჯერ კიდევ აღრინდელი ცნობებითაც იცოდნენ, რომ მოხსენებულ ჟურნალი 1830 წელს არ დაბეჭდილა<sup>2</sup>. ასევე მცდარია ის ცნობები, რომელთა მიხედვით „სალიტერატურონი ნაწილის“ გამოცემა 1828 და 1829 წლებს მიეწერება.

რასაკვირველია, ის გარემოება, რომ ქართული ჟურნალი პირველად 1832 წელს გამოიცა იმას არ ნიშნავს, რომ საამისო სამზადისი მხოლოდ ამ წელს მიმდინარეობდა. აშკარად ჩანს, რომ იმდროინდელ საზოგადოებას 1832 წელზე გაცილებით უფრო ადრე უფიქრია ქართული ჟურნალის დაარსებაზე და ამის გარშემო სათანადო მუშაობაც ჩაუტარებია.

ქართველი საზოგადოება დიდი ხანაა დაინტერესებული იყო დაეარსებინა საკუთარი ჟურნალი.

საბუთები უთითებენ, რომ 1832 წლამდე ქართული ჟურნალის დაარსებაზე მსჯელობდნენ და მისი გამოცემის ინიციატორთა ჯგუფში შედიოდნენ: სოლ. დოდაშვილი, ალ. ჭავჭავაძე, ალ. ვ. ორბელიანი, ელ. ერისთავი და სხვები.

პირველი ქართული ჟურნალის დაარსების იდეა მოხსენებულ პირთა შორის მომწიფდა და გამოცემაც მათი ხელშეწყობით განხორციელდა.

---

<sup>1</sup> „ივერია“, 1887 წ., № 227.

<sup>2</sup> იხ., შავ., „დროება“, 1875 წ., № 134.

ქართული ჟურნალის დაარსების შესახებ მსჯელობას სხვადასხვა დროს ვხვდებით. სოლ. დოდაშვილი 1828 წელს წერდა: „კომიტეტსა შინა სამხედრო ლუბერნატორმან და მზრუნველმან კომიტეტისამან მარწმუნა საკუთრად მე გახეთებისა და ჟურნალებისა გამოცემა“<sup>1</sup>.

1828 წლის შემდეგ ჟურნალის გამოცემის შესახებ მუშაობა გაფართოვდა და სოლ. დოდაშვილთან ერთად საჟურნალო საქმეში სხვა ქართველთა საქმიანობაც მოჩანს. 1830 წელს ქართული ჟურნალის დაარსების შესახებ უკვე მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ცნობა მოგვეპოვება. იგივე სოლ. დოდაშვილი, როდესაც ის 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს, ერთ-ერთი დაკითხვის დროს უჩვენებდა, თუ რა ხასიათის საუბარი მიმდინარეობდა მასსა და ელ. ერისთავს შორის 1830 წლის დეკემბერში და აღნიშნავდა, რომ მსჯელობა ჟურნალის გამოცემის შესახებაც იყო. მისი ჩვენებიდან შემდეგს ვგებულობთ: „Об умысле и заговоре слышал я от князя Елизабара Эрнстова, он первый в оный меня ввел. Сие объявлено было мне без свидетеля у него на квартире в 1830 году в декабре месяце следующими словами: „Я найду тебе подписчиков, а ты выпроси позволение у начальства издавать журнал“.

ხოლო ქვემოთ სოლ. დოდაშვილი ამავე ჩვენებაში ამბობს, რომ ელ. ერისთავის თქმით, ჟურნალი განა-

<sup>1</sup> ი, 2226, ფ. 264; „მას. საქ. და კავც. ისტ.“, 1945 წ., ნაკ. II, გვ. 115—116.



თლების საქმეს უნდა მომსახურებოდა და, როდესაც ალ. ორბელიანთან მიმიყვანა, უკანასკნელმა თავის მხრივ ეურნალის ან გაზეთის გამოცემა მთხოვაო<sup>1</sup>.

მობხენებული ელ. ერისთავი სოლ. დოდაშვილის ჩვენებას არ უარყოფდა და შემდეგს გვაუწყებდა: „Показание Соломона Додаева справедливо, я ему советовал издавать газеты с намерением приготовить умы к возмущению; но однакож он начал издавать газеты в 1832 году“<sup>2</sup>.

სოლ. დოდაშვილი ქართული ეურნალის დაარსების შესახებ სხვაგანაც ლაპარაკობდა და დაბეჯითებით იმეორებდა, რომ ქართული ეურნალის გამოცემის შესახებ ელ. ერისთავთან მსჯელობა პირველად სწორედ 1830 წლის დეკემბერში მქონდაო<sup>3</sup>.

სოლ. დოდაშვილის 1828 წლისა და 1830 წლის ცნობები ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდებიან. პირველი ცნობა არ გულისხმობდა იმგვარი მიმართულების ეურნალის დაარსებას, როგორც 1830 წელს ფიქრობდნენ. 1828 წელს არ ყოფილა ლაპარაკი, რათა ეურნალით მომზადებულიყო „УМЫ К ВОЗМУЩЕНИЮ“. 1830 წელს კი, სახელდობრ, ასეთი მიმართულების ეურნალის გამოცემა უნდოდათ.

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 1457, რკ. VI, ფ. 1108.

<sup>2</sup> ცსსა, ფონდი 1457, რკ. XXV, ფ. 5010.

<sup>3</sup> სოლ. დოდაშვილი, მაგ., 1833 წლის მარტში წერდა: „В конце 1830 года в декабре месяце князь Елиашар Эривтов объявил мне следующее: „Я найду тебе подписчиков, а ты начинай издавать газеты или журнал“ (ფონდი 1457, რკ. XI, ფ. 1939).

1830 წელს თბილისში მარტო ქართული ჟურნალის დაარსების ირგვლივ არ მიმდინარეობდა მუშაობა, არამედ საუბარი რუსული ჟურნალის გამოცემაზეც იყო. ჩანს, 1830 წელს თბილისში ქართული ჟურნალის დაარსებისათვის ხელსაყრელი სიტუაცია არსებობდა.

1831 წელს ქართული ჟურნალის დაარსებისათვის მუშაობა კიდევ უფრო გაცხოველდა, რასაც ჟურნალის გამოცემის საქმეში ალ. გ. ქავჭავაძის მიმხრობამ შეუწყო ხელი. სოლ. დოდაშვილი აღტაცებით იტყობინება: „Генерал-майор кн. Чавчавадзе также обещал содействовать“<sup>1</sup>. ჟურნალი 1831 წელს უნდა გამოსულყო. ეფ. ალექსიშვილი, რომელიც სოლ. დოდაშვილსა და მის საქურნალო მუშაობას ახლო იცნობდა, გვაუწყებს:

„უჟალმა დოდაემა... 1831-ს წელში მოინდომა ქართული ლიტერატურისა და გაზეთების ბეჭდვა; მაშინ მითხრა, დირექტორმა (იგულისხმება თბილისის გიმნაზიის დირექტორი გრუბერი.—მ. გ.) და ლენერალმა ქავჭავაძემ (ალექსანდრე გარსევანის ძემ.—მ. გ.) გთხოვეს ლიტერატურისა და გაზეთების ბეჭდვას ვაპირებთ, შენც მოაწერე და შეიძლება სხვათაც მოაწერინოვო; მე კიდევ მოვაწერე და ფულიც მაშინვე მივე და ვჭგონებ სხვაც უშოვნე ხელის მომწერი, მაგრამ არ აღსრულდა; ფულიც ტყვილად დაიკარგა“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 1457, რე. VI, ფ. 978.

<sup>2</sup> იგივე ფონდი, რე. V, ფ. 781; გ. გოხალიშვილი, დას. წიგ., გვ. 295.

1831 წელს ქართული ჟურნალი არ გამოსულა. ეფ. ალექსიშვილის ცნობაში მოხსენებული „ქართული ლიტერატურის“ ბეჭდვა, რომელიც „არ აღსრულდა“, სწორედ „სალიტერატურონი ნაწილნის“ გულისხმობს.

1831 წლის დამლევს თბილისში ოფიციალური განცხადება გამოქვეყნდა, რითაც საზოგადოებას მომდევნო წლიდან „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანის“ გამოცემა ემცნო.

დაპირება ასრულდა: 1832 წელს გამოვიდა ქართული ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“.

ამგვარად, ჟურნალის დაარსების შესახებ მსჯელობა დიდხანს მიმდინარეობდა, რამაც განხორციელება მხოლოდ 1832 წელს პოვა.

პირველი ქართული ჟურნალი დამოუკიდებელი გამოცემა არ იყო. იგი ითვლებოდა გაზეთ „ტფილისის უწყებანის“ ლიტერატურულ განყოფილებად. თუმცა სოლ. დოდაშვილსა და მის ამხანაგებს დამოუკიდებელი ჟურნალის შექმნა უნდოდათ, მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა. ამიტომ ისინი იმდროინდელი ფორმალური მდგომარეობით დაკმაყოფილდნენ.

პირველი ქართული ჟურნალი სულ ხუთი ნომერი გამოვიდა, მაგრამ ამ ჟურნალის გამოსულ ნომერთა რაოდენობისა და მისი გამოცემის შეწყვეტის დროის შესახებ სხვადასხვა აზრი გამოითქვა; ზოგიერთის აზრით, სულ ოთხი ნომერი გამოსულა<sup>1</sup>, ზოგის—ხუთი,

---

<sup>1</sup> იხ., მაგ., ხ. კიკინაძე, ქართული გაზეთის ასი წლის ისტორია, გვ. 24.

ზოგის აზრით კი—ექვსი<sup>1</sup>, ერთიც ხუთ ნომერზე მეტის გამოცემას ვარაუდობდა<sup>2</sup>. ზოგიერთნი იმასაც ფიქრობდნენ, თითქოს მისი გამოცემა 1832 წლის შეთქმულების აღმოჩენის, ე. ი. 1832 წლის 9 დეკემბრის შემდეგ შეწყდა<sup>3</sup>. საყურადღებოა ერთი გარემოების აღნიშვნა, სახელდობრ იმისა, რომ, როცა 1832 წლის იანვარში ქართული გაზეთი „ტფილისის უწყებანის“ პირველი ნომერი გამოვიდა, მას თავშივე სათანადოდ ჰქონდა მოხსენებული „სალიტერატურონი ნაწილნის“ გამოსვლა. მაგრამ იმავე წლის 26 აპრილს გაზეთს „ტფილისის უწყებანს“ თავში მაინც იგივე წარწერა დარჩა: „ტფილისის უწყებანი“... გამოდის სამშაბათობით, ხოლო სალიტერატურონი ნაწილნი თვეში ორჯერ“.

მაშასადამე, თითქოს უდავო ხდება, რომ „სალიტერატურონი ნაწილნი“ იანვრიდან მოყოლებული—აპრილის ჩათვლით, ორ-ორი ნომერი გამოსულა, ე. ი. სულ რვა ნომერი.

რა თქმა უნდა, მართალი არიან ისინი, რომელნიც „სალიტერატურონი ნაწილნის“ მხოლოდ ხუთი ნომრის

---

<sup>1</sup> იხ., მაგ., П. Поселняни, Путевые записки по Кавказу, 1846, გვ. 36.

<sup>2</sup> დიმ. ყიფიანი, მემუარები, თბილისი, 1930 წ., გვ. 172. შემდეგში ს. ხუნდაძემ თავისი ვარაუდი შეცვალა და აღნიშნა, რომ „სალ. ნაწ.“ მხოლოდ ხუთი ნომერი გამოვიდა (იხ. ს. ხუნდაძე, დიმ. ყიფიანი, თბ., 1936 წ., გვ. 58).

<sup>3</sup> იხ., მაგ., გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბილისი, 1947 წ., გვ. 3.

გამოსვლას აღიარებდნენ<sup>1</sup>; და ჩვენ ამას ახლა ერთი ახალი მომენტი გვინდა დაეუმატოთ.

ამჟამად საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში ინახება ამ ეურნალის ხუთივე ნომერი, რომლებიც აღნუსხულია № 234 ფონდის №№ 103, 104, 105, 106, 107-ის ქვეშ. ეურნალის აღნიშნული ნომრების თავმოყრა ერთად სოლ. დოდაშვილისა და მისი ამხანაგების დაპატიმრებასთან დაკავშირებით მოხდა.

საქმე ისაა, რომ 1832 წელს სოლ. დოდაშვილის დაპატიმრებასთან ერთად შეთქმულების გამომძიებელნი მისი ეურნალითაც დაინტერესდნენ და ამ თვალსაზრისით დაიწყეს მისი შესწავლა; მაგრამ, რაკი მასში საექვო ვერაფერი აღმოაჩინეს, ის შეთქმულების საგამომძიებლო საქმეს აღარ დაურთეს, ცალკე აკინძეს და სხვა დოკუმენტებთან ერთად იმ საქმეში შეინახეს, რომელიც ახლა № 171, ე. წ. განსაკუთრებული მნიშვ-

---

<sup>1</sup> იხ., მაგ., პ. გუგუშვილი, დას. წიგ., გვ. 94. უბრ კიდევ 1839 წელს, პლ. იოსელიანს, ჰქონდა რა ხელთ „სალ. ნაწ.“-ის მთელი კომპლექტი მ. ბროსეს სწერდა: „სალიტერ ტურო გაზეთი 5-ნომერზედ შეტი არ ყოფილა აღბეკდილი“ (S, № 4794, გვ. 57; „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, თბილისი, 1948 წ., № 4—5, გვ. 102). შემდეგში, 1846 წელს, პლ. იოსელიანმა თავისი ცნობა თვითვე უარყო და ახლა აღნიშნა, რომ „სალ. ნაწ.“ ექვსი ნომერი გამოვიდაო (იხ. „Путевые записки по Кахетиин“, გვ. 36). მაგრამ პლ. იოსელიანს ამჯერად ის აღარ განუმარტავს, თუ მოხსენებული ცვლილება რატომ მოახდინა. ექვგარეშეა, ავტორი შეცდომაში შეიყვანა რუსული „სალ. ნაწ.“-ის ნომერთა რაოდენობამ. თბილისში 1832 წელს „სალ. ნაწ.“ რუსულ ენაზე სწორედ ექვსი ნომერი დაიბეჭდა, პლ. იოსელიანმა კი, ცხადია, 1846 წელს ივარაუდა, ქართული სალ. ნაწ.“—იც ამდენივე გამოვიდაო.

ნელობის საქმეთა ფონდში არის დაცული. შემდეგ ამ ჟურნალის ნომრები, აღნიშნული საქმიდან ამოღებული, განსვენებულ სამხედრო ისტორიკოსს ს. ესაძეს ცენტრალურ საისტორიო არქივისათვის გადაუცია<sup>1</sup>. მართლაც, საქმე № 171-ის თავფურცელზე საგამომძიებლო კომისიის მიერ აღნიშნულია, რომ ამ საქმეში ინახება „пять номеров Тифлисской газеты 1832 г., лл. 377—439“ და ფონდი № 234-ში შენახული „სალიტერატურონი ნაწილნი“ ხუთივე ნომერზე სწორედ მოხსენებული საქმის ფურცლების ნუმერაცია, 377—439, არის აღნუსხული.

საყურადღებოა ამ გამოცემის შეწყვეტის მიზეზების საკითხიც. ჟურნალის გამოცემა შეწყდა მარტში, მაგრამ ქართული გაზეთი კვლავ ბეჭდავდა, თითქოს იგი თვეში ისევე ორ-ორი ნომერი გამოდიოდა.

აშკარაა, ჟურნალი ხუთ ნომერზე მეტი არ დაბეჭდილა, თორემ შეთქმულების გამომძიებელნი მასაც უკვე მოხსენებულ საქმეში აკინძავდნენ. ჟურნალმა 1832 წლის შეთქმულების აღმოჩენამდე გაცილებით უფრო ადრე შეწყვიტა არსებობა, და თუ ქართული გაზეთი მას „ცოცხალთა“ შორის მაინც იხსენიებდა, ეს იმით აიხსნება, რომ მისი ბეჭდვის შესახებ ნებართვა საკმაო ხანს არ გაუქმებულა. ვიმეორებთ, პირველი ქართული ჟურნალი ხუთ ნომერზე მეტი არ გამოცემულა.

---

<sup>1</sup> ამ ფონდის აღრიცხვის დაეთარში „სალ. ნაწ.“-ის ხუთივე ნომრის მიმართ წერია: „სვიმონ ესაძის მიერ შემოწირულნი“.

პირველი ქართული ჟურნალის გამომცემელი ჩვენ მიერ ზემოთ არაერთხელ დასახელებული სოლ. დოდაშვილია, რაც უტყუარი საბუთებით მტკიცდება. მაგალითად, ერთ ადგილას სოლ. დოდაშვილი თავის თავის შესახებ წერდა: „გამომცემელი ვალად ჰრაცხს განუცხადოს მთხზველთა მადლობა“<sup>1</sup>. თანამედროვე ქართველთა საბუთებშიც სოლ. დოდაშვილი აღნიშნული ჟურნალის გამომცემლად მრავალჯერაა დასახელებული. ასევეა საქართველოს მთავარმართებლის ოფიციალურ ცნობაშიც. „Соломон Додаев... приступил к изданию газеты на грузинском языке“<sup>2</sup>, — გეუწყებს როზენი.

1832 წელს დაარსებული ჟურნალის გამომცემლად სოლ. დოდაშვილი 1830 წლიდან იყო ნავარაუდები. როგორც ვნახეთ, 1830 წელს, როდესაც ელ. ერისთავმა სოლ. დოდაშვილს ჟურნალის დაარსება თხოვა, ისიც მიუთითა, რომ ჟურნალის გამოცემა არა სხვა ვინმეს, არამედ სწორედ მას უნდა ეკისრა და სათანადო ნებართვაც საკუთარ სახელზე უნდა გამოეთხოვა. ელ. ერისთავი სოლ. დოდაშვილს აკი ეუბნებოდა: „Ты выступи позволением у начальства издавать журнал“.

ჟურნალის გამოცემა სოლ. დოდაშვილს დიდ შრომას აკისრებდა. მაშინ ბევრი იყვნენ ისეთი გამომცემელები, რომელებიც თავს მხოლოდ იმით ისაზღვრავდნენ, რომ ჰქონოდათ საკუთარი სტამბა, ჟურნალს ბეჭდავდნენ საკუთარი ხარჯით და ჟურნალის გავრცელებ-

<sup>1</sup> „საღ. ნაწ. ტფ. უწყებანი“, 1832 წ., № 2, გვ. 38.

<sup>2</sup> ცსსა, ფონდი 1457, რე. XXIX, ფ. 50 და „Акты“, ტ. VIII, გვ. 415.

ბაში უმთავრესად ფულის მოგებით იყვნენ დაინტერესებულნი. სოლ. დოდაშვილი ასეთი გამომცემელი არ იყო. იგი ჟურნალის უბრალო გამომცემელი კი არ იყო, არამედ მისი შემდგენელიცა და გამმართავიც. „სალიტერატურონი ნაწილნი“ მასალის განლაგება და შერჩევა მას საკუთარ თავზე ჰქონდა აღებული. იგი ჟურნალის სულისჩამდგმელი იყო და ამიტომაც თანამედროვენი ზოგჯერ „სალიტერატურონი ნაწილნი“ დოდაშვილის ჟურნალს უწოდებდნენ. მაგალითად, პეტერბურგიდან თბილისში მაშინ იწერებოდნენ, რომ „МЫ ЧИТАЛИ журнал Соломона Додаева“;<sup>1</sup> ანდა, ზოგჯერ ამ გამოცემას „დოდაევ-მალაროელის“ ჟურნალად ასახელებდნენ.<sup>2</sup> სოლ. დოდაშვილი ჟურნალის გამოცემის საქმეს კარგად უძღვებოდა.

რამდენიმე სიტყვა „სალიტერატურონი ნაწილნი“ რედაქტორის შესახებაც. „სალიტერატურონი ნაწილნი“ ცალკე რედაქტორი არ ჰყოლია. მაშინ ქართულ ჟურნალს ცალკე რედაქტორის თანამდებობა არ ჰქონდა. მაგრამ იმდენად, რამდენადაც ეს ჟურნალი „ტფილისის უწყებანის“ განყოფილებად ითვლებოდა, ხოლო ამ გაზეთს რედაქტორად სოლ. დოდაშვილი ჰყავდა, ამდენად, ცხადია, „სალიტერატურონი ნაწილნიც“ მისი საერთო რედაქტორობით გამოდიოდა. მართლაც, 1832

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 1457, რე. XXIX, ფ. 5282; გ. გოზალიშვილი იდას. წიგ., გვ. 106.

<sup>2</sup> იგივე ფონდი, რე. XIII, ფ. 2319.



წლის რუსულ „სალიტერატურო ნაწილის“ პირველ ნომერში ერთგან ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ქართული ჟურნალის რედაქტორი სოლ. დოდაშვილი არის.

რაც შეეხება პირველი ქართული ჟურნალისადმი მეფის ცენზურის დამოკიდებულებას, იგიც „ტფილისის უწყებანივით“ თბილისის გუბერნატორების გამგებლობაშია. ჟურნალი თვეში ორ-ორი ნომერი გამოდიოდა.

ყველაზე რთული საკითხი „სალიტერატურონი ნაწილზე“ ხელმომწერთა მომრავლების საკითხი იყო. სოლ. დოდაშვილი ამბობდა, რომ ჟურნალზე ხელმომწერნი „ცოტანი არიანო“<sup>1</sup>. სოლ. დოდაშვილი ხელმომწერთა სიმცირით საერთოდ ძალიან იყო ჩაფიქრებული. ხშირად ისმობდა საუბარი ხელმომწერთა მომრავლების ღონისძიებათა შესახებ. ჟურნალზე ხელმოწერას რედაქტორი ითხოვდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და მოსკოვსა და პეტერბურგში. 1832 წლის თებერვალში იგი ფილ. კიკნაძეს შუამთაში სწერდა: „სხუათაცა ჰსთხოვე და კიდევ ეცადენით, რათა ხელი მოაწერონ... გთხოვთ ეცადნეთ ათიოდ მსურველი იშოვოდ, თუ მეტს იშოვით, უფრო უკეთესი“<sup>2</sup>. თვით ჟურნალის განცხადებანიც ამბობდნენ, რომ ხელმომწერნი „ფრიად ცოტანი აღმოჩნდნენ“, რომ „ამის გამო მიმღებთა ამისთა ვჰსთხოვთ უმორჩილესად, რათა მიიღონ შრომა, რათამცა არა სარცხვენელ იქნას საქართველოს საზოგადოება... მოაწერონ ხელი და შეძლებისამებრ თვისისა მოსცენ შემწეობა“<sup>3</sup>. ჟურნალი

<sup>1</sup> „საისტორიო მოამბე“, 1952 წ., № 6, გვ. 237.

<sup>2</sup> იქვე გვ. 237.

<sup>3</sup> „სალ. ნაწ.“, 1832 წ., № 5, გვ. 120.

იძლეოდა გაფრთხილებას: თუ ხელმომწერი არ მომ-  
რავლდება, მაშინ გამოცემა შეწყდებაო. „უკეთუ საზო-  
გადოებამ,—აცხადებდა „სალიტერატურონი ნაწილ-  
ნი“,—მოაქცია კეთილმდრეკილებითა ყურადღება სა-  
სარგებლოსა ამასა გამოცემასა ზედა და ისურვა ხელის  
მოწერა, მაშინ მიუცილებლად განგრძელდება გამოცემა...  
ხოლო წინააღმდეგოსა შემთხვევასა შინა ი გ ი და დ-  
გ ე ბ ა“<sup>1</sup>.

ცნობილია, რომ გამოცემას ხელმომწერთა სიმცირე  
ავიწროებდა. ხოლო იმასთან დაკავშირებით, თუ ეურ-  
ნალს რამდენი ხელმომწერი უნდა ჰყოლოდა, საინტე-  
რესოა დავიმოწმოთ სოლ. დოდაშვილის საბუთიდან  
შემდეგი ამონაწერი:

„В конце того же года (იგულისხმება 1831 წ.—  
მ. გ.) они пристали ко мне, чтобы я пригото-  
влял статейки, что непременно они найдут  
более 300 подписчиков. Они хлопатали рас-  
поstrанить любовь к отечеству, и я весьма был  
рад, во-первых, что я считал очень полезным  
для образования своих соотечественников, во-  
вторых, поправить свое бедное состояние“<sup>2</sup>.

მართალია, სოლ. დოდაშვილი ზუსტად არ საზღვ-  
რავს, თუ რამდენი ხელმომწერი იყო საკმარისი ეურ-  
ნალის გამოცემისათვის. მაგრამ, ჩანს, რომ მას „300-ზე  
მეტი“ ხელმომწერთა შეპირება აკმაყოფილებდა.

---

<sup>1</sup> „სალ. ნაწ.“, 1832 წ., № 2, გვ. 48.

<sup>2</sup> ცხსა, ფონდი 1457, რვ. VI, ფ. 978.

უნდა ითქვას, რომ იმ დროს 300 ხელისმომწერი მცირე როდი იყო. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ცალკეულ რუსულ ჟურნალ-გაზეთზე 300-ზე მეტი ხელმომწერი არ მოდიოდა. საქართველოშიც 300 ხელმომწერი დიდხანს იყო საოცნებო ციფრი. მაგალითად, 1876 წელს ს. მესხი წერდა: „როცა აპრილში 1869 წელს „დროების“ ახლანდელმა რედაქტორმა პირველად იკისრა ამ გაზეთის პატრონობა, გაზეთს მხოლოდ 240 ხელისმომწერი ჰყავდაო“<sup>1</sup>. ხოლო გამოჩენილი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი 1895 წელს გადმოგვცემდა: „ათი წლის წინათ საქართველოში არსებობდა მხოლოდ ორიოდ სტამბა, წელიწადში იბეჭდებოდა თითო-ორიოლა წიგნი, პერიოდულ გამოცემას ორას-სამასი ხელისმომწერი ენატრებოდაო“<sup>2</sup>.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოში 1832 წელს მარტო ქართული ჟურნალის მიღებაზე არ აწერდნენ ხელს; ხელს აწერდნენ „ტიფლისკიე ვედომოსტზე“, მის სალიტერატურო ნაწილთან ერთად თათრულსა და ქართულ „ტიფლისის უწყებანზე“. ასე რომ, მაშინ ხელმომწერთა საერთო რაოდენობა სხვადასხვა გამოცემაზე ნაწილდებოდა.

ჟურნალის გავრცელებისათვის მიღებულ ღონისძიებათა მიუხედავად ქართულ ჟურნალს მაინც მცირე ხელმომწერი ჰყავდა. ჟურნალი ძირითადად ხელმომწერთა სიმცირემ იმსხვერპლა. ამის შესახებ სოლ.

<sup>1</sup> ს. მესხი, ნაწერები, თბილისი, 1903 წ., ტ. I, გვ. 342—343.

<sup>2</sup> „საისტორიო მლამბე“, 1951 წ., № 5, გვ. 136.

ლოლაშვილი წერდა: „Хотя я начал издавать, но увидев, что нет подписчиков, прекратил издание газет. Издавал в 1832 году“<sup>1</sup>.

ხელისმომწერთა სიმცირის გამო ქართულმა ჟურნალმა აღრე შეწყვიტა არსებობა.

„სალიტერატურონი ნაწილნი“ გარეგნულად კარგად იყო გაფორმებული. ჟურნალის თითოეული ნომერი შედგებოდა 12 ფურცლისაგან, ე. ი. 24 ნაბეჭდი გვერდისაგან, თავფურცელზე ყველგან იყო აღნიშნული გამოცემის წელი, ნომერი და თვე.

„სალიტერატურონი ნაწილნის“ გამოცემას, როგორც რედაქტორი ამბობდა, „ხარჯი მრავალი“ უნდოდა. ჟურნალი ლამაზად იყო გამოცემული, მაგრამ აქა-იქ დაშვებული იყო კორექტორული შეცდომები.

\* \* \*

„სალიტერატურონი ნაწილნი“ უნდა მომსახურებოდა ქართულ ენას, ქართულ ლიტერატურას, ქართულ განათლებასა და 1832 წლის შეთქმულებას. „სალიტერატურონი ნაწილნის“ შინაარსის განხილვა ამ საკითხებზე საინტერესო მასალას იძლევა.

გავრცელებულია აზრი, რომ „სალიტერატურონი ნაწილნის“ გამოცემა ძირითადად თითქოს დასავლეთ ევროპის ცხოვრების პოპულარიზაციის საქმეს ემსა-

---

<sup>1</sup> ცს., ფონდი 1457, რვ. VI, ფ. 978. იხ. აგრეთვე „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, 1948 წ., № 4—5, გვ. 101.

ხურობოდა<sup>1</sup>. მაგრამ ეს სინამდვილეს არ შეეფერება.

პირველი ქართული ეურნალი ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენდა და სოლ. დოდაშვილმა მის გამოცემას ქართველი ხალხის კულტურის დაცვისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის მოჰკიდა ხელი.

ჯერ კიდევ ადრე განისაზღვრა, თუ რა შინაარსის უნდა ყოფილიყო ეურნალი. ყველა ცნობათა შეჯამებიდან ჩანს, რომ ეურნალის გამოცემა დასავლეთევროპული ცხოვრების პოპულარიზაციისათვის არ დაწყებულა. სოლ. დოდაშვილი ამის შესახებ, მაგალითად, ეურნალშივე წერდა: ეურნალი დაარსდა იმისთვის, რათა ქართველ საზოგადოებას თავის წარმატებაზე ეზრუნა, რომ „მისცემოდა ესე გუარსა სასარგებლოსა გამოცემასა მტკიცე საფუძველი შესაწევნად განათლებისა, განვრცელებისათვის ბუნებითისა ენის ჩუენისა და მიახლოებისათვის განბრძნობილთა მცხოვრებთა ეევროპიისათა“ და თანამემამულეება განეღვიძოს „სურვილი და სიყვარული ბუნებითისა ენისა და სიტყვიერებისადმიო“<sup>2</sup>.

როგორც ვხედავთ, აქ აშკარად, პირველ ყოვლისა, „ბუნებითი ენასა“, ე. ი. მშობლიურ ენასა და სიტყვიერებაზეა ლაპარაკი.

სხვაგან კი სოლ. დოდაშვილი ეურნალის მიზნის შესახებ შემდეგს ამბობდა: „სალიტერატურონი ნაწილნი“

---

<sup>1</sup> XIX საუკ. მეორე ნახევრიდან მრმდინარე ეს აზრი, დღესაც არაერთი ავტორის მიერ მეორდება.

<sup>2</sup> „სალ. ნაწ. ტფ. უწყებათანი“, 1832 წ., № 5, გვ. 120.

გამოდის ქართული „ენის გამდიდრებისათვის, მამულის დიდებისათვის და გონების განათლებისათვის“<sup>1</sup>.

ქართული ენისა, ლიტერატურისა და განათლების შესახებ წერა — ჟურნალის უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო.

აქვე დავძენთ, რომ ჟურნალში გვხვდება ისეთი ადგილებიც, რომელიც მეფის ხელისუფლების ხოტბასა და მისდამი კეთილ სურვილებს გამოხატავენ. მაგალითად, ერთ ადგილას გამომცემელი მთავრობას „ბრძენს“ უწოდებდა, ანდა ნიკოლოზ I შესახებ წერდა, რომ მას საქართველოს გაბედნიერება სურს<sup>2</sup> და სხვ. მაგრამ ჟურნალის მიზანი თვითმპყრობელობის პოპულარიზაცია არ იყო. ამ შემთხვევაში ჟურნალი ოფიციალურ მხარეს იცავდა, ნამდვილად კი, როცა სოლ. დოდაშვილი ამას წერდა და ბეჭდავდა, ხელისუფლების საწინააღმდეგო 1832 წლის შეთქმულების წევრებს ხვდებოდა, სადაც საკითხი „ბრძენი“ მთავრობის მოსპობას, ნიკოლოზ I მიერ საქართველოსადმი არაკეთილ განწყობილებას და სხვას ეხებოდა. ვიმეორებთ, ჟურნალის მიზანი მეფის პოლიტიკის პოპულარიზაცია არ ყოფილა.

პირველ ქართულ ჟურნალში ჩვენ გვხვდება შემდეგი განყოფილებანი: პროზა, პოეზია, კრიტიკა და ნარევი.

ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში მშობლიურ წყაროებს პირველად ყველაზე დიდი ყურადღება „სა-

<sup>1</sup> „საისტორიო მოამბე“, 1952 წ., № 6, გვ. 237.

<sup>2</sup> „სალ. ნაწ.“, 1832 წ., №5, გვ. 120.

ლიტერატურონი ნაწილნმა“ მიაქცია. ჟურნალი იყენებდა სხვადასხვა ქართულ ხელნაწერს, იყენებდა „ქართლის ცხოვრებას“, აგრეთვე ვახტანგ ბაგრატიონის გამოცემულ ისტორიას, პუშკინის ნაწერებს, რუსულ ჟურნალ-გაზეთებს, ზეპირგადმოცემებსა და სხვ. „სალიტერატურონი ნაწილნი“ აღნიშნული წყაროების ფართო გამოყენებით ამალღებდა მკითხველთა გემოვნებას.

მნიშვნელოვანი იყო ჟურნალის მეცნიერული ღირსებაც. იგი აქვეყნებდა ისეთ წერილებს, რომლებიც იცავდნენ მშობლიური კულტურის პრიორიტეტს, იგი ცდილობდა თავისი დროის მიხედვით ლიტერატურის, ენისა და ისტორიის საკითხების მეცნიერულ გააზრებას.

რა თქმა უნდა, „სალიტერატურონი ნაწილნი“ იმდროინდელი ლიტერატურათმცოდნეობისა და ისტორიის დამუშავებაში რაიმე ახალ საკუთარ მეთოდს არ იყენებდა, მაგრამ ამ საკითხების შესწავლაში მისი წამოწყება, ექვგარეშეა, მნიშვნელოვანი და სერიოზული იყო.

ჟურნალში მონაწილეობა მიუღიათ შემდეგ პირებს: სოლ. დოდაშვილს, გ. დ. ერისთავს, დ. მაჩაბელს, გ. ი. ერისთავს, სოლ. რაზმაძეს, ალ. ორბელიანს, სტ. დოდაშვილს და თ. გურამიშვილს. ყველაზე მეტი ნაწერი ეკუთვნის თვით სოლ. დოდაშვილს.

ჟურნალში არის აგრეთვე ხელმოუწერელი განცხადებანი, რომლებიც სოლ. დოდაშვილს ეკუთვნის. ასევე ხელმოუწერელია მოთხრობა „ქინევრა“, რომელიც

პროფ. ალ. ხახანაშვილის ცნობით, სოლ. დოდაშვილის თარგმანია <sup>1</sup>.

„სალიტერატურონი ნაწილნი სათვის“ მასალები კარგა ხანს გროვდებოდა. ჟურნალის თანამშრომელთ სოლ. დოდაშვილისათვის საკუთარი ნაწარმოებნი გადაუციათ 1831—1832 წლებში. მაგალითად, „ოსური მოთხრობის“ შესახებ ვგებულობთ, რომ იგი გ. ერისთავს სოლ. დოდაშვილისათვის 1831 წელს გადაუცია <sup>2</sup>.

სოლ. დოდაშვილი საქართველოში მასალას სხვადასხვა პირთ სთხოვდა. მაგალითად, იგი ფილ. კიკნაძეს თბილისიდან შუამთაში სწერდა: „უკეთუ თქვენ აღწერთ რასმე, სტიხად თუ პროზად, დაჰბეჭდნენ ჟურნალებში“ <sup>3</sup>. უფრო მეტი: რედაქტორი საქურნალო წერილებსა და კორესპონდენციებს არა მარტო საქართველოში მყოფ თანამემამულეებისაგან ითხოვდა, არამედ რუსეთში მყოფ ქართველთაგანაც. ჯერ კიდევ 1831 წლის დამდეგს სოლ. დოდაშვილი თბილისიდან პეტერბურგში ი. ხელაშვილს შემდეგს სწერდა: „ვჰსახებ, რომელ ოცს ხელისმომწერს იშოვით მანდ ჟურნალის მისაღებად; აგრეთვე ვითხოვ, რათა ყოველთავე ქართველთა გამოუცხადოთ, რომელ თვისი თხუზულება ანუ განსჯა რომელსამე საგანსა ზედა, სტიხათ გინა უსტიხოთ წარმოგზავნონ ჟურნალსა შინა დასაბეჭდად“ <sup>4</sup>.

<sup>1</sup> ალ. ხახანაშვილი, Очерки... IV, გვ. 36.

<sup>2</sup> ცსა, ფონდი 1457, რვ. III, ფ. 386.

<sup>3</sup> „საისტორიო მოამბე“, 1952 წ., № 6, გვ. 237.

<sup>4</sup> S, 388, გვ. 54; „ივერია“, 1887 წ., № 227.



ანდა, სოლ. დოდაშვილი ამასვე ითხოვდა მოსკოვში მცხოვრებ ოქროპირ გიორგი XII-ძისგან, და მისდამი გაგზავნილი ბარათის შესახებ შემდეგს გვაძეცნობდა: „Другое письмо отправил я к нему же через почту с печатным объявлением об издании газет в конце 1831 года... Я... просил, чтобы они все грузины в Москве подписались и прислал бы свои сочинения или переводы для напечатания в газетах“<sup>1</sup>.

„სალიტერატურონი ნაწილნის“ გარშემო თავმოყრილი პირები ბევრს ცდილობდნენ აეტოროთა კოლექტივის შემოკრებასა და მომრავლების შესახებ. ერთ საბუთში ეს გარემოება ხაზგასმით არის აღნიშნული. „В продолжение двух лет<sup>2</sup>,—წერს სოლ. დოდაშვილი ამ საბუთში,—разговор имели издавать газеты, образовать грузин, найти сотрудников“<sup>3</sup>.

უნდა ითქვას, რომ XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში არც ერთი ქართული პერიოდული ორგანო არ ყოფილა თანამედროვეთა ისეთი ფართო მსჯელობის საგანი, როგორც „სალიტერატურონი ნაწილნი“.

\* \* \*

ჟურნალში კლასობრივი უთანხმოებების გავლენა კარგად იგრძნობა. მოთხრობა „ელენეში“ აღწერილი ამ-

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 1457, რე. XI, ფ. 1980; შდრ. გ. გოხალიაშვილი, დას. წიგ., გვ. 430.

<sup>2</sup> იგულისხმება 1830—1832 წლები.—მ. გ.

<sup>3</sup> ცსსა, ფონდი 1457, რე. V, ფ. 812.

ბების კვანძი იმაზეა აგებული, რომ ქალ-ვაჟის სიყვარულის წმინდა ურთიერთობას შლის „დიდგვარიანი“ ვაჟის მამა. ეს პიროვნება ვერ შერიგებია იმას, თუ მისმა ვაჟმა, რომელიც უნდა ამაყოფნდეს თავისი გვარით, როგორ უნდა შეირთოს „დაბალი“ წრიდან გამოსული ქალი. მის ამპარტავენობას ვერაფერი ვერ ღრეკს. აღნიშნული ურთიერთობა კი უბედურების საფუძველი ხდება. ქალი იღუპება<sup>1</sup>. ამ უბედურების მიზეზი კლასობრივი უთანასწორობა არის.

\* \* \*

„სალიტერატურონი ნაწილნი“ ორიგინალური პოეზიიდან გამოქვეყნებულია „ოსური მოთხრობა“, „მთვარე“, „მოწოდება“ და „თოვლი“, ორიგინალური პროზიდან კი—„ელენე“<sup>2</sup>.

სოლ. დოდაშვილის მოთხრობა „ელენე“ საინტერესოა თავისი ქარგით, თხრობის თავისებურებითა და ფინალით. ეს მოთხრობა, ჩვენი აზრით, სენტიმენტალიზმის წარმომადგენლის კარამზინის „საბრალო ლიზას“ გავლენით არის დაწერილი.

კარამზინის ზოგიერთ ნაწერს სოლ. დოდაშვილი იცნობდა. მისი ამხანაგები ამ პიროვნების შესახებ ურთიერთშორის მსჯელობდნენ. როგორც ჩვენ ცალკე შრომაში გვაქვს დადგენილი, გრ. ორბელიანი კარამ-

<sup>1</sup> იხ. „სალ. ნაწ.“, 1832 წ., № 5.

<sup>2</sup> იხ. „სალ. ნაწ.“, 1832 წ., № 2, 3, 4, 5.

ზინის „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის“ მრავალ-ტომეულით სარგებლობდა და იქიდან ადგილებს კიდევც თარგმნიდა. ასევე ითარგმნებოდა კარამზინის „ზიმულისადმი სიყვარული“, მაგრამ ესეც რომ არ ვიცოდეთ, ზემოთ ხომ ვნახეთ, რომ თვითონ ჟურნალის რედაქტორი კარამზინზე ამბობდა, მისი სახელი უკვდავიაო.

კარამზინის ლიტერატურული გავლენა საკმაო ხანს იგრძნობოდა. 1848 წელსაც კი ამის შესახებ თბილისში წერდნენ, რომ ამიერკავკასიაში დღემდე ბევრი უქერს მხარს გამოთქმათა კლასიკურ მანერას ისევე, როგორც მოსკოვში აქამდე ბევრი თავიანთ ნიმუშად მიიჩნევს კარამზინის ეპოქის მწერლებსო<sup>1</sup>.

კარამზინის „საბრალო ლიზამ“ თავის დროზე დიდი გავლენა მოახდინა. აქ თხრობა აგებულია ქალ-ვაჟის სიყვარულზე და ეს სიყვარული შემდეგ იშლება. ლიზა საბოლოოდ თავს იბრძობს. ლიზას ბედი სიბრალულს იწვევს. ასევეა სოლ. დოდაშვილის მოთხრობაში—„ელენე“; აქაც თხრობა აგებულია ქალ-ვაჟის სიყვარულზე, მაგრამ ეს სიყვარულიც შემდეგ იშლება და ელენე უბედური ადამიანი ხდება. იგი მამის დაუზღოვლობისა და სიჯიუტის მსხვერპლი ხდება. ელენეს ბედიც მკითხველში სიბრალულს იწვევს. ორივე ნაწარმოებში მთავარი გმირები ქალებია და წინა ხაზზე მათი განცდებია წამოწეული.

კარამზინის გავლენას განიცდის ჟურნალში მოთავსებული „უმანკოება“ და „ალთქმის სარკეც“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> „Зак. в.“, 1848 წ., № 39.

<sup>2</sup> „სალ. ნაწ.“, 1832 წ., № 4, გვ. 96 და № 5, გვ. 110—113, 118.

თარგმნილი ლიტერატურიდან დიდ ყურადღებას იქცევს პუშკინის „ლიშპანური სიმღერა“ („Испанский романс“) და „ლხინი“ („Веселый пир“), რომელნიც ჟურნალის მეხუთე ნომერში სოლ. რაზმაძემ გამოაქვეყნა.

სოლ. რაზმაძეს ქართველი საზოგადოება კარგად იცნობდა, მას აფასებდა როგორც პუშკინის მთარგმნელს. მის მიერ პუშკინის ზოგიერთი ლექსის თარგმანებს საზოგადოება ხელნაწერით იცნობდა. ეს ლექსები ჟურნალის გამოცემის პერიოდში თბილისში იკითხებოდა და მსჯელობის საგანი იყო. მაგალითად, პუშკინის ცნობილი ლექსის „ზამთრის საღამოს“ („Зимний вечер“) შესახებ გ. დ. ერისთავი წერდა: „Об сочинениях мне известно: Исповедь Наливайко перевод Григория Орбелианова, басни Медведь и Баран сочинение Размадзева, также и Вечер (იგულისხმება პუშკინის „Зимний вечер“.—მ. გ.) его же перевода, Фарис—Фарнаоза царевича, любовь к отечеству—переводчика Мамацова“<sup>1</sup>.

სოლ. დოდაშვილის, სოლ. რაზმაძისა და გ. ერისთავის გარდა, რუსული ლიტერატურით კიდევ ბევრი სხვა იმდროინდელი ქართველი მოღვაწე იყო დაინტერესებული. მაგალითად, ვახ. ორბელიანი, დიმ. ყიფიანი და სხვები. „სალიტერატურონი ნაწილნის“ გარშემო თავმოყრილი ახალგაზრდობა ამ მიმართულებით სერიოზულ საქმეს აკეთებდა.

---

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 1457. რე. XI, ფ. 1879.

რაც შეეხება სოლ. დოდაშვილის მიერ თარგმნილ და ეურნალში მოთავსებულ მოთხრობა „ჟინევრას“, — მისი ეურნალში დაბეჭდვა შემთხვევით არ უნდა მომხდარიყო. ამ მოთხრობაში აღწერილია ქალაქ ფლორენციაში მომხდარი ერთი საინტერესო ამბავი. თხრობა იწყება ამ ქალაქში გავრცელებული საშინელი ეპიდემიის, ჰირის აღწერით და ეხება ფლორენციის მოსახლეობის მძიმე მდგომარეობას ჰირთან დაკავშირებით. აქვეა აღწერილი განსაკუთრებული შემთხვევა ერთი ცოლ-ქმარისა.

„ჟინევრას“ დაბეჭდვა, ვფიქრობთ, გარკვეული პირობებით იყო გამოწვეული. „ჟინევრას“ თხრობა იშლება ისეთ ქალაქში, სადაც ჰირია მოდებული და თბილისშიც მაშინ ეს საშინელი სენი იყო გავრცელებული. თბილისში 1830 წელს „ხოლერა“ მძვინვარებდა, დაიხოცა მრავალი პირი, მოსახლეობა თბილისს სტოვებდა, ქალაქში სურსათის შემოზიდვამ კატასტროფიულად იკლო,<sup>1</sup> სენი შემდეგაც აქა-იქ იჩენდა თავს. თბილისის მოსახლეობა დაინტერესებული იყო ჰირის სხვადასხვა სახეობათა წარმოშობისა და მიმდინარეობის საკითხების შესწავლით. ამიტომ ასეთი ვითარების დროს „სალიტერატურონი ნაწილნი“ ისეთი მოთხრობის დაბეჭდვა, სადაც ჰირის შესახებ იყო საუბარი, უდროოს არ წარმოადგენდა და მოსახლეობაში აღძრულ ინტერესს პასუხობდა. უდავოა, „ჟინევრას“ დაბეჭდვა მოსახლეობის ინტერესის დასაკმაყოფილებლად იყო გამიზნული.

---

<sup>1</sup> „Акты“, т. VII, стр. 230—231.

უქრნალში მოთავსებული მასალებიდან სპეციალურ ყურადღებას იქცევს ისევ სოლ. დოდაშვილის „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა, ანუ სიტყვიერებისა“<sup>1</sup>, რომელიც ღრმაა თავისი შინაარსით და ემსახურება მშობლიური კაზმულსიტყვაობის შესწავლას. სოლ. დოდაშვილი აქ იმ შეხედულებების წინააღმდეგ იბრძოდა, რომელიც ამტკიცებდა, რომ თითქოს ქართულ ენაზე კარგი ნაწარმოების შექმნა შეუძლებელი იყო ქართული ენის უძლურობისა და უსუსურობის გამო. მოუპოვებდა სოლ. დოდაშვილს: „ჩვენ შეგვემთხვა სმენა დამტკიცებითა სჯთა მრავალთა კეთილგანზრახველთა კაცთაგან ქართულისა ენისათვის, რომელ იგი გლახაკ არს თხუზულებათა მიერ სალიტერატუროთა, არა განვითარებულ არს, და შესახებელადაცა გარმონიისადმი არა ვითარისამე მექონ არს სიამოვნისა“<sup>2</sup>.

ამ უცნაური და უგუხური შეხედულების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამართულიყო. სოლ. დოდაშვილი თავის წერილში აბათილებს და უაზრობად აცხადებს მოწინააღმდეგეთა შეხედულებას. იგი ასაბუთებს, რომ ჩვენ გვექონდა და გვაქვს მრავალი ორიგინალური და ნათარგმნი შრომა, გვყავს საუკეთესო მწერლები, რომ „კარგმან მწერალმან რომლისა საგნისა აღწერა არ უნდა მოინდომოს, რომელ ფრაზაზედაც უნდა იყოს, მას ძალუძს ბუნებითისა ენაზე ზედა გამოღება და წარმოდგენა თვით უმცირესისა აზრისა და გრძნობისა“, რომ წინათ ქართული ლიტერატურა

<sup>1</sup> „სალ. ნაწ.“, 1832 წ., № 1 და № 2.

<sup>2</sup> იქვე, № 1, გვ. 20.

ბრწყინავდა და ამ ბრწყინვალე ლიტერატურის შემქმნელი იყვნენ: იოანე პეტრიწი, ეფრემ მცირე, მოსე ხონელი, სარგის თმოგველი, ჩახრუხაძე, რუსთაველი და სხვანი. ამასთან ავტორი თავის წერილში შედარებით ფართოდ ჩერდება ანტონ კათალიკოზის შრომებზე: ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ქართული პერიოდიკის ფურცლებზე ამ პიროვნებას ესოდენ ვრცელი ადგილი დაეთმო. საერთოდ უნდა ითქვას, რომ არა მარტო ანტონ I, არამედ სხვა მრავალი ქართველი მოღვაწის სახელიც ქართულ პრესაში პირველად ახლა გამოჩნდა. სოლ. დოდაშვილი თავის წერილში ქართული ლიტერატურათმცოდნეობის სხვა საკითხებთან ერთად ქართული ლიტერატურის ისტორიის პერიოდიზაციის საკითხსაც ეხებოდა.

სოლ. დოდაშვილისათვის ზემოაღნიშნული წერილის დაწერა სიძნელეს არ წარმოადგენდა. იგი ქართული სიტყვიერების მასწავლებელი იყო და ამ საგანს, როგორც უკვე ვიცით, ჯერ კეთილშობილთა სასწავლებელში და შემდეგ კი გიმნაზიაში ასწავლიდა. ავტორი ძვით წერილშივე ასახელებს მწერლებს, რომელთათვისაც მას მიუქცევია ყურადღება. ამასთან, სოლ. დოდაშვილი იმოწმებს „ქართლის ცხოვრებას“ და „საკმაო ყურადღებით“ წაუკითხავს პეტრიწის „უკვდავი თხზულებანი“. ავტორს უსარგებლია ე. ბოლხოვიტინოვის წიგნითაც<sup>1</sup>. „თამარიანის“ შეფასება მას აქედან აულია<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Э. Болховитинов, Историческое изображение Грузии в политическом, церковном и ея учебном состоянии, 1802 г.

<sup>2</sup> ა. გაწერელია, ლიტერატურული ნარკვევები, თბილისი, 1948 წ., გვ. 83.

სოლ. დოდაშვილი საქირო მასალაზე თავისი წერილის დაბეჭდვის შემდეგაც მუშაობდა. იგი წერდა: „В первых числах ноября месяца (1832 წლისა.—მ. გ.) священник Ефрем Алексеев по обыкновению пришел ко мне вечером. По принятии его, начал читать правила Пшйткии, мною сочиненныя, и разбирали разные роды стихов из поэмы, так называемой „Книила да Мана“<sup>1</sup>.

„სალიტერატურონი ნაწილნი“ აგრეთვე ყურადღებას იქცევს ერეკლე II ისტორიის თხრობა, ანუ „მეფობა ირაკლი მეორისა“.

ყველა მკვლევარის მიერ მოხსენებული ისტორიული მიმოხილვა საქართველოს მეფის ერეკლე II შესახებ დღემდე სოლ. დოდაშვილის ნაწარმოებად იყო მიჩნეული, რადგან ხელმოწერილი იყო დოდაშვილის ინიციალებით „ს. დ“. მაგრამ, როგორც ირკვევა, სოლ. დოდაშვილი მისი ავტორი არ ყოფილა.

აღნიშნული წერილი პირველად 1832 წელს კი არ დაბეჭდილა, იგი ჯერ კიდევ 1830 წელს რუსულ გაზეთში დაისტამბა<sup>2</sup>, სადაც ავტორი პირდაპირ იყო დასახელებული. გაზეთის რედაქციის შენიშვნაში შემდეგი იკითხება: „Мы предлагаем здесь царствование Ираклия II, переведенное из грузинской рукописи, составленной внуком его царевичем Давидом“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ცხსა, ფონდი 1457, რე. IV, ფ. 516.

<sup>2</sup> „Т. в.“, № 93, 94, 95.

<sup>3</sup> „Т. в.“, № 93.



სოლ. დოდაშვილს კი აქედან გადმოჟღერება: ქართული ტექსტი სათაურიანად რუსულს იმეორებს. აი სათანადო ორი ნიმუში:

რუსული ტექსტი

ქართული ტექსტი

ა) „Царь Ираклий родился в 1716 году, в самое смутное время для отечества его, тогда как левгины, делая беспрестанные набеги на Кахетию, то одерживали верх над грузинами, то сами оставались побежденными“...<sup>1</sup>

ბ) „В 1750 году Карабагский хан Пана осадил город Ганджу. Ганджипский хан обратился с просьбой о помощи к Теймуразу и Ираклию. Они отправились“...<sup>2</sup>

ა) „მეფე ირაკლი დაიბადა 1716-სა წელსა, მაშინ ოდესცა მამულსა ჭუნსა იყო თვით აღრეული დრო და ლეკნი ჰყოფდნენ ზედ დასხმასა კახეთსა ზედა, რომელნიცა ოდესმე იყვნენ ძლეულნი და ოდესმე მძლეველნი...“<sup>3</sup>

ბ) „წელსა 1750-სა ყარაბაღის ხანი ფანა მოადგა განჯას, ხოლო განჯის ხანმა მსთხოვა მეფეთა თეიმურაზს და ირაკლის შემწეობა. ამისთვის მეფეთა შემოიკრიბეს ჯარები და წარემართნენ...“<sup>4</sup>

ქართულ ეურნალში მოთავსებული ერეკლე II ისტორიის თხრობა, ისევე როგორც რუსულში, ერთსა და იმავე ადგილას მთავრდება, ე. ი. აზატ-ხანთან შებმით და ქართველთა გამარჯვებით, ხოლო გაგრძელება დაიბეჭდება „სხუა დროსო“, — გვპირდება ეურნალი. ქართულში მცირე რამ ცვლილება გვხვდება, რაც კორექ-

<sup>1</sup> „Т. в.“, № 93.

<sup>2</sup> „Т. в.“, № 94.

<sup>3</sup> „სალ. ნაწ.“, 1832 წ., № 3, გვ. 49.

<sup>4</sup> იქვე, № 3, გვ. 57.

ტურულ შეცდომასთან ერთად თავისუფალი თარგმნით უნდა აიხსნას, ორიოდ ადგილას ზოგიერთი ფაქტიცაა გამოტოვებული; ერთი, რითაც ქართული ტექსტი სრულიად განსხვავდება რუსულისაგან, ეს არის შემდეგი ჩამატებული ადგილი: „ირაკლიმან მიიღო რა წერილი მამისა თვისასა და შაჰ-ნადირისაც, რომელმანცა დაიბარა მასთან ქართლ-კახნიცა, ვინაიდან უწყოდა მან მხნეობა და მამაცობა მათი. ესმათ რა ესე ქართველთა, არა ენებათ ირაკლისა წარსვლა სპარსეთად; ხოლო ირაკლიმან არა მიხედა ამას, სათნო ეყო ბრძანებასა მამისა და წარვიდა იგი სპარსეთს. მივიდა რა მუნ, მყისვე წარადგინეს შაჰ-ნადირთან, რომელმანცა ბრძანებისა გვარად და საშიშრის სახით ჰკითხა: „არ გასთათრდები?“ პასუხუგო: „სხეულისა ჩემისა სიკვდილი ძალგიძსთ, ხოლო სულისა არა და არასოდეს მივიღებ სჯულსა მაჰმადისასა“. შემდგომ შაჰ-ნადირ ბრძანა: „ნუ გეშინინ, მე არლა გაიძულებ“<sup>1</sup>.

რუსულ ტექსტში კი მოხსენებული ადგილი არ არის.

წერილის ავტორი დავით ბაგრატიონია. უნდა აღვნიშნოთ, რომ სოლ. დოდაშვილი ერეკლე II შესახებ ისტორიული ხასიათის მასალას სპეციალურად აგროვებდა. იგი ზოგიერთ ცნობას უკვე მოხსენებული ეფ. ალექსიშვილისაგანაც ღებულობდა. მას მიუღია მისგან ამ მეფის ისტორიაც, შედგენილი რამდენიმე რვეულად<sup>2</sup>. სოლ. დოდაშვილი ერთგან ერეკლე II შესახებ შეკრე-

<sup>1</sup> „სალ. ნაწ.“, 1832 წ., № 3, გვ. 51.

<sup>2</sup> ცსსა, ფონდი 1457, რვ. V, ფ. 781; გ. ლ. ხ. ა. ლ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. დ. ს. წიგ., გვ. 294.

ბილი მასალის ირგვლივ ასეთ ფრიად მნიშვნელოვან ჩვენებასაც იძლევა: მე,—ამბობდა იგი,—ბიბლიოთეკარ კოტოვის თხოვნით ვაგროვებდი ცნობებს ძველ ადათ-წესებისა და ერეკლე II დროს მომხდარ ამბების შესახებ. ცნობებს მონასტრებისა და სხვათა შესახებ ვეკითხებოდი ეფ. ალექსიშვილს. მე მას 200-მდე კითხვა დავუსვი, რომელთაგან მთავარი იყო შემდეგი: ანჩისხატის ეკლესიას რატომ ეწოდება ანჩისხატი? ერეკლე II როდის გაიგო, რომ ალა-მაჰმად-ხანს განზრახვა აქვს თავს დაესხას საქართველოს, მეფე მას სად შეხვდა, თბილისი წინათ რამდენ ნაწილად იყო გაყოფილი და სხვ.<sup>1</sup>.

ამ ცნობიდან კიდევ ერთხელ ნათელი ხდება სოლ. დოდაშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობა. მართალია, მიხი თქმით, იგი ცნობებს საქართველოსა და კერძოდ ერეკლე II შესახებ ბიბლიოთეკარი კოტოვის თხოვნით ჰკრებდა, მაგრამ ეს საქმის ვითარებას არ ცვლის. ცნობები ერეკლე II შესახებ ხომ მასაც სკირდებოდა? ერეკლე II-ზე წერილი ხომ დაუმთავრებელი იყო. არათუ კოტოვისათვის, არამედ მისთვისაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა იმ პასუხებს, რომელთაც ალექსიშვილი მას მისცემდა. მაგალითად, ალა-მაჰმად-ხანის შემოსევა და მასთან დაკავშირებული კითხვები სოლ. დოდაშვილს თვიზ უნდა განემარტა განთქმული მეფის ისტორიის გაგრძელებაში, თანახმად მისი შეპირებისა.

ეურნალი მკითხველთა ყურადღებას აჩერებდა საქართველოში სწავლა-აღზრდის შესახებაც. ეურნალი ეხებოდა თეატრსაც.

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 1457, რე. X, ფ. 1825—1826.

ქურნალის „კრიტიკის“ განყოფილებას ეკუთვნის სოლ. დოდაშვილის წერილი „შენიშვნა დამარხვის წეს-სა ზედა უკანასკნელთა მეფეთა საქართველოსათა“<sup>1</sup>.

„სალიტერატურონი ნაწილნი“ კრიტიკული თვალ-საზრისით იხილავდა საკითხებს არა მარტო ამ სპეციალურ წერილში, არამედ „მოკლე განხილვაშიც“.

სოლ. დოდაშვილი კრიტიკას დიდ ყურადღებას აქცევდა. ირკვევა, რომ იგი ამ საქმეში სხვების მოზიდვასაც ცდილობდა. რედაქტორი ფილ. კიკნაძეს სთხოვდა: „უკეთუ თქვენ შეჰნიშნავთ რასმეს ცუდსა, ძალგ იძს წინააღმდეგობი დასწეროთ, რომელიც დაიბეჭდება“<sup>2</sup>.

საყურადღებოა, რომ ქურნალთან დაახლოვებული გ. დ. ერისთავი კრიტიკას დადებითად ეკიდებოდა და მომხრე იყო ამ ქურნალში დაბეჭდილი მისი „ოსური მოთხრობა“ განეხილათ, ავტორისათვის შენიშვნები მიეცათ, ნაკლთა დაძლევაში ხელი შეეწყოთ. ერთხელ, 1832 წელს, როცა ერთად იყვნენ ვახ. ორბელიანი, დიმ. ყიფიანი, სოლ. რაზმაძე, ალ. ორბელიანი, გ. ერისთავი და სხვები, მათ შორის საუბარი „ოსურ მოთხრობაზეც“ ჩამოვარდნილა და ამხანაგებს გ. დ. ერისთავისათვის უთქვამთ: შენ შენი პოემის ბეჭდვას იმიტომ არ აგრძელებ, რომ კრიტიკოსების გეშინიაო. ამაზე გ. ერისთავს უპასუხნია: „Я бы за счастье почитал, если будут критиковать моих стихов, если найдут в том погрешности“

<sup>1</sup> „სალ. ნაწ.“, 1832 წ., № 3.

<sup>2</sup> „საისტორიო მოამბე“, 1952 წ., № 6, გვ. 237.

и через того могу исправить себя, конечно найдут погрешность, однакож простят как первому и новому сочинителю“.

ქურნალის ფურცლებზე, პირველად ქართული პერიოდიკის ისტორიაში, კამათი იმართება მშობლიური ისტორიული წყაროების ფალსიფიკაციის წინააღმდეგ. სოლ. დოდაშვილი თავის ზემოდასახელებულ კარგად გამართულ წერილში ეკამათებოდა ქურნალისტ გორდეევს, რომელმაც 1832 წლის რუსულ „სალიტერატურო ნაწილნის“ პირველ ნომერში მოათავსა წერილი საქართველოს უკანასკნელ მეფეთა დამარხვის წესის შესახებ და აღნიშნული წესის ირგვლივ არსებული ისტორიული მასალების უარყოფით, მკითხველი საზოგადოების შეცდომაში შეყვანა მოინდომა. გორდეევი იმ დროს უკვე საკმაოდ ცნობილი ქურნალისტი იყო და მის სიტყვას გასაველი ჰქონდა; ამიტომაც მისი წერილის უპასუხოდ დატოვება არ ივარგებდა. სოლ. დოდაშვილმა წერილის გაკრიტიკების ამოცანა კარგად შეასრულა. სოლ. დოდაშვილის დასაბუთებულმა წერილმა გორდეევის წინააღმდეგ ქურნალს პოპულარობა შემატა.

სოლ. დოდაშვილს გორდეევის წერილში „ფრიად მრავალი უთანხმოებანი და შეცდომილებანი“ შეუმჩნევია, და, როგორც მისი „კრიტიკა“ მოწმობს, ვაი-ავტორი სასტიკად უმბელია. ეს პირი,—სოლ. დოდაშვილის თქმით,—ყოფილა „არა მცოდნე ქართული ენისა“, ასევე მას არც ქართული ზნე, ყოფაქცევა და ჩვეულება ცოდნია. სოლ. დოდაშვილი ყველა ამას დიდად აუღელვებია და გორდეევის უსაფუძვლო

მტკიცებას შემდეგნაირად ახასიათებდა: ? გორდეევი წერს „მრავალსა ტყუილსა და გამოჩინებულ სიცრუესო“; სოლ. დოდაშვილი იმასაც იწუნებდა, რომ ცოდვილ ავტორს თავისი ცნობები ვახტანგ ბაგრატიონის 1814 წელს გამოცემული ისტორიიდან ამოუწერია, მაგრამ მათი მნიშვნელობა ვერ გაუგია და ისინი სრულიად სხვა დროისათვის განუკუთვნებია. უფრო მეტი: ცნობები წარყენილია „მოგონილის სიტყვებითა და მოქმედებითა, რომელნიც არ ეკუთვნიან არც ძველსა და არცა ახალსა დამარხვის წესსაო“.

სოლ. დოდაშვილმა გორდეევის წერილის გამო არც რუსული გაზეთის გამომცემლები დაინდო და მათზე შემდეგს წერდა: „გამომცემლნი რუსულისა გაზეთისანი არა მცოდნენი ნამდვილთა ზნეობათანი, თვინიერ ყოვლისა განხილვისა, ჰბეჭდენ თვისა გამოცემასა შინა ყოველსა უგვანსა უ(ფალ) ღარდიევის მიერ შედგენილსა“.

ამის შემდეგ „სალიტერატურონი ნაწილნი“ გორდეევს ერთხელ კიდევ შეეხო. ჟურნალის მეხუთე ნომერში დაიბეჭდა თ. გურამიშვილის „საყვარელო მამულო“, რომელიც სოლ. დოდაშვილს ხოტბას ასხამდა და გორდეევს კი „ცრუმეტყველებას“ უკიეინებდა. „საყვარელო მამულო“ შემდეგნაირად ბოლოვდება:

„თუ იტყვის ნაკლებს, თავის თავს აკლებს, იგი უფალი გ...ია,  
ვისგან ქებაცა, არის ვნებაცა, ვისგანა კარგად შესამჩნევია,  
ვერც იცნობს თავსა, ამბობს სხვის ავსა, ჰგონებს რომ იყოს შესაქცივია,  
მას უბედურსა, მალ პასუხს უგებს, ჩვენი ს...4... ია“.

მკითხველისათვის ადვილი მისახვედრი იყო, თუ მრავალწერტილიანი ადგილები ვის გულსხმობდა. რასაკვირველია, პირველ შემთხვევაში გორდევს, მეორეში კი სოლ. დოდაშვილს.

რაც შეეხება „სალიტერატურონი ნაწილნი“ გამოთქმულ საშეთქმულებო აზრებს, ესეც მასში, როგორც ცნობილია, სხვადასხვა ნომერში გვხვდება გატარებული <sup>1</sup>.

დასასრულ, ჟურნალში გამოქვეყნებული გასართობი მასალის შესახებ. ეტყობა სოლ. დოდაშვილის ჟურნალი მკითხველთა მოთხოვნილებას ამ მხრივაც ეხმაურებოდა. აი საამისო ერთი ნიმუში:

„ერთმან, — ეკითხულობთ ჟურნალში, — მიიღო მკურნალისაგან ნება, რათა ღვინო დალიოს მხოლოდ მაშინ, ოდესცა ჰზის სადილად. მან კეშმარიტად აღასრულა სიტყვა მკურნალისა: დილიდან საღამომდი იჯდა სადილად და სვამდა ღვინოსა?“ <sup>2</sup>.

\* \* \*

პირველი ქართული ჟურნალი მკითხველ საზოგადოებაზე დიდ გავლენას ახდენდა. საზოგადოების ერთი ნაწილი მას აღტაცებით შეხვდა.

ჟურნალი იკითხებოდა მოსკოვში, პეტერბურგში, თბილისში, გორში, მუხრანში, ქვათახევში, შუამთასა

---

<sup>1</sup> იხ. დ ი მ. ყ ი ფ ი ა ნ ი, მემუარები, გვ. 172 და პ. გუგუშვილი, დას. წიგ., გვ 81—86.

<sup>2</sup> „სალ. ნაწ.“, 1832 წ., № 3.

და სხვაგან. ზოგიერთ პიროვნებაში ამ ჟურნალისადმი ინტერესმა ისეთი დიდი სურვილი გამოიწვია, რომ ისინი რედაქტორს თვითონ სთხოვდნენ: შენი ჭირიმე „სალიტერატურონი ნაწილნი“ მეც გამომიგზავნეო. სოლ. დოდაშვილი ამის შესახებ წერდა, რომ ფილ. კიკნაძე 1832 წელს მთხოვდა: ჟურნალი მეც მომაწოდეთო<sup>1</sup>.

ჟურნალში მოთავსებული ზოგიერთი მასალა ხშირად არა მარტო გამოქვეყნების შემდეგ, არამედ მანამდეც იყო წინასწარი მსჯელობის საგანი. ამის მიახლოებით სურათს იძლევა გ. დ. ერისთავი, რომელიც ჟურნალში მოსათავსებელ ი. მამაცაშვილის „მამულისადმი სიყვარულის“ შესახებ ბევრ საინტერესო ამბავს გვიყვება. იგი ამბობს, რომ ერთხელ მე მივედი ვახ. ორბელიანთან, სადაც დამხვდნენ ზ. ავთანდილაშვილი და დ. ყიფიანი. ვახ. ორბელიანმა სიცილით მითხრა, გიორგი, შენ წაგიკითხავს ი. მამაცაშვილის „მამულის სიყვარული“? მე ვუპასუხე: არა. ვახტანგმა მე იგი გადმომცა. დავიწყე კითხვა, ისინი მისმენდნენ, ავთანდილაშვილმა სთქვა, ყველაფერი ეს კარამზინიდან არის თარგმნილიო. მერე მე კითხვას თავი დავანებე, ვინაიდან შევნიშნე, რომ ი. მამაცაშვილს ზოგი რამ ჩემი ბიძის ვარლამის თხუზულებიდანაც ამოეწერა. ი. მამაცაშვილის რვეული მაგიდაზე დავაგდე, და ვთქვი, ი. მამაცაშვილისაგან ამას არ ველოდი-მეთქი, აქ მისი არაფერია, ყოველ შემთხვევაში მას შეეძლო ეთქვა, თუ კარამზინიდან რა გადმოიღო და ვარლამიდან რა. ვახ.

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 1457, რე. III, ფ. 509.



ორბელიანმა აღნიშნა: დაე დაბეჭდოს, ჩვენ მას გაეკრიტიკებთო. ამ დროს იქვე რაფაზე დავინახე ვარლამის თხზულება, იგი ავიღე და ამხანაგებს ვუჩვენებდი იმ ადგილებს, რომელნიც იქიდან ი. მამაცაშვილს ამოუწერა, ავთანდილაშვილმა განაცხადა, სად არის მამაცაშვილის საკუთარი აზრი, კარამზინიდან ესადაეს ამოუწერია, ხოლო დანარჩენი კი—ვარლამიდანო. ვახ. ორბელიანმა ისევ გაიმეორა: დაე დაბეჭდოს. მე ვუპასუხე: ამხანაგი რატომ უნდა შევარცხვინოთ. გამოვედი რა ვახ. ორბელიანიდან, წავედი სახლში და მეორე დღეს ი. მამაცაშვილს ბარათი მივწერე. ამასთან, იმავე დღეს შევიარე მამაცაშვილთან და მას ყველაფერი ვუამბე. გაბრაზებულმა მამაცაშვილმა სთქვა: გაუგზავნეთ სოლ. დოდაშვილს, დაბეჭდოს, თქვენ კი გამაკრიტიკებთო, მე მას ვუმტკიცებდი, რომ იგი კრიტიკას ვერ გაუძლებდა. ბოლოსა და ბოლოს ი. მამაცაშვილმა თავისი ნაწარმოების სისუსტე თვითონ აღიარა და შითხრა, რომ ჩემი თხზულება უკან დამიბრუნეთო<sup>1</sup>.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ჟურნალში მოსათავსებელი ი. მამაცაშვილის თხზულება „მამულის სიყვარული“ წინასწარი განხილვის საგანი ყოფილა, და მისი დაბეჭდვა გადაუფიქრიათ შემდეგ.

„სალიტერატურონი ნაწილის“ გამოცემას თანამედროვენი სიხარულით შეეყურებდნენ. ჟურნალის შესახებ რედაქტორი ამბობდა: „მრავალი სასარგებლო აღწერა იქნება იმაშიო“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ცსა, ფონდი 1457, XIII, ფ. 2318—2319.

<sup>2</sup> „საისტორიო მთაბე“, 1952 წ., № 6, გვ. 237.

ზ. ჩოლოყაშვილი დადებითად მოიხსენიებს ჟურნალის გამოსვლას. იგი გვაუწყებს: „Один раз я ска- зал учителю Додаеву, что его газеты попра- вились в Петербурге“<sup>1</sup>.

ჟურნალში მოთავსებული სოლ. დოდაშვილის ერთ- ერთი წერილის შესახებ ი. მუხრან-ბატონს ვახ. ორბე- ლიანისათვის 1832 წლის იანვარში მიუწერია: „Гни- лисская публика всегда ожидала в Додаеве человека с большим дарованием от природы, образованного, потому не удивительно, что она одобрила его произведение“<sup>2</sup>.

„სალიტერატურონი ნაწილის“ სერიოზულ გავლენაზე ლაპარაკობდა ქართული თეატრის ფუძემდებელი გ. ერისთავი, როცა ის ამ ჟურნალს დიდ როლს მია- კუთვნებდა. იგი 1833 წლის 16 აპრილს ჟურნალის შესახებ წერდა: „Все мы старались что- нибудь сочинить или переводить и напечатать в журнале“<sup>3</sup>.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალის გავლენა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაშიც შეიქრა და მასში თავი- სებური ასახვა პოვა. ალ. ვ. ორბელიანი 1832 წელს დაწერილ თავის „შემთხვევაში“ დასცინის ისეთ ქა- ლებს, რომლებიც დასავლეთ-ევროპულ პრანკვა-გრე- ხით ქვეყნის გაკვირვებას ცდილობდნენ, მაგრამ ადგი- ლობრივ კულტურულ წამოწყებას კი ყურადღებას არ

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 1457, რვ. XII, ფ. 2115.

<sup>2</sup> ცსსა, განს. მნიშ. ს. ფ., საქ. 171, გვ. 318.

<sup>3</sup> ცსსა, ფონდი 1457, რვ. XIII, ფ. 2319.

აქცევდნენ. ალ. ორბელიანი თავის მოთხრობაში ერთი გმირის პირით შემდეგს გვიყვება:

„—სთქო (იმ ქალმა, რომელსაც ალ. ორბელიანი დასცინის.—მ. გ.) სწორედ მიბრძანეთ, ჩვენ ევროპიულად ვიქცევით უკეთუ არა.

მე მოვახსენე, სრულებით ევროპიელთათვის მიგი-მგზავსებიათ ქცევა, რომ გარჩევა არა გაქვთ, გარნა ვიფიქრე გამოვცდი მშვენიერსა ამას, უკეთუ ვითარ იქცევიან ევროპიულად. მოვახსენე, დღეს რომ ქართული გაზეთი იყო და მას შინა ამბავნი ეწერნენ სხვადასხვა სალიტერატურონი, იგი უცხო ამბავნი იყო.—სთქო, მე გაზეთებს არა ვკითხულობო“<sup>1</sup>.

პირველმა ქართულმა ეურნალმა ადრე შეწყვიტა არსებობა.

\* \* \*

„სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ მსჯელობა მრავალ საკითხზე მიმდინარეობდა. აქ მსჯელობა იყო ქართული ენის წარმოშობის, მშობლიური სწავლა-აღზრდის, თეატრისა და სხვათა შესახებ.

„სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ მკითხველს არა ერთ ინტერესს აღუძრავდა და ზოგ რამეში მაშინდელი საზოგადოების მაჯისცემას ძლიერად აგრძნობინებდა. იგი თავის ფურცლებზე ადგილს უთმობდა ქართველთა ერთი ნაწილის თეორიული ცოდნის მარაგის, პოლიტიკურ შეხედულებათა სხვადასხვაობისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის გამომწერებას.

<sup>1</sup> ცსსა, ჭანს. მნიშ. ს. ფ., საქ. 171, ფ. 237.

ქურნალის განსაკუთრებული მნიშვნელობა მისი კულტურული და ლიტერატურული როლით განიზომება. წარსული კულტურის მაგალითები, მშობლიური ლიტერატურის ნიმუშების დამოწმება და სხვა, რაც „სალიტერატურონი ნაწილნის“ ფურცლებზე გვხვდება, ქართველ საზოგადოებას ამხნევებდა, საკუთარ ძალებისადმი რწმენას მატებდა. ხოლო დიდი რუსი ხალხის კულტურული, ლიტერატურული და საგანმანათლებლო საქმე ქურნალისათვის მისაბაძ მაგალითს წარმოადგენდა.

„სალიტერატურონი ნაწილნის“ შინაარსიანმა მუშაობამ მშობლიური ძალების უფრო მეტი ამოქმედება გამოიწვია და სასარგებლო შედეგი მოიტანა. სოლ. დოდაშვილს სურდა, რომ ქურნალში საქართველოს გარეთ მყოფ თანამემამულეთაც მიეღოთ მონაწილეობა, რათა გათიშული კულტურული ძალები გაერთიანებულიყო და საგანმანათლებლო ასპარეზზე მომუშავენი თავისი ქურნალის ირგვლივ დაერაზმა. ეს, ცხადია, სერიოზული და მნიშვნელოვანი თაოსნობა იყო.

პირველი ქართული ქურნალი მოსწავლე ახალგაზრდობასაც ყურადღებით ეპყრობოდა. მოწათე დავ. მაჩაბლის თხზულებათა დაბეჭდვა, გიმნაზიისა და სხვა სასწავლებელთა ქება, მოწათეთა ხოტბის შესხმა, ქურნალის შინაარსს ამდიდრებდა.

დიდი იყო ქურნალის როლი და მნიშვნელობა აგრეთვე იმაში, რომ იგი ქართველი საზოგადოების ყურადღებას თურქ და ირანელ დამპყრობლების წინააღმდეგ რაზმავდა. ქურნალში ლაპარაკია იმაზე, რომ „ბარბაროსები“ ქართველი ხალხისა და მისი კულტურის

მოსპობას ლამობდნენ და, აქ მონღოლ დამპყრობლებთან ერთად თურქი და ირანელი აგრესორები იგულისხმებიან.

საქართველოს გმირული და მაღალ-კულტურული წარსულიდან მნიშვნელოვანი ფაქტების ამეტყველება, ფართო მკითხველამდე დაყვანა, — შემოქმედებითი მუშაობის გაჩაღებისათვის იყო გამიზნული.

პირველმა ქართულმა ეურნალმა თავის დროზე გარკვეული როლი შეასრულა, მან დიდი გავლენა მოახდინა თანამედროვეებზე; დიდი ქართველი პოეტის ნიკ. ბარათაშვილის მონაწილეობით შედგენილს ხელნაწერ ეურნალებში, როგორც ცნობილია, მასალა „სალიტერატურონი ნაწილნიდანაც“ მოთავსდა. ამასთან, თუმცა პირველი ქართული ეურნალის მონაწილეთა უმრავლესობა დააპატიმრეს და თვით ეურნალიც ძიების საგანი გახდა, მაგრამ ქართველი საზოგადოება ამ გამოცემას მაინც არ ივიწყებდა. XIX საუკუნის ქართულ პერიოდიკაში მის შესახებ არა ერთი ცნობა მოთავსდა.

ეურნალმა „სალიტერატურონი ნაწილნი“ XIX საუკუნის მომდევნო ქართულ ეურნალ-გაზეთებს უანდერძა ცხოვრების საღრესო საკითხებისადმი ინტერესი და სიფხიზლე, ქართული პოეზიისადმი სიყვარული და საამაყო სამშობლოსათვის თავდადება.

მეტად საყურადღებოა, რომ 1876 წელს გაზეთ „დროების“ ათი წლისთავთან დაკავშირებულ შეკრებაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ი. ჭავჭავაძე, ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე, ბ. ლოლობერიძე, კ. მამაცაშვილი და სხვები, ილია ჭავჭავაძეს მოუგონებია რა სოლ. დოდაშვილი,

ხაზი გაუსვამს მის საეურნალო ღვაწლისათვის და ენ ღვაწლი დიდად შეუფასებია. სათანადო ცნობაში ვკითხულობთ:

„ი. ქავჭავაძემ გაახსენა მონადიმეთა აღრინდელი მოღვაწენი ქართულის ეურნალისტობისა: თ. გიორგი ერისთავი და სოლომონ დოდაევი. და პსტქვა: ყველას სამართალი ითხოვს, რომ ყველას თავისი მიეწყოს. თუმცა იმ დროშაზედ, რომელზედაც უფ. მესხმა მოიხსენა, ეხლანდელთა „დროების“ მოღვაწეთა თავისი მიმართულება ზედ წანაწერეს, მაგრამ თჳით დროშაკი მემკვიდრეობით გვაქვს გადმოცემული განსვენებულს დოდაევისაგან, გიორგი ერისთავისაგან. საუკუნოდ იყოს ხსენება მათი ჩვენში“<sup>1</sup>.

რასაკვირველია, პირველი ქართული ეურნალი უნაკლო არ ყოფილა და მას XIX საუკუნის მომდევნო ქართულმა საეურნალო გამოცემებმა დიდად გაუსწრეს.

პირველ ქართულ ეურნალს არაერთი ნაკლი ახასიათებდა. მაგალითად, იგი არ იხილავდა და არც სვამდა მიწის საკითხს, არ ეხებოდა წარმოებისა და ვაჭრობის განვითარების საკითხებს, მასში არ იყო ლაპარაკი ქართული მუსიკის, ქართული ფოლკლორისა და სხვათა შესახებ.

მიუხედავად ამისა, „სალიტერატურონი ნაწილნი“ თავისი დროისთვის საყურადღებო მოვლენა იყო. მის გამოსვლამდე ჩვენში არც ერთი ქართული ეურნალი არ არსებობდა და ამ გამოცემის შეწყვეტის შემდეგაც ქართველ საზოგადოებრიობას თავისი ეურნალი კარგ

<sup>1</sup> „დროება“, 1876 წ., № 24.

ხანს არ ჰქონია. მხოლოდ 1852 წელს იწყო გამოსვლა  
ჟურნალმა „ცისკარმა“. მთელი XIX საუკუნის პირველი  
ნახევრის ქართული პრესის ისტორიაში „სალიტერა-  
ტურონი ნაწილნი“ ყველაზე სერიოზული და საყურა-  
დღებო მოვლენა იყო. ხოლო სოლ. დოდაშვილმა ამ  
ჟურნალის გამოცემის თაოსნობით ქართულ კულტურას  
დიდი ამაგი დასდო.

---

---

---

## VI. სოლ. დოდაშვილის ბრძოლა ქართული ლიტერატურული საზოგადოების დაარსების, სვამების გაპარტოვისა და ბიბლიოთეკის გახსნისათვის

სოლ. დოდაშვილის მოღვაწეობის დროს საქართველოში XIX საუკუნის პირველ მეოთხედთან შედარებით გაიზარდა ინტერესი ქართული ლიტერატურისადმი. გაჩნდნენ ახალი მწერლები, უფრო დაიხვეწა ლიტერატურული გემოვნება.

სოლ. დოდაშვილი ხელს უწყობდა ახალგაზრდა მწერლებს. თვითონ მას კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდა, ამიტომ მას ხშირად მიმართავდნენ წიგნებისათვის და სხვ.. მაგალითად, სოლ. დოდაშვილი ახალგაზრდა მწერლების შესახებ სიხარულით წერდა: „გული ჩემი მარად დღე ტრფიალებს, ვინაიდან მრავალთა ახალგაზრდათა კაცთა იწყეს თხზუა შეენიერთა სტიხთა და აღწერა პროზად სხვადასხვა საგანთა“<sup>1</sup>. ხოლო ერთ-ერთი პირი დოდაშვილს მისი ბიბლიოთეკიდან სთხოვდა: საყვარელო სოლომონ იოანეს-ძვე! თუ გაქვთ, გამომიგზავნეთ გრეჩის სიტყვიერება და პოეტ ჟუკოვს-

---

<sup>1</sup> „სალ. ნაწ.“, 1832 წ., № 2, გვ. 46.



კის წიგნიო<sup>1</sup>. ანდა, მეორე პირი სთხოვდა „საბერძნეთის ისტორიას“ და სხვ.<sup>2</sup>

როგორც ირკვევა, სოლ. დოდაშვილი და სხვები საბოლოოდ იმ დასკვნამდე მისულან, რომ ქართული ლიტერატურის განვითარებისათვის საჭირო იყო აგრეთვე ქართული ლიტერატურული საზოგადოების დაარსება. ამის შესახებ სოლ. დოდაშვილი წერს: „Наконец положили составить литературное общество, упомянули они своих товарищей, князей Георгия Давидовича Эрпстова, Григория Орбелианова и Евсея Палавандова“<sup>3</sup>.

აღნიშნული ცნობა ფრიად ძვირფასია ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევართათვის: ამ ცნობიდან ჩანს, რომ 1831 წელს თბილისში სურდათ დაეარსებიათ ქართული ლიტერატურული საზოგადოება. ეს XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ვრცელი გზის მანძილზე პირველი ცნობაა მსგავს საკითხზე.

გასაგებია ის ინტერესი და სწრაფვა, რაც სოლ. დოდაშვილის დროს ყოფილა ქართული ლიტერატურული საზოგადოების დაარსებისათვის. ჩანს ისიც, რომ ამ საზოგადოების წევრები უნდა ყოფილიყვნენ, მაგალითად, გრიგოლ ორბელიანი და გ. დ. ერისთავი, ხოლო თვით დოდაშვილს, ცხადია, ამ საზოგადოებაში ერთერთი წამყვანი როლი უნდა ეთამაშა.

<sup>1</sup> ცსსა, განს. მნიშ. საქ. ფ., საქ. 171, ფ. 254—255.

<sup>2</sup> ცსსა, განს. მნიშ. ს. ფ., საქ. 171, გვ. 226.

<sup>3</sup> ცსსა, ფონდი 1457, რვ. VI, ფ. 977.

ქართული სტამბის მოწყობის საკითხი სოლ. დოდაშვილს მეტად საჭირობოროტო საკითხად მიაჩნდა. მას ამ საკითხის მოგვარებისათვის დიდი მუშაობა ჩაუტარებია.

ქართული ბეჭდვითი სიტყვის აღმავლობისათვის ბრძოლა და ამ საქმის მეთაურობა მეტად რთული და ძნელი საქმე იყო. ყოველივე ამისათვის საჭირო იყო ქართული ბეჭდვითი სიტყვის ტრადიციების გათვალისწინება, არსებული პირობების ხელსაყრელად გამოყენება და სათანადო მუშაობების შემოკრება. ცხადია, ამ საქმის მოგვარება დიდ ენერჯიასა და თავდადებად მუშაობას მოითხოვდა. დოდაშვილს მტკიცედ გადაუწყვეტია, რომ ამ საქმეში მეთაურობა გამოეჩინა; ქართული სტამბის მოწყობა სოლ. დოდაშვილს ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დაუსახავეს.

1828 წლისათვის თბილისში არც ერთი ქართული დამოუკიდებელი სტამბა არ არსებობდა. ამიტომ ვინც ამ საქმეს ხელს მოჰკიდებდა, მას მრავალი დაბრკოლება უნდა გადაეღაზა. თბილისში მაშინ არ იყო ასოჩამომსხმელი არც ერთი სახელოსნო; ძველი ქართული სტამბა მოშლილი იყო, ასოთამწყობთა მონახვა ძლიერ კირდა. მართლაც, მაშინ ისეთი რთული მდგომარეობა ყოფილა, რომ ქართული დამოუკიდებელი სტამბის გამართვა ვერც მოხერხებულა.

ცნობილია, რომ 1828 წელს თბილისში ამუშავედა „ტიფლისკიე ვედომოსტის საგამომცემლო კომიტეტის“ სტამბა, რომელიც ხუთი წლის ვადით 1829 წელს პ. სანკოვსკის გადაეცა<sup>1</sup>. პირველად სწორედ

<sup>1</sup> მ. გოცაძე, ქართული ეურნალისტიკის ისტორია, თბ., 1954 წ., I, გვ. 108—113.

მაშინ, 1828 წელს, გაიწყო აქ ქართული ტექსტების დაზგა. სახელდობრ, აქ იბეჭდებოდა პირველი ქართული ეურნალი და გაზეთი „ტიფლისის უწყებანი“, რომელთა შესახებ ჩვენ უკვე ზემოთ ვილაპარაკეთ. უფრო მეტი, აქ იბეჭდებოდა აგრეთვე სხვადასხვა განცხადებანი, აფიშები და სხვ.. მართალია, ამ დროს ქართული ტექსტების ბეჭდვა კავკასიის ცალკე კორპუსის შტაბთან არსებულ სტამბაშიც შეიძლებოდა, მაგრამ ეს სტამბა უკვე ძირითადად მხოლოდ სამხედრო უწყებას ემსახურებოდა და დანარჩენი უწყებებისათვის მას აღარ ეცალა. ამიტომაც სოლ. დოდაშვილის მოღვაწეობის დროს მთელი ქართველი საზოგადოების ყურადღება ძირითადად „ტიფლისკიე ვედომოსტის საგამომცემლო კომიტეტის“ სტამბაზე იყო მიპყრობილი.

ჩვენში გავრცელებულია აზრი, რომ 1828 წელს თბილისში სოლ. დოდაშვილმა თითქოს საკუთარი სტამბა მოაწყო<sup>1</sup>. მაგრამ ეს ცნობა მცდარია. სოლ. დოდაშვილს 1828 წელს თბილისში საკუთარი სტამბა არ გაუწყვია. სოლ. დოდაშვილს ქართული დამოუკიდებელი სტამბის დაარსება სურდა, ამისთვის თავგამოდებითაც იბრძოდა, მაგრამ მან თავისი განზრახვა მრავალ დამაბრკოლებელ მიზეზთა გამო სისრულეში ვერ მოიყვანა— ქართული დამოუკიდებელი სტამბა ვერ დაარსა.

უკვე ვთქვით, რომ 1828 წელს საგამომცემლო კომიტეტის სტამბა ამუშავდა. სოლ. დოდაშვილმა პირველყოვლისა სწორედ ამ სტამბის გამოყენება მოიწადინა, ამ სტამბის საქმიანობაში აქტიურად და მთელი ენერ-

---

<sup>1</sup> ზ. ჭიჭინაძე, ქართული სტამბა და მეფე ვახტანგ VI, გვ. 18.

გიით ჩაება. მან აქ მოახერხა ქართული ტექსტების საბეჭდი დაზღვის მუშაობის გაუმჯობესება. მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მას 1828 წელს უნდოდა, რომ ამ სტამბაში მუშაობა დაეწყო ცნობილ ქართველ მესტამბეს გ. პაიქაძეს, რომელიც ამ დროს პეტერბურგში ცხოვრობდა და რომელიც ჯერ კიდევ 1810 წელს თბილისის სასულიერო უწყებასთან არსებულ სტამბაში იყო ზედამხედველად დანიშნული; მაგრამ 1812 წელს კახეთის აჯანყებისა და სხვა მიზეზების გამო პაიქაძე აქ ვერ ჩამოვიდა. დოდაშვილი 1828 წელს ამბობდა: „დიდად ვწუხვარ, რომ გიორგი პაიქაძე აქ არ იმყოფებოდა ამ შემთხვევაში ტიპოგრაფიისათვის, რომელიცა კომიტეტსა შინა საქირო იყო“<sup>1</sup>.

ის გარემოება, რომ სოლ. დოდაშვილი „ტფილისის უწყებანის“ გამოცემას ხელმძღვანელობდა, მას იმასაც ავალებდა, რომ სტამბაში ქართული ტექსტების საბეჭდი დაზღვისა და მისი ყველა მოწყობილობის გაუმჯობესებისათვის ხელი შეეწყო.

1828 წელს „ტფილისის უწყებანი“ აცხადებდა: „ერთ-თა და მათვე პირთა ზედა, გარდა ლიტერატურის საქმობათა, მდებარეობდა მზრუნველობა დამარხვისათვის მზგაჲსა შემთხვევასა შინა საქიროისა მოსწრაფებისასა და ყოველთა ტიპოლოგრაფიის წერილმანთათვის, რომელნიცა განკიდურებულისა ნაკლებობისთანა საშუალებათა შინა ხშირად შეადგენდნენ საგანსა საკუთრისა სიძნელისასა და თვით გამოცემულის ნომე-

---

<sup>1</sup> H, 2226, ფ. 264—265; „მას. საქ. და კავ. ისტ.“, ნაკ. II, 1945, გვ. 116.

რის გამოსვლისათანა განაყენებდნენ აწინდელთა საქმიანობათაგან<sup>1</sup>.

მალე სტამბის მუშაობა ისე გაუმჯობესდა, რომ იქ ქართული წიგნის დაბეჭდვა შეიძლებოდა. ამის გამო-სოლ. დოდაშვილი 1828 წლის 10 აგვისტოს წერდა: სტამბაში შეიძლება „დაბეჭდვა რომლისამე წიგნისაო“<sup>2</sup>.

1831 წლის 15 იანვარს სოლ. დოდაშვილი სტამბის შესახებ თბილისიდან პეტერბურგში მეტად მნიშვნელოვან ცნობას აგზავნის, სადაც ამბობს: „სტამბა გავმართე დიდ ფრიად კარგა ქართულის ასოებისა“<sup>3</sup>. მაგრამ საქმე ისაა, თუ როგორ გავიგებთ სოლ. დოდაშვილის ამ ცნობას. აღნიშნული ცნობა ჯერ კიდევ ადრე, 1887 წელს, გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა და მაშინვე შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ სოლ. დოდაშვილმა 1831 წელს თითქოს ქართული საკუთარი სტამბა გამართა, ხოლო შემდეგში ყველა ავტორი სწორედ ამ ცნობიდან ამოდიოდა, როცა აცხადებდა: თბილისში სოლ. დოდაშვილმა ქართული გაზეთისათვის ქართული სტამბა გახსნაო.

მართლაც, ერთი შეხედვით ამ ცნობაში თითქოს სადავო არაფერი არ უნდა იყოს, ვინაიდან სოლ. დოდაშვილი სრული გარკვეულობით ამბობს: ქართული სტამბა გავმართეო.

აღნიშნული ცნობის ისე გაგება, თითქოს აქ საკუთარი და დამოუკიდებელი ქართული სტამბის გამარ-

<sup>1</sup> „ტფილისის უწყებანი“, 1828 წ., № ივ.

<sup>2</sup> H, 2226, გვ. 280; „მას. საქ. და კავ. ისტ.“, 1945 წ., ნაკ. II, გვ. 119.

<sup>3</sup> S, 388, გვ. 53; იქვე, გვ. 140.

თვაზე იყოს საუბარი, არაა სწორი. სოლ. დოდაშვილს ქართული სტამბა 1831 წელს არ გაუმართავს. რომ მას ასეთი სტამბა 1831 წლის იანვარში ჰქონოდა გამართული; მაშინ მას მთელი 1831—1832 წლების განმავლობაში იმაზე საუბარი, რომ სტამბა შევიძინოთ და გავაწყოთო, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, აღარ დასჭირდებოდა. სოლ. დოდაშვილს 1831 წელს ქართული სტამბა არ დაუარსებია. მან ასეთი სტამბა ვერც შემდეგ გააწყო.

სოლ. დოდაშვილის 1831 წლის ცნობა „ქართული სტამბის“ გამართვის შესახებ მხოლოდ იმას გულისხმობს, რომ სანკოვსკის სტამბაში ქართული ტექსტების მბეჭდავი დაზგა უკეთ ამუშავდა.

მაგრამ თუ, ერთი მხრივ, სოლ. დოდაშვილი ცდილობდა, რომ ქართული ბეჭდვითი სიტყვის განვითარებისათვის თბილისში არსებული სტამბა გამოეყენებინა, სამაგიეროდ, მეორე მხრივ, იგი ცდილობდა, ასეთი სტამბა თვითვე შეექმნა და იგი ქართული ბეჭდვითი პროდუქციის მესვეურად გამოეყვანა.

მასალები ადასტურებენ, რომ მაშინ ქართველ საზოგადოებაში საკუთარი სტამბის მოწყობის დიდი სურვილი იყო. ცხადია, ასეთი სტამბა კერძო ხასიათის სტამბა უნდა ყოფილიყო.

სოლ. დოდაშვილი 1830 წლიდან გამუდმებით ცდილობდა კერძო სტამბის შექმნასა და ამუშავებას. მაგრამ მას ამ საქმეში ყველაზე დიდ დაბრკოლებად უფულობა მიაჩნდა. ამიტომაც იგი ნაცნობთა შორის მხურვალედ და თავგამოდებით მოითხოვდა ფულის შეგროვებას. თვითონ ამის შესახებ შემდეგს წერდა:

„ყველა ესენი ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ რა მოეგონათ კეთილი საქმე საქართველოსათვის, მე შევიტანე წინადადება შეგვეგროვებინა შემოწირულება და ამ შეკრებილი ფულით გვეყიდნა ბიბლიოთეკა, სტამბა და დავხმარებოდით გიმნაზიის ლარიზ მოწაფეებს“<sup>1</sup>.

ანდა: „Мое намерение,—амბობს სოლ. დოდაშვილი,—собрать пожертвование, купить библиотеку и типографию. Я об этом говорил библиотекарю Котову, как и директору гимназии Груберу“<sup>2</sup>.

სოლ. დოდაშვილი „სტამბის“ შექმნაზე სხვაგანაც ლაპარაკობს და, ჩანს, რომ მის ამ მხრივ ამხანაგები პირდებოდნენ დახმარებას.

სტამბის მოწყობილობის შექმნა სოლ. დოდაშვილს და მის ამხანაგებს შეეძლოთ მოსკოვში კომისიონერ შირიაევთან, რომელიც მაშინ, ამ მხრივ, მრავალ შემკვეთს აკმაყოფილებდა, მისგან თბილისში ბევრ რამეს ეზიდებოდნენ; სტამბის მოწყობილობის შექმნა შეიძლებოდა აგრეთვე თბილისის სხვადასხვა სტამბიდან. მაგრამ სოლ. დოდაშვილს სათანადო მოწყობილობის შექმნა პ. სანკოვსკისაგან სდომებია. ამის შესახებ ანტონ აფხაზი გადმოგვცემს: „Палавандов пригласил нас всех на чай. Я пришел туда довольно поздно. Там застал Александра Орбелианова с

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 1457, რვ. 1, ფ. 18; გ. გოხალაშვილი, დას. წიგ., გვ. 140.

<sup>2</sup> ცსსა, ფონდი 1457, რვ. I, ფ. 71.

братом своим Вахтагом, Эристовых—Елизбара, Димитрия, Георгия и Додасва. Не знаю, до меня о чем говорили они. При мне Елизбар Эристов стал рассуждать о просвещении и о улучшении грузинской литературы. Додаев сказал, не худо устроить типографию, так как Санковский продает оную за дешевую цену, по этому случаю каждый князь должен пожертвовать деньгами. Сей проект был всеми одобрен“<sup>1</sup>.

სოლ. დოდაშვილი დიდხანს იბრძოდა ქართული სტამბის დაარსებისათვის, მაგრამ მისი გეგმა ვერ განხორციელდა: მას არ დასცალდა ფული შეეგროვებია და ქართული სტამბა დაეარსებია.

\* \* \*

იმ დროისათვის თბილისში საჯარო ტიპის ბიბლიოთეკის გახსნა საყურადღებო საქმე იყო. ჩანს, რომ სოლ. დოდაშვილი ამ საკითხის მოგვარებასაც ფიქრობდა.

მაშინ თბილისში ბევრს ჰქონდა ბიბლიოთეკა; იგი არსებობდა თბილისის გიმნაზიასთანაც, მაგრამ სოლ. დოდაშვილს ისეთი ბიბლიოთეკის გახსნა უნდოდა, სადაც წიგნებით სარგებლობა ყველას შეეძლო. ამიტომ იგი, დიმ. ყიფიანი, ვახ. ორბელიანი და სხვები ამ

---

<sup>1</sup> ცხსა, ფონდი 1457, რე. VIII, ფ. 1356.



საკითხზეც ესაუბრებოდნენ ერთმანეთს ხშირად. მაგალითად, ვახ. ორბელიანი წერს: „Мы (ზ. ავთანდილაშვილი, დიმ. ყიფიანი და მე.—მ. გ.) разсуждали, что было бы гораздо полезнее основать хороший пансион, делать пожертвование гимназии, учредить общую библиотеку“<sup>1</sup>. ხოლო სოლ. დოდაშვილი ამბობდა: ყველას ვთხოვდი, შეგვეგროვებინა ფული და გაგვეხსნა ბიბლიოთეკაო. ისიც ვიცით, რომ დოდაშვილი ბიბლიოთეკის ყიდვას აპირებდა კოტოვისაგან<sup>2</sup>, რომელიც მაშინ თბილისში ცხოვრობდა და მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა.

მართალია, სოლ. დოდაშვილმა თბილისში დამოუკიდებელი საერთო ბიბლიოთეკა ვერ გახსნა, მაგრამ ვინც მაშინ მას ამ საქმეში ეხმარებოდნენ და მასთან ერთად აქტივობას იჩენდნენ—დიმ. ყიფიანი და ვახ. ორბელიანი, შემდეგში ამ იდეას ისევ მიუბრუნდნენ. დიმ. ყიფიანმა, როგორც ცნობილია, 1840 წელს თბილისში გახსნა საჯარო ბიბლიოთეკა, ხოლო შემდეგ ასევე მოიქცა ვახ. ორბელიანიც. ამიტომ სოლ. დოდაშვილის ზრუნვას თბილისში დამოუკიდებელი საერთო ბიბლიოთეკის გახსნისათვის უნაყოფოდ არ ჩაუვლია.

თბილისში საჯარო ტიპის ბიბლიოთეკის გახსნისათვის სოლ. დოდაშვილი აღრევე იბრძოდა.

---

<sup>1</sup> ცსსა, ფონდი 1457, რე. 1, ფ. 131; შდრ. გ. გოხალიშვილი, დას. წიგ., გვ. 194.

<sup>2</sup> იქვე, ფ. 71.

## VII. სოლ. დოდაშვილის შრომები

სოლ. დოდაშვილის შრომების რაოდენობისა და ხასიათის შესახებ დღეს ჩვენს ლიტერატურაში სხვადასხვა აზრია გამოთქმული. ამიტომ ჩვენ აქ გავარკვევთ იმას, თუ ნამდვილად რა შრომები დარჩა სოლ. დოდაშვილს და. თავისი შინაარსით რას ეხებიან ისინი.

1893 წელს ზ. ჭიჭინაძე დოდაშვილის შრომების რაოდენობის შესახებ წერდა: დოდაშვილს „ლოგიკის“ გარდა დარჩა:

„1. ქართული გრამატიკა... 2. რიტორიკა, რუსულიდან ნათარგმნი. 3. მთავრობის სჯულწავალდებულებანი, ე. ი. კანონმდებლობა, დაუბეჭდია 1829 წელს. 4. სახელმძღვანელო ცხენის სრბოლისათვის, რუსულიდან გადმოკეთებული მთავრობის თხოვნით. 5. სხვადასხვა ზნეობითი ნაწყვეტები (ოტრიეკი), შესხმანი, ავთრათნი და სხვ. 6. მოკლე ფილოსოფია, შედგენილი ძალნი საზღვრებითი და განყოფილებათა მისთა. 7. ისტორიული აღწერა რომელთამე მწერალთა და რომელთამე ამბავთა. 8. რეესტრი ქართული წიგნების, რიცხვით ექვსასამდე, ვისგან, სად და ოდეს, თვითეული რას იპყრობს თავის შორის. 9. ქართული ანბანი. 10. ცხენის პატარა, კარაბადინი. 11. ხორველის დარიგება. 12. რუ-

სულ-ქართული რაზგაეორის წიგნი. 13. რუსულ-ქართული ლექსიკონი<sup>1</sup>.

ამასთან ამ ცნობას ზ. კიკინაძე იმასაც დასძენდა, რომ სოლ. დოდაშვილს გაზეთებში სხვადასხვა წერილიც აქვს დაბეჭდილიო.

ზ. კიკინაძემ თავის დროზე არ აღნიშნა, თუ რა წყაროზე დაყრდნობით შეადგინა მან მის მიერ გამოცემული დოდაშვილის შრომების სია, რომელი შრომა სად ნახა და სხვ. მაგრამ დღეს უკვე შესაძლებელია გაირკვეს ის, თუ რით სარგებლობდა ზ. კიკინაძე აღნიშნული სიის გამოქვეყნების დროს და მის მიერ დასახელებული ყველა შრომა სოლ. დოდაშვილს ეკუთვნის თუ არა.

ზ. კიკინაძის მიერ გამოქვეყნებული სია დიდხანს დარჩა იმის ძირითად მასალად, რომ გათვალისწინებულიყო დოდაშვილის შრომათა რაოდენობა. ეს სია ზოგიერთ ავტორს აძლევდა აგრეთვე უხვ მასალას სხვადასხვა არასწორი და ყალბი დებულების წამოყენებისათვის. ამიტომ ამ სიის დეტალური გარჩევის გარეშე შეუძლებელია სწორი წარმოდგენა გვექონდეს დოდაშვილის შრომათა რაოდენობისა და ხასიათის შესახებ.

1887 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა სოლ. დოდაშვილის ერთი კერძო წერილი, რომელიც გაგზავნილი ყოფილა თბილისიდან პეტერბურგში; აქვე ავტორი თავისი შრომების შესახებ შემდეგს წერდა: „რიცხვი მოქმედებათანი ჩემთანი: 1. შევადგინე ქართული

---

<sup>1</sup> ზ. კიკინაძე, სოლ. დოდაშვილი, თბ., 1893 წ., გვ. 22.

გრამატიკა სასწავლებლისათვის... 2. სრულეყავ რიტორიკა ქართულსავე ენაზე ზედა. 3. ვსთარგმნე რწმუნებისაწებრ მთავრობისა, სჯული-ვალდებულებანი სამართლებობისნი. 4. ვსთარგმნე ბრძანებითა მთავრობისათა ცხენის სრბოლისათვის წიგნი. 5. შევადგინე რეესტრი ქართული წიგნებისა ექვსასამდე, ვისგან, სადა და ოდეს, და თვითეული რას იპყრობს თვის შორის. 6. შევადგინე სხვადასხვანი ზნეობითნი ნაწყვეტნი (ოტრიეკი), შესხმანი, ავთრათნი და სხუანი. 7. შევადგინე მოკლედ ფილოსოფიისა ძალნი, საზღვრებითა და განყოფილებათა მისითა. 8. ისტორიული აღწერა ვიწყე რომელთამე მწერალთა და რომელთამე სრულ ეყავ<sup>1</sup>.

თუ ამ სიას შევადარებთ 1893 წელს ზ. ჭიქინაძის მიერ გამოქვეყნებულ სიას, ცხადი გახდება, რომ განსვენებულ ავტორს თავისი ცნობის დაბეჭდვის დროს ძირითადად „ივერიით“ უსარგებლია. მაგრამ, ამასთან ექვევარეშეა ისიც, რომ მას ამ წყაროს გარდა უსარგებლია იმ ცნობებითაც, რომლებიც წინათ სხვადასხვა გაზეთში ყოფილა გაბნეული. მაგალითად, ცნობა რუსულ-ქართული ლექსიკონის შესახებ, მას 1875 წლის გაზეთ „დროებიდან“ აუღია და სხვ. აგრეთვე ისიც ცხადია, რომ ავტორი თავისი სიის შედგენის დროს ზეპირ ცნობებსაც დაყრდნობია. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, ზუსტია თუ არა ზ. ჭიქინაძის მიერ 1893 წელს გამოქვეყნებული სია. გადავიდეთ ამ სიაში დასახელებულ შრომათა კონკრეტულ განხილვაზე.

<sup>1</sup> „ივერია“, 1887 წ., № 227.

1. ქართული ენის გრამატიკა. ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოს შედგენას სოლ. დოდაშვილი ადრე შეუდგა. 1831 წელს მისი შრომა სახელწოდებით „შემოკლებული ქართული გრამატიკა“ თბილისში გამოიცა.

ამ შრომის დაბეჭდვასთან დაკავშირებით გაზეთი „ტიფლისკიე ვედომოსტი“ 1830 წლის 4 ოქტომბერს აცხადებდა, რომ ამ დღეებში დაიწყო აწყობა „ქართული გრამატიკისა“, რომელიც შეადგინა გიმნაზიის მასწავლებელმა დოდაშვილმა და სამ ნაწილად გამოვალ.

დოდაშვილს ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოს შედგენა ადრევე მოუფიქრებია. 1827 წლის 8 ოქტომბერს იგი წერდა: „ვაწარმოვე ცვლილება: 1. ღრამატიკასა შინა: თვით დაწყებითგან ვაწარმოვე განსაზღვრებანი საზოგადონი და მიუმატე ნაკლნი რაოდენიცა ძალმედუა, დაწყებით ბრუნვა განუტევე დამტკიცებათა, რომელ არ—არს საქირო ცნობისათვის ცვლილებათა ლექსითა და სხუანი მრავალნი, რომელიცა დაიბეჭდება და მუნ სცნობთ“<sup>1</sup>. ხოლო ჯერ კიდევ 1827 წლის სექტემბერში იგი ამბობდა: „ღრამატიკასა მიუმატე ნაკლნი და განუტევენ მეტნი“<sup>2</sup>.

1828, 1829, 1830 წლებში იგი არაერთგან ლაპარაკობს, რომ ქართული გრამატიკის სახელმძღვანელოს შედგენაზე მუშაობას ისევ განაგრძობს.

1830 წლის 12 ივნისს კი სოლ. დოდაშვილმა პეტერბურგის მთავარ საცენზურო კომიტეტში განცხადება

<sup>1</sup> II, 2226, ფ. 234; „მას. საქ. და კავკ. ისტ.“, გვ. 99.

<sup>2</sup> H, 2226, ფ. 198; იქვე, გვ. 97.

შეიტანა, ნება მომეცით ქართული ენის გრამატიკა გამოვეცეო<sup>1</sup>. 1830 წლის 2 სექტემბერს მას ასეთი ნებართვა კიდევ მისცეს<sup>2</sup>.

1831 წელს სოლ. დოდაშვილის მიერ გამოცემული „შემოკლებული ქართული გრამატიკა“ მაშინ კარგი მოვლენა იყო. თანამედროვე საზოგადოებამ იგი სიხარულით მიიღო. თვითონ ავტორმა, გახარებულმა, წიგნი სხვადასხვა პირს დაუგზავნა, მაგალითად, თეიმურაზ ბაგრატიონს და სხვ. ამჟამად ეს ეგზემპლარი ინახება ლენინგრადში. საყურადღებოა, რომ ამ წიგნს მაშინ კრიტიკითაც გამომხაურებიათ. მაგალითად, ამის შესახებ ეფ. ალექსიშვილი წერდა: „მე მაგის (სოლ. დოდაშვილის—მ. გ.) ღრამატიკას ქართულსა კრიტიკა დაუწერე“<sup>3</sup>.

დოდაშვილის სახელმძღვანელო მოიწონეს. ავტორი კიდევ დააჯილდოვეს<sup>4</sup>.

---

<sup>1</sup> ЦГИАЛ, ფონდი 777, საქ. 993.

<sup>2</sup> იქვე, საქ. 993.

<sup>3</sup> ცსსა, ფონდი 1457, რვ V, ფ. 779—784; გ. გ. ო. ხ. ა. ზ. ვ. ი. ლ. ი., დასახ. წიგ., გვ. 296.

<sup>4</sup> ჯერ კიდევ 1856 წელს გახეთი „კავკაზი“ წერდა: დოდაშვილმა თავის წიგნისათვის ფულადი ჯილდო მიიღო („Кавказ“, 1856 წ., №48). მართლაც, ამის შესახებ ერთ სარქივო საბუთში ვკითხულობთ: „Соломон Додаев хотя в 1831 году и получил с разрешения князя Варшавского, графа Паскевича—Эриванского, по представлению директора Закавказских училищ двести рублей серебром; но не в награду собственно за отличную службу, а в пособие без возврата к напечатанию сочинённой и впоследствии изданной им Грузинской грамматики (ცსსა, განს. მნიშ. ს. ფონდი, საქ. 165, ფ. 180).“

საყურადღებოა, რომ ამ შრომის რუსული თარგმანიც არსებულა. დოდაშვილი 1829 წელს წერდა: ქართული ენის გრამატიკა „სრულ ვყავ და ვთარგმნი რუსულადო“. მაგრამ რუსულ ენაზე ამ წიგნის თარგმნა მისი გამოცემისათვის კი არ იყო საჭირო, არამედ ცენზურისათვის. რაკი წიგნი ცენზურას უნდა წარდგენოდა, ამიტომ იგი რუსულადაც უნდა ყოფილიყო თარგმნილი. ცენზორმა ო. სანკოვსკიმ ქართული ენა არ იცოდა.

სოლ. დოდაშვილის „შემოკლებული ქართული გრამატიკა“ დიდხანს სახელმძღვანელოდ იყო მიღებული.

2. „რიტორიკა“. ამ წიგნს სოლ. დოდაშვილი 1829 წელს დასრულებულად აცხადებდა. ამასთან, გვაცნობდა დასახელებული შრომის გეგმას, სადაც ვკითხულობთ: „სისტემა მისი არს შემდგომი: 1. შეყვანებასა შინა რიტორიკისასა არს განსაზღვრება სიტყვიერებისა, განყოფა მისი, განსაზღვრება რიტორიკისა, დამტკიცება, რომელ არს სწავლა და არა ხელოვნება, განსხუაება ძველისა და ახალი რიტორიკისა, საგანი რიტორიკისა ანუ დასასრული საჭირონი თვისებანი ორატორიისანი, შესაწევნელნი სწავლანი მისნი, განსხუაება რიტორიკისა და პიიტიკისა, სარგებლობა მისი, ისტორია მისი და განყოფა ამასთან წინადადებათათვის, გავრცელებისათვის მათისა, პერიოდთა და ხასიათათვის. 2. პირველი ნაწილი რიტორიკისა—პოვნისათვის, მეორე ნაწილი—განკარგვისათვის და მესამე—გამოღებისა ანუ ფრაზისათვის, ესე იგი თვისებისათვის, ფრაზისა ტროპთა და ფიგურათათვის, რომელთათვის, რომელთა შინადა იპყრობიან საზოგადონი კანონნი პროზაიკობათა თხზულებათანი. 3. საკუთარნი კანონნი სხუა და სხუა-

თა თხუზულებანი: ავთრათათვის, საუბრობისათვის, შესხმათათვის და სხუათა<sup>1</sup>.

აქედან მიახლოებით ჩანს, თუ დოდაშვილის „რიტორიკა“ როგორი შინაარსის უნდა ყოფილიყო. იგი, როგორც ეტყობა, ფართო მოცულობის ნაშრომი იყო.

გვაქვს ცნობა იმის შესახებაც, რომ სოლომონს თავისი „რიტორიკა“ რუსულ ენაზე უთარგმნია. „ქართული რიტორიკა სრულ ვყავ და ვსთარგმნე რუსულადო“<sup>2</sup>, — წერს დოდაშვილი.

მოხსენებული რიტორიკის „ერთ-ერთი ხელნაწერი“ უკვე მიგნებულა<sup>3</sup>.

3. კ ა ნ ო ნ მ დ ე ბ ლ ო ბ ა. აღნიშნული წიგნის თარგმნა დოდაშვილისათვის ჯერ კიდევ 1828 წელს დაუვალეზბიათ. ამის შესახებ თვითონვე ამბობდა: დამავალეს რუსული ენიდან ქართულ ენაზე თარგმნა „ორი დიდი ფრიად ვრცელი წიგნი, რომელსაცა შინა იპყრობს სა მო ქ ა ლ ა ქ ო ს ჯ უ ლ ნ ი სასამართლოსა და პოლიციის კანონი და მოქალაქეთა ვალნი და თანამდებობანი“<sup>4</sup>. 1830 წელს დოდაშვილი ისევ კანონთა კრებულის თარგმანზე მუშაობს. ჩვენ უკვე ზემოთ საამისო ცნობას გავეცანით, სახელდობრ იქ, სადაც დოდაშვილი 1830 წელს აღ. ორბელიანსა და ელ. ერისთავს ეუბნებოდა: მთავრობის დავალებით კანონთა კრებულს ვთარგმნიო.

მართალია, ზ. კიჭინაძე აღნიშნავს, რომ დოდაშვილის მიერ თარგმნილი კანონმდებლობა 1829 წელს

<sup>1</sup> H, 2226, ფ. 277—8; „მას. საქ. და კავკ. ისტ.“, თბ., 1945 წ., ნაკ. II, გვ. 120—121.

<sup>2</sup> იქვე, ფ. 277; იქვე, 120.

<sup>3</sup> ქუ მ ს ი შ ვ ი ლ ი, თ. კუკავა, სოლ. დოდაშვილის „რიტორიკა“ („მნათობი“, 1955 წ. №1).

<sup>4</sup> H, 2222, ფ. 288—289; „მას. საქ. და კავკ. ისტ.“, თბ., 1945, ნაკვ. II, გვ. 123.



დაიბეჭდაო, მაგრამ ეს შეცდომაა. ავტორი, როგორც ვხედავთ, 1830 წელს ამ თარგმანზე მუშაობას ისევ განაგრძობს. საერთოდ, ცნობილია, რომ თბილისში 1827—1832 წლებში ქართულ ენაზე რუსულიდან თარგმნილი კანონთა არც ერთი კრებული არ გამოსულა. სოლ. დოდაშვილის მიერ შესრულებული თარგმანი ჯერჯერობით მიგნებული არ არის.

4. სახელმძღვანელო ცხენის სრბოლისათვის. ზ. კიკინაძის თქმით, იგი რუსული ენიდან ყოფილა გადმოკეთებული, მაგრამ ეს შეცდომაა. თვით სოლ. დოდაშვილი 1829 წლის წერილში ამბობს, რომ მან იგი კი არ გადმოაკეთა, არამედ თარგმნა. სხვათა შორის, საამისო დავალება დოდაშვილს ჯერ კიდევ 1828 წელს მიუღია. იგი ამასთან დაკავშირებით გვაუწყებს: „პასკევიჩმან... მომწერა და მასთან წარმოავლინა წიგნი როსიელსა ენასა ზედა და ბეჭდილი ცხენის სრბოლისათვის, ანუ ქენებისათვის და მდგომარეობისათვის მისისა სხუა და სხუათა სახელმწიფოსა შინა, რათა ეთარგმნო ქართულსა ენასა ზედაო“<sup>1</sup>.

აღნიშნული თარგმანიც არ გამოცემულა.

5. სხვადასხვა ზნეობითი ნაწყვეტნი (ოტრივკი). შესზმანი, ავთრათნი და სხვ. სოლ. დოდაშვილი თავის 1829 წლის წერილში ამ შრომასაც გვაცნობს.

აღნიშნული შრომა აგრეთვე ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის.

<sup>1</sup> II, 2226, ფ. 289; იქვე, გვ. 123.

6. მოკლე ფილოსოფია, შედგენილი ძალნი საზღვრებითნი და განყოფილებათა მისთა. არც ეს შრომა აქვს ზ. კიკინაძეს ზუსტად დასახელებული. თვით სოლ. დოდაშვილი ამ შრომაზე ამბობს: „შევადგინე მოკლედ ფილოსოფიისა ძალნი საზღვრებითა და განყოფილებითა მისთა“.

7. ისტორიული აღწერა რომელთამე მწერალთა და რომელთამე ამბავთა. ზ. კიკინაძე ამ შრომის სახელწოდებასაც ამახინჯებს. დოდაშვილი არსად არ ლაპარაკობს, რომ მან დაწერა შრომა მწერლებისა და ასევე „რომელთამე ამბავთა“ შესახებ. არა. სოლ. დოდაშვილმა დაწერა მხოლოდ შრომა, „რომელთამე მწერალთა“ შესახებ.

აღნიშნული შრომაც ჯერ მიკვლეული არ არის.

8. რეესტრი ქართული წიგნებისა, რიცხვით ექვსასამდე, ვისგან, სად და ოდეს, თვითეული რას იპყრობს თავის შორის. დოდაშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა რა ქართული წიგნების აღნუსხვას, პირადად აგროვებდა სათანადო ცნობებს და თუ 1828 წლისათვის „რეესტრი“ შეუდგენია 600 ქართული წიგნისათვის, შემდეგაც მას ახალ-ახალი ცნობები მიუმატა. იგი 1831 წელს ი. ხელაშვილს თბილისიდან სთხოვდა: „მაცნობეთ სახელნი ქართულთა წიგნთა, რომელნიც მანდ ქართველთაგან შეთხზული ანუ ნათარგმნი იყვნენ... რომელს ნაწილს ეკუთვნის: ღვთის-მეტყველებასა, ფილოსოფიასა თუ ისტორიასა და სხუათა“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> S, 388, ფ. 54; „მას. საქ. და კავკ. ისტ.“, გვ. 141.

აქ უკვე წიგნთა დარგობრივი აღნუსხვაც მოჩანს. ეს „რეესტრიც“ დაკარგულია.

9. ქართული ანბანი და 10. ცხენის პატარა კარაბადინი. აღნიშნული ორი შრომა სოლ. დოდაშვილმა ნამდვილად დაწერა თუ არა, არ ვიცით. იმ მრავალ საბუთში, რომელიც ხელთ გვაქვს, ამ წიგნებზე მსჯელობა არ არის.

11. ხოლვერის დარიგება. ზ. კიკინაძე არ აღნიშნავს, თუ რა ხასიათის უნდა იყოს ეს შრომა, მაგრამ, ექვგარეშეა, იგი დოდაშვილს არ უნდა დაეწერა. ასეთი შრომის დაწერა სამედიცინო საქმის ცოდნას მოითხოვდა, რაც დოდაშვილს არ გააჩნდა. მაგრამ ვიცით, რომ მსგავსი დარიგება „ხოლვერის“ შესახებ თბილისში 1831 წელს, მართლაც, დაიბეჭდა. იგი დაბეჭდა ხელისუფლებამ. დოდაშვილის დროს საქართველოში და, კერძოდ, თბილისში, „ხოლვერა“ გავრცელდა, მთავრობა ამ სენს სხვადასხვა ღონისძიებით შეებრძოლა და ამასთან განკარგულება გასცა, რომ შეედგინათ ჯერ რუსულ ენაზე „დარიგება“ და შემდეგ ქართულ ენაზეც ეთარგმნათ. შეიძლება სოლ. დოდაშვილმა ეს „დარიგებაც“ ხელისუფლების მითითებით თარგმნა.

12. რუსულ-ქართული რაზგოვორის წიგნი. სოლ. დოდაშვილი ამ შრომის შესახებ არსად არ ლაპარაკობს. ამიტომ არ ვიცით სოლ. დოდაშვილმა იგი ნამდვილად შეადგინა თუ არა.

13. რუსულ-ქართული ლექსიკონი. ეს შრომა სოლ. დოდაშვილს არ შეუდგენია. იგი შეცდომით 1875 წელს გაზეთ „დროებაში“ სოლ. დოდაშვილს მიაწერეს. ამ ლექსიკონის ავტორი ი. ხელაშვილია.

აქვე მოკლედ განვიხილოთ ზ. კიკინაძის სიაში მოუხსენებელი სოლ. დოდაშვილის შრომებიც.

1. ლოგიკა. დოდაშვილმა თავისი წიგნი „Логика, часть I“ გამოსცა 1827 წელს.<sup>1</sup> ეს შრომა ჯერ ქართულ ენაზე დაიწერა და რუსულ ენაზე შემდეგ ითარგმნა. საცენზურო კომიტეტში ორივე ერთდროულად იყო წარდგენილი.<sup>2</sup> ამიტომ მაშინ ბევრმა იცოდა, რომ აღნიშნული წიგნი ნამდვილად ორივე ენაზე იყო დაწერილი. მაგალითად, ი. ხელაშვილი იტყობინებოდა, რომ დოდაშვილმა შეთხზა ლოგიკა „ორსა ენებსა ზედაო“. შემდეგში წიგნის ქართული ტექსტი საცენზურო კომიტეტისაგან სოლომონმა უკან მიიღო.

დოდაშვილს თავისი შრომა თავდაპირველად ორივე ენაზე სურდა გამოეცა. ამიტომ იგი ერთგან წერდა: „იბეჭდება პირველი ნაწილი ლოგიკა, ვითარცა ქართულად, ეგრეთვე როსიულადაცო“<sup>3</sup>, აქვე უნდა ითქვას, რომ „ლოგიკის“ მეორე ნაწილის ერთი რვეული უკვე აღმოჩენილია<sup>4</sup>.

სოლ. დოდაშვილი „ლოგიკის“ საკითხებზე მუშაობას 1827 წლის შემდეგაც განაგრძობდა. მაგალითად, სტე-

---

<sup>1</sup> იხ. Додлев—Магарекниѣ. Курсе философии, ч. I. Логика, 1827 г. ამ წიგნის შესახებ იხ. „Московский телеграф“, 1827 г., № 18, „Мос. В.“, 1827 г. XXII. „Сев. пчела“, 1827 წ., № 72, სოლ. დოდაშვილი, „ლოგიკა“, თბ. 1949 წ., ა. ქუთელიას რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1949 წ., გ. კალანდარიშვილი, Очерки... 1950 წ. და გ. რუსია—სოლ. დოდაშვილის „ლოგიკა“ (საკანდიდატო დისერტაცია).

<sup>2</sup> ЦГИАЛ, ფონდი 777, აღ. I, საქ. 502. ამავე საქმეში ჩაკერებულია „ლოგიკაზე“ რეცენზიებიც. იხ. აგრეთვე „ლიტ. ძიებანი“, 1953 წ. ტ. VIII, გვ. 426—430.

<sup>3</sup> II, 2226, ფ. 152; „მას. საქ. დაკავ. ისტ.“, თბ., 1945 წ., ნაკ. II, გვ. 83.

<sup>4</sup> ცსსა, ფონდი 1457, რვ. X.

ფანე დოდაშვილი პეტერბურგიდან მას 1831 წლის 8 დეკემბერს შემდეგს აცნობებდა: „თქვენი სლოგიკის ამბის დაგვიანების მიზეზი ეს იყო: მინისტრი კნიაზ ლივენი იყო მოსკოვს და ვედრი თქვენი წავიდა მუნ, ხოლო პეტერბურგს მობრუნდა 27 ნოემბერს, 28 ობჩში კანცელარიის ეურნალში შევიდა და 29 დეკარტამენტში წარიგზავნა, ახლა მზადდება დოკლადი, მინისტრი რაოდენსამე განათლებულ კაცთ მინდობით და თვითცა განიხილავს ლოლიკასა თქუენსა და უკეთუ დამაბრკოლებელს მიზეზსა არას ჰპოებენ, კმაყოფა მოგეცემათ“<sup>1</sup>. აქედან ჩანს, რომ დოდაშვილი „ლოგიკაზე“ 1827 წლის შემდეგაც მუშაობდა. უფრო მეტი, ამ ცნობიდან ისიც ჩანს, რომ აქ საუბარი არის არა 1827 წელს გამოცემული „ლოგიკის“ შესახებ, არამედ სხვაზე, რომ სოლ. დოდაშვილს 1831 წელს განათლების სამინისტროში (ლივენი განათლების მინისტრია) წარუდგენია ახალი „ლოგიკა“ და „ვედრი“ ანუ თხოვნა მისი გამოცემისათვის.

2. სიტყვიერება. 1827 წლის სექტემბერში სოლ. დოდაშვილი წერდა: „მე აღვწერე ახალსა ფრაზსა ზედა უმეტეს სიტყვიერებითი სწავლა, სადაცა მივეც თვისი განსაზღრუება შესაბამი და წესიერი და ეგრეთვე განწყობილებანიცა საკუთრისა წესიერსა გუარსა ზედა დავაწყე“<sup>2</sup>. 1827 წლის ოქტომბერში კი აღნიშნავს: „ვაწარმოვე ცვლილება... სიტყვიერებასა შინა უმეტესად,

<sup>1</sup> ცსსა. განს. მნიშ. საქ. ფ., საქ. 171, ფ. 231—232.

<sup>2</sup> II, 2226, ფ. 198; „მას. საქ. და კავკ. ისტ.“, გვ. 97.

რომელსაც მივეც შესაბამის სისტემატიკებრი წყობილება და განყოფილება განსაზღვრებითი, უკეთეს ინებოს ღმერთმან და დაიბეჭდა, მაშინ ვცნობთ სარგებლობასა მისსა“<sup>1</sup>.

3. სოლ. დოდაშვილს დაწერილი ჰქონია საგაზეთო წერილი საქართველოს ისტორიის შესახებაც. ავტორი ამაზე 1828 წელს გვაუწყებს: „თთუესა მაისსა (1828 წლის.—მ. გ.) გამოცხადდება თხზულება ი ჩემი როსიელსა ენასა ზედა სიბრძნისათვის რომლისამე შემთხვეულებისა, ესე იგი ოთხისა მდგომარეობის საქართველოსა შინა, ძველისა დროისა, უკანასკნელისა აქამომდე, აწინდელისა, მწყობადისა... მაისის გასულს ვგონებ ქართულადაცა იქმნას“.

წერილი არ დაბეჭდილა.

4. 1831 წელს დაწერილი პროკლამაცია.

5. ქართული სამოხელეო თანამდებობათა სახელწოდების ნუსხა და ამ სახელწოდებათა რუსული თარგმანები. ეს ცნობარი ინახება საქ. ცენტრ.—არქივში<sup>2</sup>.

6. ლექსები. სოლ. დოდაშვილს თავისი კალამი პოეზიაშიაც უტღია<sup>3</sup>. გარდა ამისა ერთი ცნობით, დოდაშვილს სხვა ლექსებს შორის უთარგმნია ლექსი „ფარშავანგიც“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> H. 2226, ფ. 234—5; „მას. საქ. და კავკ. ისტ.“, გვ. 110.

<sup>2</sup> ცსსა, ფონდი 1457, რე. X.

<sup>3</sup> S, 1532, გვ. 213, S, 388, გვ. 46: „მას. საქ. და კავკ. ისტ.“, გვ. 61, 137, H, 2226 ფ. 107; „მას. საქ. და კავკ. ისტ.“, გვ. 70.

<sup>4</sup> ზ. ჭიჭინაძე, სოლ. დოდაშვილი, თბ. 1893 წ., გვ. 12. „ივერიაში“ 1887 წელს (№ 227) აღნიშნულია, რომ სოლ. დოდაშვილს „ბევრი ლექსებიც უწერია, რომელნიც ერთ კერძო კაცს შეუგროვებია რუსეთში“.

მაგრამ არ ჩანს ეს ლექსი ნამდვილად დოდაშვილს ეკუთვნის თუ არა.

7. სიტყვები თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლისა და გიმნაზიის საჯარო აქტებზე თქმული. აქედან მხოლოდ 1828 წელს წარმოთქმული სიტყვა გვაქვს შემონახული<sup>1</sup>.

8. სოლ. დოდაშვილის წერილები პირველ ქართულ ეურნალში გაბნეული.

9. კოტოვისათვის გადაცემული ცნობები, სადაც საქართველოს ისტორიის შესახებ იყო მასალა თავმოყრილი.

10. ქართული წერის დედანი. ეფ. ალექსიშვილი ამბობს: „პირველად წარსულის 1832 წლის ეგონებ სეკდემბერში მოსულიყო უფალი დოდაევი ჩემთან ნაშინ, როდესაც მე არ ვიყავ შინ და დაეგლო ქართული პროპისები და ეთქვა, ტფილისის ღიმნაზიის მოწაფეთ დავით მაჩაბლოვისა და ჩემის შვილის ალექსისათვის, უთხარით მოძღვარს დირექტორმა (გრუბერმა.—მ. გ.) სთხოვა ეს დედნები გადაწეროს კარგს ხელზედ, უნდა დავაბეჭდინოთ ღიმნაზიის მოწაფეთათვის. მე მოველ რა შინ, მითხრეს ხსენებულთა მოწაფეთა ესე ამბავი. მეორედ მოვიდა უფალი დოდაევი ჩემთან და შემდგომ მოკითხვისა დავსხედით და უთხარ: „სოლომონ ივანიჩ! ეგონებ ქართული ხელისათვის საწერად უფრო ლამაზი და უფრო მზგავსი რუსულის ხელის იყოს

<sup>1</sup> „ივერია“, 1887 წ., № 227.

საეკლესიო წერა, და თუ არ დაიშლით დავწერ, მაგრამ ჩემზე უკეთესს ხელზედ დასწერს ტარასი (ალექსიშვილი.—მ. გ.) და თუ გნებავთ იმას დავაწერინოთ<sup>1</sup>.

ამ ცნობიდან აშკარად ჩანს, რომ დოდაშვილს ეფ. ალექსიშვილისათვის „ქართული პროპისები“, ანუ ქართული წერის დედნები, მიუტანია.

11. პიიტიკა. ამის შესახებ უკვე აღვნიშნეთ, სახელდობრ იქ, სადაც ეწერა: სოლ. დოდაშვილმა თავის „პიიტიკა“ ეფ. ალექსიშვილს აჩვენა-მეთქი.

12. საცენზურო წესდება. 1830 წლის 11 თებერვალს სოლ. დოდაშვილი იტყობინება: ვწერ საცენზურო წესდებასო<sup>2</sup>.

13. მთიულეთის ზნე-ჩვეულებანი. ამის შესახებ სოლომონი ამბობდა: ვიყავი მთიულეთს და გაზეთისათვის მათი ზნე-ჩვეულებანი აღვწერეო<sup>3</sup>. წერილის საბოლოო ბედი უცნობია.

14. 1856 წელს გაზეთი „კავკაზი“ აცხადებდა: სოლ. დოდაშვილმა გადასახლებაში ყოფნის დროს მოიფიქრა ფილოსოფიის მთლიანი კურსის დაწერა, მაგრამ ვერ დაამთავრაო<sup>4</sup>.

15. 1916 წელს ამბობდნენ, თითქოს სოლ. დოდაშვილს დაუწერია ექვსტომიანი „ფილოსოფია“. ამის შესახები. ზატიანშვილი უსაყვედურებდა პ. კარბელაშვილს და წერდა: „პ. კარბელაშვილი... არას ამბობს იმის

<sup>1</sup> ცსა. ფონდი 1457, რვ. V, ფ. 779—784.; გ. გოხალიშვილი, დან. წიგ., გვ. 291.

<sup>2</sup> ИРБНА, ფონდი 1, აღ. I, ტ. 4, ნაკ. 894, საქ. 8504, ნაწ. 7, ფ. 336—340. სხვათა შორის სოლ. დოდაშვილი აქვე შეუდგესაც ამბობს: იანოვიჩი მთხვავს, რომ მოვეხმარო მას საქართველოს სტატისტიკის შედგენაში.

<sup>3</sup> S. 388, გვ. 50.

<sup>4</sup> „Кавказ“, № 48, 1856 წ.



(დოდაშვილის.—მ. გ.) ექვს ტომიან ფილოსოფიაზედ, რომლის თვითო ტომი უდრის სიდიდით ბაუერის ფილოსოფიას. ეს ტომები დაცულია თბილისის სასულიერო სემინარიის ფუნდემანტურ ბიბლიოთეკაში. ჩემს იკმყოფობის დროს 1876 წელს მოწაფეთაგან და ჩემგნითაჲ იგი იხმარებოდა მასალების ამოსაქრებად თხზულებისათვის ფილოსოფიის საგნიდამ, ისე როგორც კუნოფიშერი, შლეგელი და სხვ.<sup>41</sup> მაგრამ, ვფიქრობთ, ეს ცნობა მცდარი უნდა იყოს. სოლ. დოდაშვილი 1826—1832 წლების განმავლობაში არსად არ ლაპარაკობს იმაზე, რომ მას განზრახული აქვს ფილოსოფიის კურსის ექვსტომეულის დაწერა. 1832 წლის შემდეგ კი მას ასეთი ვრცელი შრომისათვის დრო აღარ ჰქონდა.

16. სოლ. დოდაშვილის თარგმანები: ა) გაზეთ „ტფილისის უწყებანში“ გაბნეული თარგმანები, ბ) რაზმაძე წერს: „У учителя Додаева просил несколько раз книгу, которая дана была начальством для перевода на грузинском языке“<sup>2</sup>, გ) საქართველოს ისტორიის თარგმანი სანსკოვსკისათვის, დ) ერთგან სოლ. დოდაშვილი წერს: აღ. ორბელიანს ვუჩვენე „თარგმანები“, რომელიც სხვადასხვა ავტორებიდან იყო შესრულებულიო<sup>3</sup>.

17. დოდაშვილის მიერ დასაწერად განზრახული შრომები: ა) ი. ხელაშვილის ბიოგრაფია. ამის შესახებ თვითონ სოლომონი ი. ხელაშვილს აუწყებდა: „იქნება

<sup>1</sup> „საქართველო“, 1916 წ., № 205.

<sup>2</sup> ცსსა, ფონდი 1457, რე. XXVII, ფ. 215.

<sup>3</sup> იქვე, რე. IV, ფ. 707.

ისტორია თქვენი, ე. ი. ცხოვრება, თვისებანი და მოქმედება თქვენი<sup>1</sup>, ბ) საქართველოს ისტორია და გეოგრაფია<sup>2</sup>.

ამგვარად, თუ ყველა ზემოგანხილულ ცნობას შევაჯამებთ, მაშინ სოლ. დოდაშვილის შრომების შესახებ შემდეგ სურათს მივიღებთ:

### 1. დაგეგმილი შრომები

1. „ЛОГИКА“, ЧАСТЬ I, 1827 წ.
2. „შემოკლებული ქართული გრამატიკა,“ თბ., 1831 წ.
3. „ჟინეერა“ („სალ. ნაწ.“).
4. „მოკლე განხილვა ქართული ლიტერატურისა, ანუ სიტყვიერებისა“ („სალ. ნაწ.“). ეს შრომა რუსულ ენაზეც დაიბეჭდა („ТНЦ. В.“, 1832 წ., № 1, „სალ. ნაწ.“).
5. სამივე განცხადება მოთავსებული „სალიტერატურონი ნაწილნში“.
6. „პასუხი თბილისიდან“ („სალ. ნაწ.“).
7. „ქართული ისტორია, ერეკლე II“ („სალ. ნაწ.“).
8. „კრიტიკა“, („სალ. ნაწ.“).
9. „ელენა“ („სალ. ნაწ.“).
10. „თბილისის უწყებანში“ მოთავსებული თარგმანები.

<sup>1</sup> H, 2226, ფ. 277—279; „მას. საქ. და კავკ. ისტ.“, თბ., 1945, ნაკ. II, გვ. 21.

<sup>2</sup> ზ. კიკინაძე, სოლ. დოდაშვილი, თბ., 1893 წ., გვ. 27.

11. „სიტყვა“ 1828 წელს საჯარო აქტზე თქმული. („ივერია“, 1887 წ., № 227).

12. 1831 წელს დაწერილი პროკლამაცია (გ. გოზალიშვილი, დას. წიგ., გვ. 95—96.).

13. ლექსები („АКТЫ“, ტ. VIII, 1881 წ., გვ. 111, გ. გოზალიშვილი, დას. წიგ., გვ. 95 და „მას. საქ. და კავკ. ისტ.“, გვ. 61, 70, 137).

14. „რიტორიკის“ ერთ-ერთი ხელნაწერი.

## II. მიგნებული დაუბეჭდავი შრომები

1. „ლოგიკა“, ნაწილი II.

2. ქართული სამოხელეო თანამდებობათა სახელწოდების ნუსხა.

## III. ჯერჯერობით მიუბნეხელი შრომები

1. „ლოგიკა“, ნაწ. I (ქართულ ენაზე დაწერილი).

2. „სიტყვიერება“.

3. საგაზეთო წერილი საქართველოს ისტორიის შესახებ.

4. „რიტორიკა“ ქართულსა და რუსულ ენებზე დაწერილი.

5. „კანონმდებლობა“ (რუსული ენიდან თარგმნილი).

6. „სახელმძღვანელო ცხენის სრბოლისათვის“ (რუსული ენიდან თარგმნილი).

7. „სხვადასხვა ზნეობითი ნაწყვეტნი“.

8. „მოკლედ ფილოსოფია, ძალნი საზღვრებითნი და განყოფილებათა მისთა“.

9. „ისტორიული აღწერა რომელიმე მწერალთა“.
10. „რეესტრი ქართული წიგნებისა“.
11. „შემოკლებული ქართული გრამატიკა“ (რუსულ ენაზე თარგმნილი).
12. 1831 წელს განათლების სამინისტროში წარდგენილი „ლოგია“.
13. საჯარო აქტებზე წარმოთქმული სიტყვები.
14. საქართველოს ისტორიის თარგმანი შესრულებული პ. სანკოვსკისათვის.
15. თარგმანები სხვადასხვა ავტორთაგან, რომელნიც აღ. ვ. ორბელიანისათვის უჩვენებია.
16. კოტოვისათვის გადაცემული ცნობები საქართველოს ისტორიის შესახებ.
17. პიიტია.
18. საცენზურო წესდება.
19. მთიულეთის ზნე-ჩვეულებანი.
20. გადასახლებაში მოფიქრებული ფილოსოფიის დაუმთავრებელი კურსი.

**IV. მსოფლიო ზ. ზიჰინაძის მიერ დამოუკიდებელი  
შრომები**

1. ქართული ანბანი.
2. ცხენის პატარა კარაბადინი.
3. რუსულ-ქართული „რაზგოვორის“ წიგნი.
4. „ფარშავანგი“.

\* \* \*

ამგვარად, წინამდებარე წიგნში ჩვენ განვიხილეთ სოლ. დოდაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. მაგრამ, ცხადია, ამათგან რიგი საკითხის დამუშავება მომავალში გაფართოვდება.

სოლ. დოდაშვილმა მთელი თავისი ბრწყინვალე ნიჭი, მთელი თავისი მეცნიერული პოტენცია, ცხოვრებაზე დაკვირვების დიდი უნარი, მოქალაქეობრივი შეგნება და სიცოცხლის სიყვარული ქართული კულტურის განვითარების საქმეს შესწირა. იგი ქართული კულტურის დიდი მოღვაწე იყო.

1955 წლის მაისის თვეში ჩვენმა საზოგადოებამ დიდი სიყვარულით აღნიშნა სოლ. დოდაშვილის დაბადების 150 წლისთავი.

ინტერესი სოლ. დოდაშვილის შემკვიდრეობისადმი მუდამ იქნება.

---

## შ ი ნ ა ა რ ს ი

	გვ.
წინასიტყვაობა . . . . .	3
შესავალი . . . . .	5
I. ცხოვრების გზა . . . . .	15
II. სოლ. დოდაშვილის სოციალურ-პოლიტიკური შეხედუ- ლებაანი . . . . .	68
III. სოლ. დოდაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა . . . . .	117
IV. სოლ. დოდაშვილი და „ტფილისის უწყებანი“ . . . . .	162
V. სოლ. დოდაშვილი და პირველი ქართული ჟურნალი . . . . .	198
VI. სოლ. დოდაშვილის ბრძოლა ქართული ლიტერატურუ- ლი საზოგადოების დაარსების, სტამბის გამართვისა და ბიბლიოთეკის გახსნისათვის . . . . .	240
VII. სოლ. დოდაშვილის შრომები . . . . .	250

**Гоцадзе Михаил Калистратович**

**Соломон Додашвили**

**(На грузинском языке)**

**Госиздат Грузинской ССР  
Тбилиси 1935**

რედაქტორი ნ. კუპრავა  
მხატვარი რ. ზედელაშვილი  
ტექრედაქტორი გ. იაშვილი  
კორექტორი ე. ბენანიშვილი

გადაეცა წარმოებას 18/V-1955 წ. ხელმოწერი-  
ლია დასაბუქდად 16/X-1955 წ. უფ 06316.  
ანაწყობის ზომა  $5 \times 7 \frac{1}{2}$ , ქალაღდის ზომა  
 $70 \times 108 \frac{1}{2}$ , ნაბეკდ ფორმათა რაოდენობა 11,65.  
სააღრ-საგამომც. ფორმათა რაოდენობა 9,35.  
ტირაჟი 5000. შეკვ. № 565. ფასი 5 მ. 75 კაბ.

საქმედგამის სტამბა, თბილისი, მედქალაქი

\*

Типография Грузмедгиза, Тбилиси,  
Медгородок



შემჩნეულ შეცდომათა ბასწორება

პ.	სტრიქონები		დაბეჭდილია	უნდა იყოს
	ზემო-დან	ქვემო-დან		
73	6	—	კავშირი	დადებითი დამოკიდებულება
81	9	—	დროს	დროს (შექმნილ სიმშვიდეს—მ. გ.)
219	—	9	საჯარო	საერთო—საამხანაგო
264	—	22-23	შესახები.	შესახებ ი.